საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№4 (95)
9 - 15 თებერვალი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## საქართველოს ბერმუდის სამკუთხედი: სააკაშვილი, ალასანია, ბურჯანაძე
2

## 200-მილიონიანი «ბოინგი» პრეზიდენტისთვის, ანუ



## გაუშვით, იფრინოს!
4





6

## ჯიმი ჯალიაშვილი: თუ ვაშინგტონს დასჭირდება, სააკაშვილი აქ რადარებსაც განათავსებს და რუსეთთან მორიგ ომსაც გააჩაღებს

## 163 რეკომენდაცია უზურპატორს, ანუ ფასადური დემოკრატიის დესპოტური ინტერიერი
9



## «ლამაზმანი» მინისტრის სისხლიანი რეკორდი — 100-ზე მეტი გარდაცვლილი პატიმარი
5



## ანზორ შონია: ენა, მამული, სარწმუნოება — სამი ღვთაებრივი საუნჯიდან სამივეს ეშმაკი დაეპატრონა
10

## „ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“
11

## პარლამენტის ვიცესპიკერს 6200 თანამოქალაქის გაცურებაში ადანაშაულებენ
14

## მედიკამენტებზე ფასები ტოტალურად გაიზრდება
16

## რა კავშირი აქვს მთავარი მზვერავის «გასტუ-დენტებას» ტყიბულში მაღაროს აფეთქებასთან
7



## მონა-სპიკერი
15

ბაქრაძე ხელისუფლების სურვილის უპრობლემო გამტარებელია. ეს ხომ ავტორიტარული ქვეყანაა, რომელიც მისი ქვეშევრდომებისგან მონურ მორჩილებას მოითხოვს



## ორმაგი სტანდარტებით გაბითურებული ქვეყანა, ანუ MISHA FOREVER?!
8





## ბუშის სახელობის ქუჩით საგარეო ვალს ვერ გაისტუმრებ
12

რეალურად, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად რჩება



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გამონაზებული



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

ჩვენ ასევე შევთავაზეთ პრეზიდენტ კარზაის ექსპერტების გაგზავნა პოლიციის რეფორმირებისთვის... იქ იმყოფებიან არტილერიის სპეციალისტები, რომლებიც ავღანელ სამხედროებს ასწავლიან. ჩვენ ასევე შეგვიძლია მათ ეკონომიკური რეფორმის დაგეგმვაში დავეხმაროთ.

*president.gov.ge*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

თუ ირანიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ყველა უპრობლემოდ, ვიზის გარეშე შემოვა, ასეთ შემთხვევაში, ჩვენს მომავალ პერსპექტივებზე საუბარი გამიჭირდება. რა შედეგები მოჰყვება ჯერ ჩრდილო კავკასიასთან საზღვრის გახსნას და ახლა კიდევ ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმებას, ჯერ არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, ხელისუფლებამ ძალიან სარისკო და სახიფათო ნაბიჯი გადადგა.

*„ასავალ-დასავალი“*



**დემურ გიორხელიძე,**
**ეკონომიკის ექსპერტი:**

ჩვენ ვლაპარაკობთ სინგაპურზე და არ ვლაპარაკობთ ფინეთზე. ჩვენ ვლაპარაკობთ ისეთ ქვეყანაზე, რომლის მოდელი მიუღებელია საქართველოსთვის. ფინეთმა, შესანიშნავი პოლიტიკის გატარებით შეძლო, შეექმნა სუპერთანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საზოგადოება. ჩვენ ფინეთის მაგალითი გვინდა, რა ჯანდაბად გვინდა სინგაპური, რომლის მაგალითიც გზაა ჩიხისკენ?!

*„ქართული სიტყვა“*



**გოგი თოფაძე,**
**ბიზნესმენი:**

დღეს საქართველოში უცხოეთიდან შემოდის თითქმის ყველაფერი. რა ჯობია, საგარეჯოდან ან მუხრანიდან შემოვიტანოთ პროდუქტი, თუ ჩინეთიდან ან ეგვიპტიდან, რომელი უფრო იაფი დაგვიჯდება? ამას ვედავებით სწორედ — ნუ გავწირავთ ქართველ გლეხს, ნუ დავაქცევთ ქართულ სოფელს! წადით, ნახეთ, ვინმე დარჩა სოფელში? ახალგაზრდას ნახავთ იქ? თუ ნახავთ, ან გალოთებულს, ან ნარკომანს, რომელსაც საქმე არა აქვს. მხოლოდ მოხუცები დარჩნენ, ისინი ყარაულობენ წინაპართა სახლებსა და საფლავებს.

*„ყველა სიახლე“*



**ლადო პაპავა,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი:**

ხელისუფლება, პრაქტიკულად, არც მალავს, რომ ქვეყანა მიჰყავს ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცებისკენ. ამის დასტურია არაერთგზის გაცხადებული სინგაპურიზაციისკენ აღებული კურსი. სინგაპურში, უკვე 50 წელია, ერთი პარტიაა ქვეყნის სათავეში. სააკაშვილი ამბობს, რომ 70 წელი უნდა ვიყოთო. ესეც გარკვეული პარალელის საფუძველს გვაძლევს. 70 წელი რომელი პარტია იყო სათავეში, ყველას გვახსოვს.

*„ასავალ-დასავალი“*

# საქართველოს ბერმუდის სამკუთხედი







**გასულ კვირას ქართველი პოლიტიკოსები ფრიად აქტიურად მოძრაობდნენ: მიხეილ სააკაშვილი მიუნხენში იმყოფებოდა, ირაკლი ალასანია — ვაშინგტონში, ნინო ბურჯანაძე — დავოსში, გუბაზ სანიკიძე კი — ტელევიზორში. ვერ ვიტყვით, რომ ყოველივე ამან საზოგადოებაში პარანორმალური ინტერესი გაალვივა, რადგან მის დიდ უმრავლესობას უფრო მეტად სხვა საკითხები აღელვებდა: როგორ უყიდოს საჭმელი შვილებს, წამალი — მშობლებს და, ამავე დროს, კომუნალური გადასახადების გადახდაც მოახერხოს. თუმცა, ვინაიდან სხვა პოლიტიკოსები ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვყავს, თვალი მივადევნოთ მათ ბოლოდროინდელ აქტიურობას.**

### ამაოება ამაოთა

**ბოლო დროს კომენტატორები მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებს ნაკლები ინტერესით ეკიდებიან და ეს გასაგებიცაა — მას შეუძლია ილაპარაკოს ის, რაც მოეხასიათება, საინტერესო კი მხოლოდ ის არის, რის გაკეთებაც მას ხელეწიფება, რამდენად შეუძლია განცხადებები რეალურ პოლიტიკად გადააქციოს.**

ვინაიდან სააკაშვილის შესაძლებლობები ამ მხრივ ფრიად შეიზღუდა, შესაბამისად, ინტერესიც დაეცა. მაგალითი: თუ აშკარად ჩანს, რომ სააკაშვილს პროდუქტებზე ფასების ზრდასთან გამკლავება არ შეუძლია, მისი განმარტება — ეს იმიტომ ხდება, რომ „მილიარდმა ჩინელმა ჭამა დაიწყო“ — ნაკლებად აქტუალური ხდება; თუ ყველასთვის ცხადია, რომ ის ქვეყნის გამთლიანების გზაზე თუნდაც მცირეოდენი ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებს, ალბათ, არავის დააინტერესებს, რომ მას ყოველღამ „სოხუმი ესიზმრება“. **სოხუმი ყველას ესიზმრება, მათ შორის იმ დევნილებს, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებამ ახლახან საცხოვრებლებიდან გამოყარა.**

**მთავარი ისაა, რის გაკეთება ძალუძს სააკაშვილს რეალურად. ასე რომ, ყველა, ვინც ჯერ კიდევ ისმენს სააკაშვილის მრავალსაათიან ტელემონოლოგებს** (ასეთი ადამიანი, სავარაუდოდ, არც ისე ბევრი დარჩა), **ალბათ, გამუდმებით უნდა დასვას კითხვა: რის გაკეთება შეუძლია მას საუბრის თითოეულ თემასთან მიმართებაში?**

თუმცა გარკვეული ბერკეტები სააკაშვილის ხელთ კვლავინდებურად რჩება და მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე მისი გამოსვლიდან ჩვენ შევიტყვეთ, რომ საქართველო ავღანეთში დამატებით კონტინგენტს გააგზავნის. გარკვეული რაკურსით, ეს ნაბიჯი, ალბათ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც საფასური იმისა, რომ პრეზიდენტი ობამა და სხვა დასავლელი ლიდერები სააკაშვილს ხვდებიან, ხელს ართმევენ და მის ხელისუფლებას დიქტატორულ რეჟიმს არ უწოდებენ. **დაახლოებით ასე ისტუმრებდნენ თავიანთ ვალებს შუა საუკუნეების ფეოდლები, როდესაც ქვეშევრდომებს სხვა სახელმწიფოების ომებში აგზავნიდნენ. თუ საზოგადოება მზად არის, ამ პრაქტიკას შეეგუოს, ის მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობასაც იზიარებს.**

ამასთან, სააკაშვილმა ავღანეთის პრეზიდენტს ჰამიდ კარზაის შესთავაზა „ექსპერტების გაგზავნა პოლიციის რეფორმირებისთვის“. ისე, თუ ავღანელი პოლიციელები საკუთარ მოსახლეობას მერაბიშვილის ხელქვეითებივით მოექცევიან, თალიბების რაოდენობა შეიძლება გაათმაგდეს. ავღანელებს ღირსების გრძნობა განვითარებული აქვთ, შეურაცხყოფა შეიძლება ვერ აიტანონ, თოფს ხელი მოჰკიდონ და ტყეში (მთაში) გავარდნენ. ასე რომ, ჰამიდ კარზაი სააკაშვილის წინადადებას, სავარაუდოდ, სიფრთხილით მოეკიდება.

**სააკაშვილმა მიუნხენში კვლავ დაადასტურა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ძალას არ გამოიყენებს, მაგრამ არ უთქვამს, რომ ამ ვალდებულებას რაიმე დოკუმენტზე ხელმოწერით დაადასტურებს.** ყველაფერი დანარჩენი კი ძლიერ ჰგავდა ჩვეულ წავარჯიშებას რიტორიკაში — ისევ იგივე წუხილი იმის გამო, რომ რუსეთი მის სამშვიდობო ინიციატივებს არ ეხმაურება, აქცენტი საქართველოს სატრანზიტო როლზე ევროპის ენერგომომარაგებაში, საუბარი იმაზე, რომ გაყინული კონფლიქტები მშვიდობიანი მეთოდებით უნდა გადაიჭრას (სამი წლის წინათ სულ სხვა რამეს მეტყველებდა: **„ცხინვალის რეჟიმი არის მორყეული კბილი“, „ეს არის მართლა კვირებისა და თვეების საკითხი“** და ეს არავის დავიწყებია. საინტერესოა, თვითონ თუ ახსოვს?). იყო ერთი თავბრუდამხვევი პასაჟიც: **„სტრატეგიულ მიზანს ვერ მიაღწიეს, ვერ შეძლეს ქართული დემოკრატიის მოკვლა“** (აქ, ალბათ, ლოგიკური იქნებოდა შემდეგი ჩანართი: **„მე დავასწარი!“).** აგრეთვე, ადგილი ჰქონდა მონუმენტური აზრების ფრქვევას კიბერუსაფრთხოების საკითხზე.

სხვა რა? **ტრიბუნასთან მდგომი სააკაშვილი საუბრობდა მეტ-ნაკლებად დალაგებულად, გამოიყურებოდა ნორმალურად, მისი ჰალსტუხის ფერი ამაოების ეგზისტენციურ შემადგენელზე დაფიქრებისკენ უბიძგებდა.**

მიუნხენის კონფერენციაზე იმყოფებოდა სააკაშვილის ერთგული (ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ორგული) მოკავშირე — სენატორი მაკეინი, რომელმაც განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს აშშ-ის მთავრობას, თუ ის საქართველოსთვის იარაღის მიწოდებას გადაწყვეტს. ამასთანვე, **ახლახან ოთხმა რესპუბლიკელმა სენატორმა** (ჯონ კაილი, ჯეიმს რიში, მარკ კირკი და ჯეიმს ინჰოფომი) **აშშ-ის პრეზიდენტსა და თავდაცვის მინისტრს მიმართეს წინადადებით, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთ-ერთი ელემენტი, რადარი, თურქეთის ნაცვლად, საქართველოში განალაგონ. მათი მთავარი მოტივი, სავარაუდოდ, თურქეთის „დასჯის“ სურვილი იყო (რომელიც რადარის გამოყენების პირობების გამო აშშ-ს ევაჭრება) და, ამასთანავე, საქართველოში პოზიციების გამყარების მოწოდება.**

**მართალია, ამ ინიციატივის ხორცშესხმის შანსი, პრაქტიკულად, ნულის ტოლია, მაგრამ (ყოველი შემთხვევისათვის), ალბათ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ თუ მაკეინის** (იარაღის მიწოდება) **და მისი ოთხი კოლეგის** (რადარის დაყენება) **ძალისხმევა წარმატებით დაგვირგვინდება, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, სავარაუდოდ, იმდენი რუსული ჯარი და ტექნიკა შემოვა, რამდენიც დაეტევა, რადგან მოსკოვი ამას ერთმნიშვნელოვნად განიხილავს, როგორც მის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯს, და საპასუხო ზომებს მიიღებს.** ამასთანავე, ხსენებული რადარის (თეორიული) დაყენება საქართველოში, ურთიერთობას, სავარაუდოდ, კიდევ ორ მეზობელ სახელმწიფოსთან — თურქეთთან და ირანთან გაგვიფუჭებს.

### ძველი ღვინო ახალი ტიკისთვის

**ირაკლი ალასანია გასულ კვირას ვაშინგტონს სტუმრობდა. მთავარი მესიჯი, რომელიც იქ გამართული შეხვედრების შემდეგ გაახმიანა ის იყო, რომ ამერიკული ისტებლიშმენტი არ შე-** ▶

## მოკლედ

### ბუშს დაპატიმრების შეეშინდა

**აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა შვეიცარიაში ვიზიტი გააუქმა. ბუში შვეიცარიაში საქველმოქმედო ღონისძიებაზე სიტყვით უნდა გამოსულიყო, მაგრამ უფლებადამცველები დარწმუნებული არიან, რომ ბუში შვეიცარიაში დაპატიმრების შიშით არ ჩავიდა.** რამდენიმე უფლებადამცველმა ორგანიზაციამ, მათ შორის „Human Rights Watch“-მა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ფედერაციამ, შვეიცარიის სასამართლოში ბუშის წინააღმდეგ 2500-გვერდიანი სარჩელის შეტანა გადაწყვიტა. ისინი ბუშს გუანტანამოს პატიმრების წამებაში ადანაშაულებენ. მათ მხარდამჭერებს მოუწოდეს, ბუშს მასობრივი საპროტესტო აქციებით შეხვედროდნენ. ადრე ბუშმა აღიარა, რომ გუანტანამოში დატყვევებულ ტერორიზმში ეჭვმიტანილ პატიმრებს, „წყლით წამების“ წესით, მისი ბრძანებით აწამებდნენ.

### ობამა ეგვიპტეს გამოეთხოვა

**ეგვიპტე ძველებური უკვე აღარასოდეს იქნება, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ტელეკომპანია ფოქსნიუსთან ინტერვიუში.**

მისი თქმით, ეგვიპტეში ცვლილებების დრო დადგა. როგორც ობამა აცხადებს, მხოლოდ ჰოსნი მუბარაქმა იცის, როგორი იქნება შემდგომი ნაბიჯები. ოპოზიციამ კი დაამტკიცა, რომ გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებს მიაღწევს. აშშ-ის პრეზიდენტმა, ასევე, იმედი გამოთქვა, რომ კარგად ორგანიზებული ჯგუფი „ძმები-მუსლიმანები“, რომლის იდეოლოგიის გარკვეული ასპექტები „ანტიამერიკულია“, ქვეყანაში პოლიტიკურ უმრავლესობას არ წარმოადგენს. ეგვიპტეში მდგომარეობა მხოლოდ მმართველი პარტიის ხელმძღვანელობის გადადგომის შემდეგ განიმუხტა.

### შეთანხმება ძალაში შევიდა

**სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ რუსეთ-ამერიკის შეთანხმება ძალაში შევიდა.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ რატიფიცირებული დოკუმენტები გაცვალეს. შეთანხმებას რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტებმა ხელი 2010 წლის აპრილში პრაღაში მოაწერეს. დოკუმენტის რატიფიცირება აშშ-ის სენატორთა იმ ჯგუფის წინააღმდეგობის გამო გაჭიანურდა, რომელიც დოკუმენტს უაზროს უწოდებდა. შეთანხმების რატიფიცირება 2010 წლის ბოლოს მოხერხდა.

### ახალი ისლამური არხი

**ალ-ქაიდას ჩრდილოაფრიკულმა ფრთამ, ისლამისტურმა დაჯგუფებამ „არ-შაბააბმა“, რომელიც სომალის უმეტეს ნაწილს აკონტროლებს, საკუთარი პროპაგანდისტული ტელეარხი „არ-კატაიბი“ გახსნა.** დაჯგუფების წარმომადგენლების განცხადებით, პირველ გადაცემაში ნაჩვენები იყო ამერიკელი აგენტის აღიარება, რომელიც ისლამისტებმა მოგადიში 31 იანვარს სიკვდილით დასაჯეს. ისლამისტების თქმით, მოკლული 44 წლის ახმედ ალი ხასანია, რომელიც „ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან წელიწად-ნახევრის განმავლობაში თანამშრომლობდა“. ზოგიერთი მედიასაშუალების ინფორმაციით, არხის ტრანსლირების ნახვა სომალელთა მცირე ნაწილმა მოახერხა, რადგან მათ ტელემიმღებები და ინტერნეტი არ აქვთ.

# ვაშინგტონს სულაც არ აძლევს ხელს ქართული ეკონომიკის აღორძინება, რადგან, რაც უფრო გამდიდრდება საქართველო, მით უფრო ნაკლებად იქნება დამოკიდებული ამერიკულ დახმარებაზე და, შესაბამისად, შტატების გავლენისგან უფრო თავისუფალი გახდება

**ეგუება სააკაშვილის დარჩენას ქვეყნის სათავეში 2012-13 წლების არჩევნების შემდეგ და ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის პროცესს ხელს შეუწყობს.**

ყოველივე ეს ალასანიამ ისეთი საზეიმო ინტონაციით გვამცნო, თითქოს წითელი დროშის ფონზე პიონერის ფიცს დებდა. გასაგებია, რომ პოლიტიკოსების უმრავლესობისთვის ლეგიტიმურობის წყარო საქართველოს ფარგლებს გარეთაა და აშშ-ის პოზიციას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუმცა ამან შეიძლება ბევრი ადამიანი გააღიზიანოს, რადგან, ფორმალური თვალსაზრისით, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ. ამასთანავე, ბოლო დროს ამერიკელების იმიჯსა და ნდობას მათი განცხადებების გამო სერიოზული ზიანი მიადგა.

თუმცა ეს ნიუანსებია. **მთავარია, რომ ალასანიას სიტყვების უკან კონკრეტული გათვლა იმალება. საუბარია ხელისუფლების გადაფორმატებაზე, რომელიც პროამერიკულ ძალებს ხელისუფლების შენარჩუნების შესაძლებლობას მისცემს, ანუ ამომრჩევლის დაყენებაზე „ორპოლუსიანი" სქემის წინაშე, როდესაც (ფსევდო)არჩევანის გაკეთება სააკაშვილსა და ალასანიას შორის მოუწევს.** ალასანიას პოლიტიკურ მოკავშირეებად კი, სავარაუდოდ, სააკაშვილის ბანაკიდან გადმობარგებული პოლიტიკოსების ნაწილი მოგვევლინება. დეფრაგმენტაციის პროცესი ხელისუფლებაში დღეს ნაკლებად ხილულია, თუმცა უკვე დაწყებულია. **ბევრი ცნობადი ფიგურა, მათ შორის რამდენიმე ათეული „ლიბერალი"** (ვიხმაროთ „ე.წ.", რადგან მათი ჩატენვა კლასიკური ლიბერალიზმის ჩარჩოებში შეუძლებელია), **რომელიც დღეს ხელისუფლების განუყოფელ ნაწილად მოიზარება, დიდი ალბათობით, ჯერ კიდევ წლის ბოლომდე სააკაშვილის** (ასევე ვანო მერაბიშვილისა და მისგან მომავალი წარმოსახვითი პოლიტიკური საფრთხის) **ღია კრიტიკით გამოვა.**

**ირაკლი ალასანია, როგორც ჩანს, თამაშობს თამაშს, რითაც მის ხელისუფლებაში მოსვლაში აშშ-ის მხარდაჭერას განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს. შესაბამისად, ის იძულებული გახდება, იმ მოკავშირეებთან ითანამშრომლოს, რომელთაც ამერიკელები ურჩევენ. ეს მოკავშირეები კი ასპარეზზე** (მერწმუნეთ), **ძალიან მალე გამოჩნდებიან.** შედეგი კი საკმაოდ ტრივიალური იქნება, ხელისუფლებაში იმავე იდეოლოგიის მატარებელი ადამიანები დარჩებიან, ხშირ შემთხვევაში კი, სწორედ ის ადამიანები, ვინც დღეს არის, და იმით, რომ თანამდებობებს რამდენიმე ოდიოზური ფიგურა დატოვებს, დიდად არაფერი შეიცვლება. ნაშთში კი, ალბათ, ისევ მივიღებთ მკვეთრად პროამერიკულ ხელისუფლებას და ვალებში ჩაფლულ სახელმწიფოს მკვდარი ეკონომიკით, ყოველივე დანარჩენი კოსმეტიკური დეტალებია.

სხვათა შორის, არსებობს ერთი მეტ-ნაკლებად კონსპიროლოგიური ვერსია, რომ **ვაშინგტონს სულაც არ აძლევს ხელს ქართული ეკონომიკის აღორძინება, რადგან, რაც უფრო გამდიდრდება საქართველო, მით უფრო ნაკლებად იქნება დამოკიდებული ამერიკულ დახმარებაზე და, შესაბამისად, შტატების გავლენისგან უფრო თავისუფალი გახდება.** ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეს თეორია, თუმცა არსებობის უფლება მას ნამდვილად აქვს.

საპროტესტო ელექტორატისთვის არაფერი იქნება უფრო გულდასაწყვეტი, ვიდრე ის, რომ კვლავ იხილოს პოლიტიკურ ოლიმპზე ის ადამიანები, ვისაც დღეს სააკაშვილის ხელისუფლების განსახიერებად აღიქვამს. თუმცა ვინაიდან ის შეეგუა იმას, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი სააკაშვილის ხელისუფლებიდან წამოსული პოლიტიკოსებით დაკომპლექტდა, სავარაუდოდ, ამასაც აიტანს.

## იმღერე რამე, თუნდაც უკვე მრავალჯერ ნამღერი

**ნინო ბურჯანაძე დავოსიდან დაბრუნდა. ამ მართლაც მნიშვნელოვან ფორუმზე ის რამდენიმეჯერ არის ნამყოფი, მაგრამ მან ვერც ერთხელ** (სუბიექტური შეფასებაა) **ვერ მოახერხა საზოგადოებისთვის დალაგებულად მოეთხრო, თუ რას აკეთებდა დავოსში და რა მნიშვნელობა აქვს ამ თავყრილობას. ეს თემა ყოველთვის იძირება მიმდინარე პროცესების შესახებ მის კომენტარებში.**

ყველაზე დასამახსოვრებელი ფრაზა დავოსიდან ჩამოსვლის შემდეგ რესტორნებში რუსული სიმღერების აკრძალვას ეხებოდა და იმას, რომ აწი ამ სიმღერებს „მათ ჯინაზე იმღერებს". საინტერესო კია, როგორ მღერის, ვისოცკის თქმის არ იყოს: „Если будет выступать, я пойду смотреть". თუმცა ეს უმნიშვნელო დეტალია. მითუმეტეს, რომ, აკრძალვის მიუხედავად, რუსულ სიმღერებს რესტორნებში მაინც მღერიან და საბოლოო ჯამში, არც დავოსის თემაა მთავარი. **მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, აქვს თუ არა ბურჯანაძეს რეალური სტრატეგია, რომელიც განსხვავებულ შედეგამდე მიგვიყვანს,** ვიდრე ზემოთ განხილული, ალასანიასთან დაკავშირებული კომბინაცია; **შეუძლია თუ არა მას, გადააქციოს ჰიპოთეტური ორპოლუსიანი მოდელი მოულოდნელობებით სავსე** (ბერმუდის) **სამკუთხედად?**

ბურჯანაძე „არ აპირებს, 2013 წელს დაელოდოს" და ვადამდელი არჩევნების გამართვას ემხრობა. ეს ლოგიკურია, რადგან 2012-ში და მითუმეტეს 2013-ში, ხელისუფლების გადაბარების ზემოთ განხილული მექანიზმი უკვე დაიქოქება და იქ მესამე მოთამაშის ადგილი აღარ იქნება. სხვა საკითხია, **აქვს თუ არა მას შესაძლებლობა, მიაღწიოს ვადამდელ არჩევნებს? ან კიდევ, თუ მათ მოულოდნელ დანიშვნას ხელისუფლების ფარული გეგმა ითვალისწინებს, პროცესებში ჩაერიოს და ინიციატივას დაეუფლოს?** ძნელი სათქმელია. შესაძლოა „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" შიგნით რაღაც არნახულ გეგმებს ადგენენ და კონტინენტებს ამოძრავებენ. მაგრამ, საინფორმაციო თვალსაზრისით, ეს ბანალურ „ბუქსაობას" ჰგავს, ნელსა და მონოტონურს, როგორც საჭადრაკო დაფაზე ფიგურების ამოლაგება (ქალბატონი ნონა დაგვემოწმება). „ჩაატარეს სხდომა, დააფუძნეს კომიტეტი, ჩაატარეს სხდომა, დააფუძნეს კომიტეტი"... არადა, საინფორმაციო სივრცეში დროისა და ინიციატივის დაკარგვა იგივეა, რაც ამის გაკეთება ბრძოლის ველზე. **რა დგას ამ მოსაწყენი ცნობების მიღმა: რეალური მუშაობა თუ მისი იმიტაციით გაჯერებული სიცარიელე? სავარაუდოდ, მარტში ბურჯანაძე და მისი მოკავშირეები გვიჩვენებენ, თუ რისთვის ემზადებოდნენ ამდენ ხანს.**

გუბაზ სანიკიძე, მართალია, არ ყოფილა მიუნხენში, ვაშინგტონსა და დავოსში, მაგრამ, როგორც იქნა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ტელეეთერამდე მიაღწია. იგი საუბრობდა ხელისუფლების ჰიპოტეტურ გეგმაზე, რომელიც „მართვადი რევოლუციის" მოწყობასა და, სავარაუდოდ, ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ითვალისწინებს. მაგრამ, ვინაიდან არჩევნების ჩატარება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებამდე არ შეიძლება, „ფორუმი" ამ გეგმას შეეწინააღმდეგება. მან განაცხადა, რომ **„საარჩევნო გარემოს შეცვლა და შემდეგ სამართლიანი რიგგარეშე არჩევნების ჩატარება უახლოესი დროის განმავლობაში მიღწევადია".**

სანიკიძემ ისიც თქვა, რომ შექმნილ მდგომარეობაში ამბოხის დაწყების ალბათობა მაღალია და „ფორუმი" ამ შემთხვევაშიც „ხალხის მხარეზე იქნება". საკუთარი, დამოუკიდებელი პროაქტიური სტრატეგია ამ განცხადებების მიღმა, ერთი შეხედვით, არ ჩანდა. **გამორიცხული არაა, რომ ადგილი ჰქონდა „ეროვნული ფორუმის" პოზიციის ადაპტირების მცდელობას ყველა სავარაუდო სცენარის მიმართ და მის წარმოჩენას სასარგებლო მოკავშირედ პროცესებში ჩართული ყველა ძირითადი ძალისთვის.** კონკრეტულად „ფორუმისთვის" ასეთი მიდგომა შეიძლება ფრიად მომგებიანი გამოდგეს. მაგრამ, რამდენად წაადგება ის პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტას, სხვა საკითხია.

**მომავალი კვირის მთავარი თემა კი, სავარაუდოდ, იქნება სააკაშვილის საპროგრამო სიტყვა პარლამენტში და ოპოზიციის ენამოსწრებული კომენტარები მასზე. ეს იქნება ერთი ჩვეულებრივი, ვირტუალური აქტიურობით აღსავსე კვირა, რომელიც რეალური პრობლემების გადაწყვეტას კიდევ უფრო დაგვაშორებს.**

**დიმიტრი მონიავა**

## გა[illegible]ზებული



**გუბაზ სანიკიძე, პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი:**

შენი შვილის ქორწილი რომ გაქვს, სტუმრების სიას რომ წერ და იცი, შენი ნათესავი „ნაცმოძრაობის" აქტივისტია, ნუ დაპატიჟებ იმ ქორწილში. რომ დაგირეკავს და საყვედურს გეტყვის, რატომ არ დამპატიჟეო, უნდა უთხრა, შენ სააკაშვილთან ერთად ამ ქვეყანას აქცევ, ძმაო, და იმიტომ არ დაგპატიჟე. გვაქვს ქართველებს ამის თავი?

*„ასავალ-დასავალი"*



**ალექსანდრე თვალჭრელიძე, მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი:**

უკვე არის მცდელობა, რომ საქართველო, რომელიც ტრადიციულად, საუკუნეების განმავლობაში, რეგიონული ლიდერი იყო, ასეთი ლიდერი აღარ იყოს და ამიერკავკასიის ცენტრი სხვაგან გადავიდეს. სხვათა შორის, მეფის რუსეთის დროს და საბჭოთა პერიოდშიც საქართველო ამიერკავკასიის ცენტრი იყო და ამიტომაც, ამიერკავკასიის კონფედერაციის შექმნის შემდეგ, რომელმაც სულ ცოტა ხანი იარსება, მისი ცენტრი თბილისში იყო. აზერბაიჯანელები და სომხები ცდილობენ, ამიერკავკასიის ცენტრი ბაქოსა და ერევანში გადავიდეს. ეს პროექტები აშკარად არ გამოვა, თუმცა აბსოლუტურად განხორციელებადია პროექტი, რომელიც თურქეთის რეგიონულ ლიდერობას ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგება...

*„ინტერპრესნიუსი"*



**ნანა დევდარიანი, ყოფილი ომბუდსმენი:**

განათდა და აღმოჩნდა, რომ ფულზე არამარტო სამშობლოს, არამედ საკუთარი პოლიტიკური მომავლის გაყიდვაც ყოფილა შესაძლებელი. გაირკვა, რომ საძულველი შევარდნაძე მიშას „ათი თავით სჯობია"; რომ „შევარდნაძისგან განსხვავებით, სააკაშვილი ლაჩარია"; რომ „ჟურნალისტები იმ დროს ბევრად უფრო თავისუფლები იყვნენ"; რომ „დევნილებს მაშინ ხელს არავინ ახლებდა"; რომ „ადამიანის ღირსებას არავინ ეხებოდა"; რომ „კორუფცია კი იყო, მაგრამ ხალხი ასე დამშეული არ ყოფილა". ბევრი, ბევრი რამ გაირკვა, როგორც კი განათდა. საკითხავი მხოლოდ ის არის — როდის, რა მომენტში განათდა?

*„ასავალ-დასავალი"*



**ვალერი გელბახიანი, ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი:**

თუ ქართველი ხალხი გაზაფხულიდანვე დაიწყებს თავისუფლებისთვის ბრძოლას სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ქართველ ხალხს გარანტირებული აქვს საერთაშორისო მხარდაჭერა. არავითარი ოპოზიცია ამას არ სჭირდება. არც ტუნისში და არც ეგვიპტეში ოპოზიციას არ გამოუყვანია ხალხი ქუჩაში. ხალხი თავისით გამოვიდა. როცა ოპოზიციას არ შეუძლია, მაშინ ხალხმა თვითონ უნდა გააკეთოს ეს და, საერთოდ, ხალხი ყოველთვის უფრო გულწრფელი და მართალია, ვიდრე პოლიტიკოსები!

*„ასავალ-დასავალი"*

## მოკლედ

### იაპონიის არადიპლომატი პრემიერი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა იაპონიის პრემიერ-მინისტრის — ნაოტო კანის ის გამოსვლა დააკრიტიკა, რომლის დროსაც მინისტრმა კურილის კუნძულებზე რუსეთის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის ვიზიტი მკაცრად გააკრიტიკა. ლავროვის განცხადებით, კანის ეს გამოსვლა არადიპლომატიური იყო და აშკარად ეწინააღმდეგება მის წინა გამოსვლებს, რომლის დროსაც იაპონელი პრემიერი პატივისცემას გამოხატავდა. საუბარია იაპონიის პრემიერის იმ განცხადებაზე, რომლითაც მან სამხრეთ კურილიაში მედვედევის ვიზიტს „უპატიებელი შეურაცხყოფა" უწოდა. მოგვიანებით, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პრემიერმა მხოლოდ პირადი მოსაზრება გამოხატა.

### ირანი ახალ რაკეტებს გააკეთებს

უახლოეს მომავალში ირანი ახალი ბალისტიკური, გემთსაწინააღმდეგო რაკეტების სერიულ წარმოებას დაიწყებს. ამის თაობაზე ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის სარდალმა, ბრიგადის გენერალმა მუჰამედ ალი ჯაფარმა განაცხადა; აღნიშნა, ამ რაკეტებს ხმის გავრცელების სიჩქარეზე სამჯერ მეტი სიჩქარის განვითარება შეუძლიათ და მოწინააღმდეგის რადარებისთვის უხილავი იქნება. საუბარია იმ პროექტის დასრულებაზე, რომლის მიზანიც იყო 300 კილომეტრის სიშორეზე მოქმედი რაკეტების შექმნა. პროგრამა ორი წლის წინათ დაიწყო. ირანელი სამხედროების შეფასებით, ირანისთვის მთავარი საფრთხეები ზღვიდან და ჰაერიდანაა მოსალოდნელი და ახალი იარაღის შექმნაც სწორედ ამ საფრთხეების გათვალისწინებით ხდება.

### გერმანია მუბარაქს მიიღებს

იმ შემთხვევაში, თუ ეგვიპტის პრეზიდენტი გერმანიის რომელიმე კლინიკაში მკურნალობას გადაწყვეტს, გერმანია მას ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებას ჰპირდება. მანამდე მასმედია იუწყებოდა, რომ მუბარაკი, შესაძლოა, სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავროს და, ამრიგად, გადადგეს ეგვიპტის პრეზიდენტობიდან. გერმანიამ მისი მიღება ჰუმანურობის პრინციპებიდან გამომდინარე გადაწყვიტა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ბუნდესტაგის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ დასავლეთმა ეგვიპტის მოვლენებზე ზეწოლა არ უნდა განახორციელოს და აფრიკული რესპუბლიკის მოქალაქეებს საკუთარი მომავლის დამოუკიდებლად არჩევის საშუალება მისცეს.

### „მუსლიმანური საძმოს" მოთხოვნა

ეგვიპტის „მუსლიმანურმა საძმომ" ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტს მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ოთხი ძირითადი მოთხოვნა გააცნო. „საძმოს" განცხადებით, დიალოგს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ პრეზიდენტი გადადგება, საგანგებო მდგომარეობა მოიხსნება, პარლამენტს დაითხოვენ და ყველა პოლიტპატიმარს გაათავისუფლებენ. მხარეები საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებაზე შეთანხმდნენ. ოპოზიცია დაწყებულ მოლაპარაკებას მხოლოდ პირველ ნაბიჯად აფასებს. დაწყებული დიალოგი უკვე გააკრიტიკა ოპოზიციის ლიდერმა მუჰამედ ელ ბარადეიმ, რომლის წარმომადგენელი მოლაპარაკებებს ესწრებოდა. ბარადეის განცხადებით, „დიალოგი შედეგიანი ვერ იქნება, რადგან მას ის ადამიანები ხელმძღვანელობენ, რომლებიც ქვეყნის ამჟამინდელი მმართველები არიან".

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაფრაზებულნი



**გიორგი ტუღუში,**
**საქართველოს სახალხო დამცველი:**

საქართველო ერთ-ერთი გამონაკლისი ქვეყანაა, სადაც წლის განმავლობაში ცემისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები გაცილებით მეტია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იგივე პოლიციასთან შედარებით. ეს ანომალური სიტუაციაა, რადგან სხვა ქვეყნებში მსგავსი ფაქტები პოლიციაში ხდება ხოლმე. ბუნებრივია, საქართველოს პოლიციაშიც არის რამდენიმე იმდენად მძიმე ფაქტი, რომ თამამად შეგვიძლია გავუთანაბროთ წამებასაც კი, მაგრამ რაოდენობრივად, წამებისა და სასტიკი მოპყრობის თვალსაზრისით, ყველაზე ხშირად ადამიანის უფლებები მაინც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ირღვევა.

*„დრონი“*



**კობა არაბული,**
**მწერალთა გაერთიანება „ბახტრიონის“ თავმჯდომარე:**

მაყვალა გონაშვილს შეეძლო მართლაც ელიტარულ მოღვაწე ქალად ქცეულიყო. მან ეს შანსი ხელიდან გაუშვა და ამ საკმაოდ სირისტიანი ჭაობის ნაწილად იქცა! რის გამოც სინანულს გამოვხატავ...

*„საერთო გაზეთი“*



**გოგა ჟვანია,**
**ზურაბ ჟვანიას ძმა:**

ხელს უშლიდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ზურას წარმატებისთვის არ მიეღწია. შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ ზურას პრობლემები ჰქონდა სააკაშვილის ბიძასთან, თემურ ალასანიასთან. ერთხელ იმის მცდელობაც კი ჰქონდათ, რომ მოესყიდათ ზურა, კაცი მიუგზავნეს, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა. მოკლედ, ზურას წინააღმდეგ ძალიან ბინძური მეთოდებით იბრძოდნენ — ეს მოდიოდა პირდაპირ მიხეილ სააკაშვილისა და მისი უახლოესი გარემოცვისგან.

*„ყველა სიახლე“*



**დიმიტრი ლორთქიფანიძე,**
**პარლამენტის წევრი:**

სამოქალაქო თავდაცვისთვის გამოყოფილი 470 თავშესაფარი, რომელიც თბილისს გააჩნია, აღარ არსებობს, გადაკეთებულია კაფე-ბარებად, სასაწყობე მეურნეობად და ა.შ. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ თბილისის მოსახლეობა აბსოლუტურად დაუცველია.

*„საერთო გაზეთი“*



**დავით გამყრელიძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:**

სწორედ წინასწარი პატიმრობის საშუალებით ახერხებს ხელისუფლება მეწარმეების შანტაჟს. ოღონდ დაიბრუნოს თავისუფლება, თავი დააღწიოს ჯოჯოხეთს და პატიმარი მზად არის, გადაიხადოს ნებისმიერი თანხა, გაყიდოს, დააგირაოს ყველაფერი და ხელი აიღოს ბიზნესის კეთებაზე. ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, ვინც იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო, მაგრამ მათი დასახელების უფლება არ მაქვს.

*„ყველა სიახლე“*

# 200-მილიონიანი «ბოინგი» პრეზიდენტისთვის, ანუ გაუშვით, იფრინოს!

**ცოტა ხნის წინათ „ბოროტმა“ და „შურიანმა“ ხალხმა „ჭორი დააგდო“, ვითომ პრეზიდენტი, „ერის იმედი“ და ჩვენი გადამრჩენი — მიხეილ სააკაშვილი 200 მილიონ დოლარად ღირებულ „ბოინგ 787“-ს ყიდულობს. იმასაც ამბობენ, რომ აღნიშნული „ბოინგი“ ქარხანას 6 თვის წინათ შეუკვეთეს. ამ ინფორმაციას „ახალი მემარჯვენეები“ ავრცელებენ. პარტიის თავმჯდომარის — დავით გამყრელიძის თქმით, მათ ეს ყველაფერი თავად ქარხნის წარმომადგენლისგან გაიგეს.**



„ბოინგ 787-9“

ყოველივე ამის შესახებ „წარმოდგენაც კი არ აქვთ“ პრეზიდენტის პრესსამსახურში. „ახლები“ კი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეს ინფორმაცია გადაამოწმეს კონკრეტულ კომპანიასთან, რომელიც ამ მარკისა და მოდელის თვითმფრინავების რეალიზაციას ეწევა და დადასტურდა, რომ მსგავსი შეკვეთა უკვე არსებობს.

ცნობისთვის: **თვითმფრინავი „ბოინგ 787“-ის ორი ტიპია მოცემული: „ბოინგ 787-8“-ის ღირებულება 185,2 მილიონი ამერიკული დოლარია, ხოლო „ბოინგ 787-9“-ის — 218,1 მილიონი დოლარი.** 2011 წლისთვის შეკვეთები წინასწარ მიიღეს და დამკვეთ სახელმწიფოთა და ავიაკომპანიათა სიაც გამოაქვეყნეს. მაგრამ მათ შორის ოფიციალურად საქართველოს სახელი არსად ფიგურირებს, თუმცა **ჩამონათვალში დამატებით არის კიდევ 18 დახურული შეკვეთაც. სწორედ ამ ფარულ კლიენტთა შორის მოიაზრებენ მიხეილ სააკაშვილს.**

**„ბოინგის“ ქარხნიდან შემკვეთის ვინაობას ვერ გაიგებთ, ეს ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი არაა. მე თავად ქარხნიდან მაქვს ინფორმაცია. დამკვეთი, ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობა იქნება, მაგრამ, სანამ თვითმფრინავი არ გამოჩნდება, ამ დოკუმენტს ვერ მოვიპოვებთ. ქარხანა, რომელიც შეკვეთების მიღებითაა დაინტერესებული, არასდროს ახმაურებს კომერციულ საიდუმლოებებს, ხელისუფლება კი რამდენად დახურულია, თუნდაც ელემენტარული ინფორმაციიის მოწოდებაში, ჟურნალისტებმა კარგად იცით“,** — აუხსნა დავით გამყრელიძემ ჟურნალისტებს.

გახსოვთ, ალბათ, ის დრო, სააკაშვილი ჯერ კიდევ ეკონომკლასში რომ იჯდა და კამერების წინ ამბობდა: ჩვეულებრივი ავიარეისით ვიფრენ ხოლმეო, ახლა კი **მადა გაეხსნა ჩვენს პრეზიდენტს და, ეკონომკლასი კი არა, სუპერ-თანამედროვე „ბოინგი“ უნდა. ბევრს დაფრინავს ჩვენი პრეზიდენტი, ამიტომ კომფორტი და უსაფრთხოება სჭირდება. ამ მოთხოვნებს კი „ბოინგი“ აკმაყოფილებს.**

ამ საოცნებო და სანუკვარი თვითმფრინავის დაახლოებითი აღწერილობა, რომელიც მისი მწარმოებლის ქარხნის საიტზეა მოცემული, ასე გამოიყურება: **ოთხსართულიანი ბორტის პირველ სართულზე** სასადილო ოთახი, ძირითადი შესასვლელი, შეხვედრების ოთახი, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახი და ერთი მოსასვენებელი ოთახია; **მეორე სართულზე** — საკონფერენციო, მოსასვენებელი და საძინებელი ოთახები; **მესამე სართულის** ჩვენება სასადილო ოთახით იწყება, რომელსაც კინოდარბაზი მოსდევს. პრეზიდენტის თვითმფრინავში მოწყენილობისგან თავის დაღწევა მესამე სართულის მოსასვენებელშიც შეიძლება, ხოლო ქვეყნის პრობლემებზე ფიქრისთვის იქვე პრეზიდენტს სამუშაო ოთახიც ელოდება; **მეოთხე სართულის** საპრეზენტაციო ნაწილი ლაინერზე მდებარე ბარით იწყება; არის კიდევ ერთი საძინებელი და „სინემა ლაუნჯი“.

სამწუხაროდ, საიტზე არ არის მოცემული ბორტის მომსახურე პერსონალის ოთახების განლაგება, რაც, სავარაუდოდ, უსაფრთხოების ზომების დაცვით არის განპირობებული, თუმცა, თვითმფრინავის პრეზენტაციით, „ბოინგი“ ხაზს უსვამს, რომ ამ ლაინერზე ოცნება ყველას შეუძლია. თვითმფრინავი მართლაც შეუდარებელია, საოცნებო, პრეზენტაბელური.

**რატომ არ უნდა ჰყავდეს ასეთი „ბოინგი“?! რას გადაეკიდნენ ამ ჩვენს პრეზიდენტს ეს ოპოზიციონერები?! თუ კაცს 900-მილიონიანი სასახლე აქვს, რაღაც იაფფასიანი ვერტმფრენით ფრენა ეკადრება?!**

ამბობენ, პრეზიდენტი ქვეყნის სახეაო. ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა, ტყავი უნდა გავიძროთ (ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, ტყავის გაძრობაში როგორ აქტიურად გვეხმარება „ნაცმოძრაობა“) და პრეზიდენტს ეს ახალი ოცნება — 200-მილიონიანი ბოინგი — როგორმე ავუსრულოთ!

**როლანდ ჯალაღონია,**
**მწერალი, გაზეთ „ილორის“ რედაქტორი:**

— ეს არის ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაული და ამას კომენტარი არ ჭირდება. ეს 200 მილიონი არის წყალში გადაყრილი თანხა, რადგან **მიხეილ სააკაშვილის არც ერთი ვოიაჟი არ არის ქვეყნისთვის სარგებლის მომტანი. გინდ მატარებლით წავიდეს, გინდ ფეხით და გინდ აქლემზე შემჯდარი. ვფიქრობ, ეს კეთდება იმისთვის, რომ ვილაცას აჩვენონ — საქართველო ისე ყვავის, პრეზიდენტი 200-მილიონიან „ბოინგს“ ყიდულობს.**

მან თავისი ჯიბის ტელევიზიების მეშვეობით საქართველოს შეუქმნა მსგავსი იმიჯი; არადა, სინამდვილეში მოსახლეობა სულს ლაფავს. დასუფთავების გადასახდი რომ გააძვირეს, იცით, რატომ გაკეთდა ეს? — იმიტომ, რომ უკიდურესად გაჭირვებული ხალხი ნაგავში იქექებოდა — ზოგი ბოთლებს აგროვებდა და ზოგი კიდევ სხვა რამეს და ამით ირჩენდა თავს. ამას უცხოელი დიპლომატები ხომ ხედავდნენ და რომ არ ეთქვათ, საქართველოში ხალხი ნაგავში იქექებაო, ახლა დღეში ორჯერ გააქვთ ნაგავი.

საზოგადოება ყველაფერს იტანს და ღირსია, რომ სააკაშვილმა 200-მილიონიანი „ბოინგიც“ იყიდოს. მაინც არაფრის ეშინია პრეზიდენტს, რასაც უნდა, იმას აკეთებს.

**თეო ტაბატაძე**

**P.S. ძალიან კი ვეცადე, როგორმე გამემართლებინა ჩვენი პრეზიენტი; მინდოდა, გამებათილებინა „ახლების“ არგუმენტები, მაგრამ სულ ტყუილად... ამ ფონზე ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“ გამახსენდა, ცხელი მჭადის სურნელით გონებაარეულმა მამამ შიმშილისაგან კუჭგამხმარ შვილებს მჭადი როგორ შეუჭამა. მაგრამ, ნიკო ლორთქიფანიძის შემთხვევაში, მამა გონს მოეგება და საკუთარი დანაშაულით შეძრწუნებული თავს ჩამოიხრჩობს!**

**ჩვენი „მარჩენალი“ კი არის რაიმეს მიმხვედრი?!**

## მოკლედ

### ბარადეი საპრეზიდენტოდ მზად არის

**ეგვიპტის ოპოზიციის ლიდერი ელ ბარადეი მზად არის, ეგვიპტის პრეზიდენტი გახდეს. ამის შესახებ მან მას შემდეგ განაცხადა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ბარადეი ეგვიპტის საპრეზიდენტო არჩევნებზე თავის კანდიდატურას არ წამოაყენებდა.** „ეს სიმართლე არ არის, თუკი ეგვიპტელი ხალხის სურვილი იქნება, რომ ქვეყანაში გარდაქმნების პროცესს ჩავუდგე სათავეში, მე მათ მოლოდინს არ გავუცრუებ“, — განაცხადა მან. არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ეგვიპტეში აკრძალული ისლამისტური მოძრაობა „ძმები მუსლიმანების“ წარმომადგენლებმა. სამაგიეროდ, ისინი აქტიურად მონაწილეობენ ანტისამთავრობო გამოსვლებში. ქვეყნის მთავრობამ ისლამისტური მოძრაობის წევრებს მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა.

### ობამა მუბარაქის გადადგომას გეგმავს

**აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ეგვიპტის პრეზიდენტის — ჰოსნი მუბარაქის დაუყოვნებლივ გადადგომის გეგმას ამუშავებს.** ამ გეგმის მიხედვით, მუბარაქმა მმართველობა დროებით მთავრობას უნდა გადასცეს, ამ მთავრობას კი ვიცე-პრეზიდენტი ომარ სულეიმანი უხელმძღვანელებს და არმიაც მას დაუჭერს მხარს. გარდამავალმა მინისტრთა კაბინეტმა მართვაში უნდა ჩართოს ოპოზიციის ფართო სპექტრი, მათ შორის ისლამისტური მოძრაობა „ძმები მუსლიმანები“, და ქვეყანა მშვიდობიანად უნდა მიიყვანოს სექტემბრამდე. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ამ გეგმის კომენტირებაზე უარი განაცხადა, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ თავად მუბარაკი ამ გეგმის განხილვაში არ მონაწილეობს, ამას მისი გარემოცვა აკეთებს.

### დომოდედოვოს ტერორისტი

**რუსულმა პრესამ აეროპორტში მომხდარი აფეთქების ორგანიზატორის ვინაობა დაასახელა. შესაძლოა, ის 20 წლის ინგუში მუჰამედ ევლოევი იყოს.** გამოქვეყნებულია მისი სავარაუდო ფოტოც. ოფიციალურად ტერორისტის სახელს სამართალდამცავები ჯერჯერობით არ ასახელებენ, მაგრამ არსებობს ინფორმაცია, რომ უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა მისი ვინაობა ტერაქტიდან 2 დღის შემდეგ იცოდა. ინგუშეთის ხელისუფლებაში აღნიშნულ ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. რაც შეეხება ევლოევის ოჯახს, მისი წევრები ამბობენ, რომ მათი შვილი საქმეზე გაემგზავრა და მალე დაბრუნდება. შეგახსენებთ, რომ დომოდედოვოში მომხდარი აფეთქების შედეგად 36 ადამიანი დაიღუპა და 180 დაშავდა.

### ანტისახელისუფლო გამოსვლები თურქეთში

**სტამბოლის ქუჩებში ათასობით პროტესტანტის გამოსვლას აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოჰყვა.** დემონსტრანტები პარლამენტის შენობასთან მიახლოებას ცდილობნენ და სამართალდამცავებს ქვებს ესროდნენ, მათ კი საპასუხოდ წყლის ჭავლი და ცრემლმდენი გაზი გამოიყენეს. სხვადასხვა მონაცემით, აქციაში 5-10 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. ისინი შრომის იმ კანონპროექტს აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდებისთვის მინიმალური ხელფასის კიდევ უფრო შემცირებაა გათვალისწინებული. აქციაში ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრი 60 დეპუტატიც მონაწილეობდა. თურქეთის შს მინისტრმა ბეშირ ატალაიმ აქციას უკანონო უწოდა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# „ლამაზმანი“ მინისტრის სისხლიანი რეკორდი — 100-ზე მეტი გარდაცვლილი პატიმარი

**საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი 27 იანვარს საპყრობილეში გარდაცვლილი 40 წლის ქალბატონის — ბელა გონაშვილის საქმის გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს; ამასთან, მის გარდაცვალებაში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრსა და სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელს ადანაშაულებს. ბელა გონაშვილს სიმსივნის დიაგნოზი ციხეში დაუსვეს, როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა, ოჯახის წევრები სასჯელის გადავადებას ან სათანადო მკურნალობის ჩატარებას ითხოვდნენ. ამისთვის მათ არაერთხელ მიმართეს სასჯელაღსრულების უწყებას, თუმცა ციხის ადმინისტრაციამ ზომები არ მიიღო, რაც ფატალური შედეგით დასრულდა. „საქართველო და მსოფლიო“ საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელს ეკა ბესელიას ესაუბრა.**



**თუ ციხეში არ არსებობს პატიმრების მკურნალობის პირობები, სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მძიმე ავადმყოფებისთვის სასჯელის გადავადებას და, ასეთ შემთხვევაში, ოჯახი თავად უმკურნალებს მას, თუ მისცემენ ამის შესაძლებლობას. მაგრამ წარმოიდგინეთ, ამ ნაბიჯს არ დგამენ.** ამის გამო, ოფიციალური ინფორმაციით, მხოლოდ გასულ წელს 30-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა. ტუბერკულოზი არ არის ის დაავადება, რომლითაც შეიძლება ადამიანი დაიღუპოს, მაგრამ ტუბდისპანსერში მაინც არიან გარდაცვლილი პატიმრები. ასევე პრობლემად რჩება, რომ ტუბერკულოზიანი პატიმრები ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად იმყოფებიან საკანში, რაც ნიშნავს, რომ არსებობს საფრთხე, ყველა პატიმარს გადაედოს ეს დაავადება.

## 40 წლის ქალბატონის გარდაცვალებაში ეკა ბესელია მინისტრ კალმახელიძესა და სასჯელაღსრულების დაწესებულების მთავარ ექიმ ასათიანს ადანაშაულებს

— ბელა გონაშვილი სასჯელს იხდიდა ქალთა კოლონიაში, იყო ძალიან მძიმედ დაავადებული, სასჯელის მოხდის პერიოდში დაუმძიმდა მდგომარეობა, დაუდგინეს, რომ ჰქონდა სიმსივნე. იმის გამო, რომ ქალბატონი უკვე ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, ოჯახი დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდა მის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას ან სასჯელის გადავადებას, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა უწყებაში აგზავნიდნენ განცხადებებს და სახალხო დამცველიც ინფორმირებული იყო.

დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად გონაშვილი პატიმრობაში გარდაიცვალა. ეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულია. ამიტომ მე, უპირველესად, მოვითხოვე, ამ ფაქტზე დაწყებულიყო გამოძიება. უნდა დადგეს სასჯელაღსრულების დაწესებულების მთავარი ექიმის — ასათიანის პასუხისმგებლობის საკითხი, ასევე, პასუხისმგებლობაში **უნდა მისცენ იმ დაწესებულების ხელმძღვანელები, ვინც იცოდა ამის შესახებ და ზომები არ მიიღო და, რა თქმა უნდა, მინისტრი კალმახელიძე, რომლის ბრალეულობას ამძიმებს უკვე ასზე მეტი გარდაცვლილი პატიმარი, რომელთა გადარჩენაც შეიძლებოდა, მაგრამ დანაშაულებრივი მოქმედების გამო დაიღუპნენ.**



**— რა არის ავადმყოფი პატიმრების სამედიცინო დაწესებულებებში არგადაყვანის მიზეზი?**

— ბოლო პერიოდში ტენდენციად იქცა დაავადებული პატიმრების საპატიმროებში გარდაცვალების შემთხვევები. ძალიან ხშირად კი პრაქტიკულად მომაკვდავები გადაჰყავთ საავადმყოფოში, რათა საპატიმროში გარდაცვლილი პატიმრების სტატისტიკა შემცირდეს. ეს ტენდენცია გამოწვეულია მინისტრ კალმახელიძის არაადამიანური დამოკიდებულებით. როგორც ჩანს, მისთვის ადამიანის სიცოცხლე ღირებული არ არის.

მეტსაც გეტყვით, **ამასწინათ ერთ-ერთი მოძღვარი იყო შესული გლდანის საპყრობილის სამკურნალო დაწესებულების რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც ნახა უმძიმესი ავადმყოფები, რომლებიც ვერც დადიან, ვერც მეტყველებენ, ვერც ხედავენ და ასეთი ავადმყოფები ჰყავთ პატიმრობაში, მაშინ, როცა მათ პატიმრობაში დატოვებას არანაირი აზრი არ აქვს.**

**— ასეთ პატიმრებს, წესით, უნდა გადაუვადდეთ სასჯელის მოხდა?**

— კანონით, მათ ეკუთვნის სასჯელის გადავადება და მკურნალობის ჩატარება, მაგრამ არ სრულდება.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ

### აშშ აზერბაიჯანში ჯარს შეიყვანს

**როგორც აზერბაიჯანული გაზეთი „ნოვოე ვრემია“ წერს, აშშ-მა საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით, შესაძლოა, აზერბაიჯანში ჯარი შეიყვანოს.** 31 იანვარს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აზერბაიჯანში მცხოვრები საკუთარი მოქალაქეები შესაძლო საფრთხეების შესახებ გააფრთხილა. აზერბაიჯანში შესაძლო ტერორისტული აქტების შესახებ საკუთარ მოქალაქეებს ბაქოში აშშ-ის საელჩომ და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც აუწყა. გამოცემა ამ გაფრთხილებების მიღმა ფარულ მიზნებს ხედავს და წერს, რომ აშშ-ის ისტორიიდან ცნობილია არაერთი ფაქტი, როდესაც მათ, საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით, ამა თუ იმ ქვეყანაში საკუთარი ჯარები შეიყვანეს. „გასული საუკუნის დასაწყისში, საკუთარი საქმიანი ინტერესების დაცვის მიზნით, აშშ-მა მექსიკაზე ზეწოლა დაიწყო; ამტკიცებდა, რომ მექსიკა პოლიტიკური არასტაბილურობის კერა იყო, რაც ამერიკას ზიანს აყენებდა... ამერიკულმა და დასავლურმა კომპანიებმა ბოლო 20 წლის მანძილზე ხომ 50 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩადეს აზერბაიჯანში“, — წერს გაზეთი.

### ყაზახეთში არჩევნები 3 აპრილს გაიმართება

**ყაზახეთში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 2011 წლის 3 აპრილს გაიმართება. ამის შესახებ განკარგულებას ყაზახეთის პრეზიდენტმა, ნურსულთან ნაზარბაევმა ხელი უკვე მოაწერა.** განკარგულება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზების უზრუნველყოფას ავალებს. იმავე განკარგულებით, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთვის საარჩევნო სიების მომზადება დაევალათ. პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ „კონსტიტუციაში შესწორებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ მიღებული კანონი არაკონსტიტუციურად მიიჩნია. აღნიშნული კანონი ყაზახეთის პარლამენტმა 2011 წლის 14 იანვარს დაამტკიცა და იგი რეფერენდუმის ჩატარების გზით მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას 2020 წლამდე ითვალისწინებდა.

## გამოხმაურება



**დავით ბაქრაძე,**
**პარლამენტის თავმჯდომარე:**

ბევრს ალბათ, გაეცინება, თუ ვიტყვი, რომ ავსტრალიაში მომხდარი წყალდიდობა განსაზღვრავს ჩვენთან შაქრის გაძვირებას. ის შტატი, რომელიც დაიტბორა ავსტრალიაში, იყო შაქრის მთავარი იმპორტიორი აზიის ქვეყნებში. ამ ქვეყნებმა დაიწყეს შაქრის ევროპული ბაზრიდან შესყიდვა, რამაც გამოიწვია შაქრის ფასის გაზრდა.

*„ყველა სიახლე“*



**დავით თევზაძე,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, გენერალი:**

თუკი საქართველოში რადარი (არაქართული რადარი მაქვს მხედველობაში) განთავსდა, საქართველო, დიდი დაპირისპირების შემთხვევაში, პერიფერიიდან პირველი დარტყმის ობიექტად იქცევა. ამერიკელებმა რომც შეძლონ რადარის დაცვა, მის გასანადგურებლად წამოსული რაკეტების ნამსხვრევების წვიმა ჩვენი სოფლებისა და ქალაქების წილად „ჩამოწვიმს“ და არა მგონია, უახლოეს მომავალში მაინც, ჩვენ გვექნეს ქოლგა, რომელიც ამისგან დაგვიცავს...

*„ასავალ-დასავალი“*



**ირაკლი ალასანია,**
**პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

რაც შეეხება აგვისტოს ომს, დარწმუნებული ვარ, რომ ამ კონფლიქტში სააკაშვილს გამარჯვების ილუზია და არასწორი წარმოდგენა ჰქონდა, რომ ჩრდილოკავკასიაში რუსეთის შეიარაღებული ძალები დემორალიზებული იყო და შეიარაღება ძალიან დაბალი ჰქონდა, ანუ სჯეროდა, რომ ამხელა სამხედრო ჩარევას რუსეთი არ განახორციელებდა... კონდოლიზა რაისის საქართველოში გამართულ შეხვედრაზეც ვიყავი. ამ შეხვედრის სრულ დეტალებს ვერ გეტყვით, ამის უფლებას სამსახურებრივი ეთიკაც არ მომცემს, მაგრამ ისინი სააკაშვილს აფრთხილებდნენ, რომ რუსეთის ფედერაციისთვის ომის დაწყების არანაირი მიზეზი არ უნდა მიეცა, თორემ თუ ეს ომი დაიწყებოდა, პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ დასავლეთი არ ჩაერეოდა!

*„ქართული სიტყვა“*



**ვაჟა ლორთქიფანიძე,**
**საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთის ფედერაციაში:**

მედვედევს სურს, ექსტრემიზმს, როგორც ძალზე სერიოზულ საშიშროებას ეკლესიასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ებრძოლოს. ეს დადებითი სვლაა და პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ იგი რუსეთის საზოგადოებისთვის ეკლესიისა და მართლმადიდებლობის უდიდეს როლს აღიარებს... რუსული ეკლესია ექსტრემიზმს მარტო ვერ შეებრძოლება და შესაძლოა, ამ ბრძოლაში ჩართვის თხოვნით მოძმე ქართულ ეკლესიას მიმართოს. ცუდი არ იქნება, თუ მოძმე ეკლესიები საერთო საშიშროების წინააღმდეგ ერთად იბრძოლებენ. კარგი იქნება, თუ მედვედევის მაგალითზე ეკლესიისადმი მსგავს მოწოდებას საქართველოს ხელისუფლებაც გააკეთებს.

*„პირველი“*



**თემურ მირიანაშვილი,**
**პოლიტოლოგი:**

სააკაშვილი არის სატანა, საქართველოს საშინლად მოძულე გიჟი, ბოროტი გიჟი, რომელსაც ენით აუწერლად სიამოვნებს სხვების წამება, ფაქტები ვიცი, რომ კონკრეტული ადამიანებისთვის ბოროტების გაკეთება სადისტურ სიამოვნებას ანიჭებს, ახლა საშინელ ბოროტებას უკეთებს მთელ ერს... რომ არ აღვნიშნო, შეუძლებელია — სადაც ბურები სახლობენ, კატასტროფული მდგომარეობაა შიდსის გავრცელების მხრივ, ხოლო ბურები არიან პროტესტანტები, ანუ სექსუალური მორალი, პრაქტიკულად, არ გააჩნიათ... როგორ გგონიათ, ეს არ არის საქართველოსთვის სერიოზული საფრთხე?

*„საერთო გაზეთი“*



**თემურ რცხილაძე,**
**მომღერალი:**

ჩემს რეპერტუარში ნახევარზე მეტი რუსული სიმღერაა, რომლებსაც არა მხოლოდ მე, სხვა მუსიკოსებიც უკრავდნენ რესტორნებში. ერთხელ მუსიკოსებს ვთხოვე რუსული სიმღერის შესრულება და მომიბოდიშეს, უფლება არ გვაქვსო.

*„ყველა სიახლე“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



საავტორო სვეტი

# თეთრი აქლემი დავით ბაქრაძისთვის

**იმდენი სიკეთე თქვენ, რამდენჯერაც ბოლო დროს ქართულ ინტერნეტ-სივრცეში დაიწერა სიტყვები „ეგვიპტე“ და „ტუნისი“. საზოგადოება ყურადღებით აკვირდება იქ მიმდინარე მოვლენებს, მსჯელობს და ქართულ რეალობასთან პარალელებს ავლებს.**

ეს ფენომენი, როგორც ჩანს, ხელისუფლებამაც შეამჩნია: „პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ის, რაც დღეს ეგვიპტეში ხდება, საქართველოში 2003 წელს მოხდა და ეგვიპტეში განვითარებული მოვლენების დღევანდელ საქართველოსთან შედარება შეცდომა იქნებოდა. **„თუ ვინმეს ამასთან პარალელის გავლება უნდა, 2003 წელი უნდა გაიხსენოს“,** — აცხადებს ბაქრაძე („ინტერპრესნიუსი“).

გაუგებარია, რა აქვს საერთო ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებს და ე.წ. ვარდების რევოლუციას (მეზობელ თურქეთში რომ იტყვიან — სად „ფენერბახჩე“ და სად „გენჩლერბირლიგი“), თუმცა აქ სხვა მომენტია საინტერესო: **ის, რომ რაღაც უკვე მოხდა, რატომ ნიშნავს რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება?**

შესაძლოა, ბაქრაძე გულისხმობდა ხელისუფლებაში ზომიერად პროამერიკული მოხუცების ჩანაცვლებას რადიკალურად პროამერიკული ახალგაზრდებით. თუმცა არც ეს ნიშნავს იმას, რომ 2003-ში ისტორიული პროცესი დასრულდა და იმის იქით არაფერი მოხდება. ჯერ ერთი, რევოლუციები აშშ-ის ჩარევის გარეშეც ხდება, თანაც, ფარდობითი ბიოლოგიური ახალგაზრდობის მიუხედავად, პოლიტიკური თვალსაზრისით, სააკაშვილის ხელისუფლება, შესაძლოა, უფრო დაბერდა და უფრო ღრმა მარაზმში ჩავარდა, ვიდრე — ჰოსნი მუბარაქი და ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი, ერთად აღებული.

ბაქრაძის ფრაზამ რატომღაც მომაგონა ნაწყვეტი ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენის ესედან „ჯადოსნური ზღაპრის შესახებ“: **„როდესაც ბავშვი ზღაპრიდან დრაკონის შესახებ იგებს და კითხულობს: „ეს სიმართლეა?“, სინამდვილეში ის აი რას გულისხმობს: „ეს საინტერესოა, მაგრამ რამდენად უსაფრთხოდ ვარ ახლა მე ჩემს საწოლში?“. მას ასეთი პასუხი დააკმაყოფილებს: „დღეს ინგლისში არც ერთი დრაკონი აღარ დარჩა“.**

„დრაკონი არ არსებობს“, — თითქოსდა ეუბნება ბაქრაძე საკუთარ თავს და სააკაშვილის მომხრეებს, რომლებიც ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებმა დააფრთხო. მათი შეშფოთება გასაგებია, **დიქტატორები არაბულ სამყაროში, სააკაშვილის ხელისუფლებასთან შედარებით, განუზომლად დიდ რესურსებს ფლობდნენ და გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავდათ, თუმცა ამან დაპირისპირებაზე აჯანყებულ ხალხთან განმსაზღვრელი ზემოქმედება ვერ მოახდინა.** ვერაფერს ვიზამთ, მათ თავად მიიყვანეს მილიონობით ადამიანი მდგომარეობამდე, როდესაც, ერთი წვერებიანი კაცის თქმის არ იყოს, ბორკილების გარდა, დასაკარგი არაფერი დარჩათ. **დაჯდნენ ახლა და საკუთარ თავს შთააგონონ, რომ რევოლუციის დრაკონი საქართველოს გვერდს აუვლის.**

თუმცა გამოსავალი ყოველთვის არის და, შესაძლოა, არსებობს ასიმეტრიული გადაწყვეტილება, რომელიც დავით ბაქრაძესა და სააკაშვილის სხვა თანამეინახეებს ერთობ დაამშვიდებს. თუ გახსოვთ ეპიზოდი ქაიროში, როდესაც იქაური ზონდერები მომიტინგეთა რიგებში აქლემებით შეიჭრნენ. ის შეტევა ტაქტიკური წარმატებით დაგვირგვინდა. მის შემდეგ ოპოზიცია ორი დღე გონს ვერ მოვიდა. **ორი დღე კი სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ მიირბინო არა მხოლოდ წითელ ხიდამდე, არამედ სხვა კონტინენტზეც გააღწიო, რაც განსაკუთრებით აქტუალურია იმ დაუდასტურებელი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილის ჯგუფის ცენტრალური ფიგურები ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ დაბინავებას ლათინურ ამერიკაში აპირებენ.**

ასე რომ, იყიდეთ აქლემები, ბატონო დავით! წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც პარლამენტის შენობას და, შესაბამისად, თქვენს მყუდრო კაბინეტს მომიტინგეთა ზღვა მიადგება, რომელიც პოლიციის კორდონებს უპრობლემოდ გაარღვევს და ამ დროს, რუსთაველის გამზირზე ჭენებით უცებ შემოიჭრება გივი ვასილიჩის სახელობის აქლემების პოლკი; სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, საბრძოლო აქლემი 25 კმ/სთ-მდე სიჩქარეს ავითარებს და ნახევარ ტონაზე მეტს იწონის, თუმცა მთავარი მაინც შოკისმომგვრელი ფსიქოლოგიური ეფექტია, თანაც აქლემის გაწვრთნა და შენახვა ძალზე იოლია. მართალია, ხანდახან იფურთხება, თუმცა ამას პრო-სახელისუფლო კავალერისტები, ალბათ, როგორმე აიტანენ.

**იყიდეთ აქლემები, ბატონო დავით, და ისინი ერთგულად დაგიცავენ. მითუმეტეს, რომ სხვა საშველს თქვენი ხელისუფლებისთვის მოსალოდნელი გართულებების დროს მე, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ.**

**დიმიტრი მონიავა**

ჯიმი ჯალიაშვილი:

# თუ ვაშინგტონს დასჭირდება, სააკაშვილი აქ რადარებსაც განათავსებს და რუსეთთან მორიგ ომსაც გააჩაღებს

**საქართველოში და საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი.**



**— ბატონო ჯიმი, ბოლო დროს ტუნისსა და ეგვიპტეში განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენი ექსპერტების ერთი ნაწილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ, თუ ხელისუფლება უახლოეს მომავალში გარკვეულ დათმობებზე არ წავა და ძველებურად გააგრძელებს მოსახლეობის დატერორებას, შეიძლება, აქაც ისეთი სურათი მივიღოთ, როგორიც დღეს ზემოაღნიშნულ ორ სახელმწიფოშია. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს მოსაზრება, ანუ არის თუ არა მზად ქართველი ხალხი იმისათვის, რომ უკიდურეს შემთხვევაში ეგვიპტისა და ტუნისის გზას დაადგეს?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველო გაცილებით მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე ტუნისი და ეგვიპტე, ლოგიკურია, გარკვეული ძვრები აქაც დაიწყოს. მაგრამ ჩვენთან ეს არ მოხდება შემდეგი ფაქტორების გამო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ **ამ ეტაპზე ჩვენი საზოგადოება სრულიად გამოფიტულია იმ მუხტისგან, რაც მას ჰქონდა წინა არჩევნების დროს (ვგულისხმობ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს) და ამასთან, დღეს ქვეყანაში რეალურად არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც შეიძლება სათავეში ჩაუდგეს ოპოზიციურ პროცესებს.** საერთოდ, ოპოზიციამ და საზოგადოებამაც ხელისუფლების შეცვლის ყველა შანსი ხელიდან გაუშვა; ეს იყო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როცა მორატორიუმი გამოცხადდა და ამით, ფაქტობრივად, პოლიტიკურ გვამადქცეულ სააკაშვილსა და მის გარემოცვას ფეხზე დადგომის საშუალება მიეცა. დღეს უკვე ძალიან ძნელია ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. **ადრე თუ ოპოზიციის მხრიდან ქუჩის აქციებით დამუქრებაც კი რაღაც შედეგს იძლეოდა, ახლა უკვე საქმე გვაქვს ძალასთან, რომელიც ოცი და ოცდაათი ათასი კაცის გამოსვლის გამო ყურსაც არ იბერტყავს. თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ძალას გარკვეული მხარდაჭერა აქვს ამერიკის მხრიდან.** ასე რომ, როცა ლაპარაკია ეგვიპტისა და ტუნისის მაგალითზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტორები, რომლებიც თითქმის შეუძლებელს ხდის და გამორიცხავს ჩვენთან მოვლენების განვითარებას ამ ორ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სცენარით...

**— ანუ, გინდათ თქვათ, რომ, თუ აქ ისეთივე გამოსვლები დაიწყება, როგორიც ეგვიპტეშია, მმართველი გუნდი ამერიკისგან იმხელა მხარდაჭერას მიიღებს, რომ ძალაუფლების შენარჩუნებას შეძლებს?**

— **ამერიკა საქართველოსთან მიმართებაში ბოლომდე თვალს დახუჭავს ყველა უკანონობაზე, რითაც ხელისუფლება შეეცდება მოსახლეობის დატერორებას. ზუსტად ასე იყო 2009 წლის ოთხთვიანი აქციების დროსაც, როცა გვეგონა, რომ სააკაშვილს ვაშინგტონიდან თითს დაუქნევდნენ; პირიქით კი მოხდა. გახსოვთ, მაშინ ბაიდენის ჩამოსვლას დიდი იმედით ველოდით, ჩამოვიდა და ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ხელისუფლებას ჰქონდა ჩაფიქრებული...** ანუ, ამით იმის თქმა მინდა, რომ ამერიკას არ აინტერესებს, აქ რა ხდება და რა პროცესები მიმდინარეობს, მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ტერიტორია, ვიდრე ის, თუ რამდენად სწრაფად ვითარდება ჩვენთან დემოკრატია. ამდენად, პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც აქ ჩამოყალიბდა, არავის ტკივილად არ იქცევა, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მმართველ გუნდს სრული თავისუფლება ეძლევა საშინაო საქმეებში. ამაზე მეტი მხარდაჭერა რაღა გინდა?!

**— თქვენ თქვით, რომ არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც შეიძლება სათავეში ჩაუდგეს რაიმე სახის პროცესებს. როგორ ფიქრობთ, ლევან გაჩეჩილაძე ან თუნდაც ნინო ბურჯანაძე არ არის ასეთი ძალა?**

— **გაჩეჩილაძეც და ბურჯანაძეც უკვე ისეა გაშიფრული და, ასე ვთქვათ, გამოაშკარავებული, რომ მათგან ხელმეორედ პოლიტიკური ლიდერების გამოყვანა, უბრალოდ, შეუძლებელია. ეს მიცვალებულის გაცოცხლების ტოლფასია, იმიტომ, რომ ორივემ, დიდი ხანია, ბოლომდე ამოწურა შესაძლებლობები და დღეს, ფაქტობრივად, ხორცმეტებივით არიან პოლიტიკაში.** გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ მათ და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებსაც არ აქვთ კონკრეტული სამოქმედო გეგმა. მეტიც, ისინი იმდენად ზოგად განცხადებებს აკეთებენ და იმდენად ზოგად დაპირებებს იძლევიან, ხანდახან მგონია, რომ საერთოდ წარმოდგენაც კი არ აქვთ, რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ქვეყანა; ამიტომ, რაც უნდა გაუსაძლის პირობებში ვიყოთ, ხალხი მაინც არ დაირაზმება ისეთი ე.წ. ლიდერების გარშემო, რომლებიც არაფრით სჯობიან ხელისუფალთ...

**— ამ ლოგიკით, გამოდის, რომ რაღაც მარადიულ ჩიხში ვართ მოქცეული, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს.**

— რა თქმა უნდა, ჩიხში ვართ და, ვინც ამას ვერ ხედავს, ან ბრმაა, ან მაპატიეთ და — სულელი... მდგომარეობა, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, არის სრული პოლიტიკური სტაგნაცია, უძრაობა, ჭაობი, რომელიც დამღუპველია ქვეყნისთვის. ამიტომ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ასე დიდხანს გაგრძელება, უბრალოდ, შეუძლებელია. საქართველო არც ეკონომიკურად და, მით უფრო, არც პოლიტიკურად არ არის მზად ამისთვის. ასე რომ, გვინდა თუ არა, უახლოეს მომავალში ჩვენ აუცილებლად მოგვიწევს გარკვეული მსხვერპლის გაღება ამ რეალობის ნაწილობრივ მაინც შესაცვლელად; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სტაგნაცია, რომელშიც ახლა ვართ მოქცეული, ბუნებრივია, გაგრძელდება და საბოლოოდ მიგვიყვანს იმ მდგომარეობამდე, საიდანაც გამოსავალი მართლა არ არსებობს.

**— ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ისმის განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველო რუსეთთან ურთიერთობას დღითიდღე ამწვავებს, რომ გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, კონფრონტაციისკენ მიდის და ა.შ. თქვენი აზრით, ხომ არ ნიშნავს ეს განცხადებები იმას, რომ ჩვენსა და ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს შორის კიდევ ერთი ომია მოსალოდნელი?**

— ამ შემთხვევაში რამე კონკრეტული პროგნოზის გაკეთება ძნელია, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ერთი რამ ნამდვილად უდავოა: **რუსეთი არ არის საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავებით დაინტერესებული და ეს ჩანს კიდეც მოსკოვიდან გაკეთებულ თითქმის ყველა განცხადებაში. მიუხედავად ამისა, ომის საფრთხე, რა თქმა უნდა, მაინც ძალზე დიდია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომლის პოლიტიკაც მთლიანად მიმართულია იქითკენ, რომ როგორმე რუსეთს ზიანი მიაყენოს; პოლიტიკა, რომელსაც დღეს საქართველო ატარებს კრემლთან მიმართებაში, არის გზა, რომელიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიგვიყვანს რუსეთთან მორიგ სამხედრო დაპირისპირებამდე, რაც ჩვენთვის იქნება აღსასრული.** მოსკოვის მესვეურთა მიერ გაკეთებული განცხადებებიც, რომ საქართველო კონფრონტაციის გზას ადგას, სწორედ ამაზე გვაფრთხილებს და მიგვანიშნებს იმ საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც ხვალ და ზეგ შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყანა. ამიტომ, დღეს საქართველო ყველანაირად და ყველა ფორმით უნდა ცდილობდეს, რომ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო მწვავე და დაძაბულ ფაზაში არ გადავიდეს, თორემ, თუ ეს მოხდება, მერწმუნეთ, კრემლი მარტო კრიტიკული განცხადებებით არ შემოიფარგლება სააკაშვილის პროვოკაციებზე პასუხის გაცემისას და მივიღებთ ახალ სამხედრო კონფლიქტს და, მე მგონი, ყველათვის ისედაც ნათელია, რა შედეგებიც მოჰყვება ამ ყველაფერს...

## ამერიკული რადარის განთავსება საქართველოს რამდენიმე ქვეყნის სარაკეტო დარტყმის სამიზნედ აქცევს

**— ამერიკის თავდაცვის რადარების აქ განთავსებაზე რა აზრის ხართ? ვგულისხმობ იმ რადარებს, რომლებზეც თავის დროზე უარი თქვა ნატოს წევრმა თურქეთმა.**

— ის, რომ თურქეთმა უარი თქვა, უკვე თავისთავად ცხადყოფს, რასთანაც გვაქვს საქმე. ეს არის საფრთხე, რომელიც რამდენიმე ქვეყნის სარაკეტო დარტყმის სამიზნე წერტილად აქცევს ნებისმიერ ქვეყანას, სადაც კი ის განთავსდება. საქართველო ისედაც ძალიან რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეშია და ჩვენთვის ეს რადარები, ბუნებრივია, ათმაგად დიდ საფრთხეს შეიცავს. ეს სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამაც ძალიან კარგად იციან, მაგრამ მათ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება, როგორც ჩანს, არ უჭირთ, რადგან მათთვის პრიორიტეტი არ არის სახელმწიფოებრივი ინტერესები. **ამ ხელისუფლებისთვის ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვანი ამერიკის მხარდაჭერაა, ვინაიდან ეს არის ამათი ძალაუფლების ერთადერთი გარანტი. ამიტომ, ოღონდ ეს მხარდაჭერა არ მოაკლდეს და, პირადად მიხეილ სააკაშვილი, რაოდენ დიდი საფრთხის შემცველიც უნდა იყოს ეს ჩვენთვის, აქ რადარებსაც განათავსებს, ამერიკის პლაცდარმადაც აქცევს ამ ქვეყანას და, თუ ვაშინგტონს დასჭირდება, მორიგ ომსაც გააჩაღებს რუსეთთან.** ამისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ და, საერთოდ, თუ გვინდა, რომ ეს საფრთხეები თავიდან ავიცილოთ, თითოეულ ჩვენგანს, ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მეტი აქტიურობა და ძალიან დიდი გამძლეობა მართებს ხელისუფლების თანდათან, ეტაპობრივად და, რაც მთავარია, უმტკივნეულოდ შესაცვლელად. სამწუხაროდ, სხვა გზა და გამოსავალი არ არსებობს, იმიტომ, რომ რეალურად ეს ხელისუფლება არ არის ის პოლიტიკური ძალა, რომლის გამოსწორებაზე და, მით უფრო, კონტროლზე შეიძლება ვილაპარაკოთ.

**ჯაბა ჟვანია**

# რა კავშირი აქვს მთავარი მზვერავის «გასტუდენტებას» ტყიბულში მაღაროს აფეთქებასთან

**გასულ კვირას პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ დაადასტურა, რომ საგარეო დაზვერვის შეფი გელა ბეჟუაშვილი კვალიფიკაციის ასამაღლებლად აშშ-ში იმყოფება. ბეჟუაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ინფორმაცია ცოტა ხნის წინათ გავრცელდა და იგი დროში დაემთხვა ტყიბულის მაღაროში მომხდარ აფეთქებას. ეს ტყიბულის მაღაროში მომხდარი მეოთხე აფეთქებაა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა, მაგრამ აქამდე ამ ფაქტებს პრეზიდენტის ყურადღება არ მიუქცევია. ამჯერად კი სააკაშვილი 22 იანვარს მომხდარ ტრაგედიას სომხეთიდან გამოეხმაურა და მაღაროს ხელმძღვანელებსა და ბიზნესმენს მწარედ დაემუქრა.**



ტყიბულის მაღაროში მომხდარ აფეთქებას ამჯერად ერთი მაღაროელის, 37 წლის მერაბ კალანდაძის სიცოცხლე შეეწირა, ოთხი კაცი კი მძიმედ დაშავდა. მაღაროს მფლობელი „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფია“, რომელიც, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მტკიცებით, ძმებ ბეჟუაშვილებს ეკუთვნის. **მაღაროში არსებული სიცოცხლისთვის საშიში სამუშაო პირობები საწარმოს მფლობელების მხრიდან თანხების დაზოგვითაა გამოწვეული. დაშავებულ მაღაროელებს დამწვრობასთან ერთად თერმული ტრამვაც აქვთ, რაც ძლიერი აფეთქების შედეგია.**

სააკაშვილმა, როგორც აღვნიშნეთ, მომხდართან დაკავშირებით მწვავე განცხადება გააკეთა: **„როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ყველანაირი დასტური იმისა, რომ წინა აფეთქება, რომელსაც ემსხვერპლა რამდენიმე მაღაროელი, იყო შედეგი არა მათი დაუდევრობის, არამედ უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედება მაღაროს ხელმძღვანელობისა, რომელმაც გამორთო ვენტილაციის სისტემა და დაზოგა ელექტროენერგია, ფული, საკუთარი თანამშრომლების სიცოცხლის ხარჯზე.“** პრეზიდენტის თქმით, დანაშაულის თანამონაწილეები არიან, ასევე, ზედამხედველობის სამსახურებიც, რომლებსაც ევალებოდათ შესაბამისი დასკვნის დაწერა, თუმცა „ხელი ხელს ბანს“ პრინციპით დაწერეს ზუსტად ისეთი დასკვნა, რაც უნდოდა მაღაროს ხელმძღვანელობასა და ამ ბიზნესის მფლობელებს.

სააკაშვილი ნანობს, რომ სისხლის სამართლის საქმე არ მივიდა ლოგიკურ დასკვნამდე და დამნაშავენი არ დაისაჯნენ. **„კონკრეტული ადამიანები რომ გაეგზავნათ სასამართლოში, და თუ სასამართლო მათ ბრალეულობას დაადგენდა, შემდეგ — საპატიმროში, შეიძლებოდა ეს გუშინდელი აფეთქება არ მომხდარიყო. ადამიანები, ვინც ამას აკეთებენ, მონაწილეობენ პირდაპირ მკვლელობაში და ისინი, ვინც მათ იფარავს, არიან მკვლელობის თანამონაწილენი და ნამდვილად არ ვაპირებ, მათ ეს შერჩეს,“** — განაცხადა სააკაშვილმა.

მოკლედ, როგორც აღვნიშნეთ, აქამდე მომხდარი აფეთქებების დროს პრეზიდენტი დუმდა, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიებიც და პროფკავშირებიც ხმამაღლა საუბრობდნენ ნორმების დარღვევაზე. მეტიც, გამოძიება დებდა დასკვნას, რომ გარდაცვლილი მაღაროელები თავად იყვნენ დამნაშავე აფეთქებაში, რადგან მათ უსაფრთხოების ნორმები არ დაიცვეს. **როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, თურმე თავადაც კარგად ცოდნია, რომ ამ ტრაგედიაში დამნაშავე პირები მაღაროს ხელმძღვანელობა და ბიზნესმენები გახლდნენ, რომ გამოძიება ლოგიკურ დასკვნამდე ვერ მივიდა, რადგან, „ხელი-ხელს ბანს“ პრინციპით, დანაშაული დაიფარა.** ეს ყველაფერი მაშინ მათ ეპატიათ. ამჯერად მაღაროში მომხდარ აფეთქებაზე დასკვნა დაიდო, მაგრამ დაკავებულები არა პრეზიდენტის მიერ დასახელებული პირები, არამედ რიგითი თანამშრომლები აღმოჩნდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, სააკაშვილმა „ბიზნესმენებს“ მართლაც არ აპატია და ხმაურიანი აქციების ფონზე, მართალია, ჩუმად, მაგრამ ბეჟუაშვილი მაინც დასაჯა, რასაც მისი აშშ-ში სასწავლებლად წასვლა მოჰყვა.

## პრეზიდენტმა აღიარა, რომ მისმა პროკურატურამ საქმე «შეკერა»

**რა ხდებოდა ტყიბულის მაღაროში და როგორ შეიცვალა სიტუაცია უკანასკნელი აფეთქების შემდეგ, პროფკავშირების ხელმძღვანელი, ირაკლი პეტრიაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო ირაკლი, მაღაროში მომხდარი აფეთქებების შესახებ თქვენ არაერთხელ ჩაატარეთ მოკვლევა და დამნაშავე პირებიც გამოიკვეთა, თუმცა ადრე ამის გამო არავინ დასჯილა, ამჯერად რეაგირება მოხდა?..**

— ვერ ვიტყვი, რომ რეაგირება მოხდა. რეაგირება იქნებოდა, საფუძვლიანად რომ შეცვლილიყო სიტუაცია და პასუხისგებაში მიეცათ ის ადამიანები, ვისი უშუალო პასუხისმგებლობაც გახლავთ შახტებზე უსაფრთხოება. ამ შემთხვევაში კი **მეშახტეებზე რანგით ნახევარი თავით მაღლა მყოფი ადამიანები დააკავეს. რადგან ხმაური ავტეხეთ, უშუალოდ დასაქმებულებზე არ გადატეხეს ჯოხი და გადატეხეს რიგით ჩინოვნიკებზე, ჩინოვნიკებიც კი არ ჰქვიათ, ოსტატის მოადგილე როგორ შეიძლება იყოს შახტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი? ამაზე პასუხისმგებელი არის ტექნიკური დირექტორი, რომელიც უნდა დასჯილიყო. შესაბამისად, ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვართ.**

ჩვენ კმაყოფილი ვართ მხოლოდ იმით, რომ ხალხი გამოვიდა, დაიცვა თავისი უფლებები პროფკავშირებთან ერთად. სოლიდარობის ხარისხი იყო მაღალი და ჩვენმა მუშაობამ შედეგი გამოიღო იმ კუთხით, რომ მათი სამოქალაქო განათლება ამაღლდა, საქართველოს დანარჩენი მოქალაქეებისგან განსხვავებით, რომლებიც არ არიან პროფკავშირის წევრები. ტყიბულის მეშახტეებმა, ჩვენთან ერთად, მოახერხეს ის, რომ ზეგანაკვეთური საათები აუნაზღაურდებათ, ხელფასებმა მოიმატა, შრომის უსაფრთხოება დაცული იქნება პროფკავშირის მუშაკებთან ერთად და ჩვენი უშუალო მონაწილეობით დაიგეგმება უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე სტანდარტები. ესაა ვალდებულება, რომელსაც დამსაქმებელმა მოაწერა ხელი.

**— ეს ყველაფერი მოხდა იმ აქტივობის შემდეგ, რომელსაც თქვენ ახორციელებდით?**

— დიახ. ეს მოჰყვა გაფიცვას.

**— რა ხდებოდა მანამდე? რამდენადაც ვიცით, 9 ადამიანი დაიღუპა. თქვენ მიერ მოკვლეული მასალებით ვისი ბრალეულობა იკვეთება ამ ტრაგედიებში?**

— მეთანის რაოდენობა იყო 6 პროცენტამდე, მაშინ, როცა 2 პროცენტზე მეტზე უკვე წყდება ბურღვითი და აფეთქებითი სამუშაოები. ბუნებრივია, ეს იცოდა ტექნიკურმა დირექტორმა, ეს იცოდა ხელმძღვანელობამ და, მიუხედავად ამისა, მაინც დაუშვეს ის, რომ ხალხი ჩასულიყო შახტებში. არათუ დაუშვეს, ზეწოლაც იყო ამ ხალხზე. **საბოლოო ჯამში, მივიღეთ ის ტრაგედიები, რომლებიც ხდებოდა ზუსტად მსგავსი დაუდევრობის გამო. იმის გამო, რომ ძუნწები და „წუპაკები“ არიან დღევანდელი დამსაქმებლები და ადამიანებს მონებივით ექცეოდნენ.** ამ ყველაფრის შესაძლებლობას კი აძლევს კანონმდებლობა და ხელმძღვანელობა, როცა ეუბნება მათ: **ხალხი, როგორც გინდა, ისე „გაპარსე“, მე კი, როცა დამჭირდება, შენ „გაგპარსავო“.**

**— ანუ თანხებთან იყო დაკავშირებული ის, რომ შახტებში მეთანის პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულიყო?**

— რა თქმა უნდა, თანხებთან იყო დაკავშირებული. სადენებს, რომლებიც მეთანის გაწოვას უნდა ახდენდეს, ხალხი „სკოჩებით“ აწებებდა, იმიტომ, რომ დახეული იყო ყოველ ფეხის ნაბიჯზე.





**— თქვენ, ასევე, ბევრი ბრძოლა დაგჭირდათ დაშავებულთა და გარდაცვლილთა ოჯახებისთვის კომპენსაციების გაცემაზე. რა ხდება ამ კუთხით?**

— ამ კუთხით ხელისუფლების მხრიდან არაფერი ხდება. ის უბედური შემთხვევები, რაც ხდება ქვეყანაში, იმის გამოძახილია, რომ ქვეყანასა და ხელისუფლებას არ გააჩნია ნება, შრომა იყოს უსაფრთხო. ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს შრომის ინსპექცია, მთავრობას არ აქვს არანაირი უწყება, რომელიც ამაზე იქნება პასუხისმგებელი. **უბედური შემთხვევების შემდეგ იკვლევენ სიტუაციებს და იკვლევენ არაპროფესიონალი ადამიანები, პროკურატურისა და შს სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც, ბუნებრივია, ვერ იქნებიან ამ კონკრეტული სფეროს სპეციალისტები, ისინი არიან სისხლის სამართლის გამომძიებლები და ა.შ. შრომას აქვს თავისი ინსპექტირება, ეს არის ცალკე ნორმა, ცალკე სტანდარტი, ცალკე მეცნიერება და, ბუნებრივია, ამას სჭირდება პროფესიონალები.**

პროფესიონალები ამ კუთხით საქართველოში არ არსებობენ, გარდა იმისა, რომ პროფკავშირებს შეუძლიათ, თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ ამ საქმეში. ასეც ვერ ვიტყვი, რომ დილეტანტის დონეზე, მაგრამ არც ჰაი-კლასის პროფესიონალები ვართ ჩვენ ამ კუთხით. მეტი, სხვა ინსტიტუტი არ არსებობს, რომელიც ამაზე რაიმე სახის დასკვნას დადებს.

**რაც ხდება მაღაროებში, მშენებლობებზე, ყველგან, სადაც უსაფრთხოების ნორმები ირღვევა, რაც ხდება რკინიგზაზე, ენერგოკომპანიებში... გადახედეთ, რამდენი დაღუპულია, რამდენი დაშავებულია, რამდენი გამწარებული დედა, შვილი და მეუღლეა და რამდენი სახლიდან გასული და უკან ვერ დაბრუნებული ადამიანი. ეს პასუხისმგებლობა არის იმ ადამიანების, იმ ეკონომიკური გუნდის კისერზე, რომელიც ნეოლიბერალიზმსა და მაქსიმალურ თავისუფლებაზე საუბრობდა, თუმცა ეს თავისუფლება მონობის მსგავსია.** შეუძლებელია, თავისუფალი იყოს ეს სფერო და ლიბერალური იყოს დამოკიდებულებები, იმიტომ, რომ დამსაქმებელსა დასაქმებულს შორის არ არის თანასწორი ხალხი არც ფინანსური და არც გავლენის მხრივ. აქ არის საკმაოდ ვერტიკალური დამოკიდებულება და ის უნდა დაარეგულიროს კანონმა, ნორმებმა და ხელისუფლების პოლიტიკამ, რომ დაიცვას ბალანსი დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

თუ კომუნისტების დროს მუშურ-გლეხური იყო ყველაფერი და კერძო საკუთრება არ არსებობდა და მას ებრძოდნენ, **ახლა გვაქვს, ასე ვთქვათ, ნაწილობრივ პირიქით — კერძო საკუთრებას რაღაც ფორმით კი ებრძვიან და მეწარმეებსაც „წეწავენ“, მაგრამ, მეორეს მხრივ, სხვა უკიდურესობაში გადავედით და დასაქმებული ადამიანის ბედი და იღბალი არავის აინტერესებს.** ამის დასტურია, რომ არ არის შრომის ინსპექცია. და საერთოდ, სამინისტროში ერთ დეპარტამენტსაც ვერ ნახავთ, რომელიც ამაზე პასუხს აგებს.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ორმაგი სტანდარტებით გაბითურებული ქვეყანა, ანუ MISHA FOREVER?!

**ახლა მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილი ეგვიპტეა. ყველა დიდი ინტერესით ელოდება, რა მოხდება და შეძლებს თუ არა ეგვიპტელი ხალხი საკუთარი ნების აღსრულებას. ამ მოვლენებთან დაკავშირებით სულ უფრო რადიკალურ განცხადებებს აკეთებენ აშშ და დასავლეთი. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ეგვიპტის მოვლენებს საგანგებო გამოსვლაც კი მიუძღვნა. სიტყვაში აშკარად შეიმჩნეოდა აშშ-ის ერთგული მოკავშირის, მუბარაქის მიმართ ვაშინგტონის მხარდაჭერის შესუსტება: „ცხადი რაც არის, და დღეს საღამოს პრეზიდენტ მუბარაქსაც ვუთხარი, არის ჩემი რწმენა, რომ სისტემური ტრანსფორმაცია აზრიანი, მშვიდობიანი უნდა იყოს და ის ახლავე უნდა დაიწყოს“.**





ეგვიპტეში სწრაფი ცვლილებების მოწოდებით გამოდიან საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი. საფრანგეთისა და შეერთებული შტატების ლიდერებმა ეგვიპტის ხელისუფლებას ძალაუფლების სწრაფი და მოწესრიგებული გადაცემის პროცესისკენ მოუწოდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ მას სურს, ეგვიპტეში ძალაუფლების გადაცემა დაუყოვნებლივ და ძალადობის გარეშე დაიწყოს. მსგავსი განცხადება გაავრცელა ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ქეთრინ ეშტონმაც.

**პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა ხალხის მოთხოვნა უნდა აღასრულოსო, თანაც მშვიდობიანად და თანაც დაუყოვნებლივო,** — ასე ბრძანა დასავლეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მათი ესოდენ აქტიურობის დროს ჩვენი უბედური ქვეყნის 2007 წლის ნოემბრის მოვლენები მახსენდება. **საინტერესოა, მაშინაც რატომ არ გამოიჩინა იმავე დასავლეთმა და ამერიკამ ინიციატივა და რატომ არ დაუჭირა ქართველი ხალხის ნების აღსრულებას მხარი?! რით განსხვავდებოდა 2007 წლის ნოემბრის მოვლენები დღეს ეგვიპტეში არსებული სიტუაციისგან?** თუკი 2007 წელს სააკაშვილის რეჟიმის მიერ დემონსტრანტების რეზინის ტყვიებით, მხუთავი აირით, ხელკეტებით, პოლიციისა და სპეცრაზმის მეშვეობით დაშლას ტაში დაუკრეს ამერიკამ და დასავლეთმა, მუბარაქი ვითომ სააკაშვილზე უარესია?!

**ან რა ხიბლი აქვს ასეთი სააკაშვილს, რომ რეჟიმს, რომელსაც თან ახლავს უდანაშაულოთა სისხლი, ათასობით უმიზეზოდ სამსახურიდან ძალლივით გაგდებული ადამიანი, შიშით გაფართოებული თვალები, დაკარგული ტერიტორიები, 2008 წლის სამარცხვინოდ წაგებული ომი, კვლავაც უწოდებს დასავლეთი და აშშ „დემოკრატიის შუქურას“?! თუ ეგვიპტელების შემთხვევაში ხალხს აქვს უფლება, საკუთარი ქვეყნის ბედი თავადვე გადაწყვიტოს, ქართველმა ხალხმა რა დააშავა?! რატომ ჩაიგუბა 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს ევროპამაც და ამერიკამაც წყალი პირში? რატომ დაინდეს ისევ და ისევ პრეზიდენტი სააკაშვილი და რატომ გადაუსვეს ალერსიანად თავზე ხელი?!** იმიტომ ხომ არა, რომ, ეგვიპტელებისგან გასხვავებით, ჩვენ არ გვეყო მოთმინება და ძალა, დაწყებული ბრძოლა ბოლომდე მიგვეყვანა?!

### მანანა ნაჭყებია: დასავლეთმა ქართულ ოპოზიციაში სააკაშვილის ალტერნატივა ვერ დაინახა

**მანანა ნაჭყებია, „ახალი მემარჯვენეები“:**

— ევროპისა და ამერიკის პოზიციაა, რომ ეგვიპტეში რადიკალური ცვლილებები განხორციელდეს, მაგრამ ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე. ასევე, დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს დემოკრატიის პრობლემებიც. რაც შეეხება 2007 წლის ნოემბერს, ევროპისა და ამერიკის დამოკიდებულებას სააკაშვილის მიმართ, ვიტყვი, რომ მაშინაც იყო განცხადებები, მაგრამ ისეთივე მწვავე არა, როგორც დღესაა ეგვიპტის მიმართ. ამას განაპირობებდა, უპირველესად, ის, რომ **ვერც აშშ-მა და ვერც დასავლეთმა ვერ დაინახეს ალტერნატივა**

**— რომელი ოპოზიციური ძალებით შეიძლებოდა სააკაშვილის ჩანაცვლება. ვფიქრობ, ეს იყო მთავარი მიზეზი.** აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამერიკისთვისაც და ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფოსთვის, მიხეილ სააკაშვილი არის თავის ტკივილი, მაგრამ, სანამ ოპოზიციური პარტიები არ დავანახებთ, უპირველესად, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, რომ ოპოზიციურ სპექტრშიც არიან ისეთი პარტიები, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყნის მმართველობის სადავეების ხელში აღება, ხალხისთვის იმის ჩვენება, თუ რა მეთოდებით, რა გზით აპირებენ ამის გაკეთებას, მანამდე ძალიან გაგვიჭირდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის, დასავლეთისა და ამერიკის დარწმუნება, რომ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა შეგვიძლია.

### დავით ზურაბიშვილი: 2007 წელს ამერიკამ საქართველოში ღიად დაუჭირა მხარი ავტორიტარულ მმართველობას

**დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკური პარტია:**

— სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურა“ უკვე არავისთვის აღარაა. მის დემოკრატობაზე აღარავინ საუბრობს. უბრალოდ, ის პოლიტიკა, რომელიც, დიდი ხანია, აშშ-სა და დასავლეთს აქვს, ანუ პროდასავლური, პროამერიკული დიქტატორული და ავტორიტარული რეჟიმების მხარდაჭერაა. 2007 წლის ნოემბერში ეს პოლიტიკა ჯერ კიდევ მოქმედებდა. **საქართველო არ იყო ისეთი რეგიონალური ცენტრი, როგორიც ეგვიპტეა, ამიტომ ამერიკამ გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა ავტორიტარული მმართველობისთვის საქართველოში, რადგან ამ რეჟიმის მმართველი სააკაშვილი მათი კაცი იყო.**

ეგვიპტის მოვლენები, ჩემის აზრით, მთლიანობაში ძალიან შეცვლის ასეთი ტიპის მმართველობების მიმართ დამოკიდებულებას. შეიძლება ითქვას, რომ სერიოზული მსოფლიო ცვლილებების წინაშე ვართ. უკვე აღარ ამართლებს მსგავსი რეჟიმების მხარდაჭერა. ხალხი ითმენს, ითმენს და ბოლოს და ბოლოს ხმას იღებს. ჩემი აზრით, ცვლილებები აუცილებლად მოხდება მსოფლიო პოლიტიკაში და ეს მალე საქართველოზეც აისახება.

**მანანა სალუქვაძე, „დემოკრატიული მოძრაობა“:**

— რაც ეგვიპტეში ხდება, ეგვიპტის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნებაა. ამერიკა დაუჭერს ამას მხარს თუ ევროპა, საგარეო პოლიტიკის საკითხია. ჯერ ტუნისში და მერე ეგვიპტეში განვითარებული მოვლენები წლების განმავლობაში არასწორი მმართველობის შედეგია.

რაც შეეხება ჩვენს სიტუაციას, **2007 წლის ნოემბერის ამბები ყველას გვახსოვს, 2009 წელსაც დიდი გამოსვლები იყო, მაგრამ საერთაშორისი ორგანიზაციები და წამყვანი სახელმწიფოები აქტიურად არ ჩაერივნენ. შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს ის, რომ ჩვენი ხელისუფლება ძალიან დიდ თანხას ხარჯავს სააკაშვილის რეჟიმის „გასათეთრებლად“.**

სამწუხაროდ, 2007 წლის გამოსვლების დროს მკვეთრი პოზიცია არ გამოხატეს არც დასავლეთმა და არც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რადგან ჩვენს ხელისუფლებას აქვს ძალიან სერიოზული ლობი. და კიდევ ერთი — ეს გამოსვლები არ იყო საშიში მათთვის, ანუ ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ მოწესრიგებული ხალხი ვართ და მშვიდობიანი დემონსტრაციებით გვინდა, რაიმე შევცვალოთ. ერთი მანქანა არ დაგვიმტვრევია და ერთი მინა არ ჩაგვიმსხვრევია, ამას ვთვლით ჩვენს პლიუსად. დასავლეთში მიჩვეული არიან უფრო კატეგორიულ ქმედებებს. გავიხსენოთ, საფრანგეთში რა ხდებოდა: მილეწ-მოლეწეს ყველაფერი და ამით მეტი ყურადღება მიიქციეს.

აუცილებელია, ოპოზიციურმა პარტიებმა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და წამყვან სახელმწიფოებს მიაწოდონ არა ემოციურ მომენტებზე დამყარებული, არამედ დადასტურებული მასალები — თუ რა საშინელებები ხდება სინამდვილეში ჩვენს ქვეყანაში.

### ჰამლეტ ჭიპაშვილი: ხელისუფლების ნასუფრალით ნაკვები ოპოზიცია ვერც ამერიკაში და ვერც ევროპაში პოზიციებს ვერ განიმტკიცებს

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— ამერიკა მხარს უჭერს ეგვიპტის ხელისუფლებას. მას კატეგორიულად არ უთქვამს, რომ მუბარაქი უნდა წავიდეს, იყო მიკიბულ-მოკიბული საუბარი, რამაც, ცხადია, წყალი დაასხა მუბარაქის წისქილზე და ჯერჯერობით ის რჩება ხელისუფლებაში. ამერიკა, ისევე, როგორც ევროკავშირი, მოკავშირეს ვერ ელევა (მუბარაქი გამოირჩევა მონური მორჩილებით ამერიკის წინაშე). ცხადია, ობამამ გააკეთა განცხადება, რომ აუცილებელია ცვლილება ეგვიპტეში, მაგრამ კატეგორიულად არ უთქვამს, რომ მუბარაქი უნდა გადადგეს. მუბარაქი შეინარჩუნებს თანამდებობას თითქმის წლის ბოლომდე. არჩევნები დანიშნულია შემოდგომისთვის და მერე, ღმერთმა უწყის, რა მოხდება.

**სააკაშვილიც ითვლება ამერიკის მონად კავკასიაში და სწორედ ამიტომ ამერიკამ მას დაუჭირა მხარი და 2008 წელს პრეზიდენტადაც დანიშნა. თქვენ კარგად გახსოვთ, როგორ გაყალბდა არჩევნები. ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა საკმარისი ხმებიც კი დააგროვა და, სავარაუდოდ, დიდი შანსიც ჰქონდა, მეორე ტურში შეჯიბრებოდა სააკაშვილს, თუმცა ყოველგვარი მეორე ტურის გარეშე დამთავრდა ყველაფერი.**

ამერიკის შეერთებულ შტატებს მხარი არ დაუჭერია ეგვიპტის ოპოზიციონერებისთვის. ამ ოპოზიციაში შედის ორგანიზაცია „მუსლიმანური საძმო“, რომელიც ანტიამერიკული პოზიციებით გამოირჩევა. როგორ შეიძლება ამერიკამ მათ მხარი დაუჭიროს?! ამერიკის მიზანია, რაც შეიძლება გაწელოს პროცესი, რათა სასურველი შემცვლელი მოძებნოს ეგვიპტისთვის.

რაც შეეხება საქართველოს, **ადრეც მიიჩნევდა ამერიკის ადმინისტრაცია და ახლაც მიიჩნევს, რომ სააკაშვილის შემცვლელი საქართველოში არაა,** რადგან მასზე უკეთ ვერავინ მოაგვარებს იმ საქმეს, რასაც ის ამერიკის დავალებით აკეთებს. ეჭვი მეპარება, სააკაშვილის შემცვლელად მოიაზრებოდეს ალასანია, თარგამაძე ან სხვა ვინმე. **დარწმუნებული ვარ, ამერიკელები შესანიშნავად გადაიტანენ სააკაშვილის პრემიერ-მინისტრობას.** ხალხი კი გამოვიდა ნოემბერში, მაგრამ ამერიკამ ყურადღება არ მიაქცია, ეგვიპტე კი საქართველოზე ბევრად უფრო სტრატეგიული პარტნიორია, იგივე მოსახლეობიდან და სუეცის არხიდან გამომდინარე. დღევანდელი ოპოზიცია ოპოზიცია არაა, თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია კორუფციით და იმით, რასაც ჰქვია ხელისუფლების ნასუფრალზე არსებობა. ასეთი ოპოზიცია, ცხადია, ვერც ამერიკაში და ვერც ევროპაში პოზიციებს ვერ განიმტკიცებს.

**ლილი მიროტაძე**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ფასადური დემოკრატიის დესპოტური ინტერიერი

## 163 რეკომენდაცია უზურპატორს





**გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმის ფარგლებში გამართულ X სესიაზე, ჟენევაში, 16 ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა განიხილეს, საქართველომ 163 რეკომენდაცია მიიღო. „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წევრი გელა ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ ეს ციფრი საგანგაშოა და იმაზე მიუთითებს, რომ უკვე ევროპაშიც კარგად უწყიან საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.**



**გელა ნიკოლაიშვილი:**

— როგორც ვიცი, გაეროსგან 163 რეკომენდაცია მიიღო საქართველომ. აქედან 96-ზე დრო ითხოვა საქართველოს ხელისუფლებამ, დანარჩენს დაეთანხმა, 5 კი მაშინვე უარყო. ის ხუთი რეკომენდაციაც, რა თქმა უნდა, არ იყო უარსაყოფი, რადგან 90 დღემდე ადმინიტრაციული პატიმრობის ვადის გაზრდა არანორმალური და არაადეკვატურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ ქვეყნებშიც კი, რომელთაც არადემოკრატიულად მოიხსენიებენ და ნამდვილად არადემოკრატიულები არიან, 15 დღემდეა მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა, სხვა ქვეყნებში ეს ვადა არ აღემატება 20-30 დღეს; აქ კი — 90 დღე, სამთვიანი პატიმრობის ვადა, უკვე, ფაქტობრივად, თითქმის სისხლის სამართლის პატიმრობასთანაა გათანაბრებული და ამის უარყოფა მე დაუშვებლად მიმაჩნია.

**მთავარი დარღვევები, რასაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით, ძირითადად, სასამართლოს არ არსებობის შედეგია და აქედან გამომდინარე, იმის უარყოფა, რომ დღეს სასამართლოში ვითარება გამოსასწორებელია, არის თვალში ნაცრის შეყრა მსოფლიო საზოგადოებისთვის.**

საპატიმრო ადგილებში პატიმართა მდგომარეობის შესახებ შენიშვნების გაუთვალისწინებლობა სირაქლემის პოზაში ყოფნა და თვალების დახუჭვაა იმ უბედურებებზე, რაც იქ ხდება. **მხოლოდ გარეგნული ფასადები და თუნდაც კამერების სისუფთავე არ არის საკმარისი, მთავარია, რამდენად ადამიანურად ეპყრობიან პატიმრებს**, აქვთ თუ არა კვების, სამედიცინო მომსახურების, ჰაერზე ყოფნისა და, საერთოდ, ცხოვრების პირობები. არადა, ცნობილია, რომ მათ, ხშირ შემთხვევაში, არაადამიანურად ეპყრობიან, ულახავენ ღირსებას. ასე რომ, ეს რეკომენდაციები გასათვალისწინებელია, მაგრამ ამას ნორმალური, დემოკრატიული ხელისუფლება გააკეთებს და არა ის, ვინც ასეთი გაუსაძლისი პირობები, ასეთი გაუსაძლისი ფონი თავად შექმნა.

**— ხელისუფლება ხშირად აპელირებს, რომ საქართველო არის დემოკრატიის შუქურა და ევროპაშიც იციან ამის შესახებ, თუმცა გაეროს რეკომენდაციებმა საპირისპირო რამ აჩვენა.**

— საქართველო არის მხოლოდ ფასადური დემოკრატიის შუქურა. ფასადი ნამდვილად არის დემოკრატიული და ამაში იხარჯება მართლაც მილიონობით დოლარი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ბიუჯეტიდან და სხვადასხვა წყაროდან ურიცხავს სხვადასხვა ლობისტურ ფირმას შეკვეთილი სტატიებისთვისა და ღონისძიებებისთვის, ანუ აგიტაცია-პროპაგანდის თვალსაზრისით. საქართველო ბოლო წლების განმავლობაში ბევრის თვალში დემოკრატიის შუქურად გამოიყურებოდა (მე არ ვიტყვი, რომ დღესაც გამოიყურება), მაგრამ დღეს უკვე დასავლეთშიც კარგად იციან, რა იმალება რეალურად იმ ფასადს მიღმა და სწორედ ამიტომაც მისცა გაერომ საქართველოს ხელისუფლებას ასეთი სახის რეკომენდაციები.

**— 163 რეკომენდაცია საკმაოდ ბევრია, სხვა ქვეყნების შემთხვევაში რა სურათია?**

— 2002 წელს, შევარდნაძის ხელისფლების დროს, როდესაც გაეროში საქართველოს საკითხი იხილებოდა, ერთ-ერთ განხილვას მეც ვესწრებოდი. მოხსენება გავაკეთეთ „თავისუფლების ინსტიტუტმა", ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ჩვენმა ორგანიზაციამ — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის". ამ განხილვას, ასევე, ესწრებოდა გიგა ბოკერია და თინა ხიდაშელი. რა თქმა უნდა, მაშინაც გაკეთდა შენიშვნები, საუბარი იყო 4 თუ 5 შემთხვევაზე, როდესაც გარდაიცვალა და წინასწარი დაკავების ადგილას მოკლეს რამდენიმე ადამიანი. ეს, რა თქმა უნდა, ტრაგიკული და საგანგაშო იყო, თუმცა **ამჟამად ციხეებში ერთ წელიწადში 100-ზე მეტი ადამიანი კვდება, რაც გაცილებით დიდი ტრაგედიაა.**

შევარდნაძის ხელისუფლება არ იყო დემოკრატიის ოაზისი, ბევრი დარღვევა იყო და ამაზე ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციები, მივუთითებდით, მაგრამ დღეს დარღვევა გაცილებით მეტია და შესაბამისად, გაცილებით მეტია რეკომენდაციაც. მაგრამ, ას სამოცს რომ გადასცდა, ეს უკვე საგანგაშოა.

**— ევროსასამართლოში საქართველოდან შესული საჩივრები რაოდენობრივად გაცილებით ნაკლებია სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ, მოსახლეობის მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში პროცენტულად გაცილებით მაღალ მაჩვენებელს მივიღებთ.**

— რა თქმა უნდა, ამის დათვლა პროცენტულად უნდა მოხდეს და ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვა ქვეყნებს გაცილებით მეტი ტრადიციები აქვთ. თურქეთი და მსგავსი ქვეყნები, სადაც მართლაც ბევრი დარღვევაა, გაცილებით დიდი ხანია, ევროსაბჭოს წევრები არიან და ევროსასამართლოსთვის მიმართვის მეტი საშუალება აქვთ. ჩვენთან ეს პროცენტულად უნდა იყოს დაანგარიშებული და, ასეთ შემთხვევაში, **საქართველო თითქმის არ ჩამოუვარდება არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას, იმიტომ, რომ თანდათან გაიგო ხალხმა, რომ ევროსასამართლოში ჩივილი შესაძლებელია და ამის შემდეგ კიდევ უფრო გახშირდება საჩივრები, მით უმეტეს, რომ ამის საფუძველს ჩვენი ხელისუფლების სასამართლოების არასამართლიანი გადაწყვეტილებები იძლევა.**

**— თუკი არ შესრულდება გაეროს რეკომენდაციები, არსებობს თუ არა რაიმე მექანიზმი, რითაც შეიძლება ქვეყანა დაისაჯოს, თუ ეს მხოლოდ რეპუტაციაზე აისახება?**

— გაეროს ასეთი მექანიზმი არ გააჩნია, უბრალოდ, ქვეყანას სირცხვილის ბოძზე გააკრავენ და ამას შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები გაითვალისწინებენ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობა ან აქ ინვესტიციების ჩადება, თუ კრედიტების მიცემა და ა.შ დადგება დღის წესრიგში.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

**თანდათან გაიგო ხალხმა, რომ ევროსასამართლოში ჩივილი შესაძლებელია და ამის შემდეგ კიდევ უფრო გახშირდება საჩივრები**

**მხოლოდ გარეგნული ფასადები და თუნდაც კამერების სისუფთავე არ არის საკმარისი, მთავარია, რამდენად ადამიანურად ეპყრობიან პატიმრებს**

## გაბრაზებულნი



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი:**

სამწუხაროდ, ვიტანთ რატომღაც ასეთ გაუთლელს, უზრდელს, უჭკუოს. ისეთ ადამიანს, ვინც ამბობს, მარცვლეულზე ფასი იმიტომ გაიზარდა, ჩინელებმა ჭამა დაიწყესო და მანქანების ყიდვაცო. ამან ყველაფერმა საქართველოზე პირდაპირ იმოქმედაო. ეს კაცი ყოველთვის დასცინის ქართველ ხალხს. უნდა გამოფხიზლდეს საქართველო. ალჟირი და ტუნისი რომ ქუჩაში გამოვიდა, ჩვენზე ნაკლები ისტორია და კულტურა კი არ აქვთ?! ეშინია ქართველ ხალხს? მაშინ ვყოფილვართ მშიშარა, ჩასვრილი და გამყიდველი.

*„საერთო გაზეთი"*



**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერი:**

საქართველოში ერთ მშვენიერ დღეს მოსახლეობის მხრიდან აზვირთებას არ გამოვრიცხავ, რადგან ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდის. დიდი იმედი მინდა, ვიქონია, რომ მსხვერპლი არ იქნება. „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" გეგმების აღსრულების გარეშე, საქართველოში ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები გარდაუვალი იქნება.

*„პირველი"*



**კახა ძაგანია,**
**ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივანი:**

სააკაშვილის სამსაათიანი ბოდვის მოსმენას ჯობდა, იმ არხებისთვის გვეყურებინა, სადაც ცხოველთა სამყაროს აჩვენებენ. მტაცებელი ცხოველი იმდენს კლავს, რაც მისი არსებობისთვისაა აუცილებელი, ჩვენი მტაცებელი ხელისუფლება კი ვერ ძღება, რადგან დაკარგული აქვს ზომიერების გრძნობა! სანამ სააკაშვილი არ წავა ხელისუფლებიდან, არაფერი მოგვარდება; ვერც საერთაშორისო ურთიერთობებში მივაღწევთ წარმატებას, ვერც შიდა და გარე ვაჭრობაში გაუმჯობესდება მდგომარეობა და ვერც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შევძლებთ.

*„ქართული სიტყვა"*



**ნუკრი ქანთარია,**
**„ქართული აკადემიის" წევრი, რეჟისორი:**

თუ მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩება, გაგრძელდება ისეთი გულისამრევი სანახაობები, როგორიც, თუნდაც მისი უკანასკნელი ტელეხიდი იყო. ისევ გააგრძელებენ სათხილამურო ტრასების პლაჟებზე ჩატანასა და ზღვის ტალღების მთაში ატანას.

*„ყველა სიახლე"*



**მამუკა ნოზაძე,**
**ადვოკატი:**

მსჯავრდებულებს იმ ჰიგიენური ნივთების ყიდვას აიძულებენ, რომელთა უსასყიდლოდ მიწოდება სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს უნდა უზრუნველეყოთ. ხელისუფლების წარმომადგენელთა მფარველობის ქვეშ მყოფი მონოპოლისტი კომპანიები საკუთარ ვადაგასულ საკვებ პროდუქციას ციხეში გაორმაგებულ ფასად ასაღებენ. ამ მხრივ მონოპოლისტი „ეკო-ფუდია", რომელიც საპატიმრო დაწესებულებებში განთავსებულ სავაჭრო ობიექტებს ძირითად პროდუქციას აწვდის.

*„პირველი"*



**ეკა ბესელია,**
**მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ხელმძღვანელი:**

თუ ადრე 100 ათას მოსახლეზე 410 პატიმარი იყო, ამჟამად ეს მაჩვენებელი 500-ს აჭარბებს. ევროპის იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მოსახლეობა 20-30 მილიონია, არ არის იმდენი პატიმარი, რამდენიც ჩვენთან და ეს მაშინ, როცა საქართველოში დღეს, ფაქტობრივად, სამმილიონნახევარი ადამიანი ცხოვრობს. ეს ადასტურებს, რომ ქვეყანაში ტარდება რეპრესიული, სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა და „ნულოვანი ტოლერანტობის" ხაზი გრძელდება. ეს სჭირდება ხელისუფლებას, რადგან ავტორიტარული რეჟიმი ვერ ძლებს, თუ ძალადობას, შიშს არ ეყრდნობა და კიდევ — პატიმრები ბიუჯეტის შევსების უშრეტ წყაროდ იქცნენ.

*„ყველა სიახლე"*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ანზორ შონია:

# ენა, მამული, სარწმუნოება — სამი ღვთაებრივი საუნჯიდან სამივეს ეშმაკი დაეპატრონა

**ისტორიის ტოტალური გაყალბებისა და გაუფასურების პროცესი, „ვარდოსანთა“ წყალობით, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მწვერვალებს იპყრობს და დღითიდღე ამ პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი ხდება. ეს სახიფათო ტენდენცია დღეს უკვე იმდენად თვალშისაცემია, რომ „ნაცმოელებმა“ თურქეთი ისტორიულ მეგობრად, არაბეთი სტრატეგიულ პარტნიორად, ევროპა და ამერიკა კი ჩვენი კულტურულ-მენტალური იდენტობის მთავარ ბურჯად „დანიშნეს“ და, ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ლამის თაობებიც დაარწმუნონ ამ „ნაციონალური ბლეფის“ უტყუარობაში... ვინ და რა ძალები დგას ამ პროცესების უკან, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი და რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ისტორიული მეხსიერების წაშლა-განადგურებამ — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, პუბლიცისტი ანზორ შონია.**

**— ბატონო ანზორ, თქვენ ხშირად წერთ ობიექტური ისტორიის არქონაზე და ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ ხდება ისტორიის ტოტალური გაყალბება... შეიძლება, ამ კითხვას არც უნდა ვსვამდე, მაგრამ, თქვენი აზრით, პოლიტიკა, რომელსაც დღეს ჩვენი ხელისუფლება მეზობელ სახელმწიფოებთან, უწინარესად, რუსეთთან და თურქეთთან მიმართებაში ატარებს, რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული გეზის გაყალბების მცდელობად?**

— ობიექტურობა, სამართლიანობა და, გნებავთ, ფაქტობრივი სიზუსტეც ჩვენს ისტორიას, ისტორიულ წყაროებს (ყველას არ ვგულისხმობ, რასაკვირველია) აშკარად აკლია და ეს იმდენად ამოუწურავი საკითხია, რომ ამაზე დაუსრულებლად შეიძლება ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ. **მიმაჩნია, რომ საქართველოს ისტორია დღემდე არ არის დაწერილი, ამიტომ ლაპარაკი იმაზე კი არ უნდა იყოს, არის თუ არა ის ობიექტური, არამედ საკითხი, უწინარესად, ასე უნდა დაისვას: გვაქვს კი ისტორია, როგორც სრულყოფილი მეცნიერული დისციპლინა?..** რაც უფრო დიდხანს დავხუჭავთ თვალს ამ სავალალო რეალობაზე, მით უფრო საჩოთირო იქნება მომავალში ჩვენი და ჩვენი ქვეყნის ისტორიის ობიექტურობაზე, სანდოობაზე ლაპარაკი...

**— კი მაგრამ, თუ ისტორია დაწერილი არ არის, მაშ, რას ასწავლიან სკოლებში?**

— ისტორია, როგორც მეცნიერება და მეცნიერული დისციპლინა, მაშინაა სრულყოფილი, როცა მაქსიმალურად ობიექტურია და ეჭვს არ იწვევს მისი უტყუარობა. მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, **რომელ უტყუარობაზეა ლაპარაკი, როცა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ქართლის ცხოვრებაში“ შავით თეთრზე წერია, ქართველები და სომხები ერთი წარმომავლობისანი არიანო და ჩვენ ამის გვჯერა.** არა, ამით იმის თქმა არ მინდა, „ქართლის ცხოვრება“, როგორც ისტორიული დოკუმენტი, თავიდან ბოლომდე უვარგისი და გადასაგდებია-მეთქი. მაგრამ, თუ ჩვენთვის ჩვენი ისტორიის უტყუარობა, მისი სიწმინდე და დამაჯერებლობა ყველაფერზე მნიშვნელოვანია, მაშინ თხზულების იმ ნაწილში, სადაც ჩვენი და სომხების საერთო წარმომავლობაზეა ლაპარაკი, გარკვეული ფორმით უნდა ჩაიწეროს, უნდა ჩაინიშნოს, რომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. ასეთივე ჩასწორებები უნდა გაკეთდეს სხვა მსგავს წყაროებშიც, სადაც დამახინჯებულია მთელი რიგი ისტორიული ფაქტებისა, ვინაიდან, ვიმეორებ, **სწორედ ასეთი დამახინჯებული ფაქტებისა და მოვლენების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია ის, რომ არ გვაქვს ჭეშმარიტად ობიექტური ისტორია, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო და ბოლომდე ენდო ყოველგვარი დაეჭვებისა და პოლემიკის გარეშე.**

რაც შეეხება ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ის, რაც ამ წიგნებში, განსაკუთრებით ჩვენი უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოებში წერია, არის სრული აბსურდი და ყოველგვარ ჭეშმარიტებას მოკლებული, ვინაიდან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მათი ავტორების უმეტესობა, ნებით თუ უნებლიეთ, თვითონაც იყვნენ იმ პროცესების მონაწილე, რომლებიც მაშინ ვითარდებოდა საქართველოში და, ბუნებრივია, ისინი ობიექტურად ვერ შეაფასებენ ამ მოვლენებს. გარდა ამისა, **არც ერთი ავტორი, არც ერთი ისტორიკოსი დღეს (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) პოლიტიკური კონიუქტურისგან ბოლომდე თავისუფალი არ არის, ყველა ვიღაცის ინტერესებს ემსახურება, ყველა ვიღაცის „გათეთრებას“ ცდილობს და ეს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ დღევანდელი ჩვენი ისტორია თავიდან ბოლომდე არის ტენდენციური, იმდენად ტენდენციური, რომ, უბრალოდ, შეუძლებელია, მას ვენდოთ და დავუჯეროთ...**

**— როგორც გატყობთ, თქვენ ისტორიის გაყალბებას მხოლოდ ისტორიკოსებს აბრალებთ, მაგრამ ბევრი ამ ტენდენციაში ხელისუფლების შეკვეთას ხედავს...**

— სამწუხაროდ, ეს ფაქტია და ამას ვერავინ უარყოფს... ნახეთ, რა გადაცემები გადის ამ ე.წ. სახელისუფლო არხებზე — „სპეციალური რეპორტაჟი“, ამის რეპორტაჟი, იმის რეპორტაჟი, მოკლედ ცვენაა პროპაგანდისტული შოუების და ყველგან გაიძახიან, გაჰკივიან ერთსა და იმავეს — საბჭოთა კავშირი, ეს იყო ბოროტების იმპერია, კომუნისტებმა დაგვღუპეს და დაგვაქციესო... **ამ ბოლო დროს კიდევ ბერია ამოიჩემეს სალანძღავად და მოსათხრელად... არადა, ბერია რომ არ ყოფილიყო, დღეს საქართველო ან იქნებოდა, ან — არა; ტერიტორიულ მთლიანობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ისე დავიშლებოდით და ისე დავქუცმაცდებოდით, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის ნიშანწყალიც აღარ იქნებოდა დარჩენილი.**

დღეს რომ ესენი ბურებსა და ვილაც ათასი ჯურის გადამთიელებს გვისახლებენ, მაშინ ასეთი გაუგონარი რამეები კი არ ხდებოდა, ის კაცი ხალხზე ფიქრობდა და ყველაფერი, რასაც აკეთებდა, სწორედ ხალხის კეთილდღეობაზე იყო გათვლილი. ეს ნაძირლები, რასაც აკეთებენ, ყველაფერს შეგნებულად სჩადიან. იციან, რა შედეგიც მოჰყვება მათ თითოეულ ქმედებას და მაინც უკან არ იხევენ, იხტიბარს არ იტეხენ... მოდერნიზაციაო, ევროპიზაციაო, — აი, რას გვთავაზობენ ეს ცხვირმოუხოცავი ე.წ. ლიბერალები, ჩვენ კიდევ ისეთი სულელები როგორ უნდა ვიყოთ, რომ ყველაფერზე თვალს ვხუჭავდეთ და ყველაფერს ვყლაპავდეთ, რაც ამ ცინგლიან იდიოტებს მოეპრიანებათ. ისე, კაცმა რომ თქვას, მთავარი დამნაშავე და ბიძგისმიმცემი იმ პროცესებისა, რასაც ესენი წარმართავენ, ისევ და ისევ ჩვენ ვართ — ხალხი, თორემ ნორმალური და ღირსეული ცივილიზებული საზოგადოების პირობებში, ხელისუფლებას აზრადაც არ უნდა მოსდიოდეს, შეეხოს ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებას, როგორიც ისტორია და მისი სიწმინდეა... ჩვენ ვაძლევთ ამათ ყველაფრის უფლებას და სამწუხაროა, მაგრამ როცა ისტორიის გაყალბებაზეა საუბარი, ისიც უნდა ითქვას, რომ მთავარი გამყალბებლები ჩვენ ვართ — ქართველი ერი...

**— მაინც რას გულისხმობთ, კონკრეტულად რაში გამოიხატება ჩვენი მონაწილეობა გაყალბების პროცესში?**

**— როცა სტალინის ძეგლს მოგითხრიან, როცა დიდების მემორიალს აგიფეთქებენ და თან კიდევ მოზარდის სიცოცხლეს შესწირავენ ამ ბარბაროსობას, როცა მთელ რიგ ისტორიულ ძეგლებს საბჭოური სიმბოლიკის გადმონაშთად გამოგიცხადებენ და შენ ამ ყველაფერზე სამარისებურად სდუმხარ, ღირსი ხარ ყველაფრის, რასაც ეს ცინგლიანი იდიოტები გიკეთებენ!** საერთოდ, ადამიანის ბუნება ასეთია: როცა ის რამე ცუდს აკეთებს, ყოველთვის ეშინია, რომ დაისჯება, მაგრამ, თუ არ დაისჯება, მერე და მერე უკვე შიშიც ქრება და იმ ცუდ საქმესაც ისე აკეთებს, რომ არავის და არაფერს ერიდება.

ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა — **ჯერ იყო და სარწმუნოებას შეუტიეს, ეკლესია შეურაცხყვეს (გახსოვთ, გლდანში რა ამბებიც დატრიალდა). შემდეგ ტერიტორიები დაგვაკარგვინეს, რაც დაგვრჩა, უცხოელებზე გაგვიყიდეს; ახლა კიდევ ენას გვართმევენ და რაღა დაგვრჩა? სამი ღვთაებრივი საუნჯიდან სამივეს ეშმაკი დაეპატრონა... ჩვენ რას ვაკეთებთ ამ დროს? — არაფერს, ვზივართ ჩვენ-ჩვენს სახლებში და მშვიდად ვაკვირდებით ამ უმსგავსობას.** ახლა ვინმე მეტყვის, რომ ეს ნორმალურია? რომ ღირსეული და თავმოყვარე ერი შეიძლება ასე ითმენდეს და პირდაფჩენილ ლოქოსავით ყლაპავდეს ყველაფერს?..

არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ მგონია, რომ ჩვენ, ქართველები, არ ვართ მებრძოლი და გამძლე ერი, პირიქით — ძალიან დამთმობი და ადვილად დასამორჩილებელი ხალხი ვართ. ამიტომაც გვახვევენ თავს ათასგვარ სისულელეს და სიბინძურეს; ხან გვარწმუნებენ, რომ თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია, ხან — რომ დედამიწის ზურგზე არავის ჩვენისთანა დემოკრატია არ აქვს...

**— ხან კიდევ, ამერიკა რომ ჩვენი ერთადერთი მხსნელია, რუსეთი კი — დამაქცევარი...**

— ყველა ჩემს წერილში ხაზგასმით აღვნიშნე ერთი რამ: **რომ არ ყოფილიყო რუსეთი, დღეს საქართველო, როგორც ქვეყანა, აღარ იქნებოდა, ჩვენი სახელმწიფოებრიობა არსებობას შეწყვეტდა ორი საუკუნის წინათ, ხოლო ჩვენ — ქართველობა, საერთოდ გავქრებოდით პლანეტიდან.** რაც შეეხება ამერიკას, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის დღეს უკვე ცხადია, რომ ეს ქვეყანა, ეს იმპერიული მონსტრი, საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით მცირე ერებს და მათ შორის, ბუნებრივია, ჩვენც, ვინაიდან ცივილიზაციური ერთფეროვნება, საითაც ის მიისწრაფვის, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მცირე ერებისთვის ეროვნულობისა და ეროვნული იდენტობის მოსპობას.

ახლა ჩვენ უნდა განვსაჯოთ და გადავწყვიტოთ, რა ჯობია ჩვენთვის — რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, ანუ ამ რთულ დროში გადარჩენა, თუ იმ „დასავლეთთან“ ყურმოჭრილ მონასავით ყოფნა, რომელიც გადაშენებასა და გადაჯიშებას გვიქადის. ყველაფერი ძალზედ მარტივია და, ამ შემთხვევაში, არჩევანის გაკეთება არ უნდა გაგვიჭირდეს, მით უმეტეს, დღეს ჩვენ იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ ვიყოყმანოთ. **ქვეყანა ჭაობშია ჩაფლული და აქედან რამენაირად თუ არ ამოვძვერით, ისე გავქრებით, რომ ჩვენი ნაკვალევიც აღარ დარჩება დედამიწაზე. მერე ვინც უნდა იძახოს ძარღვის გაწყვეტამდე, ამერიკა და ევროპა ჩვენი მხსნელიაო, ხომ იცით, ნეტარ არიან მორწმუნენი...**

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

## რომ არა რუსეთი, დღეს საქართველო აღარ იქნებოდა

## მოკლედ

### ამერიკა მზად არაა

**ალიასკის არქტიკულ მეჩეჩზე ნავთობის მოპოვებისას, შესაძლო ავარიის შემთხვევაში, აშშ შექმნილ მდგომარეობასთან გასამკლავებლად ტექნიკურად მზად არაა. ამის თაობაზე ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო სამსახურის გადამდგარმა ადმირალმა ტედ ალენმა განაცხადა.** ალენმა დასძინა, რომ ახლა აშშ-ის სანაპირო დაცვას მხოლოდ სამი ყინულმჭრელი ჰყავს და მათგან რეალურად მხოლოდ ერთი ფუნქციონირებს. ყოფილი ლეიტენანტისა და ალიასკის გუბერნატორის — ფრან ულმარის განცხადებით კი, ვიდრე შტატის ჩრდილოეთ სანაპიროსთან ბურღვას დაიწყებდნენ, ხელისუფლებამ სანაპირო დაცვის განვითარებაში სახსრები უნდა ჩადოს. ულმერი, რომელიც მეჩეჩის ბურღვის პერსპექტივის შეფასების საპრეზიდენტო კომისიის ერთ-ერთი წევრია, სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას მოითხოვს, რათა მექსიკის ყურის მსგავსი მასშტაბური გაჟონვა აღარ განმეორდეს.



### მართლმადიდებლები პროტესტს აცხადებენ

**ათასობით ბერძენმა მართლმადიდებელმა ათენის ცენტრალურ მოედანზე საპროტესტო აქცია გამართა. სინტაგმას მოედანზე შეკრებილები ქვეყნის მთავრობის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში პირადობის დამადასტურებელი ახალი, ელექტრონული ჩიპით აღჭურვილი დოკუმენტი უნდა ამოქმედდეს.** „მართლმადიდებელო ბერძნებო, გაერთიანდით!“ — ეს მომიტინგეთა მთავარი ლოზუნგი იყო. მათ მოედანზე საბერძნეთის დროშებიც მოიტანეს. „ჩვენ ავირჩევთ ან საცოდავ, მთლიანად კონტროლირებად არსებობას, ან დავიცავთ საკუთარ უფლებას — ვიცხოვროთ როგორც თავისუფალმა მოქალაქეებმა მართლმადიდებელ და დემოკრატიულ ქვეყანაში“, — წერია აქციის ორგანიზატორთა მიერ გავრცელებულ განცხადებაში. მართლმადიდებელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ახალი მოწმობები მოქალაქეების ტოტალური კონტროლისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, ზოგიერთი კი თვლის, რომ მოწმობაზე ფარულად გამოსახულია „მხეცის რიცხვი“ 666, რომელიც ანტიქრისტეს სიმბოლოა და რომელიც აპოკალიფსშია აღწერილი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ძირს სიმინდის რესპუბლიკა!»

**ის დრო დადგა საქართველოში, კოლმეურნეობების პერიოდის შაირები გავიხსენოთ, მაგალითად, ეს:**
**„დიმპიტარო, დამპიტარო, თავმჯდომარეს დიდი ტარო...“**
**ზოგჯერ „ხმელი ტაროო“, წაუმღერებდნენ.**
**„ბრიგადელს და დანარჩენსა — დამპალი და ჭყინტი ტარო“.**
**იყო ასე და ამგვარად. „თავმჯდომარე“ ახლაც არაფერს მოიკლებს, ხალხს კი ის დამპალი და ჭყინტი ტაროც სანატრელი გაუხდება. სულიც ამოხდომია! შიმშილისაგან. ის შაირი უწმაწურად მთავრდებოდა, რაც ტაროს სვლაგეზის საბოლოო პუნქტთან იყო დაკავშირებული: როგორც პალოო...**



ვინაიდან დღეს საქართველოში იოლად გადიან ფონს ორი საკვანძო სიტყვით — **„მაგარია“** და **„ძაან“**, რომლებსაც ყველა სიტუაციას არგებენ, უპრიანი იქნება, შევახსენოთ, რას აღნიშნავს სიტყვა „ტარო“, რომელიც, სხვათა შორის, შეიძლება იყოს მაგარიც, ძალიან მაგარიც, დიდიც და პატარაც.

**„ტარო** — ყვავილების ერთ-ერთი ტიპი. აქვს სქელ ღეროზე მჭიდროდ მჯდომარე ყვავილები (მარცვლები, თესლი). სიმინდის ტარო“ **(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 წ., გვ. 418).**

ტაროზე — სიმინდის ტაროზე ყოფილა დამოკიდებული ჩვენი ხალხის მომავალი, ბედნიერება, სიკეთე და ბარაქა, რაშიც დაგვარწმუნა გასული კვირის თათბირმა, რომელიც გაიმართა მიხეილ სააკაშვილის რეზიდენციაში და რომლის შესახებ სიუჟეტები სახელისუფლბო ელექტრონულმა მედიამ მთელ ქვეყანას მოსდო და მოჰფინა ცის მანანასავით.

ლაპარაკობს სააკაშვილი:

**„იყო დავალება, მაქსიმალურად შევუმსუბქოთ ჩვენს ხალხს მსოფლიოში ფასების ზრდით განპირობებული სიძნელეები... პირველი დავალება იყო, რომ ელექტრო(ენერგიის) ვაუჩერი გავაკეთოთ, იმიტომ, რომ ყველაზე მეტად, ალბათ, სითბო ოჯახებში ზამთრის განმავლობაში არის გარკვეულწილად შემამსუბუქებელი გარემოება(!). რაღაცნაირად ჩვენს ხალხს გაუადვილებს უფრო ცხოვრებას. ვაუჩერები უკვე მზად არის ხომ?“**

მრგვალსახიანი და სათვალიანი ბიჭი უდასტურებს, რომ მზად არის.

**„რამდენ ხანში დაიწყება დარიგება“?**

მრგვალსახიანი, ეტყობა, ენერგეტიკის მინისტრი, უპასუხებს, რომ ვაუჩერების დარიგება დაიწყება 10 თებერვლიდან და იქნება 20 ლარის ღირებულების. სააკაშვილი, რომელსაც ხელში ვაუჩერის სასიგნალო ეგზემპლიარი უჭირავს, მას მიმართავს, რომ, აქ რასაც უყურებს, **„წვრილი ასოებითაა დაბეჭდილი, გთხოვთ, რომ ცოტა გავზარდოთ ზომა, რომ ხალხს შეეძლოს ამ ვაუჩერის გამოყენების წესის წაკითხვა“.**

ვაუჩერის შრიფტის გაზრდა №1 ამოცანა და ნიმუშია ხალხზე ჭეშმარიტი ზრუნვის! შიმშილისგან თვალმიბნედილ ადამიანებს წვრილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტის წაკითხვა რომ არ გაუჭირდეს, გავზარდოთო!

გმადლობთ!

**აქედან დაიწყო ხრუშჩოვიადა, ანუ ამერიკული სიმინდის სასწაულებრივი თვისებების საქართველოში გადმოტანის უმაღლეს დონეზე პროპაგანდის დემონსტრაცია, რასაც, ერთი ხანია, ჩაგვჩიჩინებს ჩვენზე თავგადაკლული ხელისუფლება.**

მიხეილ სააკაშვილს აინტერესებს:

**„ინფლაციური ტვირთის გამო ის ნაბიჯები გარკვეულად დავსახეთ, რომ მოსავლიანობა გაიზარდოს და მინიმუმ ის მაინც გავაკეთოთ, რომ ჩვენმა სოფლის მოსახლეობამ მსოფლიოში გაზრდილი ფასებით იხეიროს, საჭმელზე (!) გაზრდილი ფასებით. აი, ამ მიმართულებით რა კეთდება?“**

გაზრდილი ფასები — ბედნიერების წყარო!

შეკითხვა — სოფლის მეურნეობის მინისტრს, რომელიც დაზეპირებულ საშინაო დავალებასავით უპასუხებს. **დასახულია სიმინდის პროგრამა**, რომლის განხორციელების შედეგად **მინიმუმ გასამმაგდება სიმინდის მოსავალი.**

სააკაშვილი წაეშველება:

**„პირველად გავხდებით სიმინდის ექსპორტიორები!“**

და კვლავ შეეკითხება:

**„მიდის განმარტებითი სამუშაო, რომ ეს გაზრდის ხუთჯერ, ათჯერ მოსავალს? კახეთში მითხრეს, რომ გლეხები მაინც ძალიან ფრთხილად ეკიდებიან“.**

და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, განაგრძობს ამერიკული სიმინდის თესლის ქებათა-ქებას:

**„ამ შემთხვევაში, მე მგონი, აბსოლუტურად წაუგებავი სიტუაციაა. ნამდვილად ზრდის მოსავლიანობას ზოგჯერ სამჯერ, ზოგჯერ — ათჯერ! გააჩნია, როგორ მოუვლი. რატომ უარობს, აბა, ხალხი?“**

გაიკვირვებს ძალიან.

აი, აქ სააკაშვილი მიიღებს ისეთ პასუხს, რომელიც სისულელის აპოგეაა, სუპერშედევრია მათი აზროვნების:

**„იმდენად იზრდება მოსავალი და შემოსავალი, რომ ცოტა რთულია ამის დაჯერება“.**

ავოეეე!

**«იმდენად იზრდება მოსავალი და შემოსავალი, რომ ცოტა რთულია ამის დაჯერება»**




**ასეთი სიბრიყვე ხრუშჩოვსაც არ დასცდენია** (ნიკიტაზე სათქმელს ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ).

მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი სიბრიყვე, მეორე, რომელიც ამ „მინისტრმა“ აქვე დააბრახუნა, შეიძლება პირადად მას შემოუბრუნდეს თანამდებობის დატოვებად.

უფროსი ეუბნება — **ამერიკული თესლი ათჯერ ზრდის მოსავალსო.** ეს ჭკუისკოლოფი კი შინმომზადებულ დავალებაზე დგას, სიტუაციას ალღოს ვერ ულებს და გლახა ჭრიაშვილივით ერთხელ აჩემებულს იმეორებს, როგორც პატეფონის გაცვეთილი „პლასტინკა“:

**„— საქართველოში გასამმაგება არის მინიმუმი შედეგი ამ შემთხვევაში სიმინდის კულტურასთან მიმართებაში“.**

შენი ქართულის ჭირიმე, შენი! ანუ ქართულთან შენს მიმართებაში!

ნახა ეს ქართველმა ხალხმა, უცქირა ქართველმა გლეხობამ და 2013 წლამდე გადადო „ეგვიპტის ვარიანტის“ გამეორება საქართველოში. თუმცა გულის სიღრმეში დარწმუნებულია, რომ **იმ გასამმაგებიდან რომელსაც ჰპირდებიან, მიიღებს სამი თითის კომბინაციას, ანუ ბრაწს.**

ჰოდა, ვთქვათ, ახლა ორიოდ სიტყვა ნიკიტა ხრუშჩოვზე, საბჭოთა კავშირის ლიდერზე და „დათბობის“ ავტორზე, რომელსაც სიმინდის ტაროებით შემოჰყავდა კომუნიზმი მისი „რეფორმებით“ გაძვალტყავებულ იმპერიაში.

რა დროს ხრუშჩოვია?

მეც მანდ ვარ, მაგრამ **ეს ჩვენი მიხეილი ნიკიტასავით ამერიკულ სიმინდზე რომაა გაგიჟებული და ამ კულტურის „ამერიკულ ვარიანტში“ ქვეყნის კრიზისიდან, ანუ „ინფლაციური პროცესიდან გამოყვანის“ გზას რომ ხედავს, ხომ ფაქტია?**

ფაქტია!

თუ აქამდე „ამერიკული თეთრის“ საქართველოში მასობრივად თესვა მეორეხარისხოვან „ხელმძღვანელთა“ ახირება გვეგონა, ახლა, ზემოთ მოყვანილი ტელესიუჟეტის ნახვის შემდეგ, ხომ დარწმუნდა მთელი საქართველო, რომ ინიციატივის ავტორი მიხეილ სააკაშვილია?

დარწმუნდა.

ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ **ყველაფერი, რასაც ჩვენი ხელისუფლება გვთავაზობს, ერთი კაციდან მოდის — მისით იწყება და მისით მთავრდება.**

**დანარჩენები კი „პრომეთეს მღვიმეში“ სხედან და ამერიკული სიმინდის მჭადსა ჭამენ.**

1959 წელს ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვი პირველად ჩავიდა ამერიკაში, იქაური სიმინდის ყანები ნახა და გადაირია.

გადაირია და გადაწყვიტა, ამერიკის გამოცდილების დაუყოვნებლივ გადმოტანა საბჭოთა კავშირში.

გადაწყვეტილებას სკკპ ცკ და მინისტრთა საბჭოს დადგენილება მოჰყვა და საბჭოთა კავშირში დაიწყეს სიმინდის მასობრივად მოყვანა.

იმდროინდელი „ჩასტუშკაა“ — შაირი ჩვენებურად:

**„Во всех областях**
**И краях Союза,**
**Может давать**
**Урожай кукуруза“.**

„ჩასტუშკის“ **может** პრაქტიკულად ბლეფი გამოდგა, ისეთი სისულელე, როგორიც ნიკიტას წამოწყებული მთელი სასოფლო სამეურნეო რეფორმა, რამაც თავის დროზე კარგ ხასიათზე დააყენა დიდი ბრიტანეთის უკვე ხანდაზმული პრემიერი უინსტონ ჩერჩილი: სიბერე კი არ მომკლავს, სიცილისგან მოვკვდებიო.

ხორბლის იმპორტიორმა საბჭოთა კავშირმა საზღვარგარეთ მარცვლეულის შესყიდვა დაიწყო.

ყველგან, მათ შორის, თბილისშიც შავ, „ტალახიან პურზე“ დიდი რიგები დადგა.

სულ მალე ამ პურის რიგებს ხრუშჩოვის გადაგდება მოჰყვა... ნიკიტა თანდათან დაივიწყეს. სამაგიეროდ შთამომავლობას დარჩა მისი „უკვდავი ფრაზა“: **„პოლიტიკოსები ყველგან ერთნაირები არიან — ისინი გვპირდებიან ხიდის აშენებას იქ, სადაც მდინარის ხსენებაც არ არის!“**

მისი ნათქვამია? სხვამ დაუწერა? ახლა ამის დადგენა ძნელია. სამაგიეროდ, **დღესავით ნათელია, რომ ამერიკული სიმინდის თესლის ჩვენს ნიადაგში ჩაგდება, ამ უვიცი ლიდერის ნაანდერძევია: „მიდიოდა რა ჩვენგან ამხანაგი ნიკიტა, დაგვიბარა...“**

წერეთლის დანაბარები ვერ გაგვირკვევია, ხრუშჩოვის დანაბარებს თავს ვაკლავთ.

ხრუშჩოვიადა ფეხს იკიდებს საქართველოში, ბატონებო, ეპოქა ამერიკული სიმინდის.

მაგრამ იმ რეალობას რა ვუყოთ, ჩვენი ქვეყნის ჰავა და ნიადაგები რომ არ ემთხვევა აშშ-ის აიოვას შტატის შესაბამის პარამეტრებს? ვინმემ ერთხელ მაინც, თუნდაც ერთ წელიწადს, შეისწავლა, რამდენად ეგუება ამერიკული სიმინდის თესლი ჩვენს პირობებს?

**კომუნისტების დროს ყველა რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისია, რომელიც უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული და რომლის კომპეტენტური დასკვნის გარეშე ვერანაირი ჯიში ვერც ერთ რაიონში ვერ გავრცელდებოდა.**

**ჯიშთა დარაიონებას, მაღალმოსავლიანი ჯიშების შერჩევას იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა, ისეთ მნიშვნელოვან საქმედ იყო მიჩნეული, რომ ამ კომისიის თანამშრომლებს ომის დროს ე.წ. ჯავშანი ჰქონდათ — ფრონტზე არ მიჰყავდათ.**

ხრუშჩოვმა ეს აუცილებელი წინაპირობა — გამოცდა, შესწავლა — პირწმინდად უარყო. ასეთ დამოკიდებულებას მისი გადაგდების შემდეგ ვოლუნტარიზმი უწოდეს.

**რაღა მაინც და მაინც ამ გზას დაადგა მიხეილ სააკაშვილი?** ყოველთვის იქ წყდება, სადაც წვრილია! რის გამოცდა! რა გამოცდა! თქვა და იქნება ისე, როგორც ბრძანა: სამიდან ათამდე გაიზრდება სიმინდის მოსავლიანობა!

ისტორიული მაგალითი გვარწმუნებს, რომ ავანტიურიზმი, იწყება სწორედ ასე, ხოლო ავტორსა და განმახორციელებლებს სცემენ.

**„— მშიერ კუჭზე ასეთი სისულელეების ლაპარაკი არ შეიძლება...**

**— გვცემენ! — მწარედ წარმოთქვა ვორობიანოვმა...**

**— გაუფრთხილდით პენსნეს! — გამწარებით იყვირა ოსტაპმა და ხელი უშვა ნიჩბებს, — ახლა დაიწყება!**

**— ბატონებო! — მამლაყინწას ხმით წამოიყივლა იპოლიტ მატვეევიჩმა, — ნუთუ მართლა გვცემთ?**

**— მერე როგორ! — აქუხდნენ ვასიუკელი (ჭადრაკის) მოყვარულები“. (ილფი და პეტროვი, „თორმეტი სკამი“).**

„აწვებიან“ ქართველ გლეხობას, რაკი დიდი ენთუზიაზმით არ ხვდება ავანტიურისტების „რაციონალიზატორულ წინადადებას“. არ სჯერათ, რადგან ვერ წარმოუდგენიათ, რომ ბედნიერება თავისი ფეხით, გაათკეცებული მოსავლიანობით კარს მოსდგომია.

გლეხს ახსოვს, რომ შარშანდელი სიმინდის მოსავალი პირწმინდად გადაეხრუკა და ჩალაც არ დარჩა საქონლისთვის!

„ბუნება მბრძანებელია!..“

ყველა მმართველი ერთმა დიდმა სისულელემ უნდა გააგიჟოს აუცილებლად, ერთმა ბრიყვულმა აკვიატებამ მაინც:

ლევ ტროცკი მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციას ქადაგებდა;

ლეონიდ ბრეჟნევი ყამირი მიწების ათვისების გლობალურმა პროექტმა გაიტაცა;

ნიკიტა ხრუშჩოვი 20 წელიწადში კომუნიზმის დამყარებას დაჰპირდა ხალხს, მესიმინდეობისა და მეღორეობის განვითარების და „ხრუშჩოვკების“ მასობრივი აგების გზითა და საშუალებით;

იური ლუჟკოვი რუსეთის ჩრდილოეთის მდინარეების სამხრეთისკენ გადმოგდებამ გააგიჟა.

**ჩვენ უფასო მასობრივი კონცერტებისა და ათჯერადად გაზრდილი სიმინდის მოსავლით, გრანტებით დაგებული ბეტონის გზებით, მტკიცე ნაბიჯებით მივიწევთ კაპიტალიზმის ნათელი მწვერვალებისკენ.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** **კახეთში მკლავის სიმსხო სიმინდის ტაროზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, ბოდიში მომიხდიაო, იტყვიან, ამხელააო, და იდაყვში მოხრიან მარჯვენა ხელს...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბუშის სახელობის ქუჩით საგარეო ვალს ვერ გაისტუმრებ

ორიოდ საქებარი წერილი, რომელიც რუსულ მედიაში გამოქვეყნდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეფორმების შესახებ, ჩვენმა სახელმწიფო პროპაგანდამ ისე აიტაცა და მოგვაწოდა, როგორც რუსეთის პრესის (რუსეთისაც კი!) მიერ საქართველოში მიმდინარე პროცესების დადებითი შეფასება, რომელთა გადაღებას იჩქარის ჩვენთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა.
ამაზე უკეთესი დადასტურება სააკაშვილის რეფორმების წარმატებისა და პროგრესულობის, ძნელი წარმოსადგენია. მართლა ასეა?
ანალიტიკოს ანდრეი ეპიფანცევის ვრცელი სტატია „ქართული რეფორმების ანალიზი. რამდენად მისაღებია რუსეთისთვის?“ ამ შეკითხვას კატეგორიულად უპასუხებს: არა, არ არის მისაღები, რადგან თეატრალურია და მათი შედეგი ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის. ოდინდელი ქართული ტრადიციის შესაბამისად, ქართველი ხალხი მესიის მოსვლას ელოდა.
ასეთად ჯერ ედუარდ შევარდნაძე შეიცნო, შემდეგ — მიხეილ სააკაშვილი. არც ერთმა არ გაუმართლა. „ზეკარდინალური რეფორმები იყო ის, რისთვისაც ქართველმა ხალხმა დაიქირავა მიხეილ სააკაშვილი, ის, რაც მას დაავალა“. მაგრამ მათი განხორციელება წარმატებული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ დასავლეთის დახმარების შემთხვევაში, მაშინ, „თუ ისინი დასავლეთის მსგავსი რეფორმები იქნებოდა“. მსგავსი კი იყო, მაგრამ წარმატებული — არა.
ასეთია აღნიშნული პუბლიკაციის პათოსი.
დღეს „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ
ანდრეი ეპიფანცევის სტატიის ანოტირებულ თარგმანს.

## ანდრეი ეპიფანცევმა სააკაშვილის რეფორმებისგან ქვა ქვაზე აღარ დატოვა



## რეალურად, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად რჩება

### დაეჯახება თუ არა საქართველო დედამიწის ღერძს?

„ჭეშმარიტად გეუბნებით, 1925 წლის 4 მაისს დედამიწა ზეციერ ღერძს დაეტაკება!“ — ამბობდა პროფესორ პრეობრაჟენსკის მზარეული ქალი ეპიკური ფილმიდან „ძაღლის გული“. დაახლოებით ასეთი იქნება ქართული რეფორმების შედეგი, ასკვნიან რუსი ანალიტიკოსები.

**ქართული რეფორმების რეალური შედეგი ლამაზ სარეკლამო სურათსა ჰგავს, ისევე, როგორც, მაგალითად, არხი კანალიზაციას. თვით ქართველები კი სტანდარტულ ფრაზას იმეორებენ — „ჩვენთან პოლიცია ქრთამს არ იღებს“.** როგორც ეტუშის პერსონაჟი ლეგენდარული ფილმიდან „კავკასიული ტყვე ქალი“ იტყოდა, „ეს ყველაფერი კარგია, რა თქმა უნდა, ყველაფერი სწორია...“, მაგრამ ცოტა რამეს თუ გვეუბნება ამ ქვეყანაში (საქართველოში) არსებულ რეალურ ვითარებაზე.

**რეიტინგები (რითაც ტრაბახობენ) შესანიშნავი რამეა, მაგრამ ხელფასს რეიტინგებით არ არიგებენ; მთლიანი შიდა პროდუქტი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მაგრამ თუ მე ერთ მშვენიერ დღეს ყურებამდე ვალებში ჩავიძირები, ჩემი მშპ წარმოუდგენლად გაიზრდება. ზეგ კიდევ უფრო მეტი მექნება გადასახდელი.**

გაცილებით მნიშვნელოვანია არა რეიტინგის სტრიქონები და მთლიანი შიდა პროდუქტის შიშველი ციფრები, არამედ იმის გარკვევა, რის ხარჯზე გაიზარდა იგი, როგორია ამ მაჩვენებლის სტრუქტურა, რა ვალი აქვს ქვეყანას და როგორ აისახება ეს ყველაფერი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ბრწყინვალე რეიტინგები, რითაც უყვართ თავის მოწონება ქართველ ხელისუფალთ, ეკონომიკის ეფექტიანობას კი არ ეხება, არც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონესა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობას, არამედ საკითხებს, რომლებიც არ შეიძლება იყოს თვითმიზანი, მაგალითად, სამეწარმეო თავისუფლებას. რბილად რომ ვთქვათ, საქართველოს ეკონომიკის სრულყოფილებას ძალიან დაშორებულია.

დასავლელი ეკონომისტების მიერ ქართული რეფორმების აღფრთოვანებული შეფასებების საწინააღმდეგო, **რეალური მაჩვენებლებით საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამი ქვეყნიდან პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად რჩება.** აზერბაიჯანთან მისი შედარება ძნელია, რადგან ბაქოს მდიდარი ნავთობის ფაქტორი გააჩნია, სომხეთთან — შეიძლება. **ქართველ ექსპერტებს უყვართ სომხეთისთვის ჭკუის დარიგება, ლაპარაკი იმაზე, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკა დაქცეულია, რასაც ხსნიან იმით, რომ იგი ორიენტირებულია არა პროგრესულ დასავლეთზე და აშშ-ზე, როგორც საქართველო, არამედ — იმპერიულ რუსეთზე.**

**მაგრამ სომხეთი ბლოკადაშია მოქცეული, საქართველოს კი გააჩნია რეგიონში ერთადერთი სატრანსპორტო დერეფანი, სომხეთი არასახარბიელო კლიმატურ და გეოგრაფიულ სარტყელში მდებარეობს, საქართველო — პირიქით.** ამასთან, აქვს ფართო გასასვლელი ზღვაზე, სომხეთი არ იღებს მასობრივ ინვესტიციებსა და სესხებს, საქართველო კი ფულში ცურავს, სომხეთი არ განახორციელებს ფართომასშტაბიან რეფორმებს, საქართველო კი ამ საქმეში მსოფლიო ლიდერია. სომხეთის მოსახლეობა 3,2 მილიონი ადამიანია, საქართველოში 1,3 მილიონით მეტია, ესეც გარკვეულად მოქმედებს მშპ-ს დონეზე.

და ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველო ზოგიერთი მაჩვენებლით ჩამორჩება სომხეთს. **მშპ საქართველოში 11,7 მილიარდი დოლარია, სომხეთისა კი — 8,9 მილიარდი. მშპ-ს დონე ერთ სულ მოსახლეზე (რაც მოქალაქეთა კეთილდღეობის მაჩვენებელია) სომხეთში 5 ათასი დოლარია, საქართველოში კი — 4,4 ათასი დოლარი, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ბოლოდან მეოთხე მაჩვენებელია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველოზე ცუდად ადამიანები ცხოვრობენ მხოლოდ მოლდოვაში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში.**

ამით სიურპრიზები არ მთავრდება. მწარმოებლობის ბრწყინვალე რეიტინგის გარდა სხვა რეიტინგებიც არსებობს, რომელთა შესახებ საქართველოში, როგორც წესი, არ უწყიან, მაგრამ თუ იციან, დუმილს ამჯობინებენ. ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, მსოფლიოს **არაქმედუნარიანი სახელმწიფოთა (Failed States) რეიტინგი,** რომელიც წარმოაჩენს ხელისუფლების უნარს (ან უუნარობას), გააკონტროლოს ტერიტორიის მთლიანობა, აგრეთვე, — დემოგრაფია, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. **ამ რეიტინგის მიხედვით, 2010 წლისთვის მოწინავე და ყოველმხრივ გამართული საქართველო მსოფლიოში 37-ე ადგილზეა და დიდად ჩამორჩება დსთ დანარჩენ ქვეყნებს, რომელთა დედაქალაქებში არ არის ბუშის სახელობის ქუჩები და რომელთაც არ ჰყავთ მიხეილ სააკაშვილივით გამორჩეული ხელმძღვანელები. საქართველო ჩამორჩება ტაჯიკეთსაც, რომელიც 36-ე ადგილზეა.**

### რატომ ხდება ასე?

ამ შეკითხვაზე პასუხის მნიშვნელოვანი ნაწილია იმის გაგება, რომ საქართველოს ეკონომიკური სასწაული, მისი ყველა რეფორმა ეფუძნება უცხოური კაპიტალის შემოდინებას, მისით არის განაღდებული. „ავიენები“ ამტკიცებენ, რომ ეს ქვეყანა კრედიტებისა და გრანტების ხარჯზე ცხოვრობს. თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით 2003-2008 წლებზე: იმ ხუთწლედში საქართველოს ბიუჯეტში მათი წილი 3-5 პროცენტი იყო, ანუ მაშინ რეფორმირება საქართველოში არც ნაჩუქარი, არც ნასესხები ფულით არ მიმდინარეობდა.

**2008 წლიდან მოყოლებული საქართველოს კაპიტალის სტრუქტურა იცვლება — ხუთდღიანი ომის შემდეგ საქართველო შეუდგა იმ 4,5 მილიარდი დოლარის ათვისებას, რაც მას საერთაშორისო თანამეგობრობამ მისცა, როგორც რუსეთთან ომის გამო დაზარალებულს. 2,5 მილიარდი დოლარი იყო სესხი, 2 მილიარდი კი გრანტის სახით მიიღო. თუ ამ სახსრებს გავითვალისწინებთ და დავუმატებთ 500 მილიონს, რაც საერთაშორისო ბაზარზე იყო ნასესხები, გამოვა, რომ საქართველოს მშპ-ს 20 პროცენტი მართლაც იყო ვალად აღებული ან ნაჩუქარი ფული.**

იმის გასაგებად, თუ რამდენად დიდია ასეთი თანაფარდობა, საკმარისია წარმოვიდგინოთ, რუსეთს 2009 წელს რომ ესესხა ან საჩუქრად რომ მიეღო მისი მშპ-ს 20 პროცენტის ოდენი თანხა, ეს იქნებოდა 425 მილიარდი დოლარი, რაც 10-ჯერ აღემატება ჩვენი ქვეყნის მთელ საგარეო ვალს და რვა მისი სამხედრო ბიუჯეტის ტოლია. ეს გიჟური რაოდენობის ფულია, რომლითაც ეკონომიკის და სოციალური სფეროს, მილიციისა და კიდევ მრავალი დარგის რეფორმირება შეიძლება, სააკაშვილივით დიდი მმართველიც რომ არ იყო. ამერიკელი ბიძისგან თავიანთი მშპ-ს 20 პროცენტი ქართველებმა რეფორმებს დაახარჯეს, და ახლა ცდილობენ, გაასაღონ ეს რეფორმები, როგორც ტოტალიტარიზმზე უარის თქმის, დემოკრატიისკენ მოძრაობის შედეგი და საკუთარ ეკონომიკურ გენიოსობას მოაწერონ.

ფულის ძირითადი ნაკადი, რომელიც მოწინავე და არაჩვეულებრივად დემოკრატიულ ქართულ რეფორმებზე დაიხარჯა, მიღებულია სახელმწიფო ქონების პრივატიზებისგან და უცხოური ინვესტიციების სახით, რისთვისაც „შესანიშნავი“ ბიზნესკლიმატი შექმნეს ქვეყნის მმართველებმა. ამ მაჩვენებელთაგან თითოეულს კონკრეტულ წელიწადში მშპ-ს 7-8-პროცენტიდან 20 პროცენტამდე შეეძლო მიეღწია. **ეს სახსრები გრანტებთან და კრედიტებთან ერთად, გახდა ის უძირო ფულის ორმო, საიდანაც უდიდეს ფინანსურ გენიოსს — მიხეილ სააკაშვილს ამოჰქონდა სახსრები, სანიმუშო სოციალური რეფორმების განსახორციელებლად, ხელფასის გასაზრდელად, არმიის შესაიარაღებლად, ოსეთში ომის გასაჩაღებლად და საქართველოში არნახული დეკორატიული გარდაქმნების გასაპიარებლად.**

სააკაშვილის მმართველობის დროს განხორციელდა ტოტალური პრივატიზაცია და გაიყიდა ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სახელმწიფო აქტივი, თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტის ჩათვლით, რომლებიც შექმნილი იყო ქართველების წინამორბედი თაობების მიერ, ამასთან უდიდესი ვალებიც აიღეს.

მოდით, ვნახოთ, როგორია საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნის — ქვეყანა წმინდა წყლის კრედიტორია თუ წმინდა წყლის მოვალე.

**2010 წლის მეორე კვარტლის ბოლოსთვის საქართველოს წმინდა საინვესტიციო პოზიცია მინუს 11,4 მილიარდი დოლარი იყო. ასეთი ფასი აქვს ქართულ რეფორ-** ▶

## ხელფასს რეიტინგებით ვერ დაარიგებ

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **მეხს. ეს კი ნიშნავს, რომ სააკაშვილმა გაყიდა სამშობლო და 11,5 მილიარდი დოლარის მონობაში მოექცა.**

ახლა — უფრო დაწვრილებით საქართველოს ვალების შესახებ. **თუ ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლამდე საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი (სახელმწიფო ვალი და არასახელმწიფო კომპანიების, ბანკების, სააქციო საზოგადოებების და ა.შ. ვალი) 1,8 მილიარდი დოლარი იყო, ამჟამად 8,6 მილიარდი დოლარია, რაც ასტრონომიული სიდიდეა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.**

საქართველოს ვალი დღემდე სერიოზული ოდენობით არ გაუსტუმრებია. **ძირითადი გადახდა პროცენტებისაც და ძირითადი ვალებისაც 2013-2014 წლებში დაიწყება. 2013 წელს საქართველოს მოუწევს 1 მილიარდზე მეტი დოლარის გადახდა, რაც საქართველოს ბიუჯეტისთვის უზარმაზარი თანხაა და მისი მშპ-ს 10 პროცენტი, ანუ ბიუჯეტის 25 პროცენტია.**

ახლა კი საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსს გადავხედოთ. **საქართველოს ექსპორტის მოცულობა წელიწადში 1,5 მილიარდ დოლარზე ნაკლებია, რაც მთლიანი საგარეო ვალის გადასახდელად ფულის ექვს წლამდე დაგროვებას გულისხმობს.** საქართველოს ექსპორტზე ოთხჯერ მეტი პროდუქტი შემოაქვს. ეს ნიშნავს, რომ მას ისეთი არაფერი გააჩნია, რისი მოთხოვნაც არის მსოფლიო ბაზარზე. ეს ერთი მხარეა. მეორე კი ისაა, რომ იგი ისეთს არაფერს აწარმოებს, რაზეც არის მოთხოვნა ქვეყნის შიდა ბაზარზე. შემოაქვს აუცილებელი პროდუქტები, რისთვისაც ხარჯავს კრედიტებს, გრანტებს, ფულს, რაც პრივატიზაციიდან და ინვესტიციებიდან შემოუვიდა.

**პერსპექტივა როგორია?**

**ლარის მკვეთრი დევალვაცია, გაჭენებული ინფლაცია, გაკოტრების ტალღები, დანაზოგების დაკარგვა, სამუშაოდან მასობრივი დათხოვნები. ეს ერთი.**

**მეორე, ახალი რეკორდული ინვესტიციები, რომლებიც, არავინ იცის, შემოვა თუ არა დეფოლტისწინა ვითარებაში.**

**მესამე, ახალი კრედიტები, ანუ წმინდა წყლის ფინანსური პირამიდა, როცა სააკაშვილი ძველ სერგეი მავროდად წარმოგვიდგება.**

**მეოთხე, ახალი უპრეცედენტო დახმარება დემოკრატი მეგობრებისა, რის შედეგად საქართველო კიდევ უფრო ჩაბარდება მათ.**

**ან, მეხუთე, ახალი ომი, რომლის შედეგად რუსეთის არაპროვოცირებული და ვერაგული აგრესიის შედეგად დაზარალებულ საქართველოს კვლავ მისცემენ 4 მილიარდ აშშ დოლარს.**

**ქართული ეკონომიკური სასწაულის ბუნება სავსებით გასაგებია - იგი საერთოდ არ არსებობს...**

## რა გახდა ასეთი სიტუაციის მიზეზი და სად წავიდა მიღებული ფული?

მთავარი, ჩემი აზრით, არის ის, რომ სასწაულებრივი რეფორმებისა და მაღალი რეიტინგების მთელი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას არ ჩაუდვია ფული რეალურ ეკონომიკაში, რაც უზრუნველყოფდა სამომავლოდ მოგების მიღებას. უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, უზარმაზარი სახსრები, რომლებსაც საქართველოს აძლევდნენ, იხარჯებოდა არამწარმოებლურ სფეროში — საფინანსო სექტორში ლარის გასამყარებლად; სამხედრო საჭიროებისთვის — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული შეჭრის მოსამზადებლად; იხარჯებოდა გარე რემონტისთვის — ფასადების შესაღებად და გასანათებლად, გზების დასაგებად, შადრევნებისა და ძეგლების ასაგებად; შსს-ს სანიმუშო რეფორმებისთვის; საქართველოს წარმატებების საგარეოპოლიტიკური პიარისთვის და სხვა ამგვარი მიზნებისთვის.

იხარჯებოდა უდიდესი რაოდენობის ფული — **საარმიო ხარჯები მშპ-ს დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენდა, შსს-თვის 2,5 პროცენტი, ხოლო გზების შესაკეთებლად 4,5 მილიარდიანი გრანტიდან 800 მილიონი გაიღება.**

საქართველოში წარმოება პრაქტიკულად არ არსებობს. **ქართველებს ექსპორტზე გააქვთ დაუმუშავებელი ან სანახევროდ დამუშავებული ნედლეული, რკინის ჯართი, თხილი, ცოტა ღვინო (ექსპორტის საერთო მოცულობის 2-3 პროცენტი) და ავტომანქანები, რომლებიც სინამდვილეში რეექსპორტია. იმპორტირებული საქონელი კი, უწინარეს ყოვლისა, არის ფართო მოხმარების საგნები, საწვავი, სამშენებლო მასალები, და, რაც მთავარია, — პროდუქტები! პარადოქსია — სუბტროპიკულ საქართველოს საკუთარი თავის გამოკვება არ შეუძლია და 60 პროცენტით სურსათის ექსპორტზეა დამოკიდებული, მათ შორის, რუსეთიდან შემოტანილ სასურსათო პროდუქციაზე.**

**ამგვარი უარყოფითი სალდო აფრიკის სუსტად განვითარებული სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც გარედან დახმარების წყალობით ახერხებენ არსებობას. ქვეყანა, შესანიშნავი რეიტინგების გარდა, არაფერს აწარმოებს.**

**ქართული საწარმოები ჯართად გაიყიდა თურქეთში, ხოლო მიღებული შემოსავლით CNN-ზე აჩვენეს რეკლამა საქართველოს თვალსაჩინო ეკონომიკური წარმატებების შესახებ...**

მაქსიმალურად სწრაფად დიდი ფულის მიღებას გამოკიდებული ქართველი რეფორმატორები ჩაიჭრნენ — მაქსიმალურად დასწიეს საგადასახადო ფსონი, პრაქტიკულად, მთლიანად უარი თქვეს ბიზნესისთვის საკანონმდებლო შეზღუდვებზე, სრულიად უუფლებო გახადეს მუშაკები დამქირავებლებთან შრომითს ურთიერთობებში და ა.შ. აი, საიდან გაჩნდა საქართველოში ბიზნესის თავისუფლების საუცხოო რეიტინგები! **ბიზნესის თავისუფლება იქ ანარქიის ზღვარზე დგას, რეიტინგები არ ტყუის!**

მაგრამ ცხოვრება რეიტინგებში როდი გვიხდება. ბიზნესისთვის ყველაზე საუკეთესო პირობების შექმნა ჩვენს გალაქტიკაში ძალიან ძვირია და გარდაუვალი.

**ჯერ ერთი, უახლოეს თვალსაწიერში საქართველო განწირულია, დარჩეს გადასახადების დაწესების დაბალ ზღვარზე. მაშასადამე, მას დიდი პრობლემები შეექმნება ბიუჯეტის შევსების საქმეში. აქედან გამომდინარე, იგი კვლავ დარჩება უცხოური კრედიტებისა და გრანტების იმედად.**

მეორე, რიგითი ქართველების ბიზნესის თავისუფლების მაღალი რეიტინგი პერმანენტულ სიღარიბედ და უუფლებობად შემოუბრუნდებათ. არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ინვესტიციები საქართველოში შემოედინება იმპერიული რუსეთის მემკვიდრეობაზე უარის თქმის გამო, ამ შემთხვევაში მთავარია სარფიანობა, რომელიც, სამუშაო ძალის დაბალი ღირებულებითა და მისი უუფლებო მდგომარეობითაც არის უზრუნველყოფილი. ყველა სხვა ვითარებაში ბიზნესი წავა საქართველოდან ისევე სწრაფად, როგორც გაჩნდა და იქნება დიდი უმუშევრობა.

ჩიხია! აქედან გამოსავალი შექმნილი ვითარების გამო არ ჩანს.

ასეთი ვითარებით აიხსნება ტრადიციული კონფლიქტი მშპ-ს ზრდის სწრაფ ტემპს, ეკონომიკური თავისუფლების შესანიშნავ რეიტინგებსა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დაბალ დონეს შორის, საქართველოში უმუშევრობის მასშტაბურ ფონზე. ერთი მეორისგან მომდინარეობს და მისი შედეგია.

**სხვათა შორის, უმუშევრობის მაღალი დონე ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნის ერთ-ერთი საშუალებაა. უმუშევრობის დონე საქართველოში, ქვეყანაში, სადაც „არნახული ეკონომიკური აღმავლობაა", ოფიციალურად 17 პროცენტია და თანდათან იზრდება.**

შედარებისთვის: აზერბაიჯანში უმუშევრობა 6 პროცენტია, სომხეთში — 7, რუსეთშიც 7 პროცენტია.

მაგრამ 17 პროცენტი სრულიადაც არ ასახავს რეალურ მდგომარეობას. სინამდვილეში ეს ციფრი 40-50 პროცენტს უახლოვდება. ედუარდ შევარდნაძეს კი მიაჩნია, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი დაუსაქმებელია.

არსებობს საქართველოს ეკონომიკის რამდენიმე სხვა მაჩვენებელი, რომლებიც ადასტურებს, რომ ქართული ეკონომიკური სასწაული სხვა არაფერია, თუ არა ბლეფი და ამწუთიერი პიარი.

**ანტიმონოპოლიური უწყების ლიკვიდაცია დასჭირდათ ზესაუკეთესო პირობების შესაქმნელად და ინვესტიციების სწრაფად მისაღებად. მაგრამ ეკონომიკის კანონებს საქართველოსთვის ვერ გააუქმებენ, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ იგი აშშ-ის მეგობარია და აცხადებს, რომ დემოკრატიისკენ მიისწრაფვის.**

ნორმალური ეკონომიკისთვის ანტიმონოპოლიური სამსახური ფრიად მნიშვნელოვანი დაწესებულებაა. იგი ბაზარზე ყველა მოთამაშისათვის უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს, მიმართულია მონოპოლიზაციის წინააღმდეგ, რომელიც ნიშნავს განვითარების სტიმულირების გაქრობის, კონკრეტული ბრძოლის შეწყვეტას, მომხმარებლებისთვის გაუმართლებლად მაღალი ფასების დაწესებას, ბიზნესისა და ხელისუფლების შეზრდას, კორუფციას.

არადა, სწორედ ასე ხდება დღევანდელ საქართველოში. **შეზღუდული შიდა ბაზრის პირობებში ძლიერმა უცხოურმა კომპანიებმა და ადგილობრივმა მმართველმა კლანებმა, რომლებმაც თავად გააუქმეს ანტიმონოპოლიური კომიტეტი და აკონტროლებენ საბაჟო პროცედურებს, ხელთ იგდეს საქართველოს ეკონომიკის მთავარი დარგები.** დაბეჯითებით ამბობენ, რომ ცემენტის ბიზნესი საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის საკუთრებაა, არც სხვა ძლიერნი ამა ქვეყნისა ერიდებიან ასეთ მომგებიან საქმეებს. განა შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველო მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა, სადაც დაამარცხეს კორუფცია?!

**კორუფციაზე გამარჯვება საქართველოს ხელისუფლების კიდევ ერთი ბლეფია... საქართველოში კორუფციის ტრადიციული, ხილული ნაწილი ამჟამად სახეშეცვლილია. იგი წავიდა მაღლა და ელიტური გახდა (რასაც იგივე საერთაშორისო რეიტინგები ადასტურებს), შეიცვალა დაბალ დონეზეც, ნაწილობრივ ლეგალიზებული გახდა, ახალი, ფასიანი მომსახურების ფორმა მიიღო — თავიანთი ხალხის წინ წაწევა, საჩუქრების მიღება და ა.შ.**

თუ უწინ კორუმპირებული ექიმები რაღაც ნემსებს მხოლოდ ქრთამის მიღების შემდეგ უკეთებდნენ ავადმყოფებს, ამჟამად, პროგრესული ჯანდაცვის პირობებში, ოფიციალურად დაწესებულ ფასად ჩხვლეტენ; თუ უწინ კარგ სამუშაოზე მოწყობა ფული ღირდა, ამჟამად იმავე სამუშაოზე სრულიად უფასოდ მიიღებენ ნათესავს ან თავიანთ კაცს; **თუ უწინ, გამსახურდიასა და შევარდნაძის რეჟიმების დროს ქართველ პოლიციელს შეეძლო მოქალაქისთვის ქრთამი გამოეძალა, ამჟამად ქრთამები მოისპო, მაგრამ პოლიციელის შესანახად საქართველოს ბიუჯეტიდან, ანუ იმავე მოქალაქეების ფულიდან, უწინდელზე რამდენიმეჯერ მეტი იხარჯება.**

სახელმწიფოს მიერ ბაზრის რეგულირების შესუსტების პროცესმა, მრავალი მაკონტროლებელი ორგანოს გაუქმებამ (რაც თავისთავად ცუდი არ არის), გასაცემი ლიცენზიების შემცირებამ და ა.შ., გამოიწვია არა მარტო ბიზნესგარემოს გამოცოცხლება, არამედ **სერიოზულად გააუარესა პროდუქტების, სამშენებლო პროცესების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და ა.შ. კონტროლი.** ამის შედეგები ცნობილია — თბილისის „სანიმუშო" აეროპორტის რეგულარულად „გაფრენილი" სახურავები, ტექზედამხედველობის არარსებობის გამო ჩამონგრეული შენობები, ასიათასობით გადაყრილი ფული ახლად ასფალტირებული გზების ხელმეორედ დაგებაზე, საგზაო შემთხვევები მსხვერპლით, მიზეზი — ავტომანქანების გაუმართაობა, რაც უმრავლეს შემთხვევებში ტექნიკური შემოწმების გაუქმებით იყო გამოწვეული და ა.შ.

ცალკე სათქმელია, რად გადაიქცა ქართული მოდერნიზაციის პროცესი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროებში.

რეფორმების წარმართვა ორი გზით შეიძლება — დინჯად და რუდუნებით, სწორი მექანიზმების, სისტემის აწყობით, სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის დაწესებით, რომელიც თავად არის პარალელურად შესაქმნელი. ეს მომგებიანი, მაგრამ ხანგრძლივი პროცესია. მაგრამ სააკაშვილს სჭირდებოდა ძალიან სწრაფი შედეგი, თუნდაც იმიტომ, რომ დროის კრედიტი, რომელიც მას ხალხმა მისცა, უსაზღვრო არ იყო. აქ მას ბედმა გაუღიმა: საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც საკმაოდ სწრაფად შეიძლება ნებისმიერი რეფორმის განხორციელება არა სისტემურ, არამედ კუსტარულ რეჟიმშიც კი. **მიხეილ სააკაშვილი განახორციელებს ავტორიტარულ, მოდერნიზაციას, რისთვისაც აშენებს ავტორიტარულ ნახევრადპოლიციურ სახელმწიფოს.**

**ამ სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება ერთი კაცის ხელშია — მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. მთავრობის წევრებს ნიშნავს მხოლოდ იგი, საპარლამენტო უმრავლესობა მისი პარტიისაა, ოპოზიცია დაქუცმაცებულია და უნიჭო, თითქმის მთელი მასმედია კონტროლდება, დამოუკიდებელი სასამართლო დე ფაქტო არ არსებობს, ჩვეულებრივ მოქალაქეების შრომით ანაზღაურებასთან შედარებით რამდენიმეჯერ მაღალი ხელფასის მქონე ძალოვანი ორგანოების თანამშრომლები ლოიალურად არიან სააკაშვილის მიმართ განწყობილი და მზად არიან, მისი გულისთვის ებრძოლონ საკუთარ ხალხს.**

**შსს დღევანდელ საქართველოში პერსონალური ძალაუფლების იარაღად იქცა, თვით საქართველო კი — ქვეყნად ძალიან მკაცრი კანონმდებლობით, სადაც საგადასახადო პოლიციელი მეფეა და ღმერთი, რომლის მოსაზრება პრინციპულად შეუვალია, სადაც ტოტალურად უსმენენ სატელეფონო საუბრებს, სადაც პატიმართა რაოდენობა ბოლო წლებში ექვსჯერ გაიზარდა და რომელიც ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით ერთ-ერთ უმაღლეს ადგილზეა ევროპაში.**

ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება, რომლის მიზანია ხალხის ბედნიერება, მტკნარი სიცრუეა. პოლიტიკაში, უფრო მეტად, ვიდრე ეკონომიკაში, ყველაფერს თავისი ფასი აქვს, და თუ ერთხელ მოგცეს, შემდეგ ორმაგად ამოიღებენ.

თუ საქართველოს საზოგადოება მზადაა, შეურიგდეს იმას, რომ საჭირო და აუცილებელი საქმისთვის კრიმინალიტეტთან საბრძოლველად შსს არღვევდა ადამიანის ტრადიციულ უფლებებს, მაგალითად, ასამართლებდა კანონიერ ქურდებს მხოლოდ მათი აღიარების საფუძველზე, მაშინ საზოგადოებამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ამის საფასური შსს-ს ყოვლისშემძლეობა, გირგვლიანის მკვლელობა, მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენა და მრავალი სხვა რამ იქნება, რაც თავისუფლებისა და დემოკრატიის გამარჯვებას არ ნიშნავს.

**საქართველოში ამჟამად მოდურია ამ ქვეყნის სინგაპურთან შედარება, რასაც არავითარი საფუძველი არ აქვს. 1960-1970-იან წლებში სინგაპურში მართლაც განხორციელდა კარდინალური რეფორმები, რომლებიც ეფუძნებოდა კორუფციასთან ბრძოლას და ფართო პრივატიზაციას. მაგრამ კორუფცია სინგაპურში მართლაც მოისპო, პრივატიზაცია კი ძალიან ფრთხილად და წინდახედულად მიმდინარეობდა. აქედან მიღებული ფული ეკონომიკის რეალურ სფეროში წარიმართებოდა, რომელიც სინგაპურისთვის მოწინავე, მეცნიერებატევადი მრეწველობისა და უმაღლესი კლასის განათლების შენადნობის სახით იყო წარმოდგენილი. საქართველოში მსგავსი არაფერი ხდება.**

## მოკლე დასკვნა

ქართული რეფორმები უაღრესად მკვეთრი და არაერთგვაროვანი ცვლილებების სახით წარმოგვიდგება. **ეს არის შესანიშნავი სარეკლამო სურათი, რომლის შინაარსი არ გამოხატავს რეალურ მდგომარეობას და იმ შედეგებს, რომლებიც მთავრობისა და ლობისტების მიერ არ არის აფიშირებული.**

ისტორიული თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკური მოდელი უცვლელი დარჩა. ბოლო 200 წლის განმავლობაში საქართველო თავისი რესურსების ხარჯზე სულ რამდენიმე წელიწადს თუ ცხოვრობდა, რაც ყოველთვის კატასტროფით მთავრდებოდა. ისტორიულ პირობებში საქართველო, როგორც წესი, პოულობდა მფარველსა და სპონსორს, რომელიც დიდწილად დოტირებდა მის ეკონომიკას.

დღევანდელი საქართველოს ეკონომიკას შეიძლება მალე დაუშრეს დოტირების წყარო, რადგან გამორიცხული არ არის დასავლეთის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება (კრიზისი), ან საქართველოს, როგორც დასავლეთის ბლოკის პარტნიორის მნიშვნელობის დაკნინება.

რეალური ეკონომიკა, რომელიც უნდა შექმნილიყო მიღებული ფულით, არ არსებობს.

**2013-2014 წლებში საქართველო შევა დეფოლტისწინა პერიოდში, რაც მიხეილ სააკაშვილის „ეკონომიკური სასწაულის" დასრულებად მოგვევლინება.** პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს პერიოდი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ქართველი ხალხის მიერ სააკაშვილისთვის მიცემული მმართველობის მანდატის დასრულებით აღინიშნება. როგორც ვიცით, ეს მანდატი ორ მიზანს ისახავდა: საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას და საქართველოს ეკონომიკის აღმავლობას. პირველი მიზნის მიღწევა 2008 წლის 8 აგვისტოს შემდეგ მიუღწეველი შეიქნა, მეორე მიზნის ჩავარდნა 2013 წლისთვის გამოაშკარავდება. **ეკონომიკური კრახი გადახაზავს საქართველოს მისწრაფებას, ქვეყნის კეთილდღეობის მაგალითით დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები.**

**ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და დოტაციური ნაკადის ამოწურვა გამოიწვევს სახელმწიფო და სოციალური პროგრამების დახურვას, რიგ შემთხვევებში, რეფორმამდელი პერიოდის მდგომარეობაში დაბრუნებას — პოლიციელებისთვის ხელფასების შეკვეცას, არმიის ხარჯების შემცირებას, ფასადებისა და კომუნიკაციების რემონტის შეწყვეტას, პიარზე ხელის აღებას. დადგება ქამრების რეალურად მოჭერის ეტაპი.** ეს ყველაფერი უეჭველად უბიძგებს მოსახლეობას ხელისუფლებასთან სოციალური კონტრაქტის გადახედვისკენ, სერიოზული სოციალური ძვრებისკენ, რომელთა შედეგების პროგნოზირება ამჟამად ძნელია.

**არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ჩამოაწერენ ვალებს, გამოუყოფენ ახალ კრედიტებსა და გრანტებს, რაც ამ ქვეყანას უფრო მეტად დამოკიდებულს გახდის აშშ-სა და რიგ ევროპულ ქვეყნებზე.**

**ქართული პროექტის მიმდინარეობა ამჟამად დასავლეთს ხელს აძლევს, რადგან გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს ეკონომიკის ჩიხში შეყვანა და ბანანის რესპუბლიკად მისი გადაქცევა იმთავითვე მის ინტერესებში იყო.**

www.apn.ru

# ახალი ომი — ახალი ტრანშის მისაღებად

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «ცენტრ-პოინტში» რა გინდოდა?!

## პარლამენტის ვიცესპიკერს 6200 თანამოქალაქის გაცურებაში ადანაშაულებენ



**„ცენტრ-პოინტ ჯგუფის“ დამფუძნებლების — ვახტანგ და მაია რჩეულიშვილების და რუსუდან კერვალიშვილის სამშენებლო ბიზნესი, რომელმაც ათასობით ადამიანს თავ-ბედი აწყევლინა, ნათელი მაგალითია, ჩვენს რეალობაში, თუ რა კომფორტულად გრძნობენ თავს ხელისუფლების მფარველობის ქვეშ ადამიანები, ვისი საქმიანობაც სისხლის სამართლის კოდექსის ქვემდებარეა.**

შევარდნაძის დროინდელი წარმატებული პოლიტიკოსის — ვახტანგ რჩეულიშვილის კარიერა და ბიზნესი ერთდროულად დაემხო სააკაშვილის ეპოქაში. ალბათ, ყველას კარგად ახსოვს, როცა შევარდნაძე პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა, როგორ სცემა ხალხმა კრწანისის რეზიდენციიდან მომავალი ვახტანგ რჩეულიშვილი — მომიტინგეთა ბრბომ დროშის ტარებით თავი გაუტეხა. ამ ინციდენტის მიუხედავად, როგორც ჩანს, რჩეულიშვილისა და სააკაშვილის გუნდს შორის საერთო ენა მაინც გამოინახა. ამის დასტურია ის, რომ მისი ცოლისდა — კომპანია „ცენტრ-პოინტ ჯგუფის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი რუსუდან კერვალიშვილი — ვიცესპიკერი და „ნაცმოძრაობის“ სახე გახდა.

კულუარული ინფორმაციით, **სააკაშვილს რჩეულიშვილი დილემის წინაშე დაუყენებია — ან ბიზნესიდან მოგების 50% დათმე და პოლიტიკას ჩამოშორდი, ან დაგიჭერთო. რჩეულიშვილი პოლიტიკას ჩამოშორდა, ხოლო მისი ბიზნესის „წყალობი“ ათასობით ადამიანი პირშიჩალაგამოვლებული დარჩა.**

დღეს უკვე ნათელია, რომ **გარკვეული გარიგება რჩეულიშვილსა და ხელისუფლებას შორის მართლაც შედგა. მაგრამ გაუგებარია, რა დააშავეს ადამიანებმა, ვინც ძველი ბინები მშენებარე ბინების მოლოდინში გაყიდეს, თანხები „ცენტრ-პოინტს“ გადაუხადეს, თავად კი ქირით აღებულ ბინებს მიაშურეს.** ზოგიერთმა მათგანმა საზღვარგარეთ არაადამიანური ჯაფით მოგროვებული დანაზოგი გადაიხადა ამაში, ზოგი კი წლების მანძილზე ყველაფერს იკლებდა, ყოველთვიური შენატანი რომ გაელო.

**კომპანია „ცენტრ-პოინტ ჯგუფის“ შესახებ სტუდია „მონიტორმა“ გამოძიება ჩაატარა. როგორც გამოძიების ავტორი გიორგი მგელაძე აღნიშნავს, კომპანიამ დაახლოებით 6200 ადამიანი დააზარალა.** „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ ქონების დიდი ნაწილი კი დაყადაღებულია, მაგრამ კომპანიის შეძლებული დამფუძნებლები საკუთარი ქონებით კლიენტების გასტუმრების ვალდებულებას არ იღებენ. მაშინ, როცა **კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ამჟამად ვიცესპიკერის —კერვალიშვილის პირად ანგარიშზე, როგორც გამოძიება იუწყება, 2010 წლის დეკლარაციის მიხედვით, მილიონ ასი ათასი დოლარი ნაღდი ფული ირიცხება. კერვალიშვილს, ასევე, აქვს რამდენიმე ბინა, მანქანები, ძვირადღირებული ავეჯი, ფერწერული ტილოები** და ა.შ.

თუმცა ამას თავად კერვალიშვილი უარყოფს და აცხადებს, რომ დეკლარაციის შევსების შემდეგ მისი ფინანსური მდგომარეობა შეიცვალა.

**„ჩვენს ქონებას 2010 წლიდან „დექსუსი“ განაგებს. ჩვენ ამჟამად არანაირი ქონება არ გაგვაჩნია და არც გვექნება, ვიდრე საზოგადოების წინაშე დანაპირებს არ შევასრულებთ. რაც შეეხება ფირმის გაკოტრებას, ეს არასწორმა მენეჯმენტმა გამოიწვია“,** — აცხადებს რუსუდან კერვალიშვილი.

სტუდია „მონიტორის“ მიერ ჩატარებული გამოძიების თანახმად კი, ხელშეკრულებაში, რომელიც „ცენტრ-პოინტ ჯგუფსა“ და „დექსუსს“ შორის გაფორმდა, საერთოდ არ ფიგურირებს ზემოთ ჩამოთვლილი ქონება, არც რჩეულიშვილების პირადი ქონება ყოფილა რეალურად „დექსუსზე“ გადაცემული.

გამოძიებაში ასევე გაშიფრულია, თუ რა სქემა შეიმუშავა „ცენტრ-პოინტ ჯგუფმა“. **კომპანიამ შეატყო რა, რომ დაპირებულ ბინებს მეპატრონეებს ვერ გადასცემდა, დამატებითი კორპუსების მშენებლობა და ხალხის ხელახალი მოზიდვა დაიწყო, რომ ახალი შემოტანილი თანხებით პირველი პროექტი დაესრულებინა, ხოლო ამ პროექტის სრულყოფაში მოყვანისთვის კიდევ მესამე, გაცილებით მასშტაბური, პროექტი წამოიწყო. პირამიდამ ვერ გაამართლა. ახალმა პროექტებმა კომპანიას ახალი ვალები დაადო და კიდევ უფრო ჩაძირა.** ამიტომ „ცენტრ-პოინტ ჯგუფი“ გასულ წელს კომპანია „დექსუსს“ გადაეცა მართვაში, რომელიც ხელშეკრულებებში თავს მრავალწლიანი გამოცდილებებით იწონებს, მიძღვნილ სიუჟეტებში კი მასზე ამბობენ — ბოლო 3 წლის მანძილზე „დექსუსმა“ 350 მილიონი დოლარის კაპიტალი მოიზიდაო. არადა, სტუდია „მონიტორმა“ როგორც გაარკვია, **კომპანია „დექსუსი“ „ცენტრ-პოინტთან“ ხელშეკრულების გაფორმებამდე 2 კვირით ადრე დაფუძნდა** (2010 წლის 23 აგვისტოს). **„დექსუსის“ თანამშრომლებს ხელფასსაც „ცენტრ-პოინტი“ უხდის.** დამფუძნებლები გიორგი ქანანაშვილი, ირაკლი კილაურიძე და ივანე ცაგურელია. ფირმის საწესდებო კაპიტალი 100 ლარია, ხოლო კომპანია „დექსუსის“ ოფიციალურ მისამართად გიორგი ქანანაშვილის კერძო სახლის მისამართია მითითებული. ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ **„დექსუსის“ უკან კვლავ რჩეულიშვილები და კერვალიშვილი დგას.**

**კომპანია „დექსუსი“ დაზარალებულებს კაბალურ პირობებს სთავაზობს და ულტიმატუმით ესაუბრება. დაზარალებულებისგან ქანანაშვილი დღგ-ს ხელახალ გადახდას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბინების აშენების ვალდებულებას არ იღებს.** საქმე ისაა, რომ „დექსუსს“, ხელეშეკრულების თანახმად, ვალდებულების ნებისმიერ დროს მოხსნა მართლაც შეუძლია. ის, ასევე, არ ასრულებს იმ ხელშეკრულების პირობებს, რომელიც დაზარალებულებმა წინა კომპანიასთან გააფორმეს, მათ შორის კედლების გაჯით შელესვას. თავიდან „გაპიარებული“, თითქოს დასრულებული პროექტის რეალური იერსახე, რომლითაც „ცენტ-პოინტ ჯგუფი“ თავის დროზე ასე ამაყობდა და უკვე კომპანია „დექსუსიც“, მეპატრონეებისთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

**„საქართველო და მსოფლიოს“ დაზარალებული ნინო ფარცვალია ესაუბრება.**

**„2005 წელს „ცენტრ-პოინტმა“ დიდი დიღმის ოაზისში მშენებარე ბინებზე, კომფორტული პირობებით, განვადება გამოაცხადა. ეს ბინები 2008 წლის მაისში უნდა გადმოეცათ ჩვენთვის. თანხას ვადებში ვიხდიდით. 2008 წლის დასაწყისში შევატყვეთ, რომ კორპუსის მშენებლობა დათქმულ დროში ვერ სრულდებოდა და დარჩენილი თანხის გადახდისგან თავი შევიკავეთ.**

**გარდა ამისა, ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ გაჯით შელესილი კედლები უნდა ჩაგვბარებოდა, რაც „დექსუსმა“ საკუთარ თავზე არ აიღო და ქანანაშვილი უსინდისოდ იძახის, გალესვა კაპიკები ჯდებაო. არადა, კვადრატული მეტრი მინიმუმ 15 ლარი ღირს, ჩემი 300 კვადრატულია. ეს კაპიკებია? იგი იმასაც გაიძახის, თანხები შემოიტანეთ და ბინებიც გადმოგეცემათო. სინამდვილეში კი კორპუსს არ აქვს სახურავი, არ არის ჩასმული შუშები, არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი, შუქი, წყალი და არც კანალიზაციაზეა მიერთებული. რაც მთავარია, არ ვიცით, კარკასი მყარია თუ არა. ამის შესამოწმებლად მერიიდან სპეციალური ჯგუფი უნდა მოსულიყო, თუმცა არავინ მოსულა. ესაა ხელშეკრულების პირობების შესრულება? ეს ყველაფერი ხომ მზად უნდა დაგვხვედროდა, საამისო თანხაც ხომ გადავიხადეთ?!**

**ჩვენ, დაზარალებულებმა, ისიც გავშიფრეთ, რომ კომპანია „დექსუსის“ უკან ისევ წინა კომპანიის დამფუძნებლები დგანან. უბრალოდ, ამით ჩვენი გაცურება მოინდომეს. სხვანაირად რჩეულიშვილები ხომ ვეღარ გვეტყოდნენ, ისევ ფული გვჭირდება და შემოიტანეთო. ჰოდა, ამას „დექსუსის“ პირით გვეუბნებიან.**

**საქმე სერიოზულ ფინანსურ დანაშაულთან გვაქვს და არა უბრალოდ წარუმატებელ ბიზნესკომპანიასთან“.**

ვიდრე „ცენტრ-პოინტი ჯგუფი“ მართვაში „დექსუსს“ გადაეცემოდა, ვახტანგ რჩეულიშვილმა გადაცემა „ბიზნეს-კურიერში“ საზოგადოებას ურცხვად შესთავაზა დამატებითი თანხების მათ კომპანიაში დაბანდება, სანაცვლოდ კი კომპანია მსესხებლებს ყოველთვიურად 2%-ს, წელიწადში კი 20-24% სარგებელს დაჰპირდა. მის შეთავაზებას, როგორც სტუდია „მონიტორი“ აღნიშნავს, 260 ადამიანი გამოეხმაურა და ჯამში კომპანიამ 6 მილიონი ლარი ისესხა, თუმცა კომპანიამ მსესხებლებს არც პროცენტები გადაუხადა სრულად და არც ძირი თანხა დაუბრუნა. **ხელშეკრულების თანახმად კი, მათ საქმის განხილვა მხოლოდ კერძო არბიტრაჟ „ვივალდთან“ შეეძლოთ, რომელმაც ზუსტად 2009 წელს** (როცა რჩეულიშვილებმა დაზარალებულებს პროცენტის გადახდა შეუწყვიტეს) **გააძვირა საქმის განხილვის ბაჟი, 5 ათასიდან 50 ათასამდე. არადა, სხა არბიტრაჟების ღირებულება 150-დან 1000 ლარამდე მერყეობს.** ეს კი მსესხებლებში ეჭვს ბადებს, რომ მათ შორის გარიგება მოხდა, რათა მევალეებს საქმე ვერ განეხილათ. **სხვა სასამართლოში საქმის განხილვას კი მსესხებელსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება კრძალავს.**

რჩეულიშვილები კომპანიის გაკოტრების მოტივად ოფიციალურად და სატელევიზიო კომენტარებში აგვისტოს მოვლენებს ასახელებენ, თუმცა, როგორც საგამოძიებო ფილმში ერთ-ერთი დაზარალებული აღნიშნავს, **ვახტანგ რჩეულიშვილს რამდენიმე დაზარალებულთან დაუჩივლია — აბა, რა გადაგიხადოთ, მთელი ფული სააკაშვილმა „აგვახიაო“.**

**„მართალია, აგვისტოს ომმა საქართველოში სერიოზული დაღი დაასვა ყველა კომპანიას, განსაკუთრებით კი სამშენებლო ბიზნესს, მაგრამ ეს ფაქტი არ ამართლებს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლების უპასუხიმგებლობას. ის, რომ სამშენებლო კომპანიის ერთ-ერთი ყოფილი დამფუძნებელი რუსუდან კერვალიშვილი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეა, მათ დაზარალებულებისადმი პასუხიმგებლობის მოხსნაში ხელს უწყობს.**

**რაც შეეხება კომპანია „დექსუსს“, ეს არის ორთქლის გამოშვების მექანიზმი, რომ ხალხს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლები არ წაელეკა, იმედი ჩაესახა მათთვის, რომ ბინების მშენებლობა დასრულდება და კიდევ ახალი სატყუარა შეეთვაზებინათ. „დექსუსთან“ ურთიერთბა პრობლემას მაშინ მოაგვარებს, თუ დაზარალებულები იმ ფართებს, რომლებში თანხა უკვე გადაიხადეს, ხელახლა იყიდიან. ეს არის თაღლითური სტრუქტურა და სისტემა, რომელიც პირდაპირ ხელისუფლების ხელშეწყობით ხდება. ამას არ აპატიებნენ არც ერთ კომპანიას, მაგრამ აპატიეს მათ.**

**ადამიანები თაღლითებად იბადებიან და მათი ბოლო ციხეა. მაგრამ, როცა თაღლითი გრძნობს, რომ მას ზურგს ხელისუფლება უმაგრებს, ამ შემთხვევაში ზარალდებიან მხოლოდ ადამიანები. როცა ხელისუფლება საუბრობს, თითქოს მათ უკვე მერიტოკრატია ჩამოაყალიბეს, რუსუდან კერვალიშვილის მათ გვერდით ყოფნით უკვე სრული დისონანსია შეტანილი. რა თქმა უნდა, „დექსუსის“ უკანაც ისევ „ცენტრ-პოინტ ჯგუფის“ დამფუძნებლები დგანან და ქანანაშვილი მათი მეორე ხელია.**

**ეს კიდევ ერთი მაგალითია, თუ როგორ აქვთ ბიზნესები ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს მოწყობილი თავიანთ სასარგებლოდ და როგორ ეწევიან საკუთარი ბიზნესების რეკლამირებას მოსყიდული ტელევიზიების მეშვეობით. ეს არის წინასწარ გათვლილი, კარგად აწყობილი სქემა, რომლითაც მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები სარგებლობენ და ადამიანები ზარალდებიან. უმრავლესობიდან, სხვებთან შედარებით, რუსუდან კერვალიშვილი ყოველთვის გამონაკლისად მიმაჩნდა და აქცენტი მასზე არასოდეს გამიკეთებია, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. არ შეიძლება თავი მაღალი ზნეობის ადამიანად მოგქონდეს და შენ გამო უამრავი ადამიანი ზარალდებოდეს, მაშინ, როცა თავად არაფერს იკლებ,“** — აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას „ახალი მემაჯვენეების“ წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია.






როგორც ჩვენთან საუბრისას დაზარალებულები აღნიშნავენ, მანამ არ მოეშვებიან ამ საქმეს, ვიდრე თანხებს უკან არ დაიბრუნებენ, ან ბინებს, პირობისამებრ, არ ჩაიბარებენ, ან არა და დამნაშავეებს, უკლებლივ ყველას, პასუხს არ აგებინებენ.

იმედია, მოტყუებული, გაჭირვებული ხალხის სამართალი აღსრულდება და ყველა თავის წილ პასუხს აგებს — ხელისუფლებაც და კომპანიის დამფუძნებლებიც. თუ არადა, ვახტანგ რჩეულიშვილს კიდევ არაერთხელ მოუწევს განრისხებული თანამოქალაქეებისგან გასილაქება.

**ეკა რობაქიძე**

# მონა-სპიკერი

**საქართველოში „ყველაზე უსუსური პოლიტიკოსების“ კონკურსი რომ გამოცხადებულიყო, საპატიო ადგილს, არც მეტი, არც ნაკლები, ქვეყანაში ოფიციალურად მეორე კაცად მიჩნეული პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დაიკავებდა. დავით ბაქრაძის პოლიტიკური აღმასვლა ყველასთვის შეუმჩნევლად და უმნიშვნელოდ დაიწყო. ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარედ დანიშნავდენ, მისი ვინაობა არა თუ საზოგადოებისთვის იყო უცნობი, არამედ თავად პოლიტიკოსებისთვისაც. ყოველ შემთხვევაში, მას მნიშვნელოვან ფიგურად არავინ აღიქვამდა. „ბაქრაძის სახელი და გვარი, პირადად მე, ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარე გახდებოდა, არც კი ვიცოდი. არანაირ მნიშვნელოვან ფიგურას ის არ წარმოადგენდა და, დღეს თუ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზეა, მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილისთვის საშიში არაა, მისივე შესაძლებლობებიდან გამომდინარე. წარმოუდგენელია, სააკაშვილის გარეშე მან რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს ან შეედავოს მას. ბაქრაძე ხელისუფლების სურვილის უპრობლემო გამტარებელია. ეს ხომ ავტორიტარული ქვეყანაა, რომელიც მისი ქვეშევრდომებისგან მონურ მორჩილებას მოითხოვს.**






## დავით ბაქრაძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პროცესების განვითარებაში

მიუხედავად იმისა, რომ ბაქრაძე მეორე კაცია ქვეყანაში, რეალურად, 50-ე კაციც ვერაა, რადგან იმ ათეულობით ადამიანთა სიაშიც ვერ შედის, რომელსაც პროცესების წარმართვაში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. მისი სიჩუმე კი საზოგადოებისთვის დამღუპველია. **ქვეყნის მოსახლეობის წინაშე ბაქრაძე იმ პასუხისმგებლობას არ გრძნობს, რომელიც მას კანონით ევალება. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პროცესების განვითარებაში.**

შეიძლება ეს კრიტიკა მისთვის მძიმე მოსასმენი იყოს, მაგრამ, მე რომ მართალს ვამბობ, ამაში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დაეთანხმება. ერთადერთი „ღირებული“, რაც ამ არსებაში დავინახე, ის იყო, რომ გადაცემა „ინტუიციაში“ თორმეტი მონაწილიდან, თორმეტივე გასაკვირი ლოგიკით „ამოიცნო“, — ამბობს „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრი გია კობახიძე.

რაც შეეხება ბაქრაძის პროფესიულ დონესა და პოლიტიკურ კარიერას, ასეთია: დაამთავრა სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. იგი სპეციალობით ელექტრონული ტექნიკის მასალებისა და კომპონენტების ფიზიკოს-ტექნოლოგია და სახელმწიფოს მართვის მაგისტრი. თუ რამდენად შეუძლია მას ქვეყნის მართვა, ფაქტი სახეზეა.

ბაქრაძე, ასევე, გახლავთ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი და ელექტრონული ტექნიკის ინჟინერი. ასე რომ, როცა იგი თავის მისიას, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ამოწურავს, არაა გამორიცხული, მისი სამომავლო „პერსპექტივა“ ენერგეტიკის მინისტრობა აღმოჩნდეს.

**ბაქრაძე 1997-1998 წლებში საგარეო საქმეთა სამინისტროში განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო და 1997 წელს ჟენევაში, შვეიცარიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში ჩაირიცხა, ხოლო 1998 წელს — ევროპული უსაფრთხოების საკითხთა კვლევის ცენტრში, გერმანიაში. „აქაც მე ვარ, იქაც მე ვარო“, ბაქრაძეს ეთქმის.**

**1998 წელს იგი განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველოს უფროსიც გახდა, 2000-2002 წლებში კი ამავე უწყებაში სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა დაიკავა. 2001 წელს იგი, ზემოაღნიშნულ თანამდებობის პარალელურად, იტალიაში ნატოს თავდაცვის კოლეჯში ირიცხება. მოკლედ, დიდ გაწამაწიაში ყოფილა ეს ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე სწავლა-განათლებასა და თანამდებობებს შორის.**

**2002-2004 წლებში ბაქრაძე ეროვნული უშიშროების საბჭოში ჯერ უშიშროების საკითხთა სამსახურის უფროსი იყო, შემდეგ — საგარეო პოლიტიკური უსაფრთხოებისა და კონფლიქტების დეპარტამენტის დირექტორი, ბოლოს კი — პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი. 2004-2007 წლებში საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი ბაქრაძე ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს თავმჯდომარეობდა. 2007-2008 წლებში იგი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იყო, შემდეგ კი, 2008 წლის 5 მაისამდე, – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. მისმა თანამდებობრივმა ზრდამ პიკს 2008 წლის 7 ივნისს მიაღწია, როცა საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს.**

ამ ბიოგრაფიული მონაცემების თანახმად კი, ბაქრაძე საქართველოში სამსახურეობრივ მოვალეობებსა და საზღვარგარეთ ლექციებზე სირბილს თურმე ერთდროულად ართმევდა თავს, ეს კი რეალურად შეუძლებელია. **ძნელი მისახვედრი არ არის, რა დამსახურება მიუძღვის „ნაცმოძრაობის“ წინაშე დავით ბაქრაძეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ვარდების რევოლუციით“ დამხობილი პრეზიდენტ შევარდნაძის სათათბირო ორგანოს — უშიშროების საბჭოს პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი ასეთი ტემპებით აგრძელებს კარიერის კეთებას და პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი „ლუბიმჩიკია“.**

გასაოცარი სისწრაფით მოხდა მისი პოლიტიკური ზრდა, ერთიდან მეორე თანამდებობაზე გადაყვანის შუალედები, არა თუ წლები, თვეები გამოდის. საზოგადოებისთვის ისედაც ყველაფერი ნათელია, მაგრამ მაინც დავსვათ კითხვა: რა დამსახურება აქვს მას „ნაციონალების“ წინაშე, რომ ერთ დროს მასხარა „კავეენშიკი“ „ნაცელიტაში“ „როგატკით“ შეაგდეს? ან რა პრინციპით აირჩიეს მაინც და მაინც ბაქრაძე? ხომ შეიძლებოდა მის ადგილზე სხვა, ასევე ხელისუფლებისთვის არასაშიში კანდიდატი დაენიშნათ? სწორედ ამის შესახებ ჩვენი რესპონდენტი **„სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე** საუბრობს.

— **ნაციონალები თავიანთ კანდიდატებს შემდეგი ნიშნით არჩევენ: ისინი უნდა იყვნენ მმართველის მორჩილი, საკუთარი აზრებისგან ტვინგამორეცხილნი, რადგან შემდეგ საფრთხე არ შეუქმნან პატრონს და ჰქონდეთ უნარი, ადამიანს თვალებში უყურონ და თავხედურად ატყუონ; ისე, რომ სიმართლის თქმისას, აქეთ დაგაეჭვონ, საკუთარ თავში. ასეთი ყურმოჭრილი მონები ერთმანეთისგან მხოლოდ პატრონის მიერ დაკისრებული მოვალეობებით განსხვავდებიან.**

თავის მხრივ, მეპატრონე მსგავსი მისიის მქონე პერსონებს ერთმანეთს აჯიბრებს, რომ საუკეთესო შემსრულებელი შეარჩიოს. ზომბებიც, გამარჯვების მიზნით, ერთმანეთს ანტიქართულ ქმედებებში ამარცხებენ. ამ კონკრეტული მომენტისთვის ბაქრაძემ სხვა კონკურენტები დაჩრდილა და კიდეც დააჯილდოეს. **ბაქრაძემ, ვიდრე „ნაციონალების“ „სიმპათია“ გახდებოდა, მრავალწლიანი კასტინგი გაიარა: ჯერ იყო და საკუთარ ანტიეროვნულ და ანტიმართლმადიდებლურ მოსაზრებებს სხვადასხვა ანტიქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა, შემდეგ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სუვერენიტეტის აღიარების კონცეფცია საკუთარი ხელმოწერით „დაამშვენა“. მეტი რა უნდოდა სააკაშვილის გულს? ახალგაზრდა, ქართული გვარის მქონე კაცი, ანტიქართული იდეოლოგიით გამსჭვალული და, რაც მთავარია, ყურმოჭრილი მონა. სწორედ ამ თვისებებისა და „ღვაწლის“ გამო მიანიჭეს მას პარლამენტის თავმჯდომარის სტატუსი. თუმცა მისი ფუნქცია მხოლოდ მარიონეტობაა, მან, ქართული გვარის მფლობელმა, უბრალოდ, ხელი უნდა მოაწეროს ყველა ანტიქართულ გადაწყვეტილებას.**

ასე ხდება ხოლმე მაფიური კლანის წარმომადგენლებში. სამწუხაროდ, საზოგადოება გვიან იგებს, ვინ რა „ღვაწლის“ გამო დააფასეს მასონებმა. მაგალითად, მოგვიანებით გაირკვა, რომ ჭიაბერაშვილი იმიტომ გახდა დედაქალაქის მერი, ქართლის დედაზე ცუდი რომ თქვა, ბაქრაძე იმიტომ დააწინაურეს, რომ ცხინვალის სუვერენიტეტის აღიარებას დათანხმდა და ა.შ.



## ასეთი პიროვნებები მარიონეტებად თუ გამოდგებიან. სხვათა შორის, ბაქრაძე ამ პირობებით, როგორც ჩანს, კმაყოფილია

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი გუგავა** კი პარლამენტის თავმჯდომარის შესახებ აღნიშნავს, რომ ბაქრაძის მსგავს პერსონას რეალურად არავინ ჩააბარებს იმ ძალაუფლებას, რაც მას, წესით, უნდა გააჩნდეს. **„იგი ერთი უბრალო ჩინოვნიკი იყო, რომელიც პოლიტიკაში ნინო ბურჯანაძის პატრონაჟით მოხვდა. სააკაშვილის ხელისუფლების უსაფრთხოების მიზნით, ბაქრაძე, უბრალოდ, ოფიციალურად დააწინაურეს. ასეთი პიროვნებები მარიონეტებად თუ გამოდგებიან. სხვათა შორის, ის ამ პირობებით, როგორც ჩანს, კმაყოფილია.**

ჩვენ მუდამ ისეთი პარლამენტის თავმჯდომარეები გვყავდა, რომლებიც მინიჭებულ ძალაუფლებას სრულად ფლობდნენ, გადაწყვეტილების მიღება ხელეწიფებოდათ და წონიან პოლიტიკოსებადაც ითვლებოდნენ, ბაქრაძეს კი დამოუკიდებლად ერთი გადაწყვეტილებაც ვერ მიუღია მთელი ამ დროის განმავლობაში. მისი გავლენა ნულია,“ — ამბობს გიორგი გუგავა.

ყველა ჩვენს რესპონდენტს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთი და იგივე შეხედულება აღმოაჩნდა. როგორც ჩანს, ეს ბაქრაძის ცხოვრებაში მართლაც მწარე რეალობაა.

**ბაქრაძის თანამდებობას მისი მეუღლე მაკა მეტრეველი უფრო იყენებს პირადი წინსვლისა და პრესტიჟისთვის, ვიდრე თავად დავითი. როცა ქართველებს ქვეყანა თავზე ენგრევა და მოსახლეობა სოციალური აფეთქების ზღვარზეა, პარლამენტის თავმჯდომარე მეუღლის დაგეგმილ არც ერთ მოდის ჩვენებას „არ აცდენს“, ბედნიერი სახით ზის და უგემოვნო, საზოგადოებისთვის გამაღიზიანებელ ჩვენებებსა და გასართობ შოუებს აღტაცებული ტაშს უკრავს.**

თუკი საზოგადოება ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების ამბიციებსა და დამღუპველ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს აპროტესტებს, ბაქრაძის შემთხვევაში, საქმე მეორე უკიდურესობასთან გვაქვს — მან საზოგადოებას უსუსურობითა და უფუნქციობით მოაბეზრა თავი.

**ეკა რობაქიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# სიკვდილი უწამლოდ

## მედიკამენტებზე ფასები ტოტალურად გაიზრდება

**ბოლო პერიოდში საქართველოში გაძლიერებული ვიდეოსათვალთვალო სისტემები შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთგვარ ჰობად ექცა, რომ აღარაფერი ვთქვათ ბიუჯეტის შევსების მშვენიერ შესაძლებლობაზე. როგორც უკვე ცნობილია, ამ სასიამოვნო და სასარგებლო გართობას უკვე აუბა მხარი ჯანდაცვის სამინისტრომ. ჯანდაცვის მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის №397 ბრძანების მიხედვით, სანიტარულ-ჰიგიენურ-ტექნიკური პირობების ნორმად ვიდეოსათვალთვალო სისტემაა მიჩნეული და აფთიაქებს ევალებათ ობიექტის შიდა და გარე პერიმეტრებზე ორი ვიდეოკამერის დამონტაჟება, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაღებული ვიდეოარქივის წვდომის უფლებით. ეს სიამოვნება კი ერთ აფთიაქს საშუალოდ 7 ათას ლარამდე დაუჯდება. რა შედეგები მოჰყვება მინისტრის ამ ახალ ბრძანებას, გამოიწვევს თუ არა ეს მედიკამენტებზე ფასების ზრდას და, საერთოდ, რა მდგომარეობაა დღეს ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე — ამ თემებზე ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარე თინათინ ტურძელაძე გვესაუბრება.**





**თინათინ ტურძელაძე:**

**წამლების დიდ ნაწილზე სახელმწიფოს არ გააჩნია ხარისხის სტანდარტი. ამდენად, ხარისხის უზრუნველყოფაზე საუბარი სრული უპასუხისმგებლობაა**

**— ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნა, აფთიაქებში ვიდეოსათვალთვალო სისტემის დამონტაჟება, გამოიწვევს თუ არა წამლებზე ფასების გაზრდას?**

— ვიდეოსათვალთვალო სისტემის მონტაჟი და მისი მომსახურების ხარჯები ლოჯისტიკის დანახარჯებია, რაც წამლის ფასის ერთ-ერთი კომპონენტია; რამდენადაც ეს დანახარჯი ვიდეოსათვალთვალო სისტემის დამონტაჟებისას გაეზრდებათ აფთიაქებს, ცხადია, ის წამლის ფასზეც აისახება.

**— ახალი ბრძანება, ალბათ, პატარ-პატარა აფთიაქების დახურვას გამოიწვევს. რა შედეგებს გამოიწვევს ეს ფარმაცევტულ ბაზარზე?**

— ჯანდაცვის მინისტრის ეს ბრძანება, მიკრო ბიზნესის და, სავარაუდოდ, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე აფთიაქების დახურვას გამოიწვევს. **მაღალი ალბათობით ისინი ვერ შეძლებენ ძვირადღირებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონტაჟისა და შენახვის ხარჯების დაფარვას; ამიტომ დაიხურება, პერსონალი დარჩება უმუშევარი და ბაზარზეც მხოლოდ საშუალო და მსხვილი ბიზნესი დარჩება,** რაც სამომავლოდ ბაზრის ეკონომიკურ ეფექტურობაზეც აისახება.

**— ბოლო დროს ბევრს საუბრობენ ქართულ ბაზარზე ფალსიფიცირებული წამლების არსებობაზე, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

— ქართულ ბაზარზე ფალსიფიცირების შესახებ ოფიციალური მონაცემები არ არსებობს, რადგან ქვეყანას არ აქვს არც „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა," რომელზეც კანონის დონეზე თქვა სახელმწიფომ უარი, და არც „ხარისხის კონტროლის სისტემა," რომელზეც სახელმწიფომ კანონით აიღო ვალდებულება, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს სათანადო ადმინისტრირებას. **ბაზარზე მიმოქცევაში არსებული წამლების დიდ ნაწილზე სახელმწიფოს არ გააჩნია ხარისხის სტანდარტი, რის გამოც მისი ხარისხის სათანადო შემოწმება ვერ განხორციელდება. ამდენად, ბაზრის ხარისხის უზრუნველყოფაზე ან თუნდაც უზრუნველყოფის ხელშეწყობაზე საუბარი სრული უპასუხისმგებლობაა.**

ინფორმაციის არარსებობა სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეს პრობლემა არ გვაქვს. პირიქით, სუსტი რეგულაციის ქვეყნებში ფალსიფიცირებული პროდუქციის გავრცელების რისკი უფრო მაღალია, ვიდრე მკაცრად რეგულირებად ბაზრებზე.

გაყალბებული წამლების გაყიდვებმა, როგორც საერთაშორისო ექსპერტები ვარაუდობენ, მსოფლიოში 75 მილიარდ დოლარს მიაღწია. შემაშფოთებელია ისიც, რომ გაყიდვებმა ბოლო 5 წლის განმავლობაში 90%-ით მოიმატა.

შემიძლია მასშტაბური გაყალბების რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო, რაც სახელმწიფოთა წარმატებული თანამშრომლობით გამოვლინდა და აღიკვეთა, მაგალითად:

**2009 წელს, 5-თვიანი ოპერაციის შედეგად, 20 მილიარდი ფალსიფიცირებული ტაბლეტის, ამპულისა და პაკეტის კონფისკაცია მოახდინეს ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ოპერაციის შედეგად დააპატიმრეს 33 ადამიანი და დახურეს საცალო რეალიზაციის 100 პუნქტი.**

**იმავე პერიოდში ეგვიპტეში აღმოაჩინეს ფალსიფიცირებულიი წამლები და კრიმინალური ქსელი, რომლებიც ამ წამლებით აღმოსავლეთ სახელმწიფოებს ამარაგებდა. ამ წამლებს შორის იყოს ორგანოთა ტრანსპლანტაციის, შიზოფრენიის, დიაბეტის, ონკოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წამლები.**

**ევროპაში საბაჟო სამსახურებმა მხოლოდ 2009 წლის 2 თვეში 34 მილიონი გაყალბებული ტაბლეტის კონფისკაცია მოახდინეს.**

მართალია, მსოფლიოში აქტიურად ხდება ფალსიფიცირებული წამლების უზარმაზარი რაოდენობისა და კრიმინალური ქსელების გამოვლენა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მაინც პრობლემის ზედაპირია. საყურადღებოა, რომ ყალბდება როგორც ბრენდები, ისე გენერიკები.

**— რას ურჩევთ მომხმარებელს ფალსიფიცირებული წამლებისგან თავის დასაცავად?**

— სამწუხაროდ, მომხმარებელი დაუცველია და დარჩენილია ბიზნესის კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის იმედზე.

უფრო მეტიც, მსგავსი **წამლით დაზარალებული ადამიანი საქართველოში ვერ დაამტკიცებს მისი ჯანმრთელობის გაუარესების წამალთან კავშირს** (ჩვენთან ფარმაკოვიჯილანსის სისტემა არ მუშაობს) **და ვერასოდეს დადგება ის პასუხისმგებლობა, რომელიც სახელმწიფომ ფორმალურად აიღო საკუთარ თავზე.**

**— საქართველოში უკვე რამდენიმე ფარმაცევტული ფირმა ამზადებს წამლებს. აკმაყოფილებს თუ არა ისინი საერთაშორისო სტანდარტს და რამდენად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის?**

— ალბათ, გულისხმობთ ევროგაერთიანების, ამერიკის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და საერთაშორისო ფარმაცევტული ინსპექტირების „წარმოების სათანადო სტანდარტებს". ეს სტანდარტები ჩვენი კანონმდებლობით მხოლოდ ნებაყოფლობითია, ჯერჯერობით სავალდებულო არ არის. თუმცა რამდენიმე მწარმოებელმა გერმანიიდან მოიწვია აუდიტი და შეაფასებინა საკუთარი საწარმოო უბნები. რამდენადაც ვიცი, წარმოების გარკვეულ უბნებზე მათ მიიღეს GMP-ის სერტიფიკატი.

ეს სერტიფიკატი შინაარსობრივად გულისხმობს იმას, რომ წარმოების იმ კონკრეტულ ზონებში, რომლებზეც გაიცა სერტიფიკატი, მინიმუმამდეა დაყვანილი წარმოების დროს წუნდების რისკი, რაც, ცხადია, საკმარისი არ არის წამლების უსაფრთხოებისა და, მით უფრო, ეფექტურობის გარანტირებისთვის.

უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გარანტირებისთვის სხვა მტკიცებულებებია საჭირო, რასაც ბიოეკვივალენტობის კვლევები იძლევა. აი, აქ არის პრობლემა... შესაბამისად, ეფექტურობისა და უსაფრთხოების გარანტიებიც ეფემერულია.

გარდა ამისა, **მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ წამალი მაღალი რისკის შემცველი პროდუქტია. საერთოდაც, არ არსებობს უსაფრთხო წამალი, ყველა გარკვეული საფრთხისა და ზოგჯერ ძალიან სერიოზული საფრთხის შემცველია.** ამიტომაც ხდება მისი ხანგრძლივი კვლევა ჯერ ცხოველებზე, მერე ადამიანებზე. ზედამხედველობა ბაზარზე დაშვების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს; ბაზარზე დაშვება ხდება მაშინ, როცა კვლევის მონაცემებით დასტურდება, რომ დაშვებული ჩვენებებით, დოზითა და ხანგრძლივობით მისგან მოსალოდნელი სარგებელი აღემატება მოსალოდნელ საფრთხეებს, მაგრამ, თუ ეს წინაპირობა (ჩვენება, დოზა, კურსის ხანგრძლივობა) დაირღვა, მაშინ წამალმა შეიძლება არამარტო ავნოს ადამიანს, შესაძლოა, მის სიცოცხლესაც კი საფრთხე შეუქმნას. ამიტომ წამალი მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად უნდა იქნას მიღებული.

**2002 წელს ამერიკაში ერთ-ერთი კვლევისას (PHILLIPS AND BREDDER 2002) შეისწავლეს 1993-1998 წლების პერიოდში საექიმო დანიშნულების ხარისხი. გამოვლინდა, რომ არასწორი დანიშნულებით (ინსტრუქციასთან შეუსაბამო დანიშნულებით) სიკვდილიანობის მაჩვენებელი 243%-ით იყო მომატებული და გაასწრო ყველა სხვა მიზეზით გამოწვეულ ლეტალობის შედეგის ინდიკატორს.** აქ არ ყოფილა წამლის უხარისხობის პრობლემა, აქ იყო მისი არასწორად გამოყენების პრობლემა.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

## შვიდი შვილის მამა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თვითმკვლელობით იმუქრება

**თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში მცხოვრები შვიდი შვილის მამა ალექსანდრე მამუკელაშვილი, პროტესტის ნიშნად, სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილებასთან თვითმკვლელობით იმუქრება.**

ალექსანდრე მამუკელაშვილის თქმით, უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, სააგენტომ, გადამოწმების მიზნით, საარსებო შემწეობა 7 თვის წინათ შეუწყვიტა და ოჯახი ამ დრომდე არ გადაუმოწმებია.

მამუკელაშვილს 7 შვილი ჰყავს, მათგან 6 მცირეწლოვანია. 3 ბავშვს კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი აქვს. თავად ალექსანდრე მამუკელაშვილიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. ოჯახი 2 პატარა ავარიულ ოთახში რთულ პირობებში ცხოვრობს. **„არაერთხელ მივედი სააგენტოში და ვთხოვე მათ, ყურადღება დროულად მომაქციონ, მაგრამ მხოლოდ ბავშვების გაშვილების პროგრამაში ჩართვას მთავაზობენ. ადგილობრივ ხელისუფლებასაც მივმართე, მაგრამ ყურადღება არც მათ მომაქციეს. წამლები რომ ვიყიდო, იმის ფულიც არ მაქვს და 5 ბავშვი ავად არის. უნდა მივიდე და სააგენტოსთან თავი მოვიკლა. იქნებ, მერე მაინც დაუნიშნონ ჩემს ოჯახს დახმარება და ბავშვები შიმშილით სიკვდილისგან ვიხსნა",** — განაცხადა ალექსანდრე მამუკელაშვილმა.

საარსებო შემწეობის გარეშე დარჩენილი მრავალშვილიანი ოჯახის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ფოტორეპორტაჟი 4 თებერვალს მოამზადა. მაშინ სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების ხელმძღვანელმა თამარ ნოღაშვილმა განაცხადა, რომ სოციალური აგენტი ოჯახს დაუყოვნებლივ გადაამოწმებდა, მაგრამ უშედეგოდ.

## გურამ მაქაცარია ედუარდ შევარდნაძის დანიშნულ პენსიას შეგნებულად არ იღებს

**საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი გურამ მაქაცარია, 10 წელზე მეტია, არ იღებს დეპუტატის კუთვნილ ყოველთვიურ თანხას — 600 ლარს.**

„მე ვარ საქართველოს უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომიტეტის თავმჯდომარე. დღემდე შენარჩუნებულია უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ქვორუმი, შენარჩუნებულია, ასევე, 1991 წლის პოლიტიკური და ტერიტორიული სივრცე. 2000 წელს, ედუარდ შევარდნაძის დადგენილებით, დანიშნული თანხა – 600 ლარი არ ამიღია და არც ავიღებ, რადგან მე ვარ მოქმედი დეპუტატი, ხოლო უზენაესი საბჭოს ის დეპუტატები, რომლებიც იღებენ ამ თანხას, არიან ყოფილი დეპუტატები," — აცხადებს გურამ მაქაცარია.

პროფესიით კიბერნეტიკოსი, მართვის თეორიის სპეციალისტი, სსრკ-ის 1989 წლის საუკეთესო გამომგონებელი გურამ მაქაცარია ამჟამად არსად არ მუშაობს. ამ გაუსაძლის პერიოდში, პოლიტიკური რწმენის გამო, 600 ლარზე უარის თქმა მისი მხრიდან გმირობის ტოლფასია. მას ახლაც უამრავი გამოგონება აქვს, მაგრამ, უსახსრობის გამო, ვერ ხერხდება მათი რეალიზება.

# არ დავთესოთ სიკვდილი!

# რატომ გვიძვირებენ გენმოდიფიცირებულ საკვებს?!

**„ზოგიერთ პროდუქტზე ფასი ხელოვნურადაა გაზრდილი, რაც პანიკის შედეგია,“ — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე. მისი თქმით, საქართველოში პირველადი მოხმარების პროდუქტების საკმარისი მარაგია და აპრილ-მაისიდან, ფასების ზრდის თვალსაზრისით, „შემსუბუქებაა“ მოსალოდნელი.**



ფასების ზრდის ტენდენციით, საქართველო პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ყირგიზეთის შემდეგ მეორე ადგილზეა. **პრეზიდენტის აზრით, დაბალი ფასების ეპოქა წარსულს ჩაბარდა. საქართველოში კვების პროდუქტებზე ფასები რომ იზრდება, ქართული ოჯახებისთვის ეს ადვილად გადასატანი არ არის. მაგრამ, პრეზიდენტის განმარტებით, ქვეყანაში ფასების ზრდა მსოფლიო ტენდენციითაა გამოწვეული** და განსხვავდება იმ პროცესებისგან, რომლებიც საქართველოში 90-იან წლებში იყო. მისივე თქმით, დღეს ქვეყნის საბანკო სექტორი ჯანსაღია, სავალუტო კურსი კი — სტაბილური და საქართველოს ბევრად ნაკლები ვალი აქვს, ვიდრე მეზობელ ქვეყნებს.

ამის პარალელურად, ექსპერტები შემაშფოთებელ პროგნოზებს აკეთებენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით. მათი თქმით, **მარცვლეული კულტურის ქართული ჯიშები გადაშენების პირასაა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარცვლეულის ჰიბრიდული ჯიშები საზღვარგარეთიდან შემოაქვს და გლეხებში მისი პროპაგანდით საქართველოში მოსავლიანობის გაზრდას იმედოვნებს.** ექსპერტების აზრით, დაბალი მოსავლიანობის მიზეზი ქართული ჯიშები კი არა, ისაა, რომ მიწის ნაკვეთების მხოლოდ მესამედია დამუშავებული. კერძოდ, **თუ 90-იან წლებში საქართველოში 800 ჰექტარი მიწა მუშავდებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 250 ჰექტარამდეა დაყვანილი.**

გაეროს შესაბამისმა ორგანიზაციამ ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, წლეულს, იანვარში, მსოფლიოში სურსათზე ფასები რეკორდულად (3,4 პროცენტით) გაიზარდა. გაეროს ექსპერტების დასკვნით, ეს ყველაზე მეტად იმპორტზე ორიენტირებულ განვითარებად ქვეყნებს დააზარალებს.

საქართველოს „მწვანეთა მოძრაობაში“ აცხადებენ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეყანაში ჰიბრიდული სიმინდისა და ხორბლის თესლები შემოაქვს. „მწვანეთა მოძრაობის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ არ არსებობს ინფორმაცია, გაიარა თუ არა აღნიშნულმა თესლებმა გამოცდა.

**„ცნობილი გახდა, რომ თესლების გავრცელება ხდება დაუშვებელი მეთოდებით. მოსახლეობას აიძულებენ, შეიძინონ გარკვეული რაოდენობის სათესლე მასალა. ჰიბრიდული ჯიშების ფართოდ გავრცელება დაუშვებელია როგორც ეკონომიკური, ისე სასოფლო-სამეურნეო და გარემოს დაცვის თვალსაზრისით.**

ცნობილია, რომ ჰიბრიდული ჯიშები დაპირებულ „უხვ“ მოსავალს მხოლოდ პირველ წელს იძლევა, მომდევნო წელს კი მისგან მიღებული მარცვალი სათესლე მასალად არ გამოდგება, ვინაიდან არ აქვს აღმოცენების უნარი. ამდენად, **გლეხი იძულებულია, ყოველ წელს შეიძინოს სათესლე მასალა ჰიბრიდული თესლის მწარმოებელი კომპანიისგან,** რაც არც ისე იაფია“, — აცხადებენ „მწვანეები“.

„მწვანეთა მოძრაობის“ განცხადებაში ისიცაა ნათქვამი, რომ ეს პროცესი იმ უნიკალური ქართული ჯიშების გადაშენებას გამოიწვევს, რომლებიც უკეთაა შეგუებული ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან.

**ექსპერტ პაატა კოღუაშვილის** განცხადებით, საქართველოს საკვები პროდუქტების ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, დაახლოებით, 10-15%-ია და ისიც მხოლოდ საქართველოშია წარმოებული. მისი თქმით, **მთელ მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი უკვე ფუფუნებაა, საქართველოს კი, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, აქვს იმის რესურსი, იმ რაოდენობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი აწარმოოს, რომელიც ადგილობრივ მოთხოვნასაც დააკმაყოფილებს და სოფლის მეურნეობის პროდუქტს ექსპორტზეც გაიტანს. ექსპერტის აზრით, შესაძლოა, მალე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის რაოდენობა ბაზარზე კიდევ შემცირდეს. ეს კი ადამიანების სიკვდილიანობას კიდევ უფრო გაზრდის.** ამ ვითარებაში ხელისუფლებამ, ჯანსაღი პროდუქტის წარმოების თვალსაზრისით, აქტიური მოქმედება უნდა დაიწყოს და სოფლის მეურნეობის განვითარება მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტად აქციოს.

**„გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა იმპორტირებულ პროდუქტზეა დამოკიდებული, აქ სურსათზე ფასების განუწყვეტლივ ზრდის ყველაზე მაღალი საფრთხე არსებობს. გარდა ამისა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენთან მხოლოდ გენმოდიფიცირებული იმპორტირებული პროდუქტი შემოდის, რომელიც, ძირითადად, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ მთავრობამ ადგილობრივი წარმოების განვითარებას ხელი უნდა მოჰკიდოს. საქართველოსნაირი ბუნებრივი პირობების მქონე ქვეყნის მოსახლეობა გენმოდიფიცირებული საკვებით არ უნდა იკვებებოდეს“,** — ამბობს პაატა კოღუაშვილი.

### პაატა კოღუაშვილი: საქართველოსნაირი ბუნებრივი პირობების მქონე ქვეყნის მოსახლეობა გენმოდიფიცირებული საკვებით არ უნდა იკვებებოდეს



მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოში გენური ინჟინერიით გამოყვანილი თესლი (კარტოფილი, მარწყვი, კომბოსტო, ხორბალი) შემოვიდა. კოღუაშვილის აზრით, ხელისუფლებამ ამ იდეის განხორციელებას ხელი არ უნდა შეუწყოს; საქართველოს საექსპორტო პოტენციალი მხოლოდ მაშინ გაიზრდება, თუ ქვეყანა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებს, რაზეც განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ დიდი მოთხოვნაა.

**ექსპერტ ლევან კალანდაძის** შეფასებით, მსოფლიოში სურსათის ფასების რეკორდულად ზრდა საქართველოზე ნეგატიურად აისახება, რადგან ქვეყანა პირველადი მოხმარების პროდუქტებსაც კი ვერ აწარმოებს და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული.

**„საქართველოში სურსათი არ გაქრება, თუმცა ფასები ძალიან მაღალი იქნება. მთელ მსოფლიოში არსებული სასურსათო დეფიციტი საქართველოზე ნეგატიურად აისახება. რამდენადაც სამწუხარო უნდა იყოს, ეს მოვლენა, სოციალური თვალსაზრისით, ქვეყნისთვის ძალიან მძიმე იქნება და სურსათზე მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ხელმიუწვდომლობაში გამოიხატება. მთავარი დღეს სწორედ ის არის, თუ რამდენად მოქნილ ანტიკრიზისულ პოლიტიკას შეიმუშავებს საქართველოს ხელისუფლება. ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა, თუ რა დროში აღორძინდება სოფლის მეურნეობა. გააჩნია, რამდენად მოქნილი და სიტუაციაზე მორგებული იქნება ანტიკრიზისული პროგრამა“,** — აღნიშნა ექსპერტმა.

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ

### ეგვიპტეში გაზსადენი ააფეთქეს

**ეგვიპტეში, სინას ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, უცნობმა პირებმა გაზსადენი ააფეთქეს. აფეთქება ისრაელის საზღვართან ახლოს მდებარე ქალაქ ელ-არიშში მოხდა.** ეგვიპტის ნაციონალურმა ტელევიზიამ გამოძიებაზე ადრე დაასკვნა, რომ აფეთქება განახორციელეს ტეროტორისტებმა, რომლებმაც ქვეყანაში არსებული არეულობით ისარგებლეს. აღსანიშნავია, რომ სინას ნახევარკუნძულზე გამავალი გაზსადენით ბუნებრივი აირი ისრაელსაც მიეწოდება. ეგვიპტეში ათდღიანი ანტისახელისუფლო გამოსვლებისას 300-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და 5000-მდე დაიჭრა. ოპოზიცია, უკვე ორი კვირაა, მოითხოვს პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის გადადგომას, რომელიც ეგვიპტეს, 30 წელია, უცვლელად მართავს.

### „უკანასკნელი დღე“ ჩაიშალა

**ქაიროში 4 თებერვალს გამართული მასშტაბური საპროტესტო აქციის შემდეგ, ათასობით დემონსტრანტმა ღამე ტაჰრირის მოედანზე იმ იმედით გაათენა, რომ ეს დღე ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლებაში ყოფნის „უკანასკნელი დღე“ იქნებოდა, მაგრამ აქციას ეგვიპტის ლიდერის გადადგომა არ მოჰყოლია.** ღამით მოედანზე პატრიოტული სიმღერები ისმოდა და ეროვნული დროშები ფრიალებდა, მაგრამ როგორც ადგილზე მომუშავე ჟურნალისტები იუწყებიან, აქტივისტთა ნაწილი უკან დახევაზე ფიქრობს. ტაჰრირის მოედანზე „სამორიგეოდ“ დემონსტრანტთა მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩება, მასობრივი აქციები კი იქ სამშაბათობით და პარასკეობით გაიმართება. მოედანს ეგვიპტის არმიის ქვედანაყოფები იცავენ, რათა მუბარაქის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკება არ განმეორდეს.

### კიევის მერი ბათუმში ეგულებათ

**უკრაინული მედია კვლავ თავგანწირვით ცდილობს, დაადგინოს, თუ სად გაუჩინარდა კიევის მერი ლეონიდ ჩერნოვეცკი, რომელიც უკრაინის დედაქალაქში 2010 წლის დეკემბრის შემდეგ ალარავის უნახავს.** გაზეთი „სეგოდნია“, რეგიონების პარტიის წარმომადგენლებზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომ ჩერნოვეცკი ბათუმში, თავის ვილაში იმყოფება და ისრაელის მოქალაქეობას ელის. თუმცა უკრაინაში, ისრაელის საელჩოში, აცხადებენ, რომ მათ ჩერნოვეცკიზე არაფერი იციან. გამოცემის ინფორმაციით, მერის მეუღლეს, ალინა აივაზოვას გუდაურსა და ბაკურიანში ინვესტიციების განხორციელება სურს. „დიახ, ჩვენ მოგვმართა კიევიდან გავლენიანმა ადამიანმა, რომელსაც სასტუმრო კომპლექსების აშენება უნდა“, — განუცხადეს „სეგოდნიას“ ბაკურიანის ადმინისტრაციაში.

### უმაროვი მოსკოვს ემუქრება

**ჩეჩენი მეამბოხეების ლიდერმა დოკუ უმაროვმა ინტერნეტით გავრცელებულ ვიდეომიმართვაში განაცხადა, რომ ჩეჩენი მეამბოხეები მოსკოვში მორიგ სპეცოპერაციას ამზადებენ.** მიმართვა ჩაწერილია რიადუს სალიხინის ბრიგადის ბაზაზე, სადაც უმაროვი რუსეთში მორიგი დავალების შესასრულებლად გაგზავნილი ერთ-ერთი მოჯაჰედის – სეიფულას გასაცილებლად ჩავიდა. „დღეს გავიარე დიდი გზა, რათა ჩვენმა ძმებმა ჩაატარონ სპეცოპერაცია რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთის დედაქალაქში. ადამიანებისადმი დანაშაული არა ჩვენ, არამედ ალაჰის მტრის კისერზეა“, — ამბობს უმაროვი და რუსებს მოუწოდებს, სიძულვილი, უპირველესად, საკუთარი ხელისუფლების მიმართ გამოხატონ და მოსთხოვონ მას კავკასიის დატოვება. ამ შემთხვევაში, ის და მისი თანამებრძოლები არასოდეს ჩავლენ რუსეთში.

# «ნაციონალები» საქართველოს სარაკეტო იერიშის სამიზნედ აქცევენ

**რაკეტსაწინაალმდეგო სისტემების რადარების საქართველოში განთავსებასთან დაკავშირებით რესპუბლიკელი სენატორების იდეას საქართველოს ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე მიესალმება. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ამერიკა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და, თუ ეს საკითხი ოფიციალურად დადგება დღის წესრიგში, ქართული მხარე ამას სერიოზულად და ადეკვატურად განიხილავს.**



## რა მნიშვნელობა აქვს – თავზე ისლამისტ ტერორისტთა რაკეტა დაგვეცემა, თუ მისი ნამსხვრევი ამ რაკეტის «წარმატებით» გზად დაჭერის შედეგად?!

**„საინტერესო იდეაა და ნებისმიერ იდეას მივესალმებით, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას. თუ ეს საკითხი ოფიციალურად დადგება დღის წესრიგში, ჩვენ ამას ყურადღებით და ადეკვატურად განვიხილავთ“,** — აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

ოთხი ამერიკელი სენატორის ინიციატივა საქართველოს ხელისუფლების სრულ კმაყოფაზე მყოფ ექსპერტ-პროპაგანდისტებსაც მოეწონათ. კერძოდ, ექსპერტმა **კახა გოგოლაშვილმა** საზოგადოებას შეახსენა, რომ რუსეთი სარაკეტო სისტემებს დგამს ცხინვალსა და აფხაზეთში და ამ პირობებში აშშ-მა აუცილებლად უნდა განათავსოს რადარები საქართველოში. მას მიაჩნია, რომ საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო რადარების განთავსება მის თავდაცვისუნარიანობას გაზრდიდა. ამავე აზრისაა „ექსპერტი“ **ნიკა ჩიტაძეც,** რომელიც იმედოვნებს, რომ ოთხი სენატორის ინიციატივას მხარს დანარჩენებიც დაუჭერენ.

**„მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს საკითხი ოთხმა ამერიკელმა სენატორმა წამოჭრა. არჩევნების შემდეგ რესპუბლიკელების გავლენა საკანონმდებლო ორგანოში გაიზარდა, აქედან გამომდინარე, იმედი ვიქონიოთ, რომ თანაპარტიელების იდეას მხარს სხვა რესპუბლიკელებიც დაუჭერენ“,** — განაცხადა ჩიტაძემ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2004 წლიდან „ვარდების რევოლუციური“ ხელისუფლების მიერ არაანგაჟირებულმა ექსპერტებმა — **პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ჭაჭიამ, პოლიტოლოგმა და პუბლიცისტმა არნო ხიდირბეგიშვილმა და ზოგიერთმა სხვამ – თავის მრავალრიცხოვან პუბლიკაციასა და ინტერვიუში არაერთხელ გააფრთხილეს ქართველი საზოგადოება საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების ან/და აშშ–ის სამხედრო ბაზის განთავსების საფრთხის შესახებ.**

გთავაზობთ რამდენიმე ციტატას:

**„ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის მოკავშირედ (შესაბამისად, მთელი ისლამისტური ფუნდამენტალიზმის მტრად!) ქცეული საქართველო განადგურებას დაქვემდებარებულ საბრძოლო მიზნადაც იქცა — რაკეტებით მოხდება ეს თუ ტერაქტებით — სუვერენიტეტ და ტერიტორიებ-დაკარგული პატარა ქვეყნისთვის, უმწეო ეკონომიკითა და ძალზე მცირერიცხოვანი მრავალეროვანი მოსახლეობით — დიდი მნიშვნელობა არ აქვს...“** (ა. ხიდირბეგიშვილი, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, პუბლიკაცია „აქეთ მოიხედეთ, სულელებო!“, 19.08.2009 წ.)

**„რისთვის სჭირდებათ საქართველო ამერიკელებს? სამი ინტერესია: პირველი — მილსადენის გაყვანა; მეორე — საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოყენება ირანთან ომის შემთხვევაში, რაც დღის წესრიგში დგას, რადგან ახლომახლო სხვა არავინ დაუთმობს ინფრასტრუქტურას; მესამე — რუსეთის სამხრეთით ნეგატიური პროცესების, ყველანაირი ექსცესის ინსპირირება... ამ როლის შესრულებას აიძულებდა საქართველოს შევარდნაძე და აიძულებს სააკაშვილიც...**

**ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც პროამერიკული არ იქნებოდა.**

**ამერიკელების ნებართვით, შევარდნაძის დამხობისას სააკაშვილი აკრიტიკებდა მას ყველაფრის გამო, გარდა საგარეო პოლიტიკისა!**

**დღევანდელი ოპოზიციონერებიც გაჰყვირიან „ძირს!“, მაგრამ არ ეხებიან საგარეო პოლიტიკურ კურსს!**

**ამერიკელები აკონტროლებენ საქართველოში მთელ პოლიტიკურ სპექტრს, საერთაშორისო ორგანიზაციების 90% მათი ფულით ფუნქციონირებს“** (ა. ჭაჭია, ონლაინ-კონფერენცია „Аргументы и Факты“-ში 2009 წლის 7 აგვისტოს).

„ჩვენი წინდაუხედავი პოლიტიკოსები და მოღალატე **პროქტოპოლიტოლოგები** (წარმოდგება სიტყვა „პროქტოლოგისგან“, ანუ პოლიტ-ჰემოროის სპეციალისტები) უწინდებურად დაყრუება-დაბრმავებას ამჯობინებენ, რადგან საზოგადოების გათვითცნობიერება და მისთვის თვალის ახელა მათ ინტერესებში არ შედის! თითქოსდა არ იციან, რომ:

სანამ აშშ და ნატო ემუქრებიან ირანს, ომობენ ავღანეთსა და ერაყში (ვერც იმარჯვებენ და ვერც მიდიან...), უნებლიეთ ერთვებიან პაკისტანის შიდაკონფლიქტში **(რომელმაც 7000 კმ რადიუსის მოქმედების ახალი საკონტინენტთაშორისო რაკეტების დამუშავება დაიწყო!), ჯიჰადის ვექტორი** — მილიარდობით მუსლიმანის სიძულვილი, რომლებიც დიად ისლამისტურ რევოლუციასა და შარიათის კანონების გამარჯვებაზე ოცნებობენ — **მიმართული იქნება ნატოს წევრი ქვეყნებისა და მათი ერთგული მოკავშირის ერაყსა და ავღანეთში — საქართველოსადმი,** რომელიც, **ა. ჭაჭიას** თქმით, **„ირანზე იერიშის შემთხვევაში, გადაიქცევა საომარ პლაცდარმად აშშ-ისთვის, რომელსაც თავის ინფრასტრუქტურას დაუთმობს“. შესაბამისად, აქ რადარების ან რაკეტების („Standard-3“ ომ MIM-104 „Patriot“ ტიპის სახმელეთო კომპლექსების) განთავსების მოსურნე ან შეშლილია, ან მოღალატე;**

— არც ავღანეთს, არც პაკისტანს, არც ირანს და საუდის არაბეთს, ისრაელს ან სამხრეთ კორეასაც კი არ გააჩნია საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, **რომელთა მოქმედების რადიუსი 1200 კმ-ს აღემატება და ამრიგად, შეუძლებელია, საფრთხეს წარმოადგენდეს ევროპისა და, მით უმეტეს, ამერიკისთვის! სამაგიეროდ, გააჩნია რაკეტები, რომლებიც იოლად მიაღწევენ ამერიკის მოკავშირე საქართველომდე!** მარტო პაკისტანს 80 ბირთვული ქობინი აქვს;

ვაშინგტონის ახალ ადმინისტრაციას ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროექტის განხორციელება რომც არ შეეწყვიტა და საქართველო მისი მოქმედების ეფექტიანობის ზონაში მოხვედრილიყო, **სარაკეტო იერიშის შემთხვევაში — რაკეტა მის საჰაერო სივრცეში რომც გაენადგურებინათ — ის მაინც განადგურებული იქნებოდა!** ამგვარი რაკეტების ნამსხვრევი, რომელიც სულ რაღაც 100 გრამს იწონის, ხუთსართულიან შენობას საძირკვლამდე ჩაიტანს (!), მიწაზე კი, ცხადია, ამაზე დიდი ნამსხვრევებიც ცვივა... **მაშ, რაღა მნიშვნელობა აქვს — თავზე ისლამისტ ტერორისტთა რაკეტა დაგვეცემა, თუ მისი ნამსხვრევი ამ რაკეტის „წარმატებით“ გზად დაჭერის შედეგად?!“** (ა. ხიდირბეგიშვილი, ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, პუბლიკაცია „პრო-სკენ გაქვთ საქმე, თქვე პროვოკატორებო!“, 2009 წლის 23 სექტემბრის ნომერი).

ახლა კი იმისთვის, რომ საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის მკითხველს ცოტა გულზე მოეშვას, შემოგთავაზებთ აბზაცს დღეს გვიან გამოფხიზლებული, იმჟამად კი **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის** მიერ 2008 წლის 13 თებერვალს „რია-ნოვოსტისთვის“ მიცემული ინტერვიუდან:

**კორ.: „ქალბატონო ნინო! საერთაშორისო „კვარტეტის“ – გაერო, ევროკავშირი, აშშ და რუსეთის გარანტიის პირობებში სახელმწიფო ნეიტრალიტეტი საქართველოსთვის მითია თუ გარკვეული მნიშვნელობა აქვს, როგორც ფინეთის, შვეციისა და შვეიცარიისთვის? ნატოს წევრობის შემთხვევაში ხომ არ გადავიქცევით ისლამური ფუნდამენტალიზმის სამიზნედ?**

**ნ. ბ.:** „არა მგონია, რომ ვინმეს სამიზნედ გადავიქცეთ. ისლამური ქვეყანა — თურქეთი ნატოს წევრია, ძალიან ბევრი ისლამურ ქვეყანასთან ნატოს ნორმალური ურთიერთობები აქვს, ხოლო ფუნდამენტალიზმი არა მარტო ნატოს წევრი ქვეყნების, არამედ თვით მუსლიმანური სახელმწიფოების პრობლემაცაა, რომელთაგან ბევრს ეს შესანიშნავად ესმის და შებრძოლებასაც ლამობს. ნებისმიერი ფუნდამენტალიზმი, რა მიმართულებითაც არ უნდა ვითარდებოდეს, 21-ე საუკუნეში საშიში და მიუღებელია! **საქართველო ნატოს წევრი გახდება, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ორგანიზაცია არა მარტო წევრი–ქვეყნების უსაფრთხოებაზე ზრუნავს, არამედ ხელს უწყობს მათ დემოკრატიულ განვითარებასაც!**

რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, ეს გამოსავალი არაა. გადახედეთ იმ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ისტორიასა და რეალობას, რომლებიც თავად მოიყვანეთ მაგალითად და მიხვდებით, რომ **ნეიტრალიტეტი საქართველოსთვის არარეალურია, რადგან მის წინაშე წამოჭრილ ვერც ერთ პრობლემას ვერ გადაჭრის!**

ყოველთვის, როცა საუბარი საქართველოს ნატოში გაწევრებას ეხება, რუსეთში ოპონენტები ცდილობენ, ნატოსგან საფრთხობელა შექმნან და ავიწყდებათ, რომ რუსეთის უახლოესი მეზობლები — ბალტიისპირეთი, პოლონეთი და სხვა სახელმწიფოები ნატოს წევრები არიან, თუმცა რუსეთს არაფრით ემუქრებიან! ეს ამ „შეშფოთების“ ემოციურ-პროპაგანდისტულ ხასიათზე უფრო მიუთითებს, ვიდრე რეალობაზე. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ: **საქართველოს ნატოში გაწევრება რუსეთს არაფრით ემუქრება, პირიქით – უკეთესიცაა, რადგან საქართველოს სახით უფრო სტაბილური და დემოკრატიული მეზობლის ყოლა ყველასთვის მომგებიანია!“**

**NO COMMENT**

# ამერიკული ფონდი «მემკვიდრეობა» – გეგმები საქართველოში




**დღეს საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ მთელი რიგი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კონტროლქვეშ მუშაობენ. ერთ-ერთი მათგანია ფონდი „მემკვიდრეობა“, რომელიც საერთაშორისო არენაზე საქართველოს საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებს.**

ამერიკულმა ფონდმა „მემკვიდრეობამ“ მოამზადა ღონისძიებათა გეგმა ოფიციალური თბილისის მხარდასაჭერად საერთაშორისო საინფორმაციო–პროპაგანდისტული კამპანიის ჩატარების საკითხში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან საქართველოს კონფლიქტების თაობაზე.

ამ კამპანიის ფარგლებში, 2011 წლის განმავლობაში „მემკვიდრეობა“ აშშ–ში კონფერენციების სერიის ჩატარებასა და სამეცნიერო გამოკვლევებისა და დოკუმენტური ფილმების გადაღებებისთვის პრემიების დაწესებას გეგმავს შემდეგ თემებზე:

**— რუსეთის ფედერაციის მონაწილეობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების „გაჩაღებაში“;**

**— სამხრეთ კავკასიაში სამხედრო, ეკონომიკური, ენერგეტიკული და საინფორმაციო უსაფრთხოების პრობლემები;**

**— დევნილებისა და ლტოლვილების მდგომარეობა საქართველოში;**

**–ეთნიკური უთანხმოების დაძლევა ქართველ საზოგადოებაში.**

გარდა ამისა, გათვალისწინებულია პოსტკონფლიქტური დარეგულირების პრობლემებზე მომუშავე ანტირუსული მიმართულების სამოქალაქო სამეცნიერო ინიციატივების, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციების, ბლოგერთა ჯგუფებისა და სტუდენტური ასოციაციების (აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან სტუდენტების მონაწილეობით) შექმნა და განვითარება.

ფართო საერთაშორისო რეზონანსისა და მსოფლიო თანამეგობრობაზე აქტიური საინფორმაციო ზემოქმედების უზრუნველსაყოფად დაგეგმილია შემუშავებული პროექტების სარეალიზაციოდ პარტნიორულ ორგანიზაციათა რესურსებისა და გამოცდილების, ასევე, საქართველოსა და აშშ-ის ცნობილი პოლიტიკოსების, მეცნიერებისა და კინოდოკუმენტალისტების მოზიდვა.

ზემოხსენებული პროექტის ბიუჯეტი არცთუ დიდია — სულ რაღაც 365 ათასი აშშ დოლარი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნინო ჩხობაძე: თბილისში მალე ველარ ვისუნთქებთ!

**ჩვენს დედაქალაქში იჭრება უამრავი ხე, თითქმის აღარ არსებობს მწვანე საფარი, ბევრი სკვერი ამოვარდა რეკრეაციული ზონიდან, ანუ გვაცლიან ჰაერს და ხალხი ჩუმადაა. ვინ უნდა აგოს პასუხი ამ ქმედებებზე და რა მოელის თბილისს რამდენიმე წლის შემდეგ? — ამის შესახებ საქინფორმს საქართველოს „მწვანეთა მოძრაობის“ — „დედამიწის მეგობრები“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე ესაუბრა.**

— ქალაქებისთვის აუცილებელია მწვანე საფარი, მთელ საბჭოთა კავშირში თბილისი ამ მხრივ გამორჩეული იყო. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ არის დამაკმაყოფილებელი. **ერთ სულ მოსახლეზე უნდა მოდიოდეს რამდენიმე კვადრატული მეტრი გამწვანებული ფართობი, მაგრამ რაზეა საუბარი, როდესაც ქალაქის პარკებში, ხეებისა და სხვა მცენარეების ნაცვლად, კორპუსებია წამოჭიმული.**

ეს პრობლემა თბილისს, უკვე ოცი წელია, აქვს. ჯერ იყო და რესტორნების შემოტევა იყო, შემდეგ ოფისების და ახლა – კორპუსების. ვაკე თბილისში საუკეთესოდ გამწვანებულ ზონად ითვლებოდა, ახლა კი იქ მხოლოდ ახალაშენებული კორპუსებია. მსგავსი სიტუაციაა როგორც ქალაქის ცენტრში, ასევე გარეუბნებშიც, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ცნება ,,მწვანე სარტყელი" ჩვენთან აღარ არსებობს.

— **სად არის გამოსავალი ასეთ სიტუაციაში?**

— ერთადერთი გამოსავალი არის გენგეგმა და პარკებისა და სკვერების წითელი ხაზი. 90-იანი წლებიდან დაწყებული ეს მუდმივად იყო „მწვანეთა მოძრაობისათვის“ პრობლემა, რადგან ჩვენ ვერასდროს მოვახერხეთ, კონკრეტულად დადგენა, სად არის მწვანე ზოლი, სად არის წითელი საზღვარი, რომ მშენებლობა არ განხორციელდეს. დღეს ჩვენ ამგვარ ფაქტებს ვაწყდებით პლეხანოვზე, ვაკის პარკში, ვარდების ბაღში... აღარ ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, კატასტროფის **წინაშე დგას თბილისი და ამას ყურადღებას არავინ აქცევს. თბილისის გამწვანების პრობლემა კრიტიკულ ზღვარზეა მისული. მცირდება მწვანე საფარი. მთელი თბილისი მოიცვა მშენებარე ობიექტებმა, იპოდრომი, სადაც უამრავი ხე გაიჩეხა, უკვე გარშემორტყმულია კორპუსებით.**

— **როგორ შეიძლება შეჩერდეს ეს პროცესი?**

— ერთადერთი, რასაც შეუძლია ამ პროცესის შეჩერება, ქალაქის გენგეგმაა და არა მიწათსარგებლობის გეგმა. ჩვენ დღეს ქალაქში გვაქვს მიწათსარგებლობის გეგმა და არ გაგვაჩნია გენგეგმა, რომლის ნაწილიც მიწათსარგებლობის გეგმა უნდა იყოს და რომელმაც უნდა განსაზღვროს, სად რა უნდა აშენდეს – სად უნდა იყოს სახლები, სად უნდა იყოს სამრეწველო ობიექტები, ოფისები და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი უნდა იყოს დაგეგმილი!



— **გაუძლებს ქალაქი ამდენ მშენებლობას, თუნდაც ამ ახალი სატრანსპორტო დერეფნისას?**

— **ჩვენ ვდგავართ კატასტროფის წინაშე. ქალაქში, სადაც დაჭრეს ყველაფერი, მთებიც და კლდეებიც კი, და აშენებენ ამხელა კორპუსებსა თუ სატრანსპორტო დერეფნებს, მომავალზე არავინ ფიქრობს.** არავინ ფიქრობს, არათუ გამწვანებაზე, არამედ იმაზე, აიტანს კი ეს ქალაქი ამდენ ნგრევას? ტელევიზიით გვაჩვენეს, რომ ხეები დარგეს, მაგრამ ამ აქციის შემდეგ ვინმემ ნახა ის ხე? გაიხარა კი საერთოდ?

— **ხეების მოჭრისას ითვალისწინებენ ხის ასაკს და ვარგისიანობას, თუ ამ ხეებს მხოლოდ იმიტომ ჭრიან, რომ ადგილის გამოთავისუფლება სჭირდებათ?**

— ახლახან ალმაშენებელზე მოიჭრა უნიკალური, იშვიათი სახეობის მაგნოლიები. ჩვენს ზონაში გახარებული მაგნოლია კი იშვიათობაა. შესაბამისად, ახლა რომ მოგინდეს თავიდან მათი დარგვა, უკვე ველარ გაახარებ. მოიჭრა ძალიან ბევრი ისეთი ხეც, რომლებიც 40-50 წლისა იყო და ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ამის გამო უნდა ამოეძირკვათ, მით უფრო, მათი სიცოცხლისუნარიანობა შეადგენს 100 წელს და მეტსაც.

— **ვისი კომპეტენციაა ამ საკითხის მიხედვა?**

— ეს მთლიანად არის ქალაქის ურბანული დაგეგმარების საკითხი და უნდა გადაწყვიტონ ქალაქის მესვეურებმა. რა თქმა უნდა, ამდენ შეცდომაზე პასუხი მათ უნდა აგონ. გამოსავალი კი არის ერთადერთი: სწორად დაგეგმონ – რას, სად და როგორ გააკეთებენ. **აქცენტი არსებული სკვერების მოვლაზეც უნდა გააკეთონ, მარტო სისუფთავე არ არის საკმარისი, ძალიან ბევრი სკვერი ამოვარდა რეკრეაციული ზონიდან – აი, ეს არის პრობლემა,** ისედაც მწირი გამწვანების ხარჯზე ჩვენ, პრაქტიკულად, ვიღებთ უფრო მწირს. ახალი სკვერების გაკეთება კი ისეთ ურბანულ გარემოში, როგორიც თბილისია, ძალიან რთულია.





— **დედაქალაქის მესვეურთა დღევანდელი ქმედების შედეგი რამდენად საგანგაშო სურათს მოგვცემს რამდენიმე წლის შემდეგ?**

— იმას, რომ ვერ ვისუნთქებთ! ვერ ვისუნთქებთ, იმიტომ, რომ მწვანე საფარი 3 რამისგან იცავს ადამიანს: 1) ხმაურისგან, 2) შთანთქავს იმ გამონაბოლქვს, რომელიც დღეს თბილისში აუტანელი რაოდენობითაა და ხეების სიმცირის გამო ვერ ხდება მათი განეიტრალება და 3) ზოგადად, მწვანე ფერი ყველა ადამიანს ეხმარება სტრესული სიტუაციიდან გამოსვლაში.

**დღევანდელი ჩვენი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, 10-დან 9 ადამიანს აქვს ნევროზი. სწორედ გამწვანებულ პარკებსა და ხეივნებში ფეხით სეირნობისას გამოდის ადამიანი სტრესული მდგომარეობიდან.** თუ აღარ გვექნება ხეები, აღარ გვექნება ჰაერი, იქნება ხმაური და ამდენი ნევროზიანი ადამიანი. შედეგი ნამდვილად სავალალო იქნება.

# ალექსანდრე გორგიჯანიძე: ეკონომიკის სამინისტრომ სასაქონლე ბირჟის მნიშვნელობა არ იცის!

**თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, სასაქონლე ბირჟა, რომელიც 2009 წელს დაარსდა, საქართველოში მონოპოლიური ბიზნესისა და ფასების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, მაგრამ ჯერჯერობით ბირჟა არ ამოქმედებულა და თავისთავად არც არაფერი გაუკეთებია, მით უმეტეს – გაუფუჭებია. დამფუძნებლის, ალექსანდრე გორგიჯანიძის თქმით, საერთაშორისო სასაქონლე ბირჟის ანალოგს ბოლო 16 წლის განმავლობაში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთსა და ირანშიც არ უარსებია: „საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ძალიან ძვირია ის აუცილებელი პროდუქტები, როგორიც არის შაქარი, საწვავი და სხვ. ბირჟა კი არის ის ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც ფასების კოდირებასა და რეგულირებას ახდენს“.**

— სასაქონლე ბირჟის ამოქმედება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ასევე თანამედროვე საბითუმო ბაზრის შექმნას, საქონელბრუნვის ეფექტურობის გაზრდას, ფასწარმოქმნის მექანიზმის სრულყოფასა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, შედეგად კი ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს, — აცხადებს ალექსანდრე გორგიჯანიძე, — ბირჟას საქმიანობა არ შეუწყვეტია; საქმიანობა, ფაქტობრივად, არც დაგვიწყია, ბირჟის ამუშავებას ვცდილობთ.

— **რა არის ძირითადი მიზეზი, რომ ბირჟა საქართველოში ვერ მუშაობს?**

— ბირჟას უნდა ჰქონდეს შესაბამისი შენობა, რაც სავაჭრო პალატის წევრების დახმარებით გვაქვს და ჯერ ხმა არ ამოუღიათ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ იქ დავდივართ, ვხარჯავთ ელექტროენერგიას, გვიკავია 2000 კვადრატული მეტრი ფართობი და ვერ ვმუშაობთ. მე ბირჟაზე მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს, თუმცა ახლა ვარ ადმინისტრაციაში და, შესაბამისად, არ მაქვს უფლება, მონაწილეობა მივიღო გარიგებებში, ყიდვა-გაყიდვაში. ეს არის ბროკერის ფუნქცია, რომელიც რეალურად საქართველოს არ ჰყავს.

შევარდნაძის მმართველობის დროს ყველა ზომა იქნა მიღებული, რომ ეკონომიკისთვის ეს საჭირო ელემენტი მოესპოთ საქართველოში და მოახერხეს კიდეც. ჩვენ შევკრიბეთ 20 კაცი, მოვამზადეთ უფასოდ და აქედან 17-მა, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდა, სერთიფიკატი მიიღო, თუმცა ვერ ამუშავდნენ, ორთვიანი კურსი ამისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა. ბროკერი ბირჟაზე კი არ უნდა იჯდეს, მან უნდა ირბინოს, შესთავაზოს, მოიტანოს ბირჟაზე გასაყიდი საქონლის ნუსხა. საზღვარგარეთ ეს ყველაზე შემოსავლიან პროფესიად ითვლება. იქ პროფესიონალი არ არის ბროკერი, თუკი ერთწლიანი მუშაობის შემდეგ თავის ანგარიშზე მილიონი დოლარის დაგროვებას ვერ შეძლებს.

— **ახლა რა ზომებს მიმართავთ?**

— პრეზიდენტმა გილაურს დაავალა, რომ ქვეყანაში არ მოხდეს ფასების ზრდა პროდუქტზე, რასაც ყველაზე მეტად უწყობს ხელს სასაქონლე ბირჟა, მაგრამ გილაურთან შეხვედრა ვერ შევძელი. ვიცი, რომ დაკავებულია და არ აქვს დროს ყველას წერილს გაეცნოს, მაგრამ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც სავაჭრო პალატის ხელმძღვანელს მმართველობასთან გასაუბრება უჭირდეს. ამით ისინიც დაინტერესებული უნდა იყვნენ.

**საქართველოში ფასების ზრდა, იცით, რატომ ხდება? მაგალითად, აგარის შაქრის ქარხანა იჯარით აქვთ აღებული აზერბაიჯანელებს. საქართველოში შაქრის ფასის მატება მაშინ დაიწყო, როდესაც არც ერთ ქვეყანაში არ იყო ამის ნიშნები. სომხეთსა და უკრაინაში ახლაც 40 პროცენტით იაფია შაქარი, ვიდრე ჩვენთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მონოპოლისტების ხელშია შაქრის ბიზნესი.** ჩიკაგოს ბირჟაზე შაქრის ბიზნესით დაკავებულ ხალხს რომ მიმართოთ, გეტყვიან, რომ შაქრის ფასი იქ 60 პროცენტით ნაკლებია. ნუთუ გზა, რომელიც უნდა გაიაროს გემმა ფოთამდე ასე ზრდის ფასს? რატომ არ იწევს ეს ფასი სომხეთში, აზერბაიჯანში? ჩვენი მოსახლეობა, რა, ყველაზე მდიდარია? სასაქონლე ბირჟაზე წვრილი ბიზნესმენები შეძლებდნენ ტაბლოზე წაეკითათ, რა ღირს, ვთქვათ, შაქარი სინამდვილეში, შემდეგ კი მოახდენდნენ თავიანთი ფინანსების კონცენტრაციას, ჩამოიტანდნენ შაქარს და უკვე კონკურენციას გაუწევდნენ აზერბაიჯანელ ბიზნესმენებს.



— **ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრა არ გიცდიათ?**

— როგორ არა, აქაც თანაშემწის დონეზე მოხდა ჩვენი შეხვედრა, ვერა ქობალიას თანაშემწემ მითხრა, თქვენ ბირჟა აამუშავეთ და შემდეგ ჩვენ ვითანამშრომლებთ თქვენთანო. მივხვდი, რომ არც კი იციან სასაქონლე ბირჟის მნიშვნელობა და აღარ გავაგრძელე საუბარი. არადა, ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი და აქტუალური პრობლემა დღეს ფასების ზრდაა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

**რუსული სიმღერების აკრძალვის შესახებ ხელისუფლების მორიგმა, აზრისგან დაწრეტილმა მუქარამ რესტორნების მეპატრონეების მიმართ, საზოგადოებაში ჯერ გაურკვევლობა გამოიწვია, ხოლო მას შემდეგ, რაც რესტორნების დამკვრელები მოულოდნელი „პატრიოტიზმის შემოტევის“ ფაქტის წინაშე დადგნენ, აღშფოთებამაც არ დააყოვნა. ერთი შეხედვით უაზრო გადაწყვეტილება, იქნებ, სერიოზულად არც უნდა აღექვა ხალხს?! მაგრამ, შესაძლოა, სულ მალე კონსერვატორიაშიც აკრძალონ რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებების სწავლება. არ არის გამორიცხული, სახელოვან მომღერლებს რუსული რომანსების შესრულებაც აუკრძალონ.**
**„საქართველო და მსოფლიო“ წინა ნომერშიც გამოეხმაურა ხელისუფლების ამ ნეოფაშისტურ ნაბიჯს, რომელიც რუსული კულტურის წინააღმდეგ გადაიდგა. ამჯერად კი გთავაზობთ რეზო ამაშუკელის ლექსებს, რომლებიც ცნობილმა პოეტმა სპეციალურად ჩვენი გაზეთისთვის შეარჩია და საგანგებო წერილიც დაურთო თავისი პოზიციის თვალსაჩინოებისთვის.**

# გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

გიგზავნით ლექსებს, რომლებიც სხვადასხვა დროს არის დაწერილი და ნაწილია იმ პუბლიკაციების, რითაც მე ყოველთვის გამოვხატავდი ჩემს პატივისცემას და დამოკიდებულებას დიდი რუსული კულტურის მიმართ. თუ შესაძლებელია, გთხოვთ, ერთად დამიბეჭდოთ.

ეს არის ჩემი პროტესტი იმ უმსგავსობის წინააღმდეგ, რაც ამ ბოლო დროს ასე აქაფდა და შხამით გაშავდა რუსული კულტურის და საერთოდ რუსი ხალხის მიმართ. კისერი იტეხონ პოლიტიკოსებმა აქაც და იქაც, მაგრამ, როცა ინგლისურს, მინდა თუ არ მინდა, ცხვირში მტენიან, ძალაუნებურად იშიფრება ყველაფერი, რაც თქვენც და მკითხველსაც ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

პატიებას ვითხოვ ჟარგონისთვის, მაგრამ სხვაგვარად არ გამომდის: არავის აყვავებული კურტუმის საქმე არ არის, მე რუსულ სიმღერას მოვუსმენ, ბრაზილიურ სამბას თუ აღმოსავლურ ბაიათს!

პატივისცემით,

**რეზო ამაშუკელი**






## ხოლო პოეტი იღიმოდა მეფურ ღირსებით

— ო, ცოდვით სავსე,
უგუნურო ადამის მოდგმავ,
როდემდე:
სხვათა ნიჭის გამო
გმინვა და მოთქმა?

— არ აპატიეს,
არ აცალეს მნათობს მზეობა!
და არ იკადრა,
არ ისურვა მანაც დარჩენა...
დამბაჩით ხელში
წინ დაუდგა ის უზნეობას,
უუმაღლესი სიყვარულის
გადასარჩენად!
... ჩამოთრეული მექალთანე
ზაკვად, შორეთით,
თრთოდა დანტესი,
თეთრ მუნდირით,
ქერა კორნეტი,
სად იდგა ბავშვი, მშვენიერი,
ცოლი პოეტის,
რომელსაც ჭვრეტდა პეტერგოფი
ოქროს ლორნეტით...

და ბრიალებდნენ
ბეჭდები და აქსელბანტები...
და მღვრიე ჭორი ქსოვდა ბადეს
მწარე ფანდებით.
ის კი უბიწო,
იდგა ნაზი და შეუვალი.
ებურა სხივი
გამჭვირვალე, როგორც ვუალი.

ბრწყინავდა იგი
მოწკრიალე ჭაღების სხივზე,
და სალონები
გონჩაროვას უმზერდნენ ისევ!..
იმპერატორი
მას მეორედ სთავაზობს კადრილს
და ჩასჩურჩულებს:
„მე მოვედი აქ თქვენი ხათრით,
შეუდარებელ მურილიოს
მადონას გადრით!“
— და გვირგვინოსანს
კვლავ შეშურდა გვირგვინი
მხატვრის!

ხოლო პოეტი,
იღიმოდა მეფურ ღირსებით
მან იუარა
აღლუმები და მეჯლისები.
კარგად იცოდა:
— კოსმიური ედგა უღელი,
ის ღმერთი იყო,
ღმერთი,
და არ კამერ-იუნკერი!

...მაგრამ შრიალით მოარული
შური მშიერი,
ისევ აბობღდა მორიელის
მრუმე იერით...
ანონიმური წერილების
უგვანო ქირქილს,
მოახლოებულ ბედისწერას
ხვდებოდა იგი,
გრძნობდა პოეტი გენიალურ
ზეგარდმო ნიჭით!
(მეუღლის მიმართ
არ ჰქონია მისხალი იჭვი).

პოეტი,
ბავშვი,
თავმოყვარე,
ჩხუბის ამტეხი,
ვერ მოერია სამხრეთულ სისხლს,
მბორგავ ქარტეხილს,
და რადგან იყო
ცოცხალთ შორის უპირატესი,
დასვა წერტილი:
„ბარიერთან დადგეს დანტესი!“

... და ის საღამო
გაიცრიცა ნაცრისფერ ცარცით.
ოდეს დაჭრილი
კვლავ აღივსო სიმყუდროვეთი...
— ის კაცი იყო, პირველ რიგში,
ნამდვილი კაცი,
მერე პუშკინი,
მერე ღმერთი,
მერე პოეტი!..

**1987 წლის 9 თებერვალი**

## შენ შორს ხარ ახლა

*ბელა ახმადულინას*

შენ შორს ხარ ახლა
და კვლავ მღერი გაწვდილი ყელით...
აპრილმა გზებზე
ხეხილები ააბრიალა!
თუმც ზამთრის მერე
სასიკეთოს არაფერს ველი,
ამინდმა მაინც
უცნაურად დააგვიანა...

გიგზავნი წერილს
და ვიგონებ შორეულ იმ დღეს,
როს დაგსვით ტახტზე,
შემოგფიცეთ და გეთაყვანეთ!
და „აზნაურთა“
თავმოდრეკით როდესაც გკითხეთ,
ბებერი მცხეთა აირჩიე
შენ შენს სავანედ!

დავაცხრით მცხეთას,
ატმის კვირტით გადარწეული
შემომეჩეხა არმაზი და
ჩინჩხლი მაყარა!..
ვიყავ ამტყდარი,
ნაღვინევი და არეული,
როგორც პატარძლის
ჭინჭყლი მაყარი...

იდგა ნისლივით გაპენტილი
ვაშლი სამოთხის
და გარდიგარდმო ცად დიოდა
ბაღების კვამლი...
ოდეს ქართველთა გიგალობეს
მუხლი საოხი,
ზეთი გცხეს შუბლზე,
მოგაქციეს,
გაპკურეს წყალი!

— „აი, ტაძარი ერთგულების,
მკვრივი ქვითკირი!
აი, საფლავი წინაპართა,
რკინის მკვნეტელთა!
... ამ გალავანთან
ისევ ისმის ქვრივის ქვითინი,
ლეკის ხარხარი ახორხლილა
კვლავ ამ კედელთან!..



მზე ეფერება
არსაკიძის მოჭრილ მარჯვენას,
რომელსაც სისხლი
მირონივით მოწვეთავს ჯერაც!..
შენ შორს ხარ ახლა
და იმ დღეთა გადასარჩენად
ფერს ფერში ვადნობ სპილენძივით,
ბგერაში — ბგერას.

... ვხედავდი ხარდანს მსხმოიარეს,
უფლის ხარებით,
მერე ბინდებმა ხის ჩრდილები
ისევ აცელეს...
ხმობდა სამთავრო შეღამებას
მწუხრის ზარებით,
და შენ ტიროდი ნაღდი ცრემლით
ცისფერყანწელებს...

რა დრო გავიდა!
ღამეები თეთრად მთევარი
იქცნენ ლანდებად
და ოცნება გზადაგზა დავთმე...
შენც გაიარე
საუკუნის გზა ნახევარი,
შენც შემოდგომის შებინდებამ
დაგადგა აკმე!

არ დაგიფარა,
არ დაგინდო,
არ განგარინა
ტკივილს და ბედმა
შეგატოვა სიტყვას ხატოვანს!
ჩამორჩენილი გედების გუნდს
უხმობ მარინას,
ისევ მარინა ცვეტაევას
და ახმატოვას...

გითვალთვალებენ მოშურნენი,
სხვანი და სხვანი,
შენ,
შეშლილ შროშანს,
შერიგების მშვენიერ მეკვლეს!
შეთამამებულ უნიჭობას
როს გიგრძნობს ტანი,
თავს მიაბრუნებ
და უეცრად მოისხამ ეკლებს...

ხარ დაჭიმული ცის ლაჟვარდში
მთრთოლვარე სიმი,
ჩრდილოეთიდან მოფრენილი
დაჭრილი გედი!..
იმეორებენ ვარსკვლავები
შენს შემკრთალ ღიმილს,
ხმას მოცახცახეს,
გაბრუებულს ღვთაებრივ რეტით!..

შენ შორს ხარ ახლა,
გწერ წერილს და
ჩემ თავთან ვდავობ,
დე, ამ სტრიქონებს
ერთგულება ექმნეს თავდებად!
გილოცავ აპრილს,
იბერიის ცისფერო დაო,
დღეს საქართველო იზეიმებს
შენს დაბადებას!

**1987 წლის 10 აპრილი**



## მარინა ცვეტაევას პორტრეტი

ამ უსასრულო
და მკაცრ ტრამალებს
დრომ გადუქროლა
ცეცხლის ნალებით...
— სული კი მაინც ვერ გადამალეს
და არიგებენ დღეს მოკრძალებით.
გაჩირაღდნებულ ბროლის ჭაღების
ფერადი სხივი ჭიქაში ტყდება,
და მძინარ უჯრებს
ფრთხილად აღებენ,
რომ ნახონ ყვითელ
ფოთლების წყება,
ის დაუბრუნდა საყვარელ ქუჩებს,
თავის უცნაურ ბედს მინდობილი...
... და შემოდგომით
დაფერილ შუშებს
აჩნია მისი მშვიდი პროფილი.

*1965 წლის 18 დეკემბერი*



## შენ თბილისს მარად ემახსოვრები

*სერგეი ესენინს*

მომებჯინება ყელში ხრიალით
და ღაწვზე ცრემლი
დამდის ღვარღვარით,
— არყის ხეების
ვერცხლად შრიალი,
პურის ყანების
ოქროდ ხარხარი!..

— შენ დაიბადე!
და მდინარეში
ქალწულებივით თრთოდნენ
კვიცები,
და ჩაფერფლილი
ქარი თარეშით
უხმობდა ზამთარს
თავდავიწყებით...

იყო შიმშილი
და მუცლის გვრემა,
ხოლო ბავშვობა გარბოდა ისე,
ვით სპილენძისფერ კვიცების რემა
აბიბინებულ ვარსკვლავის სხივზე...

და არ იცოდა
მშობელმა მხარემ,
რომ ცად ეწერა შენი სახელი!
— ხელში გეჭირა
მდინარის მთვარე
და ანთებული ტოტი ძახველის...

მერე მინებდა
ქოჩორი ქერა
შაგანეს თლილ და
მშვენიერ თითებს,
მისდევდა ბედიც და ბედისწერაც
შენზე მოარულ
ზღაპრებს და მითებს...

სამხრეთს მეწამულ ფერით მოედე,
რომ სპარსულ მოტივს
სიტყვად ელოდი,
— ეს გაუმარჯოს ქართველ
პოეტებს,
გასროლილს შენივ
სადღეგრძელოთი!
სევდანარევი
და ნამუსრევი
შენ თბილისს მარად ემახსოვრები,
... და ტრიალებდა
ბედის მორევი —
არ გიცხოვრია შენ სხვა
ცხოვრებით!

გარდა პოეტის
და გარდა ბავშვის,
— სხვა ბედი ღმერთმა
შენ არ გარგუნა!
შენს მარადიულ
სევდიან ხმაში
განბანილია
სული სალბუნად!
„მინდა მოვიფრთხნა ამ შარაგზაზე“
— როგორც იტყოდა
ამას ტიციან!
მოწმეა ღმერთი,
მეძავის ხმაზე,
მეც ჩემი ცრემლი არ გამიცვლია!

შენს სტრიქონს შერჩა
სურნელი ფიჭვის
და მარწყვის მდელოს გემო და
ფერი...
— ნამდვილი რუსი
და ნაღდი ბიჭი
გულგაღეღილი დგახარ და მღერი!

...დავბერდი,
მაინც ვერ დაგეხსენი
და ხვალაც ასე
იტყვის მავანი:
„ლამაზო ბიჭო, სერგეი ესენინ“,
შენ ქართველების ხარ ფალავანი.

*1985 წლის 27 ოქტომბერი*

# კარლ თომსონმა საქართველოს მეხუთე კოლონა ამხილა

„არავინ არასოდეს არავითარ პრობლემას არ წყვეტს. ადამიანები, უბრალოდ, პრობლემებზე უფრო დიდხანს ცხოვრობენ, უმეტესად — არა!“. კარგადაა ნათქვამი.
33 წლის მანძილზე მუბარაქი დიქტატორად რომ ეყოლება ქვეყანას, საეჭვოა, ადამიანებმა მიატანონ მათთვის განგების მიერ დაწესებული ამქვეყნიური არსებობის ზღვარს.
ან — მუბარაქის მსგავსი მიხეილი, სააკაშვილი.
პრობლემები დარჩება, ჩვენ გადაგვიყოლებს.
კაიროს ტახირის მოედანზე ეგვიპტელების — მუსლიმთა და ქრისტიანთა (კოპტების) — ყოველდღიური მასშტაბური პროტესტი რეჟიმის მიერ შექმნილი პრობლემების ჩამობერტყვის „გადამწყვეტი და საბოლოო ბრძოლაა“.
რევოლუციაა. თუმცა არავინ ახსენებს ამ სიტყვას.
საქართველო დუმს. 2008 წლის აგვისტოში სამარცხვინოდ წაგებული ომი გამარჯვებად რომ მოგვასაღეს, ხმა არ ამოგვიღია.
საქართველოს პირველ ადგილებს რაღაც რეიტინგებში — ცრუსა და დაკვეთილს, გავუყუჩდით, მივიღეთ, თუმცა ვიცოდით, რომ თვალში ნაცარს გვაყრიდნენ. პოლიციურ სახელმწიფოდ ყალიბდება საქართველო. ჩვენი თვალით ვხედავთ და ყოველდღიურად ვრწმუნდებით, რომ ის, რაც ხდება, სულაც არ არის დემოკრატიისკენ წარმატებული სვლა, როგორც „ნეორეფორმატორები“ გვიმტკიცებენ. ჩუმად ვართ.
ყოველ 100 ათას ჩვენს თანამოქალაქეზე 537 პატიმარი რომ მოდის, თურმე ადამიანის უფლებათა დაცვის სანიმუშო მაგალითი ყოფილა — თავისუფლების სტანდარტი თავისუფალ საქართველოში.
იდარდონ განვითარებულმა ქვეყნებმა, სადაც ეს მაჩვენებელი 70-80 პატიმარს არ აღემატება. დავუკრათ ტაში!
გავალაღეთ, გავაფოფინეთ! ამიტომაც გაბედეს და დაგვკრეს ხელკეტები 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს. ახლაც გვეწვის ზურგი!
რა, მერე? არც არაფერი: „ხალხი მდუმარებს“.
ეგებ, აქ უნდა ვეძებოთ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების უსაზღვრო გალაღების მიზეზი? ამ ყველაფერს შეგვახსენებს და სწორედ ამ დასკვნამდე მივყავართ ანალიტიკოს კარლ თომსონს, რომელიც რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის პრობლემების ექსპერტად ითვლება, კონსერვატიული პარტიიდან იყრიდა კენჭს 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებში.
მის წერილს გთავაზობთ დღეს „საქართველო და მსოფლიო“.

**არმაზ სანებლიძე**

## დავეწიოთ ამერიკას, ანუ როცა მტერი სათავეში გიზის



კარლ თომსონი — კონულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, წერს რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებზე. 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებში იყო კონსერვატიული პარტიის დეპუტატობის კანდიდატი აღმოსავლეთ გლაზგოს ოლქიდან.

### კარლ თომსონი: სააკაშვილის აპოლოგეტები საქართველოში დემოკრატიას იმაზე მეტ ზიანს აყენებენ, ვიდრე რუსეთი ინატრებდა

**მალევე მას შემდეგ, რაც 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში მოიყვანა, მისი ცოლი ყვებოდა, რომ მეუღლე ძლიერი ქართველი მმართველების ტრადიციების მიმდევრობას ცდილობს, „ისეთების, როგორებიც არიან სტალინი და ბერია“.**

სააკაშვილმა ყველას აგრძნობინა, თუ რა პერსპექტივა ელოდებოდა მის ქვეყანას, როდესაც არჩევნებზე 96%-იანი გამარჯვება (მისმა უახლოესმა კონკურენტმა ხმების მხოლოდ 1,9% მიიღო) ხელისუფლების უზურპაციისთვის გამოიყენა. **საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი განზრახვები ინტერვიუშიც დაადასტურა, როდესაც განაცხადა, რომ ქვეყნის პარლამენტში ოპოზიციური დეპუტატების ყოფნაში ვერანაირ აზრს ვერ ხედავს. ამავდროულად, სააკაშვილი საქართველოს დასავლეთთან დაახლოვების პირობას დებს და ევროკავშირსა და ნატოში ქვეყნის გაწევრებას ცდილობს. ამიტომ საერთაშორისო ექსპერტები ავისმომასწავებელ პროგნოზებს თავს არიდებენ.**

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სააკაშვილის რეჟიმის რეგიონში რუსეთის გავლენის საპირწონედ წარმოჩენა მოდური გახდა. როდესაც ომი დაიწყო, ყველა პარტიის წარმომადგენელი ერთდროულად გმობდა „რუსულ აგრესიას“ და ადიდებდა საქართველოს, როგორც რუსეთის საზღვრებთან აყვავებულ დემოკრატიას. მაშინ ისეთმა წინადადებამაც კი გაიჟღერა, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში წევრობის კანდიდატებისთვის არსებული მოთხოვნების გარეშე მიეღოთ და რუსეთთან საბრძოლველად კავკასიაში ბრიტანული არმია გაეგზავნათ. ამ წინადადების მასშტაბსა და მნიშვნელობას, ასევე, მის შედეგს ბრიტანული არმიისთვის იმ დროს, როდესაც ისედაც ორ ომში ვართ ჩაბმული ერაყსა და ავღანეთში, როგორც ჩანს, არავინ ითვალისწინებდა. შემდეგ კი ევროკავშირმა და ეუთომ გამოძიება ჩაატარეს, რომლის შედეგად კონფლიქტის დაწყებასა და მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ცეცხლის გახსნაში საქართველო დაადანაშაულეს.

ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლას სხვა ცვლილებებიც მოჰყვა. საქართველოში სულ უფრო ხშირად და უხეშად არღვევდნენ ადამიანის უფლებებს, ახშობდნენ თავისუფალ სიტყვას, კანონის ნორმები ეწირებოდა სახელმწიფო ხელისუფლების სულ უფრო მზარდ თვითნებობას.

**საქართველოს სვლა ავტორიტარიზმისკენ სწორედ იმ მომენტიდან შეინიშნება, როდესაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა. რეჟიმის ოპონენტები მას კორუფციაში, ასევე, რამდენიმე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის გაურკვეველ ვითარებაში დაღუპვის გამო ადანაშაულებენ.**

ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია 2007 წლის ნოემბრის მოვლენებმა გაამწვავა, როდესაც 50 000-ზე მეტი დემონსტრანტი სააკაშვილის მმართველობის წინააღმდეგ თბილისის ქუჩებში გამოვიდა. ამ გამოწვევას სააკაშვილის ხელისუფლებამ იმით უპასუხა, რომ დემონსტრანტებს პოლიცია ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით შეუსია. **ერთადერთი სატელევიზიო სადგური, რომელიც საპროტესტო აქციის მიმდინარეობას აშუქებდა, ეთერიდან იარაღით მუქარის ქვეშ გათიშეს, შემდეგ კი საკუთრება სახელმწიფოს გადასცეს. ხოლო, როდესაც სააკაშვილის მთავრობის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა განაცხადა, რომ მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას, ის ორ დღეში დააპატიმრეს და აწამეს.**

სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ამ საპროტესტო მოძრაობის უკან რუსეთის სპეცსამსახურების ზოგიერთი „მაღალჩინოსანი“ დგას და ხშირად ადანაშაულებს ოპოზიციას, რომ ის მოსკოვის მხარდაჭერით მის დამხობას და ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობს. **რუსეთი სააკაშვილისთვის სასარგებლო მტრად გადაიქცა, რომელზეც მას საკუთარი ხალხის ყურადღება გადააქვს და ავიწყებს იმას, რომ რეფორმატორის მორალური ავტორიტეტი და რეპუტაცია დაკარგა. მისი მმართველობის წინააღმდეგ 2009 წელს განახლებული საპროტესტო აქციების ჩახშობის მიზეზი იგივე იყო, რომ დემონსტრანტები თითქოს რუსეთის პროვოკატორები იყვნენ. პოლიცია რადიო და სატელევიზიო სადგურებში რეიდებს აწყობს და მათ იმ საბაბით ხურავს, რომ სააკაშვილის კრიტიკა სხვა არაფერია, თუ არა რუსული პროპაგანდა.** ორი წლის წინანდელი წმენდა არმიის ოფიცერთა რიგებში იმით ახსნეს, რომ თითქოს მოსკოვისადმი ლოიალური სატანკო დანაყოფი, სააკაშვილის ლიკვიდაციის მიზნით, შეთქმულებას აწყობდა, მაგრამ შემდეგ მტკიცებულებების არ არსებობის გამო, ბრალდებები ჩუმად გააუქმეს.

**როგორი სამწუხაროც გინდა იყოს, მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღებამ საქართველოს მიმართ, 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, ამ ქვეყნის ხელისუფლებას ოპოზიციისადმი თავშეკავებულობის გამოვლენისაკენ ვერ უბიძგა. პირიქით, ამ ომში საქართველოს ცალსახა მორალურმა მხარდაჭერამ, ასევე სააკაშვილის, როგორც დემოკრატიის შუქურის, ხშირმა ქება-დიდებამ, მისი რეჟიმი გაათამამა და ამ რეჟიმმა გადაწყვიტა, რომ შეუძლია დაუსჯელად იმოქმედოს.**

2010 წლის მარტში საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ მასობრივი პანიკა დათესა, როდესაც ეთერში ახალ რუსულ ინტერვენციაზე ყალბი რეპორტაჟი გადასცა. გადაცემის მომზადება, რომელშიც რეალური ომის საარქივო კადრები გამოიყენეს, შემდეგნაირად გაამართლეს: ქართველი ხალხი „მზად უნდა იყოს იმ დღისთვის, რომელიც საქართველოს ისტორიისთვის ყველაზე უარესი იქნება“. რეალური მიზანი კი სააკაშვილის ოპონენტების დისკრედიტაცია იყო. რეპორტაჟის არსი ის იყო, რომ ქართველმა ოპოზიციონერებმა, სააკაშვილის დამხობის მიზნით, რუსეთს ინტერვენციის განხორციელება სთხოვეს. ბრიტანეთის ელჩმა დენის კიფმა ბოდიშის მოხდა მოითხოვა მას შემდეგ, რაც ყალბ რეპორტაჟში მისი ხმით ყალბი კომენტარი გაისმა, სადაც ის სააკაშვილის პოზიციას მხარდაჭერას უცხადებს.

**საქართველო მსოფლიოში უცხოეთის ყველაზე მასშტაბური დახმარების მიმღები ერთ-ერთი ქვეყანაა. მისი ეკონომიკა უცხოური (მსოფლიო სავალუტო ფონდის, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების) დახმარებებისგან შედგება.** 2008-2009 წლებში ბრიტანეთმა თბილისს 8.2 მილიონი ფუნტი სტერლინგი გაუგზავნა. გარდა ამისა, ის ევროკავშირში და ნატოში მისი გაწევრების მომხრეა.

**საქართველოს დასავლელმა მხარდამჭერებმა თავი უნდა დაანებონ ქართველი ხალხისადმი მხარდაჭერისა და სააკაშვილისადმი უპირობო მხარდაჭერის გათანაბრებას (ისინი, ამავე დროს, უარყოფენ ქვეყანაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კრიზისის არსებობას) და ამის ნაცვლად ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მონაცემები გაითვალისწინონ.**

ახლახან ამ ორგანიზაციამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების ინდექსში საქართველოს 120-ე ადგილი მიუჩინა. **მათ ყური უნდა დაუგდონ Freedom House-ის განცხადებას, რომელმაც 2009 წელს აღნიშნა, რომ საქართველო დღეს ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე „ვარდების რევოლუციამდე“ იყო. მათ, ასევე, არ აწყენდათ საგარეო პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრის პოზიციის გათვალისწინებაც, რომელიც დასავლურ ინსტიტუტებს ურჩევს, თავიანთი მხარდაჭერა თბილისისადმი ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს დაუკავშირონ.**

**საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში, რომელსაც ევროპის სტრატეგიული უსაფრთხოებისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს და სადაც უამრავი ეთნიკური კონფლიქტია, ავტორიტარული რეჟიმები, რომლებსაც არ აქვთ ლეგიტიმურობა და მოწყვეტილია საკუთარი ხალხების მოთხოვნებსა და სურვილებს, ნაკლებად შეუძლია ფეთქებადსაშიშ სიტუაციებში რაციონალური და გონივრული მოქმედება.**

conservativehome

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «Су-34» მწყობრში დგება



**რუსეთში წარმატებით დასრულდა მრავალფუნქციური საფრონტო ბომბდამშენ „Су-34"-ის საფრენი გამოცდების მეორე, დასკვნითი, ეტაპი.** რუსეთის საჰაერო ძალები მომავალი ორი წლის განმავლობაში 32 ასეთ თვითმფრინავს მიიღებენ. ლიპეცკის მფრინავთა გადამზადების ცენტრმა 9 „Су-34 უკვე მიიღო.

# ჯავშანტრანსპორტიორი თუ ტერმინატორი?



**კომპანია „Укрспецэкспорт"-მა წარმოადგინა „МТ-ЛБМШ"-ის მოდერნიზებული ვარიანტი, რომელიც მის საცეცხლე ძალას მნიშვნელოვნად ზრდის.** კორპუსის უკანა ნაწილზე დამონტაჟდა საბრძოლო მოდული, რომელიც აღჭურვილია 30 მმ-იანი ქვემეხით (500 ჭურვი), 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევით (2000 ტყვია) და 30 მმ-იანი ავტომატური ყუმბარმტყორცნით (87 ყუმბარა). კოშკურის მარჯვენა მხარეს დაამაგრეს ორი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა „Барьер"-ი. მოდერნიზებული „МТ-ЛБМШ"-ის წონა 12,5 ტონაა; ძრავის სიმძლავრე გაზრდილია 360 ცხენის ძალამდე; სადესანტო პოტენციალი (7 მებრძოლი) შენარჩუნებულია.

# ამერიკელებს მოკავშირეები არ მოსწონთ

**„CNS"-მა გამოაქვეყნა ნაწყვეტები „ISAF"-ის მოხსენებიდან, სადაც მოყვანილია დასავლელი სამხედროების შეფასება იმის თაობაზე, რომ ავღანეთის სამთავრობო ჯარების არც ერთ ქვედანაყოფს დამოუკიდებლად მოქმედება არ შეუძლია.** ჯარისკაცების 86%-მა წერა-კითხვა არ იცის; უნტერ-ოფიცრების ვაკანსიების 25% შევსებული არ არის. 1495 ინსტრუქტორიდან, რომლებიც სჭირდება ამ ძალების მომზადებას, 2010 წლის ნოემბერში მუშაობდა მხოლოდ 18% (275 ინსტრუქტორი).

# პაკისტანის ბირთვული არსენალი გაიზარდა



**პაკისტანის ბირთვული არსენალი გაორმაგდა და ამჟამად 100-ზე მეტი ბირთვული ქობინა აქვს, — წერს „Washington Post"-ი. ექსპერტთა შეფასებით, პაკისტანისა და ინდოეთის ბირთვული არსენალი გათანაბრდა.**

# ისრაელი მფრინავ ჰოსპიტალს შექმნის



**„F"-ის ცნობით, ისრაელის საჰაერო ძალები აპირებენ, მფრინავი ჰოსპიტალი შექმნან, რაც ექიმებს შესაძლებლობას მისცემს, დაჭრილ პილოტებს ოპერაციები ევაკუაციის დროს, საავადმყოფოში მიყვანამდე, ჩაუტარონ.** გამოცემის ინფორმაციით, სამხედროებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, ჰოსპიტალი სატრანსპორტო თვითმფრინავის — „C-130 Hercules"-ის თუ მძიმე სატრანსპორტო ვერტმფრენის — „CH-53 Sea Stallion"-ის ბაზაზე შეიქმნება.

# ტანკების ზღვა პირამიდების ფონზე

**გასულ კვირას მსოფლიო არმიებიდან ყველაზე მეტს ეგვიპტის არმიაზე საუბრობდნენ. ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენების კვალობაზე ბევრ ადამიანს გაუჩნდა სურვილი, გაეგო, რას წარმოადგენენ ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალები; ამ ინტერესს გარკვეული ქვეტექსტიც ჰქონდა: რამდენად სერიოზული სამხედრო პოტენციალი აღმოჩნდება რადიკალური ძალების ხელთ, თუ ისინი ეგვიპტეში ხელისუფლების სათავეში მოსვლას მოახერხებენ.**



მაგრამ, ვიდრე ტანკების რაოდენობასა და თვითმფრინავების მოდელებზე საუბარს დავიწყებთ, აღვნიშნოთ, რომ არაბული სამყაროს ქვეყნებიდან ეგვიპტე (და ლიბია) ბირთვული იარაღის შექმნასთან ყველაზე ახლოს დგანან. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ეგვიპტე ცდილობდა, შესაბამისი ტექნოლოგიები სსრკ-ისა და ჩინეთისგან მიეღო. ქვეყანაში სამი კვლევითი რეაქტორია (საერთო სიმძლავრე 29 მეგავატი), არის ატომური კვლევების ცენტრი, ურანის საბადოები და სიმძლავრეები მისი გადამუშავებისთვის. **აშშ-ის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა რობერტ მაკნამარამ 2005 წელს განაცხადა, რომ ეგვიპტე აქტიურად ცდილობს ბირთვულ იარაღზე დაუფლებას.**

ოფიციალურად ბირთვული შეიარაღების პროგრამა 70-იან წლებში გაუქმდა, მაგრამ **ექსპერტები საიდუმლო პროგრამის არსებობას არ გამორიცხავენ;** იმავე 2005 წელს „მაგეტეს" მმართველთა საბჭომ ეს საკითხი განიხილა, რადგან აღმოჩნდა, რომ **ეგვიპტემ ატომურ სფეროში საქმიანობის ნაწილი საერთაშორისო ინსპექტორებს დაუმალა.**



ეგვიპტის არმიის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე დიდია. მონარქიის გაუქმების შემდეგ, 1952 წლიდან, ეგვიპტის უკლებლივ ყველა პრეზიდენტი (და ბევრი უმაღლესი თანამდებობის პირი) ოფიცერი იყო. სამხედროების შემოსავლები საერთო ფონზე სოლიდურად გამოიყურება, თუმცა არის მნიშვნელოვანი სხვაობა ელიტური და „ჩვეულებრივი" ნაწილების უზრუნველყოფას შორის. ამ მხრივ, სახასიათო 1986 წლის მოვლენები იყო, როდესაც, რაციონის შემცირების გამო, 20 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი აჯანყდა; მეამბოხეებს სამი ელიტური დივიზია გაუსწორდა.

**სავალდებულო სამხედრო სამსახური სამწლიანია (+9 წელი რეზერვში); ოფიცრები 20 წელიწადს მსახურობენ** (+3 წელი რეზერვში). **ეგვიპტის არმია არაბულ სამყაროში უძიერესად ითვლება, სახმელეთო ჯარებში 316 ათასი სამხედროა** (პირველი რიგის რეზერვში — 150 ათასი; მეორე რიგისაში — 300 ათასი). **თუ ამას დავუმატებთ საჰაერო ძალებსა და ფლოტს, აგრეთვე, იმ 350 ათას ადამიანს, რომლებიც სხვადახვა ფორმირებებში ირიცხება** (სასაზღვრო ჯარები, უშიშროების რაზმები და ა.შ.)**, ვნახავთ, რომ ეგვიპტის შეიარაღებული ძალების რიცხოვნება მილიონს უახლოვდება.** ▶

# «CORNER SHOT» — ბლეფი თუ ახდენილი ოცნება?

**ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებისთანავე გაჩნდა ერთი პრობლემა, რომელიც დღემდე აქტუალურია: როდესაც ტყვიები ზუზუნებენ, თავის ამოყოფა არავის უნდა. არადა, დამიზნებით სროლისთვის სწორედ ამის გაკეთებაა საჭირო. ადამიანის ბუნების შეცვლა ძალზე რთულია, ამიტომ კონსტრუქტორები ათწლეულების განმავლობაში იარაღის შეცვლას ცდილობდნენ. ამ პროცესში ბევრი ორიგინალური და პარადოქსული გადაწყვეტილება დაიბადა.**



ეს ისტორია, ისევე, როგორც უამრავი სხვა, პირველი მსოფლიო ომის სანგრებში დაიწყო. იმ დროის კონსტრუქტორების წინადადებები დეტალებით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ საფუძვლად ერთი და იგივე იდეა ედოთ. შაშხანას ერთგვარ შტატივზე ამაგრებდნენ; ის აღიჭურვებოდა ოპტიკური მოწყობილობით, რომელიც წყალქვეშა ნავის პერისკოპს მოაგონებდა, სასხლეტზე კი თოკს აბამდნენ. შესაბამისად, ცეცხლის ხაზზე მხოლოდ შაშხანა რჩებოდა, ხოლო მებრძოლი მოწინააღმდეგისთვის უჩინარი იყო. იარაღის გადატენვისთვის საჭირო იყო ცეცხლის ხაზიდან მთელი დანადგარის მოხსნა, შემდეგ კი ხელახალი აღმართვა. ამ მოუხერხებელ მოწყობილობას, პრაქტიკულად, იშვიათად იყენებდნენ და ეს გასაკვირი არცაა, თუმცა კონსტრუქციის მთავარი პრინციპი პარადოქსულად 90 წლის შემდეგ კვლავ დაგვიბრუნდა.



მაგრამ მანამდე იყო მეორე მსოფლიო ომი და, შესაბამისად, სტალინგრადის ბრძოლა, რომლის შემდეგ, როგორც საბჭოელები, ისე გერმანელები განხილულ პრობლემაზე კვლავ დაფიქრდნენ. **საბჭოთა კავშირში დაიწყო მუშაობა ტანკების ტყვიამფრქვევებისთვის მოღუნული ლულის შექმნაზე, რითაც „მკვდარ ზონაში" მოხვედრილი მოწინააღმდეგის განადგურება იქნებოდა შესაძლებელი.**

შეიქმნა მთელი რიგი საინტერესო ნიმუშისა, **თუმცა, ცნობილია, რომ ტანკისტები ამ ტყვიამფრქვევებს დასანახად ვერ იტანდნენ.**

ჯერ ერთი, სროლა დამიზნებით ასეთი ტყვიამფრქვევებიდან შეუძლებელია, თანაც ძნელია, აუხსნა ტანკისტს (დღემდე ასეა), რაში სჭირდება მის ტანკს მორიგი „ზედმეტი" მოწყობილობა.

გერმანელები სხვა გზით წავიდნენ, 1943 წელს შეიარაღებაზე მიიღეს ეგზოტიკური მოწყობილობა „Krummer-lauf" (გერმ. „მოღუნული ლულა"). ეს კონსტრუქცია შეიცავდა ისევ პერისკოპის მაგვარ მოწყობილობას და სპეციალურ მოწყობი- ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ უმაღლესი საორგანიზაციო ერთეული სახმელეთო ჯარებში საველე არმიაა, ძირითადი ტაქტიკური შენაერთი კი — დივიზია. ეგვიპტის არმიაში 3723 ტანკია; მათ შორის ყველაზე სერიოზული ძალა 973 „M1A1 Abrams"-ია; არის სხვა ამერიკული ტანკებიც: 830 „M60A3" და 300 „M60A1". დანარჩენი ჯერ კიდევ გამალ აბდელ ნასერის მიერ საბჭოთა კავშირისგან მიღებული 840 „T-54/55"-ია, მისი მოდიფიკაცია „T-54/55E" (260 ერთეული) და 500 „T-62". ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები, ასევე, საბჭოთა წარმოებისაა — „Р-17 Скад-Б" და 2К6 „Луна". მათი მოქმედების რადიუსის გაზრდაზე, ეგვიპტეში საგანგებოდ მიწვეული ჩრდილოკორეელი ინჟინრები მუშაობდნენ. მათ, ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ადგილობრივი კომპლექსის — „Sakr-80"-ის შექმნაში.

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების უმრავლესობა, ასევე, საბჭოთა წარმოებისაა, „БМ-14"-დან დაწყებული ვიდრე „БМ-21" (სელ 236 ერთეული), ორასამდე დანადგარი ეგვიპტური წარმოებისაა და „Град"-ის თემაზე ადგილობრივ ვარიაციებს წარმოადგენს; ამერიკული „M270" 26 ერთეულია, სამხრეთკორეული „K136 Kooryong" კი — 36. არტილერიაში, ასევე, წარმოდგენილია საბჭოთა და ამერიკული სისტემები. გამონაკლისს 16 ფინური „GH 52 წარმოადგენს. საჰაერო თავდაცვაში საბჭოთა ტექნიკა ჭარბობს, თუმცა ეგვიპტის არმიის ძირითადი ჯავშანტრანსპორტიორი ამერიკული „M113A2"-ია (2600 ერთეული).

**ეგვიპტის ფლოტი მოძველებული ხომალდებისგან შედგება. მის ბირთვს ექვსი „Knox"-ის და „Oliver Hazard Perry"-ის კლასის ფრეგატი შეადგენს. ეგვიპტელების სუბმარინები** (2 ჰოლანდიურის გამოკლებით) **ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოძველდა. ფლოტში, ძირითადად, ჩინური წარმოების კატარღებია.**

საჰაერო ძალებში 216 „F-16"-ია (სხვადასხვა მოდიფიკაციის) და 25 „F-4E". 99 თვითმფრინავი სოციალისტურ ბანაკთან მეგობრობის ეპოქიდანაა: „МиГ-29" (სხვადასხვა მოდიფიკაციებში) და მისი ჩინური ლიცენზიური კოპიო „Chengdu F-7". 62 თვითმფრინავი ფრანგული „Mirage"-ა, მათ შორის ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია გამანადგურებელი-ბომდამშენი „5-SDE" (31 ერთეული). ძირითადი მოიერიშე ვერტმფრენი ამერიკული „AH-64D"-ია (35 ერთეული), სატრანსპორტო ვერტმფრენებში კი ისევ სრული ინტერნაციონალია წარმოდგენილი.



**თუმცა, ნუ წარმოვიდგენთ, რომ ეგვიპტის არმიის არსენალი მხოლოდ უცხოური შეიარაღების** (ხანდახან ანტიკვარულის) **ერთგვარ გამოფენას წარმოადგენს.** ეგვიპტეში იწარმოება ცეცხლსასროლი იარაღი და ნაღმსატყორცნები, საზენიტო დანადგარები, ჯავშანტრანსპორტიორები, სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავები („Tucano; ბრაზილიელებთან ერთად) **ქვემეხები ტანკებისთვის და ჰაუბიცები** (ბრიტანული და ფინური ლიცენზიით). **მოკლედ, სერიოზული სამხედრო მრეწველობა ეგვიპტეში არსებობს და წლიდან წლამდე ვითარდება.**

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტის შეიარაღებული ძალები მთელ რიგ კომპონენტებში ჩამორჩებიან მსოფლიო ლიდერებს, ისინი, რეგიონული მასშტაბით, სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. **თუ ეგვიპტის სათავეში რადიკალური ძალები აღმოჩნდებიან და არმიის დამორჩილებას შეძლებენ (ერთიც და მეორეც ჯერჯერობით ნაკლებად სავარაუდოა), რეგიონულ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნება.**





---

◀ ლობას ტყვიის ტრაექტორიის შეცვლისთვის. შეიქმნა რამდენიმე ვარიანტი ქვეითებისთვის და ტანკისტებისთვის. ამასთანავე, „Krummerlauf"-ის სხვადასხვა მოდელები ტრაექტორიას სხვადასხვა კუთხით, 30-დან („Sturmgewehr 44"-ისთვის ამდენი იყო) 90 გრადუსამდე ცვლიდა.

**თეორიულად, „Krummerlauf"-ი სასარგებლო იყო ბრძოლისთვის ქალაქის პირობებში, თუმცა ვერმახტის ჯარისკაცები მას არ სწყალობდნენ. საგულდაგულო დამიზნების მიუხედავად, ტყვიების უმრავლესობა მიზანს სცდებოდა, იარაღი ხშირად ჭედავდა, თანაც ზედმეტი ტვირთის თრევა არავის უნდოდა.**

გერმანული „მოღუნული ლულა" ბრძოლის ველზე ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა, ომის დასრულებამდე სულ რაღაც 8 ათასი „Krummerlauf"-ი გამოუშვეს. იყო პირველი მსოფლიო ომის დროინდელი იდეების გამეორების მცდელობაც 7,92 „Mauser"-ისთვის, თუმცა დიდი პოპულარობა ვერც ამ მოწყობილობამ მოიპოვა.

**ომის შემდეგ სსრკ-ში შეიქმნა კალაშნიკოვისა და დეგტიარიოვის ტყვიამფრქვევები** (კუთხე 90 და 45 გრადუსი, შესაბამისად), **თუმცა ყველაზე ეფექტური, ალბათ, გორიუნოვის 7,62 მმ ტყვიამფრქვევი „КГСМ"** (55, ზოგიერთ შემთხვევაში — 60 გრადუსი) **გამოდგა, რომელსაც ფენომენალური სიცოცხლისუნარიანობის მქონე დაჯავშნულ საცეცხლე წერტილებში „БУК"-ები იყენებდნენ. ამერიკელებს მსგავსი ტყვიამფრქვევი შეიარაღებაზე არ მიუღიათ, მაგრამ ექსპერიმენტები იქ განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. ბოლო დროს კი პროგრამა „Land Warrior-ის ფარგლებში მთავარი აქცენტი იარაღის** (კერძოდ, სნაიპერული შაშხანის) **დისტანციურ მართვაზე კეთდებოდა.**





**ისრაელის არმიის ჯარისკაცების ცხოვრებაში პალესტინისა და ლიბანის დასახლებულ პუნქტებში არაერთგზის შექმნილა სიტუაცია, როდესაც მსგავს მოწყობილობაზე ოცნებობდნენ. ერთ-ერთი მათგანი ამოს გოლანი იყო, რომელიც ამჟამად იარაღის კონსტრუქტორი და სისტემა „Corner Shot"-ის შემქმნელია. ამ სისტემის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იარაღი ხელუხლებელი რჩება, ლულას არ ღუნავენ და მასზე დამატებით მოწყობილობებს არ ამაგრებენ.**

სისტემა ორ, პირობითად, „საბრძოლო" (წინა) და „მართვის" (უკანა), ნაწილად იყოფა. წინა ნაწილის მოტრიალება 63 გრადუსით შეიძლება; იქ დამაგრებულია იარაღი, როგორც წესი, პისტოლეტი, თუმცა კონსტრუქტორები ირწმუნებიან, რომ სისტემის ადაპტირება „M-16" გაბარიტის მქონე იარაღისთვისაც შეიძლება. იქვე დამაგრებულია ვიდეოკამერა, რომელსაც გამოსახულების მასშტაბირება შეუძლია. იქვე, სურვილისამებრ, შეიძლება დამაგრდეს ინფრაწითელი სამიზნე, მაყუჩი და სხვა მოწყობილობები. სისტემის უკანა („მართვის") ნაწილზე დამონტაჟებულია მონიტორი, რომლის მეშვეობით მებრძოლი იღებს ინფორმაციას ვიდეოკამერიდან და იგებს მანძილს ობიექტებამდე; იქვეა კვების ბლოკი და სასხლეტი.

**საინტერესოა, რომ იარაღის გადატენვასთან დაკავშირებული პრობლემა ისევ იგივე დარჩა, როგორც პირველი მსოფლიო ომის დროს. დღეს ამ სისტემის ტესტირება მსოფლიოს 16 ქვეყანაში, მათ შორის, ზესახელმწიფოებში მიმდინარეობს.**

მისი ღირებულება **3-5 ათასი დოლარია.**

ცხადია, ამ სისტემის პოტენციური მომხმარებლები სპეცრაზმელები არიან. ჩვეულებრივი ქვეითებისთვის ის ნაკლებად გამოსადეგია; მათთვის თითქმის ყველაფერი ისევ ისეთივე რჩება, როგორც მსოფლიო ომების პერიოდში: ტყვიები ზუზუნებენ და თავის ამოყოფა არავის სურს.

მოამზადა
**გიორგი გიგიბერიაშ**

---

## გაფრთხილებულნი



**ბარაკ ობამა,**
**აშშ-ის პრეზიდენტი:**

ეგვიპტეში მდგომარეობა ძალიან სწრაფად იცვლება, ჩვენ გულმოდგინედ ვადევნებთ თვალყურს. აშშ ეგვიპტეში ხელისუფლების დემოკრატიული ძალებისთვის გადაცემის მომხრეა და მოვუწოდებთ ქვეყნის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს, დაუყოვნებლივ ჩაატაროს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. აშშ ნათლად და თავდაჯერებით აცხადებს, რომ ჟურნალისტებზე, უფლებადამცველებსა და მშვიდობიან დემონსტრანტებზე თავდასხმები დაუშვებელია. ხელისუფლების გადაცემის პროცესი ახლა უნდა დაიწყოს. ძველი მეთოდები აღარ მუშაობს.

*rian.ru*



**კეტრინ ეშტონი,**
**ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო საქმეებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში:**

გადაჭრით მოვუწოდებ ეგვიპტის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა სამართალდამცველებმა დემონსტრანტების დაცვა და შეკრების უფლება უზრუნველყონ. აუცილებელია ძალადობაში დამნაშავეთა დასჯა. დაუშვებელია იმ ჟურნალისტების მიმართ ძალადობა და დაშინება, რომლებიც ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებს აშუქებენ. ახლა აუცილებელია სასწრაფო, კონკრეტული და გადამწყვეტი ზომები ეგვიპტელი ხალხის დემოკრატიული მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. მოვუწოდებ ეგვიპტის ხელისუფლებას, ახლავე დაიწყოს ჭეშმარიტად დემოკრატიულ რეფორმაზე გადასვლა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად.

*rian.ru*



**ჰოსნი მუბარაკი,**
**ეგვიპტის პრეზიდენტი:**

უდიდესი სურვილი მაქვს, პრეზიდენტის პოსტი დავტოვო, მაგრამ ამას ვერ გავაკეთებ. ჩემი გადადგომის შემთხვევაში, ქვეყანა ქაოსში ჩაეფლობა. ისლამისტური მოძრაობა „მუსლიმანი ძმები" პოლიტიკური ვაკუუმით ისარგებლებს, რათა ხელისუფლებაში მოვიდეს. მე ხელისუფლება უკვე აღარ მჭირდება, 62 წლიდან საკმაოდ ბევრი სამუშაო მქონდა. მაგრამ გპირდებით, რომ ეგვიპტეს არ დავტოვებ. მე ამ მიწაზე მოვკვდები.

*ტელეკომპანია „ABC"*



**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**

არჩევნები ჩემთვის თვითმიზანი არაა. არჩევნები საჭიროა იმისთვის, რომ ხალხისთვის რაიმეს გაკეთების საშუალება მიიღო.

*argumenti.ru*



**დიმიტრი როგოზინი,**
**ნატოში რფ-ის მუდმივი წარმომადგენელი:**

საქართველო და რუსეთი მონახავენ საკუთარ თავში ძალებს, რათა შერიგდნენ. შერიგება, ბუნებრივია, აუცილებლად მოხდება და, რაც მალე, მით უკეთესი. ჩვენ ვართ ორი მართლმადიდებელი ქვეყანა, რომლებსაც ისტორია გვაკავშირებს. მომავალში ეს ქვეყნები აუცილებლად მონახავენ საკუთარ თავში ძალებს, რომ შერიგდნენ და მშვიდობიანად იცხოვრონ. ჩვენი მშვიდობის გარანტი ის დიდი ქართული დიასპორაა, რომელიც ახლა რუსეთში ცხოვრობს. უბრალოდ, საკმარისი არაა, ზღვის პირას ჯდომა და ლოდინი, ამ პროცესისთვის ხელისშეწყობაა საჭირო.

*apsny.ge*



**ჯონ მაკეინი,**
**აშშ-ის სენატორი:**

ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებზე აშშ-ის რეაგირება ქვეყნის შიდა საქმეებში ზედმეტი ჩარევა არ არის. ეგვიპტესთან, განსაკუთრებით სამხედრო მიმართულებით, მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. ამ ქვეყნისთვის დახმარების შეწყვეტის თაობაზე განცხადებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. ამ გადაწყვეტილებამდე ყველა სხვა მეთოდი უნდა ვცადოთ. მსოფლიოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვას სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამ ქვეყნებში რადიკალური ისლამური მოძრაობები ძალიან სახიფათოა, ასევე, ისლამური საძმო. შესაძლოა, დღეს ერთ-ერთი რთული პერიოდია.

*lenta.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ოთხი ხელწერა
## მარგვეთი

**დღეს ძალიან საინტერესო მოგზაურობა გველის და იგი ტაბაკინიდან უნდა დავიწყოთ. ტაბაკინის ხევი პირველია, რომელიც შეერთებულ ყვირილასა და ძირულას სამხრეთიდან მიერთვის. სოფელი ტაბაკინი ზესტაფონიდან 6 კმ-ში იწყება და 2 კილომეტრზე გაჭიმული.**




ზოგჯერ ტაბაკინში უხვთოვლიანი ზამთარი იცის და სიარული ორხიდიან მანქანასაც კი უჭირს. მეჩვენება, რომ ტაბაკინის „წმიდა გიორგი" ბოლოდროინდელ აღდგენამდე გაცილებით მეტ ემოციურ მუხტს იძლეოდა. ჩრდილოეთის სანახევროდ მოლიავებული ნავი თავისი თაღედებით ძალიან წააგავდა საგურამოს ტყეში მდებარე ბზიანას დიდ ეკლესიას და უფრო მკაფიოდ მეტყველებდა ისტორიული ენით. სხვათა შორის, ამ ორი ეკლესიის მსგავსებაზე თავის დროზე ღვაწლმოსილი მეცნიერები გივი გაფრინდაშვილი და ნიკო ჩუბინაშვილიც წერდნენ. ბზიანას ეკლესია VII-VIII საუკუნეების ძეგლია, ტაბაკინი კი მინიმუმ ერთი საუკუნით ძველია.

ტაბაკინის უძველესი კვალი მისი კედლების ქვედა ნაწილია. თუ დავაკვირდებით, იგი არა მარტო წყობის მკაცრი სიზუსტით, არამედ არშიაშემოვლებული დიდი ლოდებითაც გამოირჩევა. ტაძრის კედლის ზედა რეგისტრები გვიანდელია. აქ ქვათა მოცულობა მცირდება, აღარც კანტი აქვს შემოვლებული და აღარც წყობაა ზუსტი. აქ, ახალ წყობაში, ფლეთილი ქვაცაა გამოყენებული. იგივე ითქმის ინტერიერში აღდგენილი კამარებისა და აფსიდის მოყვანილობის შესახებ. როდის დაინგრა VI-VII საუკუნეების ეკლესია, ძნელი სათქმელია, მაგრამ იგი თავდაპირველად X საუკუნეში აღუდგენიათ. სწორედ ამ პერიოდისა უნდა იყოს სამხრეთის სტოვა, რომელიც სულ ახლახან ალადგინეს. ტაბაკინის ტაძარი შიგნით მთლიანად მოხატულია, მაგრამ ეს მხატვრობა მეორადია და იგი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის დროინდელია. ამ პერიოდში — 1510-1529 წლებში უნდა მომხდარიყო ტაბაკინის მეორე აღდგენაც. ამაზე მიგვითითებს ჩრდ. ნავის დასავლეთ კედელზე გამოსახული მეფე-ქტიტორის გამოსახულება ტაძრის მოდელით. მის ქვეშ არის 3-სტრიქონიანი წარწერა: **„სულკურთხეულსა ბაგრატს შეუნდნე უფალო, ღმერთმან. ადიდენ!"** მთავარი ქტიტორული ფრესკა და წარწერა მოთავსებულია ძირითადი დარბაზის სამხრ. კედლის ქვედა რეგისტრში: **„აქა წმიდა გიორგის მონასტერი ძლევისა და ყუელაწმიდისა ღმრთის მშობლისა დაკნილებული და აოხრებული აღვაშენე მე ჩხეტიძემ ქუთათელმა გერასიმემ. ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმან. ამინ და კირიალეისონ".** იქვე, მარცხენა მხარეს, ნათქვმია: **„მისთა დედა-მამათ და მისთა მიცვალებულსა შეუნდოს ღმერთმან. ამენ!"**

ტაბაკინის ხეობიდან მუხლამდე თოვლი უნდა გამოვარღვიოთ და ზესტაფონში დავბრუნდეთ, რათა ახლა პირი დასავლეთისაკენ ვქნათ და მდინარე ჩოლაბურის ხეობაში გადავინაცვლოთ. მდინარეს ეს სახელი მას შემდეგ ჰქვია, რაც ძუსა და ბუჯისწყალი ერთიანდება. ჩოლაბურის ქვედა დინებაში, სანამ იგი ყვირილაში ჩავა, მარცხენა სანაპიროზე, სოფელ არგვეთთან ახლოს, შემორჩენილია „დედაღვთისას" მოზრდილი ეკლესია, მანამ კი, გზაზე, წყაროსთან, ობლად გდია, სავარაუდოდ, ამავე ეკლესიის დიდი, სამკაულიანი ქვა.

„დედაღვთისას" გაღმა მდებარე თერჯოლის რაიონის სოფლიდან ქათქათა, ახალთახალი ეკლესია აწონებს თავს, მაგრამ მისი ეს მცდელობა ამაოა. „დედაღვთისას" წარბი შეუკრავს და შორეულ წარსულზე ფიქრშია გარინდული. სხვაც არა იყოს რა, ისეთი გარემო აქვს მრავალსაუკუნოვანი ძელქვების კორომში და ისე მედიდურად გადმოსცქერის მიდამოს, რომ ძნელია რაიმეთი მოაწონო თავი.

**ეს არის კარგად გათლილი, ვეება, ჩალისფერი ლოდებით ნაგები 13 მეტრი სიგრძისა და 8 მეტრი სიგანის დარბაზული საყდარი, რომელიც აღმოსავლეთით ხუთწახნაგა შვერილი აფსიდით სრულდება.**



გულბადიანი



ტაბაკინის ტაძარი. სამხრეთ ფასადი



ხიდი ჩოლაბურზე

**სამხრეთიდან ტაძარს აქს ორი მინაშენი, რომელთა შუაში უთუოდ კარიბჭე იქნებოდა მოთავსებული.**

**ეკლესიას მინაშენი უნდა ჰქონოდა ჩრდილოეთიდანაც, რადგან მთავარ დარბაზში ამ მხარეს კარია გაჭრილი. ტაძრის შიდა პერანგი ფასადების იდენტურია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი იმთავითვე არ იყო გათვალისწინებული მოსახატად. მთავარი დარბაზის ასე ფართოდ და ლაღად გაშლილი შიდასივრცე და განიერი პორტალები XII-XIII საუკუნეზე მიგვანიშნებს.**

არგვეთის „დედაღვთისას" ხნისა არ არის, მაგრამ არც ახალია ოდნავ ზევით სოფელ ჭალატყესთან ჩოლაბურზე გადებული ხიდი. **იგი სიგრძეში 40 მეტრზე მეტია, სიგანეში კი 4 მეტრს აღწევს და დღესაც გამოსადეგარია მსუბუქი ავტომობილებისათვის.** რაკი ხიდი ძველია, თაღოვანია და ლამაზია, საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, აქაურები მას „თამარის ხიდად" მოიხსენიებენ.

შუასაუკუნეებში ჭალატყე ქალაქი ყოფილა და აღმოსავლეთ საქართველოსაკენ მიმავალი გზაც სწორედ აქ გადიოდა. 1646 წელს იგი ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს დაურბევია, შემდეგ — 1703 წელს კი ოსმალებს. ამის მერე ჭალატყე სოლომონ პირველს აღუდგენია და ჩანს, ხიდიც ხელახლა მას გაუმართავს.

„თამარის ხიდიდან" ქვემო საქარამდე, რომლის ბოლოშიც **გულბადიანის ეკლესია** დგას, დაახლოებით 2-3 კილომეტრია, მაგრამ ჩვენ შემოვლითი გზითაც შეგვიძლია მივადგეთ ზესტაფონიდან. ეს იმიტომ, რომ უნახავი არ დაგვრჩეს ზედა საქარაში, სასაფლაოზე მდგარი ახალი ეკლესიაც. აქედან „გულბადიანთან" მანქანით მისვლა ზამთარში შეუძლებელია, რადგან ტყეში გამავალი გზა აყალოა, ვიწრო და ძალიან დამრეცი. რამდენიმე წლის წინათ აქ, ლამის ხევში გადავცვივდით და უკანაც ველარ ამოვაღწიეთ ტრაქტორის დაუხმარებლად. არადა, ტაძრამდე სულ ერთი კილომეტრია და გუმბათიანი საყდარი შორიდანაც კარგად ჩანს. **ეს მინიატურული ტაძარი ქვევით, შემაღლებულ ადგილზეა და მცირე კორომში ჩაფრენილ სამოთხის ჩიტსა ჰგავს. მისი გრძივი ღერძი — 7 მეტრია, განივი კი სულ რაღაც — 5. პროპორციები მეტად დახვეწილია, ნაგებია ღია ჩალისფერი ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით. აქვს ორი კარი და თითქმის სრულიად უსამკაულოა.**

ტაძრის გუმბათის ყელი აფრებით ეყრდნობა საკურთხევლის აფსიდის მხრებსა და დასავლეთის მკლავში არსებულ ორ სვეტს. კაპიტელებს თაროსებრი ფორმები აქვთ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ორი საყრდენი სვეტი, რომელიც გუმბათის ყელს იკავებს, კედლიდან სულ რაღაც 60-70 სანტიმეტრითაა დაშორებული. ჩვენს წინაშეა X-XI სს-ის უმშვენიერესი, მარტივი, თავისუფალი ტიპის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი.

გულბადიანიდან მდინარე ბუჯს უნდა ავუყვეთ, რომლის ხეობაში სოფელ ტყლაპივაკედან შეიძლება შესვლა. აქედან, სახელდობრ კი ლუტიძეების უბნიდან ბუჯის ციხემდე კილომეტრი თუ იქნება.

ციხე-სიმაგრის გალავნის ფრაგმენტები, კორტოხიდან რომ არის დაგორებული, 1832 წლის აჯანყების ერთი სამწუხარო აკორდია. იმის შიშით, რომ ქართველი შეთქმულები ბუჯის ციხეში არ გამაგრებულიყვნენ, მეფის რუსეთის არმიის ერთ-ერთმა საარტილერიო დანაყოფმა ზარბაზნები დაუშინა და ციტადელი მიწასთან გაასწორა. მაგრამ ამ სადამსჯელო ოპერაციას სხვა, უფრო სავალალო, შედეგი მოჰყვა — სანახევროდ დაინგრა ის უნიკალური ტაძარი და მონასტერი, რომელსაც ეს გალავანი იცავდა. **მონასტრის მთავარი ნაგებობა, საკმაოდ მოზრდილი ორნავიანი ეკლესია, ქართული სამთო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. ორი მდინარის ბუჯისა და მაძარულას ხერთვისში, კლდეზე, აღმართული ტაძარი სამხრეთის ნავით ებჯინება ძალიან მტკიცედ ამოყვანილ ბაქანს, ნავი სიგანეში მხოლოდ 275 სმ-ია. იგი სამთაღედით უკავშირდება მთავარ დარბაზს. ეს უკანასკნელი სიგრძეში დაახლოებით 8,5 მეტრია, სიგანეში — 4,75 მ. აფსიდში გაჭრილია 1 სარკმელი და ამოკვეთილია საკმაოდ მაღალი 2 ნიში. მთავარი დარბაზი ნათდება 4 სარკმლით და 2 სამერცხულით, რომლებიც გარედან გრეხილი სამკაულითაა გაფორმებული.**

ტაძრის ზემსწრაფი სივრცე, იმპოსტები, კონქის ფაქტურა, სამხრეთ ნავის გაფორმება, ქვათა წყობა და სხვა ნიშნები ძალიან მოგვაგონებს სამცხე-ჯავახეთის ორნავიან ბაზილიკებს. ბუჯის ეკლესიას მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. იგი შიგნიდან თაღოვანია, გარედან კი არქიტრავული. აღფრთოვანებას იწვევს არქიტრავის მოცულობა: სიგრძეში 3 მ. და 70 სმ, სიმაღლეში 1 მ და 10 სმ. ამ მონაცემებით იგი ფოკასა და საღამოს ტბის ტაძრებს მოგვაგონებს. პირდაპირ გასაოცარია, როგორ მოხერხდა ამხელა ბალავრის ატანა კლდეზე...

მეორე შესასვლელი ტაძარს ჩრდილოეთიდან ჰქონია, საიდანაც საყდრისა და გალავნის საერთო კარიბჭეც არის. სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო მდინარეზე ჩასასვლელი გვირაბი.

ყველა მონაცემით ბუჯის ეკლესია IX-X საუკუნეთა სახეშეუცვლელი ძეგლია და მისი მსგავსი მარგვეთში არ მოიპოვება. იგი სასწრაფო ყურადღებას მოითხოვს.

**ბელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**



„დედაღვთისა". ჩრდილო-აღმოსავლეთი ფასადი





ბუჯის ეკლესია ქვევიდან და მისი სამხრეთის ნავი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვასილ პოტო და მისი «კავკასიური ომი»

**XIX საუკუნეში საქართველოს მძიმე ჭრილობების მოშუშების, დაფიქრებისა და ძალების მოკრების ჟამი დაუდგა. დაიწყო დაკარგული ტერიტორიების შემოერთებისა და ქვეყნის გაერთიანების ხანა. დიდ სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახებამ ხელი შეუწყო აღნიშნული პროცესის წარმატებით განხორციელებას. ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთსა და თურქეთს შორის მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული ომები ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების აქტიური მონაწილეობით.**

ვასილ პოტოს (1836-1911 წ.წ.) ხუთტომეული „კავკასიის ომი“ უშუალოდ ეხება მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს გარშემო მიმდინარე მოვლენებს. „საქართველო და მსოფლიომ“ უკვე შემოგთავაზათ ამ ნაშრომის ერთი ნაწილი, სადაც მოთხრობილია სამცხე-ჯავახეთის დასაბრუნებლად წარმოებული სამხედრო ოპერაციების შესახებ.

ამჯერად გთავაზობთ დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენების აღწერას, კერძოდ, გურიისა და აჭარის შემოერთების მიზნით დაწყებულ შეტევას, რომელშიც რუსებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მებრძოლებიც.

**საგულისხმოა, რომ ავტორი ზედმიწევნით იცნობს ქართულ ყოფას და მის ისტორიას. იგი აღტაცებას ვერ მალავს ქართველთა შეუპოვრობისა და სიმამაცის გამო. იმერლები, გურულები და მეგრელები, როგორც ვ. პოტო შენიშნავს, წარმოადგენენ ერთ ხალხს, რომელთაც საერთო ჰქონდათ ენა, რწმენა და წეს-ჩვეულებანი.** აქვე ისტორიკოსი გულისტკივილით მიუთითებს იმჟამად გავრცელებული მავნე მიდრეკილების შესახებ და დასძენს: **„მათი ყოფის შინაარსს ერთი რამ წარმოადგენდა — გამუდმებული ბრძოლა მეზობელ სამფლობელოებს შორის, რისი საბაბიც პირადი ანგარიშები, ინტრიგები და დაუსრულებელი საგვარეულო უთანხმოებანი იყო. წარამარა იცვლებოდნენ მოკავშირეები: ხან იმერეთის მეფე გურიელებთან ერთად ებრძოდა სამეგრელოს დადიანებს, ხან მეგრელებთან ერთად იმერეთი — გურულებს. არც თუ იშვიათად ომში აფხაზეთის მფლობელიც ერთვებოდა“...** ცხადია, ასეთ ვითარებაში ძალზე ფერხდებოდა ქვეყნის განვითარება, უფრო მეტიც: პერმანენტული შინააშლილობა დამღუპველად მოქმედებდა ქართული სახელმწიფოს გაერთიანების პროცესზე.

წარმოდგენილ მასალაში ვრცლად არის აღწერილი აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე ბრძოლებიც, გადმოცემულია მეზობელი ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების მკაფიო ანალიზი, რაც უთუოდ დააინტერესებს ჩვენს მკითხველს.

# მოკავშირეები და მტრები რიონისპირა მხარეში

**დიდებით მოსილი პასკევიჩის არმია, აიღო არა ყარსი და ახალციხე, ჩქარობდა ახალ-ახალი წარმატებების მოპოვებას. მას არ ჰქონდა არც დრო და არც საშუალება, თავისი მარჯვენა ფლანგისთვის მიეხედა, რომელიც თავდასასხმელად კარგი სამიზნე იყო მთიელებისთვის, რომლებსაც აჭარელთა, ლეკთა და ქობულეთელთა მებრძოლი ტომები წარმოადგენდნენ. ამდენად, მათი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა.** ამასთან, ისინი ესაზღვრებოდნენ სამეგრელოს, გურიასა და იმერეთს, რომლებიც თურქთა შემოსევისგან უნდა დაეცვა რუსეთის მოქმედ არმიას და ამით დაენახვებინა რუსეთთან ახალშეერთებული ხალხისთვის, რომ მისი დიდი ძალაუფლების ქვეშ ადგილობრივი მტრები საშიშნი არ არიან. ამ მიზნით, ჯერ კიდევ კამპანიის დასაწყისში, რაიონის ველზე ჩამოყალიბდა პატარა რაზმი გენერალ გესის მეთაურობით. მისი დანიშნულება, თუ არ ჩავთვლით ფოთზე აუცილებელ ლაშქრობას, თურქებისგან თავდაცვა იყო, მაგრამ მას უფრო მეტად შეტაკებები უხდებოდა მებრძოლებთან, რომლებიც ჯერაც იყვნენ ქრისტიან თავად-აზნაურებს შორის.

**ეს რაზმი საბრძოლო მამაცობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მისი საქმიანობის შედეგების მიხედვით მჭიდროდ უკავშირდება რიონისპირა მხარის ისტორიას. ამიტომ მოდით, ზოგადად გადავავლოთ თვალი რიონისპირა ქვეყნის წარსულს — მის აყვავებულ ბუნებას, მის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებასა და წეს-ჩვეულებებს.**

რიონის მხარეში და შავი ზღვის სანაპიროზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ ქართველური ტომები — იმერლები, მეგრელები და გურულები (სხვათა შორის, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მეგრელები ლაზების შთამომავალნი არიან, გურულები ებრაელებისგან წარმოდგებიან). ოდესღაც მათ შექმნეს სამი ავტონომიური პოლიტიკური ერთეული, რომელიც, მიუხედავად ძლიერი მეზობლებისა, დამოუკიდებელნი იყვნენ.

ამ მხარის ბუნება, თავისი სილამაზით, დამატყვევებელია. შორს, ჰორიზონტზე, თეთრად მოჩანს კავკასიის ყინულოვანი მწვერვალები, სამხრეთით წამომართულია ხვამლის კლდოვანი და ნაღვლიანი მთა, რომელსაც იმერლები ისეთივე გადმოცემას უკავშირებენ, როგორსაც მთიელები — იალბუზს: ამ მთაზე ძერა აწამებდა პრომეთეს, აქვე ნოემ ჩაუშვა ღუზა, ვიდრე არარატთან მივიდოდა. ეს გიგანტური კლდე ყოველი მხრიდან მოჩანს. **მას ძველად „დამხმარე მთას“ უწოდებდნენ, რადგან ძველ დროში თურქების ტყვეობიდან გაქცეული იმერლები, ყოველთვის ამ მთით ახდენდნენ ორიენტაციას, მისკენ მოემართებოდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს გზა მათ სამშობლოში მიიყვანდა. ამ მთის მწვერვალზე ნანგრევები მოჩანს, რომელსაც აქაურები თამარ დედოფლის დროინდელად მიიჩნევს.**

მხარე მდიდარია მრავალგვარი მცენარეებით. აქ ორი გაზაფხული იცის — ზაფხულის ხვატისგან გადამხმარი ველები შემოდგომაზე ისევ ხასხასა მწვანე ხდება, იჩითება მრავალნაირი ყვავილებით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე მთიანია, ჰავა ნესტიანია და არაჯანსაღი. განსაკუთრებით იქ, სადაც მდინარეები ზღვას უერთდება, ჭაობებია. ზოგიერთი სანაპირო პუნქტი ზღვის დონიდან ნახევარი ფუტით დაბლაა. დაბლობ ადგილებში ციებ-ცხელება ქათმებსაც კი ემართება. **ამ მდიდარი ფლორის ფონზე მოგზაურს აოცებს სამეფოს სილარიბე. შავი ზღვის სანაპიროზე ენგურამდე მოსახლეობა, ჯანმრთელობის მხრივ, ძალიან სუსტია.**



**თურქეთის გავლენით, ქართული ტანსაცმელი შეიცვალა რაღაც ნახევრად-ფანტასტიკური, ნახევრადთურქული, და თუნდაც, ნახევრადბერძნული კოსტიუმით.**

**მეგრელი (გრძელ ჩოხაში), იმერელი (მოკლე ჩოხაში, შარვლით) და გურული (ჩაქურაში). რუსი ეთნოგრაფის ჩანახატი 1810-იანი წლები.**

ბუნებრივია, რომ **რიონისპირა მხარეში ხალხს პოლიტიკური ცხოვრება არ ჰქონდა. მათი ყოფის შინაარსს მხოლოდ ერთი რამ წარმოადგენდა — გამუდმებული ბრძოლა მეზობელ სამფლობელოებს შორის, რისი საბაბიც პირადი ანგარიშები, ინტრიგები და დაუსრულებელი საგვარეულო უთანხმოებანი იყო.** წარამარა იცვლებოდნენ მოკავშირეები: ხან იმერეთის მეფე გურიელებთან ერთად ებრძოდა სამეგრელოს დადიანებს, ხან მეგრელებთან ერთად იმერეთი — გურიელებს. არც თუ ისე იშვიათად ომში აფხაზეთის მფლობელიც ერთვებოდა, რომლის წინააღმდეგ ზოგჯერ სამივე ერთად იბრძოდა. ასეთ დროს ეს უკანასკნელი თურქებს თხოვდა დახმარებას. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ცუდად მოქმედებდა მიწათმოქმედებაზე, იმ ხალხზე, ვინც მიწას ამუშავებდა და გამუდმებით თავდასხმის შიშსა და მოლოდინში იმყოფებოდა.

**ამ ქვეყნების რუსეთთან შეერთების შემდეგ სიტუაცია ბევრად უფრო უკეთესი გახდა. იმერეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა და რუსული კანონებით იმართებოდა (როგორც რუსული პროვინცია). სამეგრელო და გურია ჯერ ისევ ავტონომიურ სათავადოებს წარმოადგენდა, მაგრამ იქაც კეთილისმყოფელმა რუსულმა კანონებმა „შეარბილა“ მმართველთა და მაღალი კლასის განუკითხაობა.**

რიონის მარცხენა მხარეს, სამეგრელოში მდებარეობს ტბა პალიასტომი, რომლის წარმოშობაზეც არაერთი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი სოდომისა და გომორის ბიბლიურ ამბავს ჰგავს. მასში ნათქვამია, რომ ღმერთმა თავისი გულისწყრომა თავს დაატეხა დამნაშავე ქალაქს, რომელიც ამ ტბის ადგილას მდებარეობდა, და დატბორა იგი. სხვა გადმოცემით, ამ ტბის ადგილას ცხოვრობდა ბოროტი მებატონე. რიონი მაშინ ახლანდელი კალაპოტიდან მოშორებით მიედინებოდა და იქამდე მანძილის გავლას ამ სამფლობელოდან სამი საათი სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, ცივსისხლიანი ბატონი ყოველდღიურად გზავნიდა თავის ხალხს მდინარეში ღვინის ჩასაციებლად და, ვინც თბილ ღვინოს მოუტანდა უკან, სიკვდილით სჯიდა. ასე მან ძალიან ბევრ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე, მაგრამ ღმერთმა ისიც დასაჯა. ერთ მშვენიერ დილას ბატონი თავის სოფელთან ერთად მიწამ თან ჩაიტანა და იმ ადგილას ტბა გაჩნდა.

ეს გადმოცემა სინამდვილეს უფრო შეეფერება, რადგან ახლაც კი მეთევზეები ტბაში პოულობენ ფიცრებს, წისქვილის ნაწილებს, რაც ლაპარაკობს იმაზე, რომ აქ, მართლაც, ყოფილა მოსახლეობა ძველ დროში. ზოგი მეთევზე იმასაც ამტკიცებდა, რომ ტბის მღვრიე წყალში, ფსკერზე შენობის კედლებიც დაუნახავთ.

**ასეა თუ ისე, ლეგენდა აქაურთა წეს-ჩვეულებების ანარეკლია. იგი დასტურია იმისა, რომ ამ მხარეში ძალადობრივი დამოკიდებულება არსებობდა ძლიერთა და უბრალო მცხოვრებთა შორის.** კარგია, რომ მიწამ ჩაყლაპა მოძალადე ბატონი, მაგრამ მან ხომ თან ჩაიყოლა მთელი სოფელიც. ეს მკაცრი სასჯელი იყო ასევე მისი შთამომავლებისათვისაც, რომლებმაც ვერაფერი მიიღეს მემკვიდრეობით.

იმერლები, გურულები და მეგრელები წარმოადგენენ ერთ ხალხს, რომელთაც საერთო ჰქონდათ ენა, რწმენა და წეს-ჩვეულებები. მათ მოახერხეს ბევრი რამის შენარჩუნება, მაგრამ მათ ხასიათში უკვე შეიმჩნეოდა ცბიერებისა და ურწმუნოების მომენტებიც (ქართველებისგან განსხვავებით, რომლებიც უშუალობითა და პირდაპირობით გამოირჩეოდნენ). ეს იყო თურქეთის გავლენის კვალი, რომელიც განსაკუთრებით გურიას დაეტყო, სადაც ქართული ტანსაცმელი შეიცვალა რაღაც ნახევრადფანტასტიკური, ნახევრადთურქული, და თუნდაც, ნახევრადბერძნული კოსტიუმით, რომელიც მოხერხებული იყო მთაში ხელჩართული ბრძოლის დროს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთოთხმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

9 – 15 თებერვალი, 2011 წელი. №04 (95)
www.geworld.net

გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## სიმსუქნის გადასახადი



**ბრიტანეთში, ოლდემის ადმინისტრაციული რაიონის ხელისუფლება გამოვიდა ინიციატივით, კაფეებსა და სასადილოებს, რომლებიც „ფასტფუდით“ ვაჭრობენ, დამატებითი გადასახადები დაუწესონ. თითოეული ობიექტი ვალდებული იქნება, დამატებით ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადოს.**

ამ გზით შეგროვებული თანხა ბავშვებში სიმსუქნესთან ბრძოლას მოხმარდება. ოლდემში ჭარბწონიანობით, მთელი ბრიტანეთის მასშტაბით, ყველაზე მეტი დაავადებულია, მხოლოდ ბოლო ათი წლის მანძილზე ბავშვებში სიმსუქნის შემთხვევები სამჯერ გაიზარდა.

თუკი გადაწყვეტილებას მოიწონებენ, ანალოგიური გადასახადები, შესაძლოა, ქვეყნის სხვა რეგიონებშიც დაწესდეს. მსგავს ინიციატივას 2004 წელს ბრიტანეთის ხელისუფლებაც განიხილავდა, მაგრამ მაშინ ინიციატივა ქვეყნის ეკონომიკისთვის ნეგატიური შედეგების გამო არ მოიწონეს.

## კანონდამრღვევი კბილებიანი ბაყაყები



**სამხრეთ ამერიკაში ხეებზე მცხოვრებ ბაყაყებს წარმოუდგენელი თვისება აღმოაჩნდათ — მათ ევოლუციის პერიოდში დაკარგული კბილების უკან დაბრუნება მოახერხეს და ამით ბიოლოგიური განვითარების მთავარი კანონები დაარღვიეს.**

მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე ამ ბაყაყებს კბილები საერთოდ გაუქრათ, მაგრამ ისინი ცოცხალი მტკიცებულებები აღმოჩნდნენ იმისა, რომ კანონი ევოლუციის შეუქცევადობის შესახებ მცდარია.

ამ საოცარი მოვლენის კვლევის ხელმძღვანელი, დოქტორი ჯონ ვიენსი ამბობს, რომ ამ ბაყაყებმა კბილები 230 მილიონი წლის წინათ დაკარგეს, მაგრამ უკანასკნელი 20 მილიონი წლის მანძილზე კვლავ აღიდგინეს. ახლა მეცნიერები ამბობენ, რომ ეს ფაქტი იმ ბუნდოვანი თეორიის დასაბუთებაა, რომლის თანახმადაც ასი მილიონი წლის წინათ დაკარგული ანატომიური ნიშნები ბრუნდება.

## ექსტრიმი შვეიცარულად



**ბაგირზე მოსიარულემ და აკრობატმა, 46 წლის ფრედი ნოკიმ უსაფრთხოების ქამრებისა და საკიდების გარეშე ფუნიკულიორის სიმაღლეზე გაჭიმულ ბაგირზე გაიარა.**

ფრედი ნოკის გასეირნება შვეიცარიის სილვაპლანის მთებში რამდენიმე დღის წინათ შედგა. ნოკიმ ერთი სათხილამურო სადგურიდან მეორემდე დაახლოებით კილომეტრ-ნახევარი გაიარა. მსვლელობას ვერტმფრენიდან თვალს ადევნებდნენ მაშველები და ეს მისი ერთადერთი დაცვა იყო. ამით ფრედი ნოკმა სიმაღლეზე გაჭიმულ ბაგირზე დამცავი საშუალებების გარეშე გავლის ახალი რეკორდი დაამყარა.

# სფინქსების

**ეგვიპტის ბუნტი მსოფლიო პრესის ნომერ პირველ თემად იქცა. ტუნისის „ჟასმინების რევოლუციის“ შემდეგ, მასმედია ცდილობს, სახელი მოუძებნოს ჯერ არმომხდარ ეგვიპტურ რევოლუციას. ჯერჯერობით „ფინიკის რევოლუცია“ ლიდერობს, მაგრამ ეგვიპტეში მოვლენები ბევრად უფრო რთული და იდუმალებით მოცულია, ვიდრე ეს სახელწოდებაა.**



## 83 წლის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს მილიონობით ეგვიპტელის რისხვა ხალხის სიღატაკის გამო დაატყდა თავს

მესამე კვირაა, ეგვიპტეში სახალხო მღელვარება არ ცხრება და მსოფლიოს ცუდად ინფორმირებული უმრავლესობა შეშფოთებულია ეგვიპტეში დასვენების შეუძლებლობით, კარგად ინფორმირებული უმცირესობა კი — მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაძვირების პერსპექტივით. **გამოუსწორებელი კონსპიროლოგები მიმდინარე მოვლენებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ისრაელის „მოსადის“, შიიტი და სუნიტი ისლამისტი ფუნდამენტალისტების ნახელავს ეძებენ.** ისინი კი, ვინც ყველაზე ცუდადაა ინფორმირებული (და ასეთნი ამერიკული ტელეკომპანია „FOX News“-ის თანამშრომლები აღმოჩნდნენ), იმდენად დადარდიანდნენ ჩაშლილი ზამთრის არდადეგების გამო, რომ ეგვიპტე ირანის ადგილას განათავსეს.

**სინამდვილეში ეგვიპტური მოვლენების შესაძლო განვითარება და შედეგები თავისი იდუმალებითა და სირთულით მხოლოდ ამ ქვეყნის ტურისტულ სიმბოლოს — სფინქსს შეესაბამება.**

სფინქსიც, ისევე, როგორც ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენები, ყველასთვის თვალხილულია, მაგრამ არც მისი წარმომავლობა, არც ფუნქცია და მით უფრო, არც ავტორი, დღემდე არავისთვისაა ცნობილი.

ერთადერთი, რისი მტკიცებაც მთელი თავდაჯერებულობით შეიძლება, ისაა, რომ **83 წლის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს მილიონობით ეგვიპტელის რისხვა ხალხის სიღატაკის გამო დაატყდა თავს.** ეს ხალხი ქუჩებიდან წასვლას მანამ არ აპირებს, ვიდრე 30-წლიანი უცვლელი მმართველობით ყელში ამოსული ავიაციის მარშალი ქვეყანას არ დატოვებს.

არადა, მუბარაქის ეგვიპტე არაბული სამყაროს ყველაზე პროდასავლური ქვეყანაა და ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ახლოაღმოსავლური სიტუაციის დარეგულირებაში. ამაში ისრაელისა და პალესტინის მოსაზღვრე ეგვიპტის ინტერესიცაა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების ამერიკის სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესებიც. **როგორც ფაქტობრივი მოკავშირე, ეგვიპტე ყოველწლიურად იღებს სამხედრო დახმარებას ვაშინგტონისგან და, ზოგიერთი წყაროს ცნობით, ეს დახმარება 1,3 მილიარდ დოლარს შეადგენს.**

გარდა ამისა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) იქაურ არასამთავრობო დემოკრატიულ ინსტიტუტებს 2008 წელს 66,5 მილიონით, მომდევნო წელს კი 75 მილიონით დაეხმარა. **თავად მუბარაქი, როგორც ქაიროში აშშ-ის ელჩი ირწმუნება, დემოკრატიის წინსვლაში აშშ-ის როლს სკეპტიკურად უყურებს და, მიუხედავად ელჩის მრავალჯერადი მცდელობისა, გააუქმოს ქვეყანაში მრავალი წლის მანძილზე მოქმედი და უკვე ჩვეულებრივ რეჟიმად ქცეული საგანგებო მდგომარეობა, აცხადებს, რომ ეგვიპტეში რელიგიური იდეოლოგიის პოლიტიკურ პარტიებს ვერ აიტანს, ამერიკელების მიერ გამოყოფილი თანხები კი სწორედ კომუნისტებსა და რელიგიურ ექსტრემისტებს ეგზავნებათ.**

ვერსიაში, რომ ეგვიპტის დასავლურად დემოკრატიზაცია გახდა მასობრივი პროტესტების საბაბი, ორგანულად ჯდება „ტახტის“ პრეტენდენტის როლში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ყოფილი დირექტორის — მუჰამედ ელ ბარადეის გამოჩენა. მშვიდობის გამყარებისთვის ნობელის პრემიის ლაურეატი, ევროპაში მცხოვრები 69 წლის ბარადეი მოულოდნელად პროტესტანტი თანამემამულეების ბრბოში აღმოჩნდა და იდუმალი რევოლუციის ბელადობა სცადა. **დასავლეთში ბევრს სურს, მომავალ პრეზიდენტად სწორედ ბარადეი იხილოს, მაგრამ ამის შანსი არც ისე დიდია.**

ეგვიპტის შიდა პოლიტიკის მცოდნეთა აზრით, წარმატების გაცილებით მეტი შანსი ორ სხვა ოპონენტს აქვს. მათგან ერთი ახლადგამომცხვარი ვიცე-პრეზიდენტი ომარ სულეიმანია, რომელიც მუბარაქმა, სასწრაფო წესით, იმიტომ დანიშნა თანამდებობაზე, რომ ეგონა, ქვეყანაში მდგომარეობის განმუხტვას შეძლებდა. მეორე და იქნებ უფრო პერსპექტიულ კანდიდატს კი გვარი არ აქვს. სამაგიეროდ, აქვს უდიდესი გავლენა, ჰყავს უამრავი მომხრე და ფლობს მთელი ქვეყნის მომცველ განვითარებულ სტრუქტურას. ეს ეგვიპტეში აკრძალული მოძრაობა „მუსლიმანური საძმოა“ და მისი ექსტრემისტულ-ისლამისტური იატაკქვეშეთის რეპუტაცია ეგვიპტის მიმზიდველ ელიტურ იერს ირანის ტიპის ისლამურ რესპუბლიკად ქცევით ემუქრება.

**გენერალ-ლეიტენანტი ომარ სულეიმანი ახალგაზრდა არაა, წელს 75 წელი შეუსრულდება. მუბარაქის მსგავსად, ისიც სამხედრო მფრინავია და ისრაელთან განკითხვის დღის ექვსდღიან ომში მონაწილეობდა, მაგრამ კარიერა სხვა მიმართულებით გაიკეთა — 1991 წელს სათავეში ჩაუდგა ეგვიპტის სამხედრო დაზვერვას, 1993 წელს კი — საერთო დაზვერვის სამსახურს „ალ-მუჰაბარატს“. ამ რანგში სულეიმანი აშშ-ის სპეცსამსახურებთან დაახლოებულ ადამიანად იქცა, მისი ხელმძღვანელობით ეგვიპტურმა დაზვერვამ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ტერორიზმის წინააღმდეგ დაწყებულ ომში ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო.**

როგორც ნამდვილი პროფესიონალი, გენერალი ამ რომანტიული პროფესიისთვის დამახასიათებელ თამაშის ყველა წესს იცავს. მასზე, ისევე, როგორც მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების საქმიანობაზე, ინფორმაცია პრაქტიკულად არ მოიპოვება.

**მიუხედავად ამისა, ამ კაცზე** ზოგი რამ მაინც გაირკვა. **მან ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ ერაყში ჯარების შეყვანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საქმეში.**

**ერთი შეხედვით დაუჯერებელია, რომ მოკრძალებულმა ეგვიპტელმა გენერალმა გეოპოლიტიკური მასშტაბის გადაწყვეტილებაზე მოახდინა გავლენა, მაგრამ სპეცსამსახურების იდუმალებით მოცულ სამყაროში ყველაფერი ხდება.**

ალ-ქაიდას ალ-ხალდანის სამხედრო-საწვრთნელ ბაზაზე, სადაც 11 სექტემბრის ერთ-ერთი ორგანიზატორი იწვრთნებოდა, ინსტრუქტორად მუშაობდა იბნ ალ-შეიხ ალ-ლიბი. 2001 წლის ნოემბერში იგი პაკისტანის დაზვერვამ შეიპყრო და ამერიკელებს გადასცა. მას ბაგრამის ციხეში უკრეს თავი. დაკითხვებისას მან სხვა ტერორისტები დაასახელა და გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მადლობის ნიშნად ტყვე ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს გადასცა. ცსს-ს დირექტორმა ჯორჯ ტენეტმა პირადად მიმართა ჯორჯ ბუშს, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი პატიმარი გადაეყვანათ ისეთ ქვეყანაში, სადაც უფრო მკაცრად დაკითხვას მოახერხებდნენ.

**აშშ-ის პრეზიდენტის ნებართვით, ალ-ლიბის, რვა სხვა ტუსაღთან ერთად, ეგვიპტეში უკრეს თავი, იქ კი საქმეში ომარ სულეიმანის სამსახურები ჩაერთნენ. ტუსაღი ალ-მუხაბარატის საიდუმლო ციხის ერთ მეტრზე დაბალ კამერაში მოათავსეს და ყოველი დაკითხვის წინ 15 წუთის მანძილზე სცემდნენ, რის შემდეგაც მან გაცილებით საინტერესო ჩვენებების მიცემა დაიწყო.**

ცოტა ხანში „თაიმმა“ გამოაქვეყნა ვინმე ომარ ალ-ფარუკის დაკითხვის პროტოკოლი, რომლის მიხედვითაც ალ-ლიბი სხვა ალქაიდელებთან ერთად აშშ-ის წინააღმდეგ მთელ რიგ მსხვილმასშტაბიან ტერაქტებს გეგმავდა. ამის შემდეგ კი ეგვიპტის ციხეში ტუსალზე ზეწოლა ბევრად გაიზარდა. შედეგად გაირკვა, რომ ირანელი ინსტ-

▶



**მუბარაქის ბედი უკვე გადაწყვეტილია — მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები მას უკვე გამოეთხოვნენ**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რევოლუცია

## მოკრძალებულმა ეგვიპტელმა გენერალმა ომარ სულეიმანმა გეოპოლიტიკური მასშტაბის გადაწყვეტილებაზე მოახდინა გავლენა



რუქტორები ალ-ქაიდას მასობრივი განადგურების იარაღის სიახლეებს ასწავლიდნენ. ეს სწორედ ის იყო, რაც მოეწონებოდათ ამერიკელებს, რომლებიც, ბუშის დავალებით, ერაყში შეჭრის საბაბს ეძებდნენ. 2002 წლის ოქტომბერში ცინცინატში გამოსვლისას აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა: **„ერაყი ალ-ქაიდას ატომური ბომბისა და მომწამლავი ნივთიერებების შექმნას ასწავლის“.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმაც ეს მონაცემები გამოიყენა გაეროს უსაფრთხოების საბჭოში წარდგენილ მოხსენებაში. არადა, ამ სკანდალურ გამოსვლამდე ერთი თვით ადრე აშშ-ის სადაზვერვო სამმართველომ ალ-ლიბის მიერ მიცემული ჩვენებები ომარ სულეიმანის „ოსტატების“ მიერ წამებით მოპოვებულად და არასაიმედოდ გამოაცხადა.

**2004 წელს ალ-ლიბიმ უარი თქვა თავის ჩვენებაზე, რომელიც ამერიკელებსა და ერაყელებს ასი ათასობით სიცოცხლისა და ასობით მილიონი დოლარი დაუჯდათ და რომელმაც მსოფლიოში გეოპოლიტიკური სიტუაცია შეცვალა. აშშ-ის სენატმა ამ ჩვენებებს შეგნებული ტყუილი უწოდა, თავად ალ-ლიბიმ კი თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ლიბანის ციხეში, სადაც, არავინ იცის, როგორ მოხვდა.**

**ასე დაეხმარა მოკრძალებული ეგვიპტელი გენერალი ყველასთვის უცნობ ვიღაც ალ-ლიბის, პლანეტარული მასშტაბის მოვლენების საბაბად ქცეულიყო და ამ გენერალს ახლა ეგვიპტის პრეზიდენტობის სავსებით რეალური შანსი აქვს.**

**მუბარაქის ბედი უკვე გადაწყვეტილია — მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები მას უკვე გამოეთხოვნენ. აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ გამოთქვა სურვილი, ახლავე დაიწყოს ხელისუფლების გადაბარება, გასარკვევი ისღა დარჩა — ვისთვის? ცხადია, აშშ-ს ომარ სულეიმანი აწყობს, მაგრამ მას ძლიერი კონკურენტი ჰყავს „მუსლიმანური საძმოს“ სახით.**

ეგვიპტეს არაბულ სამყაროში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. გეოგრაფიული მდებარეობა და პოტენციალი მას აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, პანარაბიზმის ინტეგრირებადი ძალის ერთადერთ სახელმწიფოდ იქცეს. **ქაიროს ალ-აზხარის უნივერსიტეტი სუნიტური ვატიკანია და ეგვიპტეს ისლამის დასავლური ფრთის ცენტრად ქცევის საშუალებას აძლევს. ამ ბრძოლის ველზე მთავარ პოლიტიკურ მოთამაშედ, ცხადია, „მუსლიმანური საძმო“ იქცევა.**

მართალია, დასავლეთის საზოგადოება და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ორგანიზაცია ეგვიპტეს დიდი ხნით დასწევს უკან და ლამის შუასაუკუნოვან ბურუსში დააბრუნებს, მაგრამ მთლად ასეც არაა. „მუსლიმანური საძმო“ მსოფლიოში ყველაზე ძველი და ყველაზე გავლენიანი მუსულმანური ორგანიზაციაა, რომელშიც ძველი დროიდანვე გადახლართულია რადიკალური და ზომიერი მიმართულებები. ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ „საძმოს“ იდეოლოგია ქრისტიანულ პროტესტანტიზმს ენათესავება და ტრადიციებთან დაბრუნების ლოზუნგით მოდერნიზაციას ნიღბავს. მოდერნიზაცია კი, როგორც ისტორიული გამოცდილებიდანაა ცნობილი, ყოველთვის არ ენათესავება ლიბერალიზაციას.

**„საძმოს“ იდეოლოგია XIX საუკუნის ისლამური მოდერნიზმის ტრადიციებსა და საიდ ჯამალ ად-დინ ალ-ავღანის, მუჰამედ აბდუჰასა და რაშიდ რიბას სახელებს უკავშირდება.**

ეს სუნიტი მოაზროვნეები, ერთის მხრივ, ისლამურ სამყაროში დასავლეთის ჰეგემონიის, მეორეს მხრივ კი, ორთოდოქსული ისლამის მოწინააღმდეგეები იყვნენ. ისინი თანაბრად ქადაგებდნენ პანისლამიზმსა და დასავლური რაციონალიზმის მიღების აუცილებლობას.

ორგანიზაცია „მუსულმანური საძმო“ 1928 წელს ჰასან ალ-ბანამ შექმნა და მისი უმაღლესი ხელმძღვანელი თავად გახდა. მანვე ჩამოაყალიბა ორგანიზაციის უმთავრესი პრინციპები: ყურანის საწინააღმდეგო ნებისმიერი იდეისა და ქმედების უარყოფა; ისლამის გავრცელება სიცოცხლის ყველა ასპექტში; „ძმებში“ ურთიერთსიყვარულის აღზრდა მათი გულების გაწმენდის გზით; სამოქალაქო აქტივობა; ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა; ისლამის შესახებ ცოდნის გაღრმავება; „საძმოს“ დამოუკიდებლობისთვის აუცილებელი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნა და „ძმებს“ შორის ძმური კავშირების ჩამოყალიბება.

ბანამ პირველ ექვს „ძმასთან“ ერთად ააშენა მეჩეთი, მასთან არსებული სკოლითა და კლუბით. ეს მოდელი „საძმოს“ ლოკალური ორგანიზაციების ნიმუშად იქცა, შემდეგ კი მას პოლიკლინიკები, სპორტული კლუბები და სოციალური დახმარების ორგანიზაციები დაემატა. **ორგანიზაციის ძლიერ მხარედ ისლამის პრინციპების საზოგადოებრივ ცხოვრებაში უშუალო გამოყენება და ელასტიური ფედერაციული სტრუქტურა იქცა. ამ სტრუქტურის წყალობით, რეგიონალურ ორგანიზაციებს დიდი თავისუფლება ენიჭებოდა. გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო სამსაფეხურიანი წევრობა, რის წყალობითაც იდეოლოგიურად მოუმზადებელ ახალბედებს „საძმოს“ წესებით ამზადებდნენ.**

ამდენად, გათვლილმა სტრატეგიამ დიდად შეუწყო ხელი „საძმოს“ ეფექტურ ექსპანსიას ეგვიპტურ საზოგადოებაში. 1930 წელს უკვე არსებობდა ხუთი განცალკევებული საზოგადოება, 1932 წელს — 15, 1938 წელს — 300, 1949 წელს კი — 2000. ამ დროს „საძმო“ სულ 600 ათას წევრს ითვლიდა. 1946 წელს ბენამ ჯიჰადი გამოუცხადა ბრიტანეთის იმპერიას, რასაც ჯერ ტერორი, შემდეგ კი „საძმოს“ დელეგალიზაცია მოჰყვა. ბ?ნა შეეცადა, ხელისუფლებისგან კომპრომისი გამოესყიდა, მაგრამ „საძმოს“ ექსტრემისტული ფრთა მას აღარ ემორჩილებოდა. 1948 წლის 28 დეკემბერს ამ ფრთის წევრებმა ეგვიპტის პრემიერი მაჰმუდ ფახმი ალნუკრაში მოკლეს, ხელისუფლებამ პასუხად ბანა მოკლა.

**1952 წელს პრეზიდენტმა ნასერმა გამოაცხადა: „რელიგია — ღმერთისთვის, სახელმწიფო — ყველასთვის“ და საძმოს ზომიერ და რადიკალურ ფრთებს შორის ამით დაპირისპირება გამოიწვია. 1954 წელს კი „საძმო“ მთლიანად უკანონოდ გამოცხადდა, რის შემდეგაც მისმა წევრებმა პრეზიდენტზე წარუმატებელი თავდასხმა განახორციელეს. საპასუხო რეპრესიებმა „საძმოს“ წევრები ლამის მთლიანად გაანადგურა.**

ნასერის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ ანვარ სადათმა ისლამისადმი დამოკიდებულების შეცვლა გადაწყვიტა და „საძმოს“ სტუდენტური ორგანიზაციების აღდგენის უფლება მისცა.

მოძრაობას დელეგალიზებულობის პერიოდებშიც კი უდიდესი საზოგადოებრივი მხარდაჭერა აქვს იმ პროგრამის წყალობით, რომელიც ისლამის საფუძვლებზე ალტერნატიული სამოქალაქო საზოგადოების შექმნას ითვალისწინებს. ამ პროგრამის კომპონენტებს წარმოადგენენ ისლამური ბანკები და საწარმოები, უამრავი სოციალური პროგრამა, ისლამური პროფკავშირები და მასმედიასთან აქტიური მუშაობა. **თუ სოციალური პროგრამების წყალობით, „ძმებმა“ ეგვიპტელი ღატაკების მხარდაჭერა მოიპოვეს, გავლენის ამ ინსტრუმენტებით ყველა პროფესიის პროფკავშირებსა და მთელ საშუალო ფენაში გაიმყარეს პოზიციები.**

2005 წელს „მუსლიმანურმა საძმომ“ საპრეზიდენტო არჩევნებზე 114 „დამოუკიდებელი“ კანდიდატი წამოაყენა და ხმათა 20,7% მოიპოვა. ამ შედეგს მას შემდეგ მიაღწიეს, რაც 2004 წლის 3 მარტს ორგანიზაციამ პროგრამული დოკუმენტი „რეფორმების ინიციატივა“ გამოაქვეყნა. ამ დოკუმენტში ეწერა, რომ „ძმების“ მიზანია „რესპუბლიკური, საპარლამენტო, კონსტიტუციური და დემოკრატიული წყობა ისლამის პრინციპების ფარგლებში“.

**მიუხედავად იმ ნათელი ფაქტისა, რომ „მუსლიმანური საძმო“ რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა და არ წარმოადგენს ტერორისტულ მოძრაობას, ხელისუფლებაში მისი მოსვლა არსებითად შეცვლის მდგომარეობას არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთში.**

მსოფლიოს მასშტაბით, უამრავი ექსპერტი და ანალიტიკოსი უკვე ხატავს ისრაელ-ეგვიპტის ომის აპოკალიპტურ სურათს, ეგვიპტის ტურისტული სამოთხის აღსასრულს წინასწარმეტყველებს, ბარაკ ობამას კი ისტორიაში ეგვიპტის დამკარგველი პრეზიდენტის სახელით შესვლას ჰპირდება.

**გრიგორი ტინსკი**
*win.ru*

**«მუსლიმანური საძმოს» ხელისუფლებაში მოსვლა არსებითად შეცვლის მდგომარეობას არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთში**



# დახმარება მიცვალებულებს



**ამერიკის ხელისუფლებამ ეკონომიკის სტიმულირების ფარგლებში ერთჯერადი სოციალური დახმარების სახით უზარმაზარი თანხები გამოყო; მისი არც თუ მცირე ნაწილი მიცვალებულებს „მოხმარდა“.**

მიცვალებულებმა 250-250 დოლარი „მიიღეს“. ასეთი მიცვალებული კი სულ 72 იყო. ამრიგად, ერთჯერადი დახმარებიდან 18 მილიონი სწორედ მათზე გადანაწილდა. სოციალური დაზღვევის სამმართველოს შეცდომა მხოლოდ ამ უწყების მთავარი ინსპექტორის მიერ ჩატარებული შემოწმებისას აღმოაჩინეს. სახსრების ასეთი არამიზნობრივი ხარჯვა, ძირითადად, კონგრესმენებს დაბრალდათ, ვინაიდან კანონის დამუშავებისას მათ მსგავსი სიტუაციები არ განიხილეს. კერძოდ, დოკუმენტში გათვალისწინებული არაა თანხის უკან დაბრუნების პროცედურა მისი არასწორად გაცემის შემთხვევისთვის. ამის გამო, მიცვალებულებს სახელმწიფო დახმარება შერჩებათ.

# კანადელი კულტურისტი ძაღლი



**ამ ძაღლის ჯიში უიპეტია და, სხვა ძაღლებთან შედარებით, ბევრად უფრო მეგობრულია. ის ზომით დაახლოებით პუდელის ხელაა, მაგრამ 27 კილოგრამს იწონის, კისერი კი იმდენად დაკუნთული აქვს, რომ სისქით ლომისას არ ჩამოუვარდება.**

ცხადია, ძაღლს ტრენაჟორებზე არ უვარჯიშია — ასეთი არნახული ფორმები გენეტიკური მუტაციის შედეგია და, ამგვარი ცვლილებების შედეგად, მსგავსი ცვლილებები მხოლოდ ძაღლების შემთხვევაში არაა ცნობილი. მანამდე მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა თაგვებში, ძროხებსა და ადამიანებშიც კი.

კუნთების წარმოუდგენელი განვითარების მიუხედავად, ვენდის ჩონჩხი და შინაგანი ორგანოები აბსოლუტურად ნორმალური ზომისაა. ამიტომ საკუთარ ამოცანასთან გამკლავება მას ჩვეულებრივთან შედარებით მეტი დატვირთვით უწევს, ამიტომ ვენდი ჩვეულებრივზე ნაკლებს იცოცხლებს.

# შესასუნთქი საკვები



**პროფესორმა დევიდ ედვარდსმა გამოიგონა უნიკალური ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც საჭმელს, დაღეჭვის ნაცვლად, შეისუნთქავენ. მისი ხელმძღვანელობით, ჰარვარდის მეცნიერებმა შექმნეს საკვები აკვარიუმი და პირობას დებენ, რომ უკვე ამ შემოდგომაზე აპარატი საფრანგეთში გაიყიდება და 135 დოლარი ეღირება.** გამოგონების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მას დიეტები ახალ დონეზე აჰყავს და რეალურ საჭმელს საკვები კვამლით ცვლის. მოწყობილობა შემდეგნაირად მუშაობს: ადამიანი დაიხრება აკვარიუმის მსგავს ჭურჭელთან, პირში ჩაიდებს მინის მილს და აკვარიუმიდან საკვებს შეისუნთქავს. შესასუნთქი საკვების გემო ჩვეულებრივისგან არაფრით განსხვავდება, სამაგიეროდ, ჭარბი წონის დაგროვების ყველანაირი საფრთხე გამორიცხულია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## პედოფილი მრჩეველი

**სომხეთის პრემიერ-მინისტრის — ტიგრან სარქსიანის მრჩეველი, აშშ-ის მოქალაქე, კორპორაცია „მეტლ პრინსის“ მფლობელი სებორ ტერ-პოგოსიანი პედოფილი აღმოჩნდა. როგორც სომხური სააგენტოები იტყობინებიან, იგი, შესაძლოა, არასრულწლოვანი ვაჟების გარყვნაში დაადანაშაულონ.** ტერ-პოგოსიანის სავარაუდო მსხვერპლნი გაჭირვებული ოჯახებიდან იყვნენ და მათ პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ფულით ხიბლავდა. სააგენტოს მონაცემებით, ვინმე ვაგრამ პარსადანიანმა, რომელსაც 30 ათასი დოლარი მართებდა, სებორ ტერ-პოგოსიანს დაურეკა და ფული მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა, რომ პოლიციას მის ვიდეოკადრებს გადასცემდა. ტერ-პოგოსიანმა შანტაჟის გამო პოლიციას თავად მიმართა. ვაგრამ პარსადანიანი დააკავეს, თუმცა მან პოლიციას გადასცა ვიდეოკომპრომატი, რომელზეც ჩანს, რომ ტერ-პოგოსიანი 15 ბიჭთან სექსუალურ კავშირს ამყარებს. გამოცემის ინფორმაციით, პოლიციაში ბიზნესმენის წინააღმდეგ განაცხადი კიდევ 17 ახალგაზრდამ შეიტანა.



## ჩერჩილის ხელმოწერების გამყალბებელი

**ბრიტანეთის ქალაქ ლიმინგტონის პოლიციამ 65 წლის მამაკაცი ჩერჩილის ხელმოწერების გაყალბების გამო დააკავა.** იგი ამ საქმით 1940-1945 და 1951-1955 წლებში, ჩერჩილის პრემიერ-მინისტრობისას, გახლდათ დაკავებული. დამნაშავე ჩერჩილის ხელმოწერებით წიგნებს ამშვენებდა, შემდეგ კი ამ წიგნებს ინტერნეტ-აუქციონ „eBay“-ს საშუალებით ყიდდა. ჩერჩილის „ხელმოწერა“ ამ წიგნების ღირებულებას, სულ მცირე, 1000%-ით ზრდიდა. პოლიციამ ამ ყველაფრის შესახებ მას შემდეგ გაიგო, რაც მოტყუებული მყიდველების საჩივრები დაუგროვდა. თაღლითის დაკავების დროს მას სახლში რამდენიმე კალამი და 30-მდე წიგნის ეგზემპლარი აღმოაჩნდა. ამჟამად გამყალბებელი დაკავებულია და განაჩენს ელის.



## ჩინელები გამრავლებას ნატრობენ

**ჩინეთში ახალი წელი თებერვალში დადგა. ქვეყანა ამ დღესასწაულს საკუთარი მთვარის კალენდრის მიხედვით 2 თებერვლის ღამეს აღნიშნავს.** მომდევნო წელი კურდღლისაა და მისგან ჩინელები გამრავლებასა და გაბრწყინებას ელიან. უკვე სამი თვეა, პეკინში, იმპერატორი წინაპრებს შესაწირს სწირავს და უხვმოსავლიანობას სთხოვს. ჩინეთში საახალწლო სუფრის მშვენება, რა თქმა უნდა, თევზია. ის სიმდიდრის ნიშნადაა მიჩნეული. ჩინეთს წინ ერთკვირიანი ზეიმი ელოდება.

# მედესანტე

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი“ — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**



მარინა ჩუბკინა

1973 წლის იანვარი. საჰაერო-სადესანტო ჯარების მეთაური ვასილი მარგელოვი თავის ერთ–ერთ ოფიცერთან ერთად გვიანობამდე თამაშობდა ბილიარდს. მეორე დღეს ახალი სადესანტო კომპლექსის — „კენტავრის“ ტესტირება უნდა ჩაეტარებინათ. სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის მთავარი მედესანტის მთელი სიცოცხლე. უფრო მეტიც, ეს ჭეშმარიტების მომენტი უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის საჰაერო-სადესანტო ჯარის მთელი შემადგენლობისთვის და პირადად მისთვის.

დასასრული. დასაწყისი იხ. №2-3

კალაშნიკოვის ავტომატები ჯარს უკიდურესად ნელი ტემპებით მიეწოდებოდა, ჩვეულებრივი სადესანტო საბრძოლო მანქანების ნაცვლად კი გახსნილი ტანკები გამოიყენებოდა. კიდევ უფრო უარესად იყო საქმე თვითმფრინავებთან დაკავშირებით.



მედესანტეები ხტომას მოუხერხებელი ტრენაჟორის დახმარებით სწავლობდნენ. ამ დანადგარის სახელწოდება, რომელსაც ჯარში არაოფიციალურად ძვალსამტვრევი დაარქვეს, ყველაფერზე თავად მეტყველებდა; პარაშუტებიც, ასევე, შორს იყო სრულყოფილებისგან. ტრავმირებულთა და მსხვერპლთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. ცხადია, არ არსებობდა სამხედრო სადესანტო ჯარის სპეციალური სასწავლო დაწესებულებები, დესანტის გამოყენების დოქტრინა კი ძველებური რჩებოდა — უნდა აღმოჩენილიყვნენ მტრის ზურგში, ჩამალულიყვნენ და დალოდებოდნენ ძირითადი ძალების მიახლოებას, რაიმე გადაადგილება მოწინააღმდეგის ზურგში მკაცრად იკრძალებოდა.



**გამარჯვებულთა არმია თითქოს ომამდელ მდგომარეობას უბრუნდებოდა. მაგრამ ახალი დრო დგებოდა — სტალინი გარდაიცვალა, ხელისუფლებაში ბერია მოვიდა, მაგრამ, ისტორიკოსთა აზრით, მისი ნეიტრალიზება სამხედროებმა მოახდინეს. იმ დღეებში მარგელოვი მოსკოვში იმყოფებოდა. ის მხარს უჭერდა გენერლების შეთქმულებას ბერიას წინააღმდეგ. მისი დაპატიმრების შემდეგ მარგელოვს დედაქალაქის კომენდანტობაც კი შესთავაზეს, მაგრამ ძველმა ჯარისკაცმა თანამდებობაზე უარი განაცხადა.**

დაპატიმრებული ბერიას მცველობა მაინც მოუხდა. უკვე 1954 წელს კი გენერალი მარგელოვი საბჭოთა კავშირის საჰაერო-სადესანტო ჯარის სარდლად დანიშნეს.



ვიაჩესლავ სივკო, საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი:

**ვიაჩესლავ სივკო, საჰაერო-სადესანტო ჯარის პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი:**

— როგორც ჩანს, ეს მაინც უკავშირდებოდა უშუალოდ მის პიროვნულ თვისებებს. გარდა იმისა, რომ მამაცი, გაბედული ადამიანი იყო, სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი და შეიარაღებული ძალების განვითარების თავისებური ხედვა ჰქონდა.



გიორგი შპაკი, გენერალ-პოლკოვნიკი, საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალი 1996-2003 წლებში:

**გიორგი შპაკი, გენერალ-პოლკოვნიკი, საჰაერო-სადესანტო ჯარის სარდალი 1996-2003 წლებში:**

— მას შეეძლო პასუხისმგებლობა აეღო არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ იმ ჯარზეც, რომელსაც ედგა სათავეში. **იგი თამამად ერთვებოდა მარშლებთან, მინისტრის მოადგილეებთან კამათში, შეეძლო მინისტრსა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან, თვით პარტიის გენერალურ მდივანთანაც კი, საკუთარი შეხედულება გამოეხატა.**

**ამასთანავე, იგი ძალიან მგრძნობიარე იყო იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც სამხედრო ჩექმები ეცვათ და ლეიტენანტის სამხრეებს ატარებდნენ.**

მას შეეძლო აბსოლუტურად მშვიდად ელაპარაკა რიგით ჯარისკაცთან, მეზღვაურთან; ნამდვილად გამორჩეული პიროვნება იყო იმ მხრივ, რომ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ნებისმიერ ჯარისკაცზე, რომელთანაც კი უსაუბრია.

ვასილ მარგელოვს რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების მამას უწოდებენ და სინამდვილეშიც მარგელოვამდე საჰაერო-სადესანტო ჯარი ნაკლებად თუ მოგაგონებდათ თანამედროვე მედესანტეებს. თანამედროვე მედესანტეთა ჯარი კი შინაარსობრივად ინარჩუნებს იმ სახეს, რომელიც მას გენერალმა მარგელოვმა მისცა. არ ღირს იმის დავიწყება, რომ იმ დროისთვის, როდესაც ძია ვასია სამხედრო-სადესანტო ჯარს სათავეში ჩაუდგა, ჯარების ეს სახეობა ლამის უკვე მეოთხედ საუკუნეს ითვლიდა.



**30-იანი წლების დასაწყისში ჩვენი ქვეყანა სულ უფრო და უფრო გასამხედროებული ხდებოდა. ახალგაზრდობას შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა სამხედრო-გამოყენებითი სპორტის სახეობები.**

როგორც ბიჭები, ასევე გოგონებიც სასროლ სექციებში დადიოდნენ და ვოროშილოვის მსროლელთა სამკერდე ნიშნებით იწონებდნენ თავს. ბიჭები ტანკისტობაზე, უკეთეს შემთხვევაში კი, მფრინავობაზე ოცნებობდნენ. კულტურისა და დასვენების პარკებში გრძელ რიგებში იდგნენ ანძიდან პარაშუტით გადმოხტომის მსურველები. ამბობენ, რომ იმხანად ყველა ეზოში ხერხდებოდა პარაშუტისტთა ერთი დანაყოფისთვის საჭირო რაოდენობის ხალხის შეგროვება. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი წარმატებით გამოიყენა ეს „ახალგაზრდული მოდა“ შეიარაღებულ ძალთა გასაძლიერებლად.



1930 წლის 2 აგვისტოს 12 მოხალისე ვორონეჟთან მიმდინარე სასწავლო წვრთნებისას პარაშუტებით გადმოხტა.

**გიორგი შპაკი, გენერალ-პოლკოვნიკი, საჰაერო-სადესანტო ჯარის სარდალი 1996-2003 წლებში:**

— ეს სიტუაცია დიდად უწყობდა ხელს საჰაერო-სადესანტო ჯარების შექმნას. თავდაცვის მინისტრიცა და ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელი პირებიც ამ ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მომავალ შემადგენლობას ხედავდნენ და ეს ძალიან მოსწონდათ. იმ დროიდან ამ ჯარებმა მნიშვნელოვანი განვითარება დაიწყეს. სულ რაღაც ორი-სამი წლის შემდეგ უკვე არსებობდა მედესანტეების რამდენიმე ბატალიონი; დაახლოებით 10-15 წლის შემდეგ, დიდი სამამულო ომის დასაწყისისთვის, ხუთი საჰაერო-სადესანტო კორპუსი ფუნქციონირებდა და მათ ნამდვილად საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინეს საკუთარი თავი, განსაკუთრებით, ომის საწყის ეტაპზე. ეს ნარჩევი ხალხი ძალიან კარგად იყო მომზადებული და ნორმალური ტექნიკით აღჭურვილი. ისინი სხვებისგან გამოირჩეოდნენ მიზანდასახულობით. ▶



# ძია ვასია

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ჯარმა პირველივე დღეებიდან წარმოაჩინა საკუთარი ძლევამოსილება და საიმედოობა.

164 მედესანტისგან შემდგარი სპეციალური დანიშნულების პირველი რაზმი ლენინგრადის სამხედრო ოლქში შეიქმნა. შემდეგ მსგავსი ბატალიონები სხვა სამხედრო ოლქებშიც გამოჩნდა. მათ აღჭურვილობაში შედიოდა 35 ადამიანზე გათვლილი თვითმფრინავები, ტანკი, ჯავშანმანქანა ან ორი მსუბუქი შეიარაღება.

**მუშურ-გლეხური წითელი არმიის მედესანტეთა რაოდენობამ მალე რვა ათასს მიაღწია. ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა მოსახერხებელი და უსაფრთხო პარაშუტების შესაქმნელად. 30-იანი წლების შუა პერიოდში საბჭოთა კავშირმა შეძლო, სამხედრო საქმეში ნამდვილი რევოლუცია მოეხდინა.**



1935 წლის სექტემბერში კიევთან მოხდა მოვლენა, რომელსაც საბჭოთა კავშირთან მიმართებაში უპრეცედენტო შეიძლება ეწოდოს — მუშურ-გლეხური წითელი არმიის სწავლებებზე მოიწვიეს სამხედრო ატაშეები საბჭოთა კავშირში აკრედიტებული უკლებლივ ყველა ქვეყნიდან. მათთან ერთად იყვნენ არაოფიციალური სამხედრო წარმომადგენლები იმ ქვეყნებიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირს სათანადოდ ჯერ კიდევ არ აღიარებდნენ. ამ კეთილი ნების აქტის მიზანი იყო წითელი არმიის გახსნილობისა და, რაც მთავარია, მისი ძლევამოსილების დემონსტრირება. საბჭოთა ჯარზე საზღვარგარეთის ქვეყნების ნაწილს ხომ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

**მანევრირების აპოთეოზად იქცა 1200-კაციანი დესანტის გადმოსხმა. ცისფერ კომბინიზონებში გამოწყობილი ადამიანები ჯერ თვითმფრინავის ფრთებს ეკრობოდნენ, შემდეგ კი დაბლა ხტებოდნენ. მიწაზე მათ წინასწარ გადმოყრილი თოფებითა და ტყვიამფრქვევებით სავსე ყუთები ელოდებოდა. სულ რამდენიმე წუთში მთელი ჯარი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ციდან ჩამოვარდა, პარაშუტებისგან გათავისუფლდა და შეიარაღდა. და კიდევ, სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ მედესანტეები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ და აკონტროლებდნენ წინასწარ გათვლილ ობიექტს.**

**ოპერაცია გეგმის სრული დაცვითა და უბედური შემთხვევების გარეშე განხორციელდა. დასავლელი სამხედროები გაოცებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ ბოლშევიკებმა ჯარის ახალი სახეობა გამოიგონეს.**



მედესანტეების საბრძოლო ნათლობა ხალხინ-გოლთან შედგა. ისინი უკან მიმავალი რუმინული ჯარის ზურგში მოქმედებდნენ ბესარაბიის შემოერთების დროს. ისინი გამოიყენეს ფინეთთან სახმელეთო ომისას, დესანტის სახით. მაგრამ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა დროული დასკვნები გააკეთეს და დასავლეთ ევროპის დამორჩილებისას გერმანელმა პარაშუტისტებმა თავზარდამცემ წარმატებას მიაღწიეს. **დიდი სამამულო ომის დროს საჰაერო-სადესანტო ჯარების ყველაზე მსხვილი ოპერაცია იყო ვიაზმასთან დესანტის გადასმა.**

დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში საბჭოთა მედესანტეები მოწინააღმდეგის ზურგში მოძრაობდნენ და გენერალ ბელოვის ცხენოსნებთან ერთად იბრძოდნენ.

მაგრამ ამ ოპერაციის ამოცანა, რჟევსკის დაჯგუფების ალყაში გერმანელების მოქცევა და ოკუპაცია შეუსრულებელი დარჩა. გაუმართლებლად დიდი დანაკარგები გამოიწვია დესანტის წარმოუდგენლად წარუმატებელმა ოპერაციამ დნეპრის ფორსირებისას. **სტალინგრადთან მედესანტეები ქვეითი ჯარის რანგში იბრძოდნენ და მოწინააღმდეგის მხრიდან ყველაზე მეტი აღფრთოვანება მათ დაიმსახურეს.**



**ალექსანდრე მაკეევი, საჰაერო-სადესანტო ჯარების მაიორი, ფონდის — „საჰაერო-სადესანტო ჯარი — საბრძოლო საძმოს“ გენერალური დირექტორი:**

**ალექსანდრე მაკეევი, საჰაერო-სადესანტო ჯარების მაიორი, საჰაერო-სადესანტო ჯარების ფონდის „საბრძოლო საძმოს“ გენერალური დირექტორი:**

— დიდი სამამულო ომის დროს სადესანტო ჯარი კონკრეტულად დესანტირებისთვის მასობრივად არ გამოიყენებოდა. ამ მიმართულებით მათ, ცხადია, მაინც იყენებდნენ და საკმაოდ წარმატებულადაც, მაგრამ ამ გამოყენებას მასობრივს ვერ ვუწოდებთ. როგორც ამბობენ, ვინც სწავლობს, ის საქმეშიც საუკეთესო იქნება.

**საბჭოთა დესანტის ყველაზე ეფექტურ გამოყენებად მეორე მსოფლიო ომის დროს მანჯურიასა და კორეაში 1945 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენები უნდა ჩაითვალოს. იაპონიის აეროპორტების ხელში ჩაგდებამ მოწინააღმდეგის ქმედებების, პრაქტიკულად, მთლიანად პარალიზება განაპირობა.**



მედესანტეების იუმორის ერთ-ერთ გამოვლინებად საჰაერო-სადესანტო ჯარების აბრევიატურის გაშიფვრა იქცა. ამ აბრევიატურას, სულ მცირე, ათი ვარიანტი მიუსადაგეს. მისი რუსული აბრევიატურის (ВДВ — Воздушно-десантный войска) ყველაზე პოპულარული გაშიფვრა ასე ჟღერდა: ძია ვასიას ჯარი (войска дяди Васи).

ახლა ეს ძალზე რთული წარმოსადგენია, მაგრამ მარგელოვამდე მედესანტეებს არც სპეციალური საბრძოლო მანქანები გააჩნდათ, არც თანამედროვე თვითმფრინავები, არც კალაშნიკოვის ტიპის ავტომატები და, რაც მთავარია, მათ არ ეცვათ ზოლიანი მაისურები და არც ცისფერი ჩაფხუტები ეხურათ.



**ვიაჩესლავ სივკო, საჰაერო-სადესანტო ჯარის პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი:**

— ყველაფერი, რაც კი შეიარაღებაში ახალი ჩნდებოდა, რაც კი შეიძლებოდა გამომდგარიყო მედესანტის შეიარაღებისთვის, ყველაფერი, რითაც კი დესანტირება იქნებოდა შესაძლებელი, უპირველესად, საჰაერო-სადესანტო ჯარს მიეწოდებოდა. ამას მიღწევა სჭირდებოდა. სიმკაცრისა და მოუქნელი ხასიათის მიუ-



ხედავად, ვასილ მარგელოვს რაღაც მეთოდებით შეეძლო ჩვენი სამინისტროს, თავად თავდაცვის მინისტრის კეთილგანწყობის მოპოვება და გაგების მიღწევა.

60-იან წლებამდე მედესანტეები მსუბუქი ქვეითები იყვნენ. ახალ სარდალთან მომრავლდა მეთაურთა პატაკები იმის თაობაზე, რომ, შვებულებაში წასვლის შემთხვევაში, მისი ხელქვეითები იხსნიდნენ ქვეითების წითელ სამხრეებს და იკერებდნენ ცისფერს, მფრინავებისას. მართალია, განაწესის ამგვარი დარღვევა თავისთავად აღმაშფოთებელი იყო, მაგრამ მარგელოვმა გადაწყვიტა, ესეც საქმის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ხანგრძლივი ბატალიების შემდეგ, რომლებიც კაბინეტებში იმართებოდა, მედესანტეებს ცისფერი სამხრეები ოფიციალურად დაუბრუნეს.

**ალექსანდრე მაკეევი, საჰაერო-სადესანტო ჯარების მაიორი, საჰაერო-სადესანტო ჯარების ფონდის „საბრძოლო საძმოს“ გენერალური დირექტორი:**

— საჰაერო სადესანტო ჯარში ყველა ტრადიცია და იდუმალებით მოცული საბურველი ბოლო დრომდე შემონახულია. ვიდრე გვახსოვს ეს ტრადიციები და ვიდრე გვახსოვს მარგელოვი, ალბათ, ვიქნებით ის მარგელოველი მედესანტეები, მაგრამ როგორც კი ამ ყველაფერს დავივიწყებთ, რაღაც სახეობის ჩვეულებრივ ჯარად ვიქცევით.



მრავალი ადამიანი საჰაერო სადესანტო ჯარში სამსახურს ზოლიანი მაისურისა და ცისფერი ჩაფხუტის გამო ირჩევს. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ დესანტის ამ ატრიბუტებით ყველაფერი არც ისე ადვილია.

დაახლოებით 40 წლის წინათ მეზღვაურები მარგელოვს ბრალს სდებდნენ მათთვის მედესანტეების ფორმის მოპარვაში. კონსერვატორებს ეს ჩაფხუტი არ მოსწონდათ. უთანხმოებასა და აზრთა სხვადასხვაობას მედესანტეთა ჩაფხუტის ფერიც კი განაპირობებდა.

ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს განვითარებული მოვლენების დროს მედესანტეთა ნაწილი ცისფერ ჩაფხუტებს ატარებდა, ნაწილი კი — ჟოლოსფერს.



საჰაერო სადესანტო ჯარის ემბლემაც ძია ვასიას პერიოდში შეიქმნა. იგი საჰაერო სადესანტო ჯარის შტაბის მხაზველმა ზინაიდა ბოჩეროვამ გამოიგონა. ვასილ მარგელოვი ამ ქალბატონს მედესანტე №2-ს უწოდებდა. ვინ იყო №1 მედესანტე, ჩვენ ყველამ ვიცით.



## ბომბი იუსტიციის მინისტრისთვის

**საბერძნეთის პოლიციამ იუსტიციის მინისტრ ანასტასის პაპალიგურასისთვის განკუთვნილ ამანათში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინა. სახიფათო ამანათმა ადრესატამდე ვერ მიაღწია — მინისტრი არ დაშავებულა.** პოლიციამ ასაფეთქებელი მოწყობილობა გაანადგურა. უცნობია, ვინ გაგზავნა ამანათი, თუმცა სამართალდამცავები არ გამორიცხავენ, რომ ეს იუსტიციის მინისტრის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება და ამიტომ მინისტრი გააფრთხილეს, რომ მსგავსი თავდასხმა, შესაძლოა, კიდევ განმეორდეს. იმავე დანაშაულისთვის გასულ კვირას 13 ანარქისტი სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო. ჯგუფს 2010 წლის ნოემბერში ევროპის ქვეყნების ლიდერებისთვის ასაფეთქებლი მოწყობილობების გაგზავნაში ადანაშაულებენ. ათეულობით დამნაშავე დაკავებულია და სასამართლოს განაჩენს ელოდება.



## „ვიკილიქსი“ ნობელის პრემიაზე წარადგინეს

**ნორვეგიის პარლამენტის წევრმა, ნობელის პრემიის ექსპერტმა სნორე ვალენმა „ვიკილიქსი“ ნობელის პრემიაზე წარადგინა და თავისუფალი სიტყვისა და ინფორმაციის მისაწვდომობის საქმეში მის მიერ შეტანილ როლზე ისაუბრა.** როგორც წესი, ნობელის პრემიის ნომინაციები საიდუმლოდ ინახება, მაგრამ ამ შემთხვევაზე კონკრეტული წესები არ გავრცელებულა. ნომინანტებს შორის, შესაძლოა, მოხვდნენ ისინიც, ვინც მედიაში ფართოდ აშუქებს არაბულ ქვეყნებში მიმდინარე აქციებს. ნობელის პრემიის კომიტეტი პრემიის მინიჭების საკითხს მხოლოდ იმ კანდიდატებისთვის განიხილავს, რომლებიც 1 თებერვლამდე არიან ნომინირებულნი. ლაურეატების არჩევნები ოქტომბერში ჩატარდება.

facebook

## რევოლუცია facebook-ით

**სირიაში მცხოვრებთა საპროტესტო მოწოდებები სოციალურ ქსელებში Facebook-სა და Twitter-ში გაჩნდა. ამ მოწოდებების ავტორები „მრისხანების დღეების“ მოწყობასა და სახალხო საბჭოს (რესპუბლიკის პარლამენტი) შენობის წინ აქციების გამართვას გეგმავენ.**

პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა The Wall Street Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ წელს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას აპირებს — არასამთავრობო ორგანიზაციების უშუალო ჩართვით მუნიციპალურ არჩევნებს ჩაატარებს და პრესის შესახებ კანონში ცვლილებებს შეიტანს. სირიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აქტიურად აშუქებენ ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებს და აშკარად მხარს უჭერენ დემონსტანტებსა და ოპოზიციონერებს. თავად პრეზიდენტმა კი აღნიშნა, რომ კაიროში მიმდინარე პროცესები „ახლო აღმოსავლეთის ახალ ისტორიულ პერიოდში გადასვლის“ მაუწყებელია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტყე – უდაბნოში



**ეს ოცნება ნელ-ნელა რეალობას ემსგავსება. ასეთი გიგანტური სათბურები მალე შეიძლება მსოფლიოს უდაბნოებში გაჩნდეს. მისი მთავარი ფუნქცია წყლისა და საკვების წარმოება და ენერგიის გამომუშავება იქნება.**

საჰარის ტყის პროექტის მთავარი მიზანი უდაბნოებში გიგანტური ოაზისების შექმნაა. ამ პროექტის მესვეურებსა და ნორვეგიის მთავრობას შორის შედგა შეთანხმება და ნორვეგიის მთავრობამ მსგავსი სათბურების მშენებლობის დაფინანსება იტვირთა. პირველი ოაზისის მშენებლობა იორდანიაში, აქაბაში, წითელ ზღვასთან ახლოს, 2012 წელს დაიწყება. იდეის ავტორთა და დამფინანსებელთა ვარაუდით, იგი 200 ათას კვადრატულ მეტრზე იქნება გადაშლილი.

დედამიწაზე უხვადაა მზის ენერგია, ზღვის წყალი, ნახშირბადის დიოქსიდი და მოშიშვლებული მიწა უდაბნოების სახით, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს რესურსები ჭკვიანურად და სასარგებლოდ? — ამბობს ჯოაკიმ ჰაუგი, საჰარის ტყეების პროექტის მთავარი აღმასრულებელი მენეჯერი.

თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, სათბური იმუშავებს მარილიანი წყლის გამოყენებით, ეს კი ბოსტნეულსა და ზღვის მცენარეებს ზრდაში შეუწყობს ხელს. წყალი, რომელიც წითელი ზღვიდან ამოიტუმბება, გააგრილებს ჰაერს სათბურში და შექმნის კარგ პირობებს მოსავლის მოსაყვანად. შემდეგ ეს გაგრილებული ჰაერის ნაკადი მიემართება იმ მილებისკენ, რომლებშიც მზის ენერგიით გაცხელებული ზღვის წყალი მიედინება, თბება, შემდეგ წარმოიქმნილი ცხელი ტენიანი ჰაერის მასას მიმართავენ ვერტიკალურად განლაგებულ ზღვის წყლის ცივი მილებისკენ და ამ ცხელი ტენიანი ჰაერის გაციებით წარმოიქმნება წყალი ცივი მილების გარშემო, ვერტიკალურ მილებზე წარმოქნილი წყალი, რა თქმა უნდა, დაბლა დაიწყებს ჩასვლას, იქ კი წყლის შემგროვებელი აპარატები დახვდება.

მტკნარი წყალი გაცხელდება მზის კონცენტრირებული ენერგიის საშუალებით და წარმოქმნის ორთქლის ნაკადს, რომელიც დაატრიალებს ტურბინას, ტურბინა კი გამოიმუშავებს ელექტროენერგიას. საბოლოოდ ამ ელექტროენერგიის ნაწილი ისევ სათბურის მილებისა და პროპელერებისთვის გამოიყენება. ამ წყალს ასევე გამოიყენებენ სავარგულების მოსარწყავად.

საბოლოოდ, ისევ მზის ენერგიით მოხდება წყლის აორთქლება და უკვე წარმოიქმნება მტკნარი, დასალევად გამოსადეგი წყალი.

# ტერაკოტის არმია

**1974 წელს ჩინეთის ქალაქ ლინტონგთან ახლოს გლეხები ჭას ილებდნენ, მოულოდნელად წერაქვი ცხენისა და ადამიანის ფიგურებს მოხვდა. ამ შემთხვევითი აღმოჩენის წყალობით, დედამიწას ტერაკოტის ათასობით ჯარისკაცი „მოევლინა“. ჯარს, რომელიც ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობის ინიციატორის, იმპერატორ ცინ ში ხუანძის სამარხთან იყო აღმოჩენილი, მასთან ერთად სიკვდილის სამეფოშიც უნდა „ებრძოლა“.**





ჩვენს წელთ აღრიცხვამდე III საუკუნის შუა წლებში, ცინის სამეფო საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ინ ჩჟენი (შემდგომში ცინ ში ხუანძად წოდებული) ტახტზე 13 წლისა ავიდა. ახალგაზრდა მმართველმა თანდათან სხვა სამეფოები (ჩჟაოს, იანის, ბეის და სხვ.) შემოიერთა და ჩვენს წელთ აღრიცხვამდე დაახლოებით 221 წელს ცინის სამეფომ ქვეყნის გაერთიანებისთვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა წარმატებით დაასრულა. ინ ჩჟენი კი ამ გაერთიანებული იმპერიის პირველი იმპერატორი გახდა და მისი ბრძანებით მისთვის შუ ხუანძი, ანუ პირველი უმაღლესი იმპერატორი უნდა ეწოდებინათ. ახალი იმპერატორის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდა ადმინისტრაციული, აღმასრულებელი და უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება. ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 210 წელს ში ხუანძი გარდაიცვალა. შთამომავლობის ხსოვნაში იგი იმ დიდ რეფორმატორად დარჩა, რომელმაც დაქუცმაცებული ჩინეთი თუმცა სუსტად დაცულ, მაგრამ გაერთიანებულ სამეფოდ აქცია.

პირველი იმპერატორის მავზოლეუმს 37 წელი 700 ათასი მონა, ჯარისკაცი და გლეხი აშენებდა.

სამარხი კომპლექსი სასახლის მსგავსად იყო აშენებული და მოიცავდა აკლდამას, სადაც იმპერატორი განისვენებდა, და ას დამხმარე ნაგებობას. გამაოგნებელია მთავარი დარბაზის ინტერიერი. იატაკი, დედამიწის რელიეფის მსგავსად, მთებით, ხეობებით, მდინარეებითა და ტბებითაა მოხატული, ჭერი კი ცის კამარის სიმბოლოა და ძვირფასი ქვებისგან გაკეთებული ვარსკვლავებითაა მოჭედილი. აკლდამაში, იმპერატორთან ერთად, სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკების გარდა, მრავალი მსახური, მონა, იმპერატორის ხასა და, ასევე, ათასობით იმ მშენებლის ნეშტი განისვენებს, რომელთაც იმპერატორის აკლდამის საიდუმლო კარისკენ მიმავალი გზა იცოდნენ. იმპერატორის განსასვენებელი ადგილი კი ყოველთვის საიდუმლოს წარმოადგენდა, რადგან მასში აურაცხელი სიმდიდრე და ხელოვნების სხვადასხვა ნიმუში ინახებოდა. ცინების მიწისქვეშა სამეფოში შეღწევა არცთუ ადვილი აღმოჩნდა და საამისოდ არქეოლოგებს დიდი შრომა დასჭირდათ, რადგან აკლდამასთან მისასვლელი სასიკვდილო ხაფანგებით იყო დაცული. მავზოლეუმის მთავარი დარბაზი, ვეშაპის ქონისგან დამზადებული ათასობით ჩირაღდნით იყო განათებული.

ცინ ში ხუანძის გულწრფელად სჯეროდა, რომ თავისი იმპერიის მართვას საიქიოდანაც შეძლებდა, რისთვისაც ჯარი აუცილებელი იყო. სწორედ ამ მიზნით, მან თან ათასობით ჯარისკაცი „წაიყვანა“ და სჯეროდა, რომ საჭიროების დროს მათში იმპერიის ჯარისკაცების სული ჩასახლდებოდა. არქეოლოგებმა მიწისქვეშა დარბაზებში 8 ათასი მეომარი აღმოაჩნიეს. თითოეული ქვეითი ჯარისკაცის სიმაღლე 1,75 მეტრიდან 1,85 მეტრამდეა, ოფიცერთა სიმაღლე კი მათ ჩინსა და რანგს შეესაბამება. თიხისგან შექმნილი ჯარისკაცები სახით აღმოსავლეთისკენ დგანან. ზოგიერთ მათგანს სამხედრო მუნდირი აცვია, ზოგიერთს კი — ტუნიკი, რომელზეც ქამარი აქვთ შემორტყმული. ხმალი, მშვილდი და შუბი ნამდვილია. ქვეით ჯარისკაცებს თმა თხემზე აქვთ განასკვული, კავალერისტებს კი თავზე ახურავთ მუზარადი, რომელიც ნიკაპთან თასმით აქვთ შეკრული. თიხის ჯარისკაცების დამზადების ტექნოლოგია შემდეგი იყო: სკულპტორი თავდაპირველად ტანს ძერწავდა. მეომრების ქვედა ნაწილები მონოლითური იყო და ერთმანეთს წააგავდა. თავი და ხელები ტანზე ღუმელში გამოწვის შემდეგ მაგრდებოდა. საბოლოოდ კი სკულპტორი თავს თიხის დამატებითი თხელი ფენით ფარავდა და სახის ნაკვთებს ინდივიდუალურ გამომეტყველებას აძლევდა, ამიტომ ყველა ჯარისკაცი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა როგორც გამომეტყველებით, ისე ჩაცმულობითა და ამუნაციით. თმის ვარცხნილობაც, რომელსაც იმ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, განსხვავებული ჰქონდათ. თავდაპირველად ფიგურები წითლად შეღებეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ფერი გადაუვიდა. ფიგურების გამოწვა რამდენიმე დღის განმავლობაში ათას გრადუს ცელსიუსზე მიმდინარეობდა, რის შედეგადაც თიხა გრანიტს ემსგავსებოდა.

ის დარბაზი, სადაც მეომრები იმყოფებიან, ტურისტებისთვის ღიაა. აქვე ნებისმიერ მსურველს შეუძლია გათხრების მიმდინარეობის ჩანაწერების ნახვაც. დროის მიუხედავად, ხმლების პირი ახლაც ისეთი ბასრია, რომ ხელის შეხება სარისკოა.









საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მსოფლიოს 10 უდიდესი ატრაქციონი

**მსოფლიოში ათ ყველაზე დიდ, ყველაზე ექსტრემალურ, ყველაზე საშიშ და ამავე დროს ყველაზე საინტერესო ატრაქციონს ერთი საერთო დახასიათება მიესადაგება — ყვირილით, კივილითა და ჰაერში ატყორცნილი ხელებით წარმოუდგენელი სისწრაფით ეშვებით დაბლა უდიდესი სიმაღლეებიდან და თქვენი სიცოცხლე ხისა თუ ფოლადის დამჭერებისთვისაა მინდობილი. ასეთი ატრაქციონის შემთხვევაში, მთავარი სიმაღლეა. რაც უფრო მაღალია ის, მით მეტია ადრენალინი და მით უფრო მეტ ხანს გრძელდება ვარდნა.**



## მეათე ადგილი — Titan

**სიმაღლე — 75 მეტრი, ტეხასი.**

სახელიც კი მიუთითებს მის სიდიდეზე და, მიუხედავად იმისა, რომ სიაში მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა, ამ სახელს ნამდვილად ამართლებს. მანძილი ტიტანის უმაღლესი წერტილიდან ვარდნისას უფრო დიდია, ვიდრე ასვლისას. ასვლისას 75 მეტრს გაივლით, ხოლო ვარდნისას — 79-ს. ვარდნას ამძაფრებს ისიც, რომ საბოლოოდ გვირაბში ეშვებით. ამ ატრაქციონით დაშვებისას წამებში ავითარებთ 136 კმ/სთ-ზე მეტ სიჩქარეს.



## მეცხრე ადგილი — Eejanaika

**სიმაღლე — 76 მეტრი, იაპონია.**

მას ყველაზე ველური ატრაქციონის შეხედულება აქვს. უბრალოდ თავდაყირა კი არ დაგკიდებთ და გაგაქანებთ, არამედ იმ სკამსაც დაატრიალებს, რომელიც ერთადერთ მყარ წერტილად გეგულებათ. ეს ატრაქციონი გინესის რეკორდსმენია, რაც სწორედ სკამების ექსტრემალური ბრუნვისა და განლაგებისთვის დაიმსახურა.



## მერვე ადგილი — Fujiyama

**სიმაღლე — 79 მეტრი, იაპონია.**

ფუჯიიამა საკმაოდ ძველი ატრაქციონია. იაპონელებმა ის ჯერ კიდევ 1996 წელს ააშენეს. მაგრამ, ამის მიუხედავად, კლასიკური ფოლადის ლიანდაგებისა და ვაგონების საწინააღმდეგო ამ დრომდეც არავის არაფერი აქვს. წარმოუდგენელი ვარდნა, სიჩქარე და თითქოს დაუსრულებელი გზა ფინიშამდე — ეს მისი უპირატესობებია. მაქსიმალური სიჩქარე 131 კმ/სთ-ს აღწევს და გაცილებით სწრაფია წინა ატრაქციონთან შედარებით, რომელიც იმავე პარკშია განთავსებული.



## მეშვიდე ადგილი — Thunder Dolphin

**სიმაღლე — 80 მეტრი, იაპონია.**

თვალის ერთი შევლებისას არც ისე შთამბეჭდავი ჩანს. მისი სახელიც — მქუხარე დელფინი — სტუმრებს არ აშინებს. სამაგიეროდ, ვარდნის სიჩქარე 129 კმ/სთ-ზე მეტია. მაქსიმალური ვარდნისას ლიანდაგის დახრილობა 80 გრადუსს უტოლდება. ის, რაც ამ ატრაქციონს უნიკალურად აქცევს, არის გზა, რომელიც უნდა გაიაროს. ეს გზა იმდენად მრავალფეროვანია, რომ შენობებში გამავალ გვირაბებსაც კი მოიცავს და საერთო სცენარს ბევრად ამძაფრებს.



## მეექვსე ადგილი — Millennium Force

**სიმაღლე 94 მეტრი, ოჰაიო.**

ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ატრაქციონია მთელ მსოფლიოში. ის 2000 წელს გაიხსნა და მას შემდეგ, უამრავი სხვა პრიზის მოპოვების გარდა, ათი მსოფლიო რეკორდი მოხსნა, მსოფლიოს დღევანდელი საოცრებების პირველი ადგილი და ოქროს წოდება კი 5-ჯერ მოიპოვა. პირველი, რაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს, ფრიალო კლდესავით აღმართული კონსტრუქციაა. ატრაქციონის სტუმრები ამ კლდიდან 150 კმ/სთ სიჩქარით ეშვებიან.



## მეხუთე ადგილი — Steel Dragon 2000

**სიმაღლე — 97 მეტრი, იაპონია.**

მას ფოლადის დრაკონი იმის გამო შეარქვეს, რომ დრაკონის კუდის ფორმა აქვს. სხვა ყველაფერზე კი ციფრები მეტყველებს: სიჩქარე — 153 კმ/სთ, სრული სიგრძე — 2,5 კილომეტრი.

## მეოთხე ადგილი — Tower of Terror

**სიმაღლე — 115 მეტრი, ავსტრალია.**

ყველაფერი მშვიდობიანად იწყება ჰორიზონტარულ ზედაპირზე, მაგრამ ამ ნეტარებას 160 კმ/სთ სიჩქარით 90-გრადუსიან ციცაბოზე ასვლა მოჰყვება. როდესაც უმაღლეს წერტილს მიაღწევს, სკამი თითქოს ჰაერში წყდება და უკანვე ეშვება. ეს ყოველივე დაახლოებით 30 წამში დამთავრდება, განცდილი ემოციები კი ამ ატრაქციონის სტუმრებს არასდროს ავიწყდებათ.





## მესამე ადგილი — Superman: The Escape

**სიმაღლე — 126 მეტრი, კალიფორნია.**



## მეორე ადგილი — Top Thrill Dragster

**სიმაღლე — 128 მეტრი, ოჰაიო.**



## პირველი ადგილი — Kingda Ka

**სიმაღლე — 139 მეტრი, ნიუ ჯერსი.**



# ოპერისა და რუსთაველის თეატრების ერთობლივი პრემიერა — მოცარტის «მითრიდატე, პონტოს მეფე»




**19 და 20 თებერვალს რუსთაველის თეატრში გაიმართება ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერის „მითრიდატე, პონტოს მეფე“ პრემიერა. სპექტაკლი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და რუსთაველის თეატრის ერთობლივი პროექტია. ოპერის დამდგმელი დირიჟორია ჯანლუკა მარჩიანო, დამდგმელი რეჟისორი — დავით საყვარელიძე, დამდგმელი მხატვარი — ნინა კობიაშვილი.**

„მითრიდატე, პონტოს მეფეს“ ასრულებენ ოპერის თეატრის ორკესტრი, მომღერლები: **იანგ იანგი, თეონა დვალი, სალომე ჯიქია, ირინე თაბორიძე, მეგი ჩიხრაძე, სოფიო ჯანელიძე, ეთერ ხალვაში, სოფიო გორდელაძე, ანი ცარციძე, ირაკლი მურჯიკნელი, ნინო ჩაჩუა, ქეთევან ხომერიკი;**

მომღერლებთან ერთად „მითრიდატეს“ განსხეულებაში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები: **თემიკო ჭიჭინაძე, დავით დარჩია, ნინო კასრაძე, ნინო თარხანმოურავი, დავით უფლისაშვილი.**

„მითრიდატე, პონტოს მეფე“ ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ადრეული ოპერაა, რომელიც 1770 წელს, იტალიაში მოგზაურობის დროს შეიქმნა. ორმოქმედებიანი ოპერის ლიბრეტოს ავტორია ვიტორიო ამედეო ჩინია-სანტი, რომელმაც ჟან რასინის ტრაგედიის ჯუზეპე პერინისეული იტალიური თარგმანის მიხედვით დაწერა ტექსტი. საგულისხმოა, რომ **პონტოს მეფე მითრიდატე VI-ს ისტორია, რასინის ტრაგედიის შექმნის შემდეგ, არაერთი კომპოზიტორის შთაგონების წყაროდ იქცა. მათ შორის იყვნენ: ფრანცისკო არაი, ალბერტ ბიელი, ანტონიო კალდარი, ნიკოლა პორპორა, დომენიკ ტერადელიასი, ჯუზეპე სარტი, ქვირინო გასპარინი, დავიდე ნიკოლინი და ა.შ.**

პირველად ოპერა შესრულ**და Regio Ducal Teatro-ში, მილანში, 1770 წლის 26 დეკემბერს ქალაქში გამართული კარნავალის დროს, მოცარტის დირიჟორობით. ოპერის დიდ წარმატებაზე მეტყველებს ის, რომ 14 წლის კომპოზიტორის ოპერა 21-ჯერ იყო წარმოდგენილი.**

და მაინც, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, მომდევნო 200 წლის მანძილზე ეს ოპერა მივიწყებული იყო და არავის აღუდგენია. მხოლოდ 1971 წელს დაიდგა „მითრიდატე“ ზალცბურგის ფესტივალზე. ასევე აღსანიშნავია 1985 წელს ციურიხში რეჟისორ ჟან-პიერ პონელისა და დირიჟორ ნიკოლაუს არნონკურისეული დადგმა.

და აი, ამჯერად, „მითრიდატე, პონტოს მეფე“ ქართულ თეატრალურ სივრცეშიც დაიდებს ბინას. თბილისური პრემიერების შემდგომ კი, მარტში, სპექტაკლს ბეირუთის ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის სტუმრებიც გაიცნობენ და შეაფასებენ.

**„მითრიდატე, პონტოს მეფის“ დამდგმელი რეჟისორი დავით საყვარელიძე:**

„როგორც კი შევიტყვეთ ბეირუთის საერთაშორისო ფესტივალის წლევანდელი თემა „დუნაის გავლით შავ ზღვაში“, რაც დუნაის ქვეყნების კომპოზიტორთა შექმნილ მუსიკას და, აგრეთვე, შავი ზღვის ქვეყნების მუსიკალურ ცხოვრებას ეხება, მაშინვე ყველამ ერთად წამოვიძახეთ: — მოცარტი! „მითრიდატე, პონტოს მეფე“!

სწორედ ამ ოპერის სათაური აკავშირებს დიდ ავსტრიელ კომპოზიტორს ჩემს სამშობლოსთან – საქართველოსთან. უამრავ არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის, რომლებითაც ძალიან მდიდარია საქართველო, მითრიდატეს ეპოქის ძეგლებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. დღესაც შეგიძლიათ ნახოთ „პომპეუსის ხიდი“, რომლითაც საბრძოლველად მიემართებოდნენ რომაელები მითრიდატეს წინააღმდეგ.

ის ამბები, რომელნიც მოცარტს ბავშვურ ფანტაზიებს ულვიძებდა, ჩვენთვის, ქართველებისთვის, მშობლიური ქვეყნის ისტორიაა. წარმოიდგინეთ პრექრისტიანული საქართველო, პონტო, რომელსაც მართავდა მრისხანე მეფე – მითრიდატე VI, რომლის სახელიც სისასტიკის ერთგვარ სინონიმადაც კი ითვლებოდა. და ამავე დროს გაიხსენეთ 14 წლის მოცარტის მუსიკა, სავსე ბაროკოს ეპოქის „ჩუქურთმებით“, რომელშიც უკვე შეიცნობოდა ზებუნებრივი ნიჭი ახალგაზრდა მოცარტისა, მუსიკა, შექმნილი კასტრატი მომღერლებისთვისაც — საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ ღრმა გააზრებას მოითხოვს კაცობრიობის განვითარების უკეთ შეცნობისთვის.

ვიცი, მხოლოდ სიტყვებით ახსნა ამ რთული საოპეროთეატრალური ფორმისა ძალიან გამიჭირდება...და, რადგანაც ხელოვნების სწორედ იმ ჟანრის თაყვანისმცემელი ვარ, რომელიც სიტყვას, ქმედებასა და მუსიკას აერთიანებს, მოდით, ყველაფრის ახსნას ამ ჟანრს მივანდობ — ნახეთ ჩვენი სპექტაკლი და იქნებ, გაიგოთ ჩვენი გულისნადები!“

**ეწვიეთ 19 და 20 თებერვალს რუსთაველის თეატრს და თავად გაიცანით მოცარტის „მითრიდატე, პონტოს მეფე“.**
**სპექტაკლები 19 საათსა და 45 წუთზე დაიწყება.**


## უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

## საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი
www.saqinform.ge

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net